N 9

ონლაინ არქეოლოგია

Online Archaeology

ჟურნალ “ონლაინ არქეოლოგიის” მე-9 ნომერი აკადემიკოს ანდრია აფაქიძის ხსოვნას ეძღვნება

სარჩევი

- საქართველოს ღვაწლმოსილი არქეოლოგები 8
- ანდრია აფაქიძე - საქართველოს არქეოლოგიის პატრიარქი 8
- მოგონებები - ვახტანგ ნიკოლაიშვილი, გურამ ლორთქიფანიძე, მერაბ ძნელაძე, თეიმურაზ ბიბილური, ამირან კახიძე, გურამ გრიგოლია 14
- ინტერვიუ არქეოლოგ კონსტანტინე ფიცხელაურთან 44
- ბლიც-ინტერვიუ 54
- წარსული მომავლის თვალით - ლანა ჩოლოგაური, ირაკლი ანჩაბაძე, ბორის გელაშვილი, მარიამ ელოშვილი, ლევან ლოსაბერიძე 54
- არქეოლოგიური დაიჯესტი 64
- ბოდბე - თებერვალი - 2016 64
- დმანისი - მარტი - 2016 67
- საბერეები - მარტი - 2016 68
- წალკა - მარტი - 2016 71
- საჩხერე - მარტი - 2016 73
- აზმანა - აპრილი - 2016 74
- ივრისპირები - აპრილი - 2016 76

საქართველო

- ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა 86
- ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები სოფელ კაპნისთავში - ა. კახიძე, თ. შალიკაძე, მ. ნაგერვაძე 86
- სტატიები 102
- ყორღნული ტიპის სამარხების გავრცელებისთვის საქართველოში 102
- PONTOS LIMES (LIMES PONTICANUS) - რომაული სასაზღვრო სისტემა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ქ.შ. I-V სს.) 130
- PONTOS LIMES (LIMES PONTICANUS) - რომაული სასაზღვრო სისტემა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ქ.შ. I-V სს.) 130
- მუზარადები წინარეანტიკური და ანტიკური ხანის საქართველოში 146
- აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე და საქართველოს უძველესი ქალაქების არქეოლოგიური კვლევის საკითხები 160
- საეტაპო ძეგლები 170
- საქართველოს მღვიმეები — ნიკა თუშაბრამიშვილი 170
- გაიცანით საქართველო 196
- ნიჩბისის ხეობის უცნობ-ნაცნობი კულტურული მემკვიდრეობა — ქეთევან დიღმელაშვილი 196

ყდაზე _ ორთვალა კლდე, 42 000 წელი (ფოტო - ნიკა თუშაბრამიშვილი)
წნორის ლომი, ქ.წ. III ათასწლეულის II ნახევარი
(ფოტო - კონსტანტინე (კოტე) ფიცხელაური)

სარჩევი

- გარეჯა — ქოლაგირის მონასტერი — ქეთევან დიღმელაშვილი 204
- გაგიდის სამაროვანი (ძეგლები ოკუპირებულ ტერიტორიებზე) — ლერი ჯიბლაძე 216
- მუზეუმები და არტეფაქტები 234
- ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი — ლევან ზაზაძე 235
- პროექტი 240
- არქეოლოგიური გათხრები არმაზისხევის ტერიტორიაზე 240
- თვალსაზრისი 246
- ზემო იმერეთი. გზები, კლდის ძეგლები და კომუნიკაციის საკითხები — ნიკა თუშაბრამიშვილი, ნოდარ ბახტაძე, ლაშა სუხიშვილი 246
- ცნობისათვის 266
- თმოგვის ციხეზე აღმოჩენილი წარწერიანი ქვა — ლევან ზაზაძე 266
- დღიურები 272
- დავით თუშაბრამიშვილი 272
- სტუდენტური გვერდი 310
- ინტერიერის ორგანიზაციის პრინციპები ძ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში — თათია ბუწურაძე 310

- საინტერესო გამოცემები 320
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა 320
- ქუთაისის არქეოლოგია 322
- ბორჯომი და კულტურული მემკვიდრეობა 324
- ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის საგანძური 326
- ძველი ხელოვნება დღეს 328

CONTENTS

- HONOURED ARCHAEOLOGISTS OF GEORGIA 31
- ANDRIA APAKIDZE – Patriarch of Archaeology of Georgia 31
- INTERVIEW with archaeolog Konstantine (Kiazo) Pitskhelauri 50
- ARCHAEOLOGICAL DIGEST
- Bodbe - February - 2016 78
- Dmanisi - March -2016 79
- Saberes - March - 2016 80
- Tsalka - March - 2016 81
- Sachkhere - March - 2016 82

CONTENTS

- Azmana - April - 2016 83
- Ivrispirebi- April - 2016 84
- NEW ARCHAEOLOGICAL DISCOVERY 96
- NEW ARCHAEOLOGICAL DISCOVERIES IN VILLAGE KAPNISTAVI 96
- ARTICLES 126
- THE EARLIER PERIOD KURGANS IN GEORGIA 126
- FOR SPREADING BURRIAL GROUNDS IN GEORGIA – Aleksandre Orjonikidze
- HELMETS IN PREANTIQUE AND ANTIQUE GEORGIA Irakli Anchabadze 144
- ACADEMIC ANDRIA APAKIDZE AND ARCHAEOLOGICAL ISSUES OF RESEARCHES OF THE OLDEST GEORGIAN CITIES - Shalva Buadze 168
- LANDMARK MONUMENTS 190
- CAVES OF GEORGIA - Nika Tushabramishvili 190
- GET TO KNOW GEORGIA 212
- GAREJA – MONASTERY OF KOLAGIRI - Ketevan Dighmelashvili 212

GAGIDI CEMETERY - leri Djibladze 226

MUSEUMS AND ARTIFACTS 238

HISTORIC AND ARCHITECTURAL MUSEUM – PRESERVE OF VARDZIA - Levan Zazadze 238

CONTENTS

- PROJECT 244
- ARCHAELOGICAL EXCAVATIONS ON THE TERRITORY OF AMAZISKHEVI 244

VISION 260

UPPER IMERETI. ROADS, MONUMENTS IN THE ROCKS AND COMMUNICATON MATTERS - Nika Tushabramishvili, Nodar Bakhtadze, Lasha Sukhishvili 260

FOR INFORMATION: 270

PAST RESURRECTED WITH INSCRIPTIONS 270

DIARIES 308

DAVIT TUSHABRAMISHVILI 308

- INTERESTING EDITIONS 320
- CULTURAL HERITAGE OF GEORGIA - 2014-2015 320
- ARCHAEOLOGY OF KUTAISI 322
- BORJOMI AND CULTURAL HERITAGE 324
- TREASURY OF BATUMI ARCHAEOLOGICAL MUSEUM 326
- OLDSCHOOL ART TODAY 328

ანდრია აფაქიძე - საქართველოს არქეოლოგიის პატრიარქი

ბიოგრაფია

ანდრია მელიტონის ძე აფაქიძე - დაიბადა 1914 წლის 3 სექტემბერს, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანაში. 1937 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, 1940 წელს ასპირანტურა არქეოლოგიის სპეციალობით.

1943-1952 წწ. იყო ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის დირექტორი, 1952 წლიდან განაგებდა ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის არქეოლოგიის განყოფილებას. 1959 წელს ანდრია აფაქიძემ დაიცვა დისერტაცია ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1967 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1983 წელს კი მის ნამდვილ წევრად.

ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობითა და მისი უშუალო მონაწილეობით განხორციელდა არქეოლოგიური გათხრები მცხეთაში - ბაგინეთში, არმაზისხევსა და სამთავროს ველზე, აგრეთვე, ბიჭვინთის ნაქალაქარზე, 1975 წლიდან ხელმძღვანელობდა მცხეთის მუდმივმოქმედ არქეოლოგიურ ექსპედიციას. ***ანდრია აფაქიძე მუშაობდა***

ანტიკური ხანის არქეოლოგიისა და საქართველოს ძველი კულტურის ისტორიის საკითხებზე, აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს ბაკურციხეში, არმაზისხევში, წიწამურში, ბაგინეთზე, სარკინეთსა და ქართლის მთაზე,

ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ გათხრებს ბიჭვინთაში, მცხეთასა და მის მიდამოებში, იყო რედაქტორი და თანაავტორი წიგნისა «საქართველოს არქეოლოგია», რედაქტორი მისივე ინიციატივით დაარსებული სერიისა «მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის.» საველე კვლევა-ძიების შედეგად გამოაქვეყნა მონოგრაფიები: "მცხეთა - ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი», "საქართველოს ძველი კულტურა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქზე», "ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში». მისი თაოსნობითა და რედაქტირებით გამოიცა ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები 3 ტომად და მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები 11 ტომად.

თავის შრომებში ანდრია აფაქიძემ ასახა საქართველოს ანტიკური ხანის ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების ჩასახვა-

განვითარების პროცესი, ანტიკური ხანის საქართველოს კულტურის ისტორიისა და კავკასიის ცივილიზაციის საკითხები. კულტურის ისტორიის საკითხების კვლევისას მან განავითარა თვალსაზრისი ორი კულტურის - მასების თვითმყოფადი უნიკალური კულტურისა და მმართველი ფენების მაღალმხატვრული, იმპორტული კულტურის შესახებ. მეცნიერის ნაშრომებში საყურადღებოა წარმოჩენა იმ მძლავრი ადგილობრივი ელემენტებისა, რომელთა ანალიზის შედეგად მან გამოყო ბერძნულ-კოლხური, აქემენიდურ-იბერიული, რომაულ-იბერიული, ბიზანტიურ-ქართული და სხვა მიმართულებები.

ანდრია აფაქიძის მეცადინეობით დაინერგა საბუნებისმეტყველო მეთოდები საქართველოს არქეოლოგიაში. მისი უშუალო აქტივობით შეიქმნა უნივერსიტეტში რადიოკარბიონული მეთოდებით ძეგლების დათარიღების ლაბორატორია, აგრეთვე, უჯრედი არქეოლოგიური კვლევის ცენტრში - გეოფიზიკური მეთოდების გამოყენებით არქეოლოგიური მონაპოვრის (განსაკუთრებით კერამიკის) დათარიღებისთვის.

ანდრია აფაქიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის საქმეში, მისი მოწაფეები არიან: გურამ გრიგოლია, ამირან კახიძე, ოთარ ლორთქიფანიძე, გურამ ლორთქიფანიძე, ვახტანგ ნიკოლაიშვილი, ჯონი აფაქიძე, მერაბ ძნელაძე, ვაჟა სადრაძე, ნანა მათიაშვილი, ანა ჭყონია

თემურ ბიბილური, და სხვ. საგანგებოდ აღსანიშნავია მისი მუშაობა ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სპეციალიზებულ სამეცნიერო საბჭოს თანამდებობაზე, აგრეთვე, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებაში. ანდრია აფაქიძე წლების განმავლობაში იყო ამ საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი და თავმჯდომარის მოადგილე, აგრეთვე, საზოგადოების კრებულ «ძეგლის მეგობრის» სარედაქციო კოლეგიის წევრი, მისი მორიგე რედაქტორი (საზოგადოებრივ საწყისებზე).

ანდრია აფაქიძის სახელთან არის დაკავშირებული ქართლის ძველ დედაქალაქში - მცხეთაში სტაციონარული არქეოლოგიური გათხრების დაწყება. 1953 წელს მისი ხელმძღვანელობით სოხუმის ყურეში ჩატარდა წყალქვეშა არქეოლოგიური სამუშაოები ანტიკური ხანის ქალაქის დიოსკურია-სებასტოპოლისის გამოსავლენად.

1975 ***წლიდან ხელმძღვანელობდა მცხეთის მუდმივმოქმედ არქეოლოგიურ ექსპედიციას. მისი ინიციატივით პირველად საქართველოს არქეოლოგიაში მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე შეიქმნა პალეოანთროპოლოგიური რაზმი აკად. მ. აბდუშელიშვილის ხელმძღვანელობით. რაზმის წევრებმა ექსპედიციის მთელი მონაპოვარი აღრიცხეს, განახორციელეს მათი ფიქსაცია-რესტავრაცია, მიიღეს პალეოანთროპოლოგიური და პალეოპათოლოგიური ინფორმაცია, რითიც საფუძველი ჩაეყარა წყაროთმცოდნეობით კვლევას საქართველოს ისტორიოგრაფიაში.***

ანდრია აფაქიძემ გვიანბრინჯაოადრერკინის ხანის (ქ.წ. XIV-VI

სს.) მასალები საერთო კავკასიურ ჭრილში განიხილა, რის შედეგადაც შეიმუშავა საერთო კავკასიური ცივილიზაციის კონცეფცია. ამ კონცეფციის თანახმად კავკასიური ცივილიზაცია სხვადასხვა ეთნოსის შემ-ოქმედებაა და მხოლოდ კვლევის შედეგად შეიძლება დადგინდეს ცალკეული ეთნიკური ჯგუფების წვლილი, რისთვისაც არქეოლოგიური კვლევის გარდა საჭიროა მასალების პალეოანთროპოლოგიური შესწავლა.

ამრიგად, ანდრია აფაქიძე იყო ნოვატორი მკვლევარი, პედაგოგი, იმავდროულად, ღვაწლმოსილი საზოგადო მოღვაწე. მეცნიერი გარდაიცვალა 2005 წელს, დაკრძალულია სამთავროს მონასტრის ეზოში.

ანდრია აფაქიძის შესახებ:

ანდრია აფაქიძე - საქართველოს არქეოლოგიის პატრიარქი

2015 *წელს საქართველოს კულტურულმა საზოგადოებამ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის* **(1943-1952** *წწ.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური სექტორის მმართველის, ანტიკური ხანის არქეოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, ანდრია აფაქიძის* 100 *წლის იუბილე აღნიშნა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოიცა არქეოლოგ გურამ ლორთქიფანიძის წიგნი "ანდრია აფაქიძე," რომელიც მეცნიერის მთელ მოღვაწეობას ასახავს.*

"ონლაინ არქეოლოგიის" რედაქცია პატივს მიაგებს მკვლევარის ხსოვნას, მას ეძღვნება ჟურნალის მე-9 ნომერი და წარმოგიდგენთ ანდრია აფაქიძეს, როგორც არქეოლოგსა და როგორც საზოგადო მოღვაწე მეცნიერს.

ანდრია აფაქიძეს - საზოგადო მოღვაწე მეცნიერს, ნოვატორს, პედაგოგს მისი ნამოწაფარი არქეოლოგები იხსენებენ

ვახტანგ ნიკოლაიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, არქეოლოგი, რომელიც უკვე 40 წელია მცხეთაში მუშაობს.

ანდრია აფაქიძე, საზოგადო მოღვაწე მეცნიერი - ბუნებამ ანდრია აფაქიძეს პირველობა დაანათლა, ის იყო პირველი არქეოლოგი, რომელმაც საქართველოში არქეოლოგიური მიმართულებით დაიცვა დისერტაცია, პირველი დოქტორი გახდა საქართველოში, მრავალი საზოგადოებრივი საქმიანობის მოთავე და მონაწილე გახლდათ. 1959 წელს გამოიცა არქეოლოგიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, მისი ერთ-ერთი პირველი რედაქტორი და გამომცემელი ანდრია აფაქიძე იყო. ის იკვლევდა ანტიკურ ხანას. მეცნიერის ძირითადი სამუშაო არეალი მცხეთა იყო, თუმცა, აწარ-

მოებდა გათხრებს ბიჭვინთაში, ხელმძღვანელობდა მრავალ სხვადასხვა ექსპედიციას.

ანდრია აფაქიძე განსაკუთრებულად აღნიშნავდა, რომ საქართველოში, ანტიკურ ხანაში მკვეთრად იყო გამოხატული ორი კულტურა, ერთი, უფრო მეტად უცხოური, ლაპარაკია იმპორტულ ნივთებზე, რომლებიც დიდი რაოდენობით არის გამოვლენილი მაღალი ფენის საზოგადოების სამარხებში, მეორე კი - საყოველთაო

სახალხო. ზოგ შემთხვევაში, საყოველთაო კულტურას იმპორტის მინაბაძად მოიაზრებდა. ანდრია აფაქიძის ძირითადი თეზა კავკასიური ცივილიზაციის მცნების შემოტანა გახლავთ. მისი აზრით, ამიერკავკასიაში, ჩრდილოეთშიც, მაგრამ ძირითადად სომხეთსა და აზერბაიჯანში ერთიანი კულტურის ელემენტები იკვეთება, მაგ.: გრავირებული სარტყლები ერთიანი კულტურის ელემენტებია. მან ეს კულტურა საერთო კავკასიურ ჭრილში მოიაზრა, თუმცა, არ უარყოფდა, რომ ლოკალური თავისებურებები ახასიათებს. საერთო ელემენტებიდან გამომდინარე, ანდრია აფაქიძემ ამ კულტურას კავკასიური ცივილიზაცია უწოდა.

მეცნიერი აღნიშნავდა, რომ არქეოლოგიური კულტურების გამოყოფა ატრიბუციის განსაზღვრასთან შედარებით ადვილია, რადგან გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში შეიძლება დადასტურდეს ერთი კულტურისთვის დამახასიათებელი ელემენტები, რომლებსაც მემკვიდრეობითობა ახასიათებს, ატრიბუციის დასადგენად კი საჭიროა ანთროპოლოგიური კვლევა (გასათვალისწინებელია მიგრაციები, კულტურის ელემენტების შედინება-გამოდინება და სხვ.), ანუ მეცნიერი აქცენტირებული იყო კულტურებზე და არა ეთნიკურ ატრიბუციაზე. მას მიაჩნდა, რომ ეს უკანასკნელი მომავალი კვლევების საქმეა.

ნოვატორი - ანდრია აფაქიძე კვლევით საქმიანობაში ნერგავდა ყოველგვარ სიახლეს, ის არაჩვეულებრივად შეიგრძნობდა ეპოქას, როგორც კი გაჩნდა კომპიუტერული ტექნიკა, ბატონმა ანდრიამ ის სამეცნიერო პრაქტიკაში გამოიყენა. ის იყო მოთავე მონაცემთა ბაზის შექმნის, წყალქვეშა არქეოლოგია საქართველოში პირველად ანდრია აფაქიძემ დანერგა.

პედაგოგი - არსებობს პედაგოგთა ორი ტიპი - ერთნი რომლებიც გასწავლიან, მეორენი, რომლებსაც უნდა მიბაძო. ანდრია აფაქიძე იმ ტიპის პედაგოგი იყო, რომელთან მუშაობა და საქმიანობა მაგალითის მომცემია, მისგან უნდა აითვისო, ამგვარ პედაგოგს უნდა მიბაძო. მე მასთან დიდი ხნის განმავლობაში ვმუშაობდი - 1968-2005 წლებში, მცხეთის მუდმივმოქმედ არქეოლოგიურ ექსპედიციაში, ის იყო ხელმძღვანელი მე მისი მოადგილე, მისგან შთაგონებულმა გავაგრძელე არმაზციხის კვლევა.

ამირან კახიძე
ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჩემი ურთიერთობა ბატონ ანდრია აფაქიძესთან ამგვარად დაიწყო:

1961 წლის თებერვალში, ბათუმიდან თბილისში ჩავედი და ბატონ ანდრია აფაქიძეს გავუმხილე ჩემი განზრახვა მომავალ პროფესიასთან დაკავშირებით. მცირე პაუზის შემდეგ ღვაწლმოსილმა მეცნიერმა, ჩვეული სიდინჯით მომმართა: "მეტად საპატიოა ცხოვრების ასპარეზად ქართველი ხალხის უძველესი ისტორიისა და კულტურის კვლევა აქციო, ეს კი დიდ შრომასა და გარჯას ითხოვს. თუ ასპირანტურა მომავალი კარიერისათვის გჭირდება, გირჩევთ

სხვა გზა აირჩიო..." შემდეგ საუბარი გაგვიგრძელდა. როგორც ჩანს, ბატონი ანდრია დარწმუნდა ჩემს გულწრფელობაში. დამისახელა დასამუშავებელი წიგნები, რომელთა დასწავლაც აუცილებელი იყო ოქტომბრის თვეში დანიშნული მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად.

გამოცდები ჩავაბარე აკად. ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს, რომელსაც აკად. ნ. ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდა. ამის შემდეგ ანდრია აფაქიძის განსაკუთრებულ ყურადღებას მუდამ ვგრძნობდი. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ მან მე

- ჯერ კიდევ ახალბედა ასპირანტს, საქართველოს არქეოლოგიის ცალკეული ეპოქების მიხედვით გამომიყო კონსულტანტები, რომელთა ხელმძღვანელობით მომზადებულ რეფერატული ხასიათის მოხსენებებს საგანგებოდ დანიშნულ სექტორის სხდომებზე მაკითხებდა, რაც საუკეთესო მეთოდი აღმოჩნდა სპეციალობის სრულყოფილად შესასწავლად, ეს წლები საუკეთესო იყო ჩემს ცხოვრებაში.

საკანდიდატო დისერტაცია წარმატებით დავიცავი. მე გახლდით შესანიშნავი ქართველოლოგიური დაწესებულების – აკად. ნ.ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარ-

გზავნილი. მაგრამ, პირველ წლებში მუშაობის დასაწყებად აუცილებელი ვაკანსია არ აღმოჩნდა. ეს საკმაოდ რთული პრობლემა ჩემმა აღმზრდელდ-მასწავლებელმა, ბატონმა ანდრია აფაქიძემ გადაჭრა, მან არქეოლოგიის სექტორის ანტიკურ განყოფილებაში დამაწყებინა მუშაობა. ცოტა ხნის შემდეგ, აუცილებლობის გამო, სწორედ ამ საშტატო ერთეულით დავბრუნდი ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. ყოველწლიურ, გეგმაზომიერ

საველე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებებს შედეგად ბევრი აღმოჩენა მოჰყვა, განსაკუთრებულად, ფიჭვნარის სამაროვნებთან მიმართებაში. ახალი არტეფაქტებით გამდიდრდა ეროვნული საგანძური. აკადემიკოსმა ანდრია აფაქიძემ კატეგორიულად მომთხოვა, გამომექვეყნებინა ფიჭვნარის ქ.წ. V-IV საუკუნეების ბერძნულ ნეკროპოლზე განხორციელებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები. დამისაბუთა, რომ ეს ძალიან საჭირო იყო, რადგან ელინურ ეთნოსთან უშუალოდ დაკავშირებული მეორე ძეგლი აღმოსავლეთ პონტოსპირეთში აღმოჩენილი არ გახლდათ. მე მოკრძალებით გავუმხილე საილუსტრაციო მასალების შექმნასთან დაკავშირებული ფინანსური სირთულეები. რამდენიმე თვეში, მან ამ საქმის განსახორციელებლად აუცილებელი ფინანსები მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციისთვის განკუთვნილი თანხიდან გამომიყო. მსგავსი ქმედება, ბუნებრივია, გარკვეულ უხერხულობასთან იყო დაკავშირებული. თავს ვიკავებდი, მაგრამ ანდრია აფაქიძის გადაწყვეტილება მტკიცე გახლდათ... მან ბრძანა, რომ: „კარგი საქმის გასაკეთებლად ზოგჯერ რაღაცის დათმობაც შესაძლებელია.“ მართლაც, 1975 წელს დაისტამბა ჩემი მორიგი მონოგრაფია - „ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში“.

მასწავლებლის უანგარო მზრუნველობა არც მომავალში მომკლებია. ვფიქრობ, მაპატიებს ჩემი მეცნიერ-ხელმძღვანელი კიდევ ერთ უცნაურ “მოგონებას”. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში “ვაკმა” გაამკაცრა მოთხოვნები სადოქტორო დისერტაციებთან მიმართებაში. მე, ალბათ, სერიოზულად არაფერს ვიფიქრებდი... მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს, ბატონი ანდრია დამიკავშირდა ტელეფონით და მთხოვა უახლოეს დღეებში თბილისში ჩავსულიყავი მასთან. ჩავედი და დამახვედრა თვეებისა და წლების მიხედვით განაწილებული ჩემი მომავალი სადოქტორო დისერტაციის გაშლილი გეგმა. უკან დასახევი გზა აღარ დამიტოვა. მეც კეთილსინდისიერად ჩამქონდა გრაფიკით გაწერილი შესრულებული პარაგრაფები

თუ ცალკეული თავები. მაგრამ მოხდა ისე, რომ 1979 წლისთვის დისერტაციების დაცვის საბჭოს, რომლის თავმჯდომარეც თავად ბ-ნ ანდრია გახლდათ, ვადა გასდიოდა. მე კი იმ დროისთვის, ბოლო განმაზოგადებელი თავი ბოლომდე არ მქონდა დაწერილი, მოთხოვნები კი, როგორც აღვნიშნე გამკაცრებული იყო. გარდა ამისა, საკვალიფიკაციო ნაშრომი რუსულ ენაზე უნდა შესრულებულიყო. მჭირდებოდა ორთვიანი მივლინება მოსკოვ-ლენინგრადში. გამოსავალი ანდრია აფაქიძემ მოძებნა. დისერტაცია წარადგინა, როგორც დასრულებული და გამოყო ოპონენტები. ახალი საბჭოს ფორმირებას ერთი წელი დასჭირდა. შესაბამისად, მეც დავასრულე საქმე.

აკადემიკოს ანდრია აფაქიძის ღვაწლი ქართული მეცნიერების წინაშე განუზომელია. „განგებამ ანდრია აფაქიძეს პირველობა დააკისრა“ (ძ.მ., 1994,1). დიახ, ის გახლავთ საქართველოს არქეოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი არქეოლოგი ასპირანტი, არქეოლოგთა შორის პირველი მეცნიერების კანდიდატი და დოქტორი, აკადემიკოსი. პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს – „საქართველოს არქეოლოგიისა“ და „არქეოლოგიური ლექსიკონის“ შემდგენელ-რედაქტორი; მისი მასწავლებლის – გ. ნიორაძის სახელობის მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტის დამაარსებელი; საისტორიო საზოგადოებისა და არქეოლოგიური კომისიის მესვეური და აჭარის არქეოლოგიური კვლევა-ძიების გამაფართოებელი ღვაწლმოსილი მეცნიერი. მის მიერ აღზრდილი სპეციალისტ-არქეოლოგების უახლესი აღმოჩენები მეტად მნიშვნელოვან საკაცობრიო პრობლემებს ეხმაურება.

ანდრია აფაქიძის განუზომელი ღვაწლი დაფასდა. მას საქართველოს ძველი დედაქალაქის წმინდა მიწაზე – სამთავროს მონასტრის ეზოში მიუჩინეს საუკუნო განსასვენებელი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორეს-

პონდენტი, თსუ-ს ემერიტუს პროფესორი, ისრაელის ცენტრის დირექტორი, არქეოლოგი გურამ ლორთქიფანიძე:

ბატონი ანდრო გავიცანი 1959 წელს. მე ვსწავლობდი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში არქეოლოგიის სპეციალობით და არდადეგებზე ჩამოვედი საქართველოში, მივედი ბატონ ანდროსთან. მას აქეთ მრავალი წელი გავიდა და ეს შეხვედრა მაინც დაუვიწყარია ჩემთვის, ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვიგონებ. მე მისთვის აბსოლუტურად უცნობი ვიყავი, მივედი, ასე ვთქვათ,

"გარედან", მივედი თხოვნით - მინდოდა მონაწილეობა მიმეღო ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში, რომელსაც ბატონი ანდრია ხელმძღვანელობდა. ეს ექსპედიცია ერთ - ერთი საუკეთესო, ნოვატორული ექსპედიცია გახლდათ საქართველოში, რომელიც აწარმოებდა წყალქვეშა კვლევით სამუშაოებს სოხუმის ყურეში. ზოგადად მინდა აღვნიშნო, რომ ბატონი ანდრო მუშაობდა ამგვარი პრინციპით: ის არასდროს ისაზღვრებოდა ლოკალური ძეგლით, უთუოდ უნდა შეესწავლა არქეოლოგიური მხარის

განფენა ქვეყანაში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ბიჭვინთის ექსპედიციაში მონაწილეობდნენ აფხაზებიც, მათ შორის, აფხაზი არქეოლოგი, მიხეილ მამედის ძე ტრაპში, რომელიც ბატონ ანდროსთან თანამშრომლობდა. ის ძალიან საინტერესო და დადებითი პიროვნება იყო, შემდგომში ახლოს გავიცანი და უშუალოდ ვთანამშრომლობდი მასთან. ბატონი ანდრო დაინტერესდა ჩემი სწავლით ანუ რას ვსწავლობდი, რა მიზნები მქონდა, შემდეგ ყოველგვარი რეკომენდაციებისა და ყოყმანის გარეშე მიმიწვია ექსპედიციაში სამუშაოდ. სწორედ ამ დროიდან დავინტერესდი დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიით. ერთი სიტყვით, ბატონმა ანდრომ ყველანაირი პროტექციონიზმის გარეშე დამავალა ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელობა და აი, ასეთი ტრადიციების, მსოფლიო მნიშვნელობის ექსპედიცია, პრაქტიკულად ახალბედა არქეოლოგს გადმომაბარა. მაშინ ჩემში გაიღვიძა განსაკუთრებული პასუხისმგებლობის შეგრძნებამ და მას აქეთ გამორჩეული პასუხისმგებლობითა და სიფრთხილით ვეკიდები ყოველი ძეგლის შესწავლის საქმეს.

ბატონი ანდრო დიდი ნოვატორი იყო, გეოფიზიკური მეთოდები პირველად სწორედ მან გამოიყენა ბიჭვინთის კვლევისას, ასევე მან დანერგა წყალქვეშა არქეოლოგიის ელემენტები და სოხუმის ყურეში რამდენიმე კვლევა ჩაატარა, რის შედეგადაც საინტერესო აღმოჩენები მივიღეთ.

მცხეთაში ჩამოაყალიბა არქეოლოგიური სკოლა. იქ მუშაობდნენ სიმონ ჯანაშია, ანდრო აფაქიძე, გიორგი ლომთათიძე, ალექსანდრე კალანდაძე, გერმანე გობეჯიშვილი, სწორედ ეს არის ის შესანიშნავი ოთხეული, რომელმაც ქართული არქეოლოგიის სკოლა შექმნა. ანუ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს არქეოლოგიის წარმატებების ლომის წილი მცხეთასთან და ამ ოთხეულთან არის დაკავშირებული.

მე ბატონ ანდრიასთან ვიმუშავე 1961 წლიდან მისი მოღვაწეობის

ბოლომდე. ის იყო ანტიკური არქეოლოგიის განყოფილების გამგე, მე უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, შემდეგ 1965 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია კოლხეთის თემატიკაზე, 1970 წელს დავიცავი სადოქტორო დისერტაცია, ბატონი ანდრო გახლდათ სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი, ანუ მთელმა ჩემმა შეგნებულმა მოღვაწეობამ ბატონ ანდრია აფაქიძის ფრთის ქვეშ განვლო. მე ის დამამახსოვრდა, როგორც ძალიან ყურადღებიანი და ტაქტიანი პედაგოგი.

მისგან შთაგონებულმა გავაგრძელე ბიჭვინთის ნაქალაქარის შესწავლა. ბატონ ანდროს დაუსრულებელი დარჩა რამდენიმე ტაძარი, რომლებიც აღმოჩნდა ნაქალაქარის ტერიტორიაზე, იქ, სადაც ადრექრისტიანული თემი იყო. მას ძალიან აინტერესებდა სტრატიგრაფია, ანუ, როგორ შენდებოდა პირველი ეკლესია - III საუკუნის ბოლოს, IV საუკუნეში, V საუკუნეში, VI საუკუნეში. მისი თხოვნით მე ეს ტაძრები გავწმინდე, წარმოვადგინე ქრონოლოგიური ჭრილი, ყოველივე ეს გაწერილი მაქვს მონოგრაფია - "ბიჭვინთის ნაქალაქარში."

ისტორიის დოქტორი, პროფესორი ვაჟა სადრაძე,
ისტორიის დოქტორი, პროფესორი მერაბ ძნელაძე,
ისტორიის დოქტორი ელგუჯა ღლიღვაშვილი

განუსაზღვრელი და ძნელად შესაფასებელია აკადემიკოს ანდრია აფაქიძის ღვაწლი მცხეთისა და ზოგადად საქართველოს პრეისტორიული ხანის ძეგლების კვლევა-ძიების საქმეში.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერი სათავეში ჩაუდგა ეროვნული მუზეუმის საცავებში დაცული წინარეანტიკური, ანტიკური და შუა საუკუნეების მოძრავი არტეფაქტების შესწავლისა და სისტემაში მოყვანის უმნიშვნელოვანეს საქმეს.

ბატონი ანდრიას გამორჩეულმა ნიჭმა და განსაკუთრებულად მიზანდასახულმა შრომამ განაპირობა მისი პირველობა - ად-

მინისტრაციულ თუ სამეცნიერო საქმიანობაში. ანდრია აფაქიძე გახლდათ ისტორიის მეცნიერებათა პირველი კანდიდატი, დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი-მკვლევარი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა არქეოლოგიის, როგორც საზოგადოებრივი ისტორიული მეცნიერული განვითარების საქმეში.

პირველი ნაშრომი ბატონმა ანდრიამ „პრეისტორიული ხანის ძეგლის ბაკურციხის“ არქეოლოგიური ძეგლების მონოგრაფიულ გამოკვლევას მიუძღვნა. შემდგომში მკვლევარმა ყურადღება გაამახვილა ანტიკური ხანის ძეგლების შესწავლაზე, თუმცა, პრეისტორიული ეპოქისთვის დამახასიათებელ უძრავ და მოძრავ არტეფაქტებსაც იკვლევდა. ზემოაღნიშნულის დასტურია ბაგინეთზე შუბისპირის აღმოჩენა, არმაზსა და სამთავროს ველზე ბრინჯაოს ხანის ძეგლების შესწავლაში პროფ. ალექსანდრე კალანდაძესთან ერთად მისი უშუალო ჩართულობა.

1974 წლიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მოღ-

ვაწეობის პარალელურად სათავეში ჩაუდგა "დიდი მცხეთის" არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევით სამუშაოებს, რომლის დროსაც მკვლევარი ორ ძირითად მიმართულებას - საველე და კამერალურ საქმიანობას ერთმანეთს უთავსებდა.

1975 წლიდან საველე საქმიანობის პროცესში თანდათან შეაგროვა ინფორმაცია მცხეთასა და მის შემოგარენში პრეისტორიული ხანის ძეგლების ხასიათზე, მათ გავრცელებასა და ფუნქციონირების ქრონოლოგიურ ჩარჩოებზე. ამ სამუშაოებს ბატონი ანდრია თავის უფროს მეგობარ ალექსანდრე კალანდაძესთან ერთად ახორციელებდა. შედეგად მიკვლეულია და ნაწილობრივ შესწავლილი ადრესამიწათმოქმედო კულტურისთვის დამახასიათებელი "ბორნისთავის ნაბინადარი, ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარები: წეროვანში, ჩარდახში, ნატახტარში, სოფ. მუხათგვერდთან, საგურამოს მიმდებარე ტერიტორიაზე, ნარეკვავის გორა-ნამოსახლარებთან, ადგილ ნაბაღრევში, ახალსოფელში - ჭყანტის ქედის გორაზე, ნიჩბისის ხევში; სამაროვნები: წეროვანში, მცხეთაში, ნარეკვავსა და ახალ ნიჩბისში (ვ. სადრაძე, და სხვ. მტკვრისა და არაგვის ხერთვისის ენეოლით-ბრინჯაოს ხანის ძეგლები. თბ., 2007), შუა: სამთავრო, ნარეკვავი, ნატახტარი I-III, წიწამური, მუხათგვერდი და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის: წეროვანი, სამთავრო, ნატახტარი, სათოვლე-ნაბაღრები, მუხათგვერდი (რ. დავლიანიძე, ვ. სადრაძე, ნარეკვავის ნამოსახლარი და სამაროვანი. თბ., 1993) სამაროვნები და ნამოსახლარები.

ზემოაღნიშნული ძეგლების საველე კვლევა-ძიების პროცესში დაწერილ ანგარიშებსა თუ სხვა ხასიათის ნაშრომებში ბატონი ანდრია აღნიშნავდა: "მცხეთა და მისი შემოგარენი უნდა ასახავდეს და ასახავს კიდეც განვითარების იმ რთულ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ძვრებს, რომლებიც გაიარეს ქართველმა ტომებმა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. IV-I ათასწ. პირველ ნახევარში". შედარებით გვიან, 2001 წელს მცხეთაში ჩატარებულ მე-5 სამეცნიერო სესიის გახსნაზე

მიანიშნებდა: “არქეოლოგიური კვლევა-ძიება ცხადყოფს, რომ მაღალი დონე ქართულ ცივილიზაციას მოსდგამს შუა ბრინჯაოს ხანიდან მაინც, ე.ი. სულ ცოტა **3500 - 4000** წლების მანძილზე”. დღევანდელი მონაცემებით “დიდი მცხეთის” ტერიტორიასა და მის შემოგარენში მიკვლეული ბრინჯაო-რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლები (ნამოსახლარები, სამაროვნები და სამლოცველო) მეტ-ნაკლები სისრულით ნათელყოფს და კიდეც აზუსტებს არა მხოლოდ ისტორიული შიდა ქართლის, არამედ სამხრეთ კავკასიის ადრე, შუა და გვიანბრინჯაო-რკინის ფართო ათვისების ხანის არქეოლოგიური კულტურების დათარიღების, ურთიერთმიმართების, განვითარების თავისებურებების, იმდროინდელი საზოგადოებისა თუ საზოგადოებების ყოფისა და სულიერი სამყაროს უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ამასთანავე, ბატონი ანდრია ამ საკითხებზე მუშაობის დროს ყურადღებას ამახვილებდა მუზეუმების ფონდებში დაცული მოძრავი არტეფაქტების მოძიება-შესწავლასა და მათი სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანის აუცილებლობაზე. უფრო მეტიც, მისი ავტორიტეტითა და უშუალო ხელშეწყობით მოხერხდა მოსკოვის ისტორიულ მუზეუმსა და ლენინგრადის ერმიტაჟის ფონდებში დაცული ბრინჯაო-რკინის ფართო ათვისების ხანის არტეფაქტების ფიქსაცია (გადაღება, ჩახატვა, აღწერა) და გამოსაქვეყნებლად მომზადება.

აკად. ანდრია აფაქიძე, მკვლევარების ჯგუფთან ერთად, რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა რუსულ-ქართული არქეოლოგიური ლექსიკონის შედგენაზე, რომელიც 1980 წელს გამოიცა. მიუხედავად არაერთგვაროვანი შეფასებებისა, საყურადღებო და მნიშვნელოვანი იყო რეცენზენტი აკადემიკოსების ო. ჯაფარიძისა და ალ. ჯავახიშვილის შეფასებები. კერძოდ, ალექსანდრე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: “დიახ, ჩვენს წინაშეა რუსულ-ქართული არქეოლოგიური ლექსიკონი, რომლის მნიშვნელობა განუზომლად დიდია; დიახ, ლექსიკონი გარკვეულწილად ნაკლულია, მაგრამ იგი

პირველი პრეცედენტია და იმედია, ღირსეულად მოემსახურება სამეცნიერო საზოგადოებას.” ამჟამად, ლექსიკონი ისტორიკოსების, არქეოლოგებისა და ისტორიით დაინტერესებული სტუდენტი ახალგაზრდობის სამაგიდო წიგნია.

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, არქეოლოგი
თეიმურაზ ბიბილური

არ დამავიწყდება როგორ გავიცანი ბატონი ანდრია აფაქიძე. სტუდენტობისას, როდესაც არქეოლოგიური მიმართულება ავირჩიე, დადგა საკითხი ზაფხულში ექსპედიციაში წასვლასთან დაკავშირებით და რატომღაც მე და ჩემმა მეგობარმა, მამუკა გოცაძემ მცხეთაში წასვლა მოვისურვეთ. რატომ მცხეთაში? ამაზე პასუხი არც მაშინ მქონდა და არც ახლა მაქვს. ცნობილმა მკვლევარმა, ნუმიზმატმა ბ-ნ გიორგი დუნდუამ სტუმრად ბატონ ანდრია აფაქიძესთან მიმიყვანა. ბატონმა ანდრიამ ჩემთან გასაუბრება გადაწყვიტა. ჩვენი საუბარი დაახლოებით საათ ნახევრის განმავლობაში გაგრძელდა, მან გამომკითხა ყველაფერი - სად ვსწავლობდი? რა მაინტერესებდა? რატომ ავირჩიე მაინცდამაინც არქეოლოგია? რატომ ანტიკური ხანის? და ა.შ. საუბრის დასასრულს მკითხა: “ჩემთან მუშაობა ნამდვილად გსურთ?” და ჩემი დასტურის შემდეგ მითხრა ფრაზა, რომელიც არასდროს დამავიწყდება: “მაშინ თავდაუზოგავი მუშაობა უნდა შეძლოთ”. და მართლაც თავდაუზოგავად მამუშავა. ანუ არქეოლოგიის გარდა მამუშავებდა მუზეუმთმცოდნეობის მიმართულებით, მამუშავებდა ფონდებში, ასოთამწყობთანაც კი მიმავლინა აკადემიის გამომცემლობის სტამბაში, თვენახევარი ასოთამწყობად ვიმუშავე. ანუ, ბატონი ანდრო ისეთი პედაგოგი იყო, რომელიც მოწაფისგან მრავალმხრივ განვითარებას მოითხოვდა.

1976 წელს მომანდო სამარხის დამოუკიდებლად გათხრა.

არასდროს დამავიწყდება ეს დღე, ეს იყო **#16** ორმოსამარხი,

სამთავროს ველზე. ყოველთვის მაოცებდა ბატონი ანდროს სკ-რუპულოზური მიდგომა საქმისადმი. აი, მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ექსპედიციას საკუთარი ანთროპოლოგები ჰყავდა, ის ველზე იწვევდა ცნობილ ანთროპოლოგს მალხაზ აბდუშელიშვილს, რომელიც კვირაში ერთხელ მობრძანდებოდა და ჩვენ დამატებით სწორედ მასთან უნდა გაგვევლო ანთროპოლოგიური საკითხები. მართლაც გენიალურ ტოპოგრაფ-გეოლოგებს, კაკო კვიციანსა და ვახტანგ მასხარაშვილს ავალდებულებდა (თუმცა ისინი თავადაც ყოველთვის მოწადინებული იყვნენ) თითოეული ჩვენგანისთვის, ანუ ახალგაზრდა არქეოლოგებისთვის ნიველირზე, თეოდოლიტსა და სხვა ინსტრუმენტებზე მუშაობა ესწავლებინათ. ჩვენი ექსპედიცია, ანუ მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია იყო პირველი, სადაც შეიქმნა სრული უნიკალური ანთროპოლოგიური ლაბორატორია. ამ ნოვაციის ინიციატორი ანდრია აფაქიძე გახლდათ. გასაოცარი იყო მისი მიდგომა საველე მუშაობისადმი. ყოველ ორშაბათს სამთავროს ველზე ყველა რაზმის უფროსი ვალდებული იყო საჯაროდ წარმოედგინა მუშაობის ანგარიში, შერჩევით ხდებოდა რომელიმე არქეოლოგის დღიურების განხილვაც, ანუ თითოეული ჩვენგანი არასდროს უნდა მოდუნებულიყო, დღიურები მუდამ მოწესრიგებული უნდა გვქონოდა. მან შემოიღო სამარხების აღწერის პასპორტის ნიმუში, მცხეთა დღემდე ამ პასპორტებით მუშაობს, მიმაჩნია რომ მისი მოდელი სანიმუშო იყო. ბატონი ანდრიას საველე პასპორტი, სრულ აღწერილობას ითხოვდა. უნდა ყოფილიყო დაფიქსირებული ყველაფერი - სამარხის დონე, მიცვალებულის დამხრობა, ნივთების განლაგების თანმიმდევრობა და ა.შ. ეს იყო სავალდებულო და თუ კვირიდან კვირამდე პასპორტს არ წარვადგენდით, ველზე ვერ გავიდოდით.

მახსოვს, 1976 წელს ოდესის უნივერსიტეტის იუბილე გაიმართა. ბატონმა ოთარ ჯაფარიძემ გადაწყვიტა, რომ ამ იუბილეზე მოხსენება მე უნდა წამეკითხა. თემა შევარჩიე, შევუთანხმე

ბატონ ანდრიას და ექვსგვერდიანი მოხსენება დავწერე. ბატონმა ანდრიამ წაიკითხა, შენიშვნები ჩაინიშნა. ოდესაში გამგზავრების წინა საღამოს დამირეკა, დამიბარა, მივედი და გავოგნდი: მან მოხსენებასთან დაკავშირებით, არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტად 60 კითხვა დამახვედრა და სანამ ყველა კითხვაზე პასუხი არ გავეცი, მანამდე არ გამომიშვა. დამშვიდობებისას ამიხსნა, რომ ოდესაში ორი ინსტიტუცია უნდა წარმომედგინა - უნივერსიტეტი და მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, ამიტომ არანაირი ლიაფსუსის უფლება არ მქონდა. დიახ, თავიდან მისი ყველა ქმედება მაოცებდა, მაგრამ მერე ვხვდებოდი, რომ ის მართალი იყო, ბატონი ანდრია გურამიშვილის პრინციპით ხელმძღვანელობდა: "სწავლის ძირი მწარე არის კენწეროში გატკბილდების". განსვენებული არქეოლოგების მიხეილ ივაშენკოსა და ალექსანდრე კალანდაძის არქივების დამუშავება ახალგაზრდებს დაგვავალა. ალექსანდრე კალანდაძის არქივის დამუშავებაზე მეც ვიმუშავე. სამუშაო მძიმე იყო, ვმუშაობდით ეტაპობრივად, როდესაც მასალა შეიკრიბებოდა, სამუშაოების მეორე ეტაპი ბატონი ანდრიას სახლში ხორციელდებოდა. მისი სახლის დიდი ოთახი და ბატონი ანდრიას სამუშაო ოთახი გაერთიანებული იყო, იქ ვშლიდით მასალას, რის გამოც ამ ოთახებში ცხოვრება შეუძლებელი გახლდათ. ბატონი ანდრია ჩვენთან, ახალგაზრდებთან ერთად, 24 საათიან რეჟიმში მუშაობდა. ეს იყო ძალიან საინტერესო პროცესი, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ზოგადად მიმაჩნია, რომ თუ რაიმეს მივაღწიე პროფესიულად ეს ბატონი ანდრიას დამსახურებაა.

როგორც მეცნიერი, ის იყო ფოკუსირებული ქალაქწარმოქმნის პროცესზე, ამიტომ შემთხვევითი არ გახლდათ, რომ ძირითად კვლევებს დიდ მცხეთასა და დიდ პიტიუინტზე აწარმოებდა. ბატონი ანდრიას ზოგიერთი თეზა შესაძლოა სადავოა, მაგრამ ძირითადი ღერძი უაპელაციოდ მიღებულია, ანუ ძველი სამოსახლოების გარშემო ერთიანი მცხეთის შექმნის შესახებ, რომელიც კლასიკურ

ბერძნულ ქალაქს არ ჰგავს (ფიქსირდება მრავალუბნიაბა).

ის ძალიან გამბედავი პიროვნება იყო. მე-20 საუკუნის 50-იან წლებში იმელის შენობაში ჩატარდა ღონისძიება. წაიკითხეს მოხსენება "ნათესავით ქართველი" და წინააღმდეგ სტალინური ბოლშევიკ-მარქსისტული თეორიისა ანდრია აფაქიძემ და შოთა მესხიამ ხმამაღლა განაცხადეს, რომ ქართველი ერი, როგორც ერი, ქართული ეთნოსი, როგორც ერი უკვე მე-12 საუკუნეში არსებობდა. ეს მათ გაბედეს 50-იან წლებში, რაც სამწუხაროდ, ბატონი ანდრიას მრავალი უსიამოვნების დასაბამად შეიქნა.

ანდრია აფაქიძე იყო ნოვატორი მეცნიერი, რომელიც უსწრებდა დროს. მახსოვს ერთხელ მცხეთაში, მის ოთახში დამხვდა ვახტანგ ნიკოლაიშვილი და საუბრისას დაიბადა წინადადება - წარმოჩენა მცხეთის იმ მასალების, რომლებიც დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში. როდესაც მოსკოვში ჩავედი და სიტუაციას გავეცანი, ბატონ ანდრიას შევთავაზე არსებული პროექტის არეალის გაფართოება, ანუ ამგვარი მიმართულება - უცხოეთის მუზეუმებში დაცული კულტურულ-ისრტორიული ფასეულობები საქართველოდან. ბატონმა ანდრიამ მაშინვე დაინახა წარმოდგენილი პროექტის პერსპექტივა, რომელიც შემდგომში პროგრამად იქცა და მისი ინიციატორი ბატონი ანდრია აფაქიძე გახლდათ. დიახ, მან უდავოდ გაუსწრო დროს. ჯერ კიდევ 1982 წელს ბატონმა ანდრიამ თქვა: "ეს პროგრამა სამომავლოდ ჩვენს ქვეყანას ძალიან გამოადგება მავანთა და მავანთა წინააღმდეგ პოლემიკისთვის." ასეც მოხდა.

Andria Apakidze - Patriarch of Georgian Archaeology

Biography

Andria Afaqidze was born in 3 **September,** 1914 **in village Zana of Senaki municilapity.**

In 1937 he graduated from Tbilisi State University faculty of history. In 1940 he did post-graduate studentship in archelogy. 1943-1952 he was the director of Georgian Museum of Janashia. In 1952 he was managing Tbilisi State University's department of History and Archeology. In 1959 he defended a thesis in order to get a degree of a doctor of science of history. In 1967 he was elected to be a member-corrsepondent of Academy of Science, in 1983 – an actual member.

Andria Apakidze was leading and participating in archaeological excavations in Mtskheta-Bagineti, Amraziskhevi and SamtavroValley, also in Bitchvinta abandoned settlement. Since **1975** he was leading the archaeological expedition. Andria Apakidze was working on matters concerning culturad history of ancient archaeology of Georgia, was conducting archaeological excavations in Kurtsikhe, Armaziskhevi, Tsistamuri, Bahineti, Sarkineti and Kartlis Mta, was the leader of excavations in Bichvinta, Mtsketa, was the director and co-author of the book "Archeology of Georgia", redactor of the series established by himself "Materials for Archeology of Georgia and Caucasus."

Monographies "Capital city of Mtskheta-Kartli", "Old culture of Georgia in the light of new archaeological discoveries", "Cities and settlements in old Georgia" etc. were published after the field-research. Results of archaeological expedition of Bichvinta was published under editorship of Andria Apakidze in 3 toms, and the results of Mtskheta archaeological expedition, - in 11 toms.

In his works, Andria Apakidze has adressed the matters of development of ancient georgian cities and settlements, cultural history of Georgia and Caucasus and civilization of Caucasus.

During the research of history of culutre he developmed the view of two cultures -the unique culture of the society and leading highly artistic, importing culture. In the works of the Scientist the strong local elements have to be mentioned, as a result of analysis of which he dissociate Greek and Kolkha, Akemenid – Iberian, Roman – Iberian, Bisantic - Georgian and other directions.

Based on Andria Apakidze's work natural methods were established in archaeology. Based on his activity laboratory of Radio Carbionic method of setting dates on the monuments was established in the University, as well as cell in archaeological research centere - using geophysic methods for setting dates to archaeological discoveries (especially to ceramics).

Andria Apakidze has huge merit in raising young specialists in work, his pupils are: Guram Grigolia, Amiran Kakhidze, Otar Lortkipanidze, Guram Lortkipanidze, Vakhtang Nikolaishvili, Joni Apakidze, Merab Dzneladze, Vazha Sadradze, Nana Matiashvili, Ana Tchkonia, Temur Bibilauri and etc. it has to be noted that his work as a head of special board in institute of Archaeology, History and Ethnography named after Javakhishvili, as well as in the Society of Protection of History and Cultural monuments of Georgia. Andria Apakidze during several years was member of presidium of this society and deputy head of this society, as well as editor board member of "friends of monuments" society, its editor (at the initial steps of the society).

Stationary archaeological excavations in Mtskheta are related to the name of Andria Apakidze. In 1953 undr water archaological excavations took place in Sokhumi abalone in order to dicover cities of Antique era - Dioskuria – Sebastopolis.

From 1975 ***he was the head of constant Archaological expedition of the Mtskheta. Based on this initiative on the base of Constant Archaological Expedition of Mtskheta Paleoanthropologic detached force was established, and the head of it was academis M. Abdushelishvili. The members of the detached force described***

all discoveries of the expedition, conducted their fixation and restoration, gethered paleoanthropologic an paleopathologic informations, on which was based reserch of the sources in the Goergian historiography.

Andria Apakidze considered late Bronze Age and early Iron Age (XIV - VI BC) materials in the whole caucasus section, and the worked out unified Caucasus civilization concept. According to this concept caucasian civilization is the creation of vasious ethnic groups and the contribution of the particular ethnic groups may only be established according to research, for which apart from archaeological research paleoanthropologic study of the materials is needed.

Thus, Andria Apakidze was innovator researcher, teacher, at the same time honoured public figure. Scientist died in 2005, he is burried in the yard of Samtavro Monastery.

About Andria Apakidze:

Andria Apakidze -Patriarch of Georgian Archaeology

In 2015 ***culture Society of Georgia celebrated*** 100 ***years birthday of member of Scientific Academy, PhD of History Sciences, Professor, honored worker of science, director of Georgian National Museum of S. Janashia of Science Academy of Georgia (***1943 – 1952 ***), head of Archaeological sector of History, Archaeology and Ethnography Institute of Iv. Javakhishvili State University of Georgia, head of Antique Era archaeological department, vice president of Georgian Scientific Academy. The book named Andria Apakidze by Guram Lortkipanidze was published on this day of celebration, which includes the whole lifetime works of Scientist.***

Editors of Online Archaeology honor the memory of the researcher, and the ninth edition of the Magazine I dedicated to him and we present Andria Apakidze, as Archeologist and as public figure.

His pupils, remember

Andria Apakidze -Public figure, Scientist, Innovator, Teacher

Vakhtang Nikolaishvili, PhD of Historical Sciences, Archaeologist, who works in Mtskheta 40 years already.

Andria Apakidze, Public figure and scientist -nature gave the gift of championship to Andria Apakidze, he was the first archaeologist, who defended his work in field of archaeology in Georgia, he received first PhD in Georgia, he was the head and the member of many activities. In 1959 handbook of archaeology for university was published, and one of the first editors an publisher of it was Andria Apakidze. He was researching antique era. The main working area of the scientist was Mtskheta, however he conducted excavations in Bitchvinta too, and he was also head of many other expeditions.

Andria Apakidze always mentioned that in Georgia, in antique era there was two main cultures, one which was more foreign , he meant imported materials which were found in huge amounts in high layer burial grounds, and second one – public culture. In some cases, he considered public culture as imitator of imported one. Andria Apakidze mainly wanted to bring Caucasian civilization idea. He thought, that in Transcaucasia, even in north, but still in Armenia and Azerbaijan there are similar cultural elements. He considered this culture in the whole Caucasus sector, but he did not deny the fact that local characteristics still were there. According to similar elements, Andria Apakidze called this culture Caucasian culture. Scientist said , that separating archaeological cultures was easier than determination of ascription., because in one geographical area elements of one culture may be found, which are successive, and for determining ascription, anthropologic research (taking migrations, flow of cultural elements should be considered) is needed, this means that scientist was focused on cultures and not on ethnical ascription. He thought that this was the aspect of future researches.

Innovator - Andria Apakidze made brought many new is research space, he felt the era, as soon as computers appeared, mister Andria used in in scientific practice. He was the initiator of making data base, under water archaeology was first tried by Andria Apakidze in Georgia.

Teacher -there are two types of teachers - ones who teach you, and others who you have to imitate. Andria Apakidze was the kind of teacher, working with whom was giving you experience, I was studying a lot from him, this kind of teacher should be imitated. I worked with him for a long time -1968 -2005years in constant archaeology of Mtskheta, he was the head and I was his assistant, it was because of him why I decided to continue researches of Armazi.

Member of Scientific Academy of Georgia, Professor of Tbilisi's State University, director of Israel Centre, Archaeology Guram Lortkipanidze:

I met Andria in 1959. I was studying in Moscow State University on the faculty of Archaeology and I was in Georgia on Holidays, and went to Mister Andro. Many years passed since then and this meeting is still unforgetful, I went to him to ask him something -I wanted to take part in Bitchvinta Archaeological excavations, which was headed by Mr. Andria. This expedition was one of the bests, innovational expedition in Georgia, which conducted under water archaeological excavations in Sokhumi bay. In general, I want to say, that Mister Andro worked in following principle: he never stopped on local monuments; he had to study all archaeologicalbackground of the country. Abkhazians also took part in archaeological excavations in Bitchvinta held by Scientific Academy of Georgia of IV. Javakhishvili, including Abkhazian archaeologistMichael son of Mamedi Trapshi, who was college of Mister Andro. he Was really interesting and positive person, afterwards I got to know him closer and we worked together. Mister Andro got interested into my studies, he wanted to know what I was studying, what goals did I have, and afterwards he invited me to work in expedition without

hesitation and recommendations. That was when I got interested in archaeology of western Georgia. To cut it short, Mister Andro gave me the position of the head of Archaeological excavations of Bitchvinta without any protectionism and gave this important job to practically unexperienced young archaeologist. That was when I felt liable to do everything right and I am working with every monument carefully.

Mister Andro was big innovator, Geophysical method first was used by him for Bitchvinta excavations, he was also the first to conduct under water archaeological elements and made several researches in Sokhumi bay, resulting in many interesting discoveries.

He established Archaeological school in Mtskheta. There worked Simon Janashia, Andro Apakidze, Giorgi Lomtatidze, Aleksandre Kalandadze, Germane Gobedjishvili, this is exactly the perfect four, who established Georgian school of Archaeology. It may be said that the success of Georgian Archaeology is related to this four persons.

I worked with mister Andria from 1961 until the end of his works. He was the head of Antique archaeology department, I was minor scientist, afterwards in 1965 I defended my work on the issue of Kolkheti, in 1970 I defended my PhD word, Mister Andria was the head of Scientific board, so all of my works were observed by him. I remembered him as very attentive and good teacher.

Inspired by him I continues researches of Bitchvinta abandoned Settlements. Mister Andria left unfinished several churches, which had been discovered on the territory of abandoned settlement, there , where early Christian communities lived. He was interested in Stratigraphy very much, he wanted to know how first churches were built - at the end of III century, in IV century, in V century, in VI century. According to his request I cleaned these churches, and presented chronologically, all of these I have written in monography - “abandoned settlement of Bitchvinta”

PhD of Historic sciences Teimuraz Bibilauri

- I will not forget how I met Mister Andria Apakidze. When I was student, when I chose archaeological field, I had to decide where to go in archaeological excavations and me and my friend Mamuka gotsadze decided to go in Mtskheta. Why Mtskheta? I did not have answer even back then and I don't have it now. Known researcher, numismatic Mister Giorgi Dundua took us to visit Andria Apakidze. Mister Andria talked to me. Owner conversation lasted about one hour and half, he asked me lots of things - where did I stud? What was I interested in ? why did I choose Archaeology? Why the antique era? And so on. At the end of the conversation he asked me weather I wanted to work with him and after my confirmation he told me the words that I will never forget - then you have to be hardworking. And he made me work a lot. Apart from archaeology he made me work on museum knowledge, in funds, even in printing – house, where I worked as maker of letters. Mister Andro was the kind of teacher who requires development from his pupils.

In 1976 he told me to do excavations of cemeteryindependently. I will never forget this day this was #16 burial ground, that on the Samtavro Valley. I was always amazed with Mister Andros working style, for example, despite the fact that the expedition had its own anthropologists, he always invited well known anthropologist Malkhaz Abdushelashvili on the valley, who once a week came to the field and we had to discuss additionally some anthropological issues with him. He obliged genial topographic and geologists Kako Kvitsia and Vakhtang Maskhrashvili (but they were also desirous themselves too) to teach us young people how to use archaeological and other tools properly. Our expedition, constant archaeological expedition of Mtskheta was the first where unique anthropologic laboratory was established. The author of this innovation was Andria Apakidze. His works were amazing. Every Monday on Samtavro Valley, every group head was obliged to report on their

group works, and there were discussions of diaries of archaeologists too, none of us could rest, diaries should have been in good condition all the time. He brought in passport method of description of cemeteries, even up today Mtskheta works with this passports. Field Passport of Mister Andria required the whole description, everything should be described - level of burial ground, level of the corpse, locations of the materials and so on. This was obligatory and in case we did not present passport from week to week, we could not work on the field.

As I remember in 1976 when birthday of the university was celebrated. Mister Otar Japaridze decided that I head to be a speaker there. I chose an issue, and discussed it with Mister Andria and wrote 6 pages of speech. Mister Andria read the speech and gave me some corrections. Before flying to Odessa he called me, and invited me, I went to him and was amazed: he wrote 60 questions about my speech and until I answered all of the questions he did not let me go. At the end he explained that I had to present two institutions - University and Expedition of Mtskheta Archaeology, that was why I did not have right to make any mistakes. Yes at first I was amazed by all of his behaviors, but afterwards I understood that he was right, and worked according to principle of Guramishvili: " the bottom of the study is bitter, but at the top it will get sweeter." He obliged us to review the works of deceased archaeologists Mikheil Ivashenko and Aleksandre Kalandadze. I worked on the works of Aleksandre Kalandadze. It was a hard work, I worked step by step, when all of the information was gathered, the second stage was working in MisterAndria's house. The hall and big room of mister Andria's house was merged, we laid down all of the materials there, which was why it was impossible to live in these rooms. Mister Andria worked with us youths 24 hours a day. This was very interesting process, whichinfluenced me a lot. In general I reckon, that if I ever achieved anythingprofessionally it was because of Andria Apakidze.

As scientist, he was focused on urban processes, and it was acci-

dental, that the most of the researches he made in big Mtskheta and Big Pitiunti. Some of Mister Andria'sthesis's may be controversial, but the axis of them are undoubtful.

He was very brave man. In 50s of XX century in the building of Imeli there was an event held. There was a speech about "relatives of Georgia" and Andria Apakidze and Shota Meskhi protestedagainstStalinist Bolshevik- Marxist Theories, they said that Georgian nation, as nation itself, ethnicity of Georgia, already existed 12th century. They were brave enough to say this in 50s, unfortunately this ended in many problems for Mister Andria.

Andria Apakidze was innovator scientist, who was a step ahead of the time. I remember one in Mtskheta, I found Vakhtang Nikolaishvili in his room and during conversation the idea appeared to present materials of the Mtskheta, which were preserved in Moscow historical University. When I went to Moscow and got to know the situation, I suggested to Mister Andria to spread the areal of the project, -Georgian artifacts preserved in foreign Museums. Mister Andria immediately saw the perspective of the idea and later it became the programme and its initiator was Andria Apakidze. Yes, he was a step ahead of time. Even in 1989 Mister Andria said: "this Programme will be very useful for our Country in future." And he was right.

PhD in History, Professor Vazha Sadradze
PhD in History, Professor Merab Dzneladze
PhD in History, Elgudja Ghlighvashvili

It is hard to assess the merit of Andria Apakidze in research of Mtskheta and in General Georgia's Pre historic era monuments.

Even when he was young he was the head of National Museum storages, where Pre antique, antique and middle century artifacts were preserved and studied.

Mister Andria's talent and motivational works caused his championship – in administrative and scientific fields. Andria Apakidze was first

candidate , who received PhD, in Historical Sciences in Georgia, he was the member of Scientific academy of Georgia who played an important role in development of Archeology as social and historical science in Georgia.

Fist world of Mister Andria was on pre historic monument "Bakurtsikhe Archeological monuments". Afterwards researcher focused on monuments of antique era, however he continued studies of artifacts of pre historic era. The confirmation of above mentioned is discovery of the spread head in Bagineti, Armazi and Samtavro valley during the works with professor Aleksandre Kalandzdze.

From 1974, parallel to working in Scientific Academy of Georgia he became the head of The great archaeological expedition of Big Mtskheta, when researcher worked on two main directions - field and Cameral works.

From 1975 during field works he gathered information about characteristics of monuments in Mtskheta and its nearby territories, there functions and popularization. These works were conducted by Andria Apakidze with his friend Aleksandre Kaladze. As a result partially studiedEarly agricultural settlements of Bornistavi, of early Bronze Age, have been found in: Tserovani, Chardakhshi, Natakhtari, Village near Mukhargverdi, At the Territory of Saguramo, At the settlements and hills of Narekvavi, Nabagjrei, Mtskheta, Narekvavii and Akhali Nichbisi (V. Sadradze and others monuments of Mtkvari and Aragvi Khertvisi of Bronze and neolith era, Tbilisi ,2007)middle: Samtavro, Narekvavi, Natakhtari I –III, Tsitamri, Mukhatgverdi and late Bronze and early iron era : Tserovani, Samtavro, Natakhtari, Satovle – Nabaghrebi, Mukhatgverdi (R. Davlianidze, V. Sadradze, Abandoned settlements of Narekvavi and cemeteries, Tbilisi 1993) Cemeteries and Abandoned Settlements.

During researches of above mentioned monuments in written reports and other works Andria Apakidze said that " Mtskheta and its nearby

territories resemble the hard economic, social and political development through which Georgian tribes had to go in the eastern part of the Georgia from first part of BC IV-I millennia." Later, in 2001 on the opening of fifth Mtskheta Scientific session he said: " Archeological researches show that the high level of civilization in Georgia had started minimum from Bronze era, which means min 3 500 – 4 000 years" according to today's data monuments discovered in Big Mtskhetaterritory and its nearby areas (settlements, cemeteries and oratories) show and confirm the issues of culture, life, development, societies and other aspects of not only historical Shida Kartli's but also southern Caucasus. In addition, mister Andria was focused on research and study of artifacts preserved in Museum funds and wanted to study them scientifically. What's more, he encouraged to take photos, paint and describe and prepare for publishing artifacts, which were preserved in Moscow State Museum and Hermitage of Leningrad.

Academic Andria Apakidze, with group of researcher, worked on Russian –Georgian archaeological Dictionary which was published in 1980. Despite various critics, mostly important were O. Japaridze and Al. Javakhishvili's assessments. Namely, Aleksandre Javakhishvili said: " yes, this is Russian –Georgian Dictionary of Archaeology, the importance of which is huge; yes, Dictionary is not perfect, however it is the first precedent and we hope it will serve honorably to scientific society". Nowadays dictionary is the table book for Professors, archaeologists, and students interested in history.

Amiran Kakhidze
Director of Batumi Archeological Museum
PhD in Historical Sciences, Professor

My relationship with Mister Andria Apakidze started as following: in February 1961 I went to Tbilisi from Batumi and told Andria Apakidze about my idea of future profession. After little pause scientist, told me calmly: " it requires huge energy and work to dedicate your life

to History and culture of Georgian people. If you need post-graduate studentship for future career, I suggest you choose other way". The conversation continues afterwards. As it seems, Mister Andria made sure that I was sincere. He told me several books to work on, and which were inevitable for passing exams in October.

I passed exams to scientific board of History, Archaeology and Ethnography Institute of Iv. Javakhishvili State University of Georgia head of which was Academic N. Berdzenishvili. After this I always felt attention of Andria Apakidze. I cant forget that he gave me consultants, who helped me to make speeches and Andria made me read those speeches on the special sessions, this appeared to be the best method to study the profession, these were the best years of my life.

I defended my work with success. I was representative of Scientific research Institute of Academic N. Berdzenishvili. However, in the first years there was no vacancy to start working. This occurred a very difficult problem and my teacher Andria Apakidze helped me to solve it, and he helped me to start working in Antique department of Archeological sector. After small period, because of necessity, I went back to Batumi Research and Scientific Institute. There were many discoveries in annual archaeological excavations at the territory of Pitchvnari Cemeteries. National treasury was enriched with new artifacts. Academic Andria Apakidze requested to publish the results of archaeological excavations of Pitchvnari (Greek Necropolis of V – IV BC). He said that, this was very important, because there was no other monument in eastern Pontospireti. I told him shyly that I had financial problems and in several months he gave me finances from MtskhetaArcheological excavations fund. This kind of act, it is natural, that was related to some kind of awkwardness. I was hesitating, but Andria Apakidze decision was final.. he commanded that: " for doing a great work sometimes it is possible to compromise some things" and really in 1975 my following monography was published- "antique era in eastern Black Sea Coast".

Disinterested caress of the teacher was not lost even in future too. I think, he will forgive me one more “invention”. In 70-80s of last century, “Vaki” made it harder to receive PhD. I was not even thinking seriously about it back then, but one day, Mister Andria called me on the telephone and asked me to go to Tbilisi in nearest future. I went to him and he showed me the plan of my future work for PhD organized according to Months and Years. I had no other Choice. I started working and brought planned works to him. However, it happened that the board of PhD of 1979 the head of which was Mister Andria, was expiring. And I did not have finished the last chapter of my work at that time, and the requirements as I mentioned were high. Apart from this, the work had to be done in Russian language. I needed about 2 months of business vacation to Moscow and Leningrad. The solution was found by Andria Apakidze. He presented dissertation as finished and emitted opponents. One year was needed for formation of the new board so I finished my work.

Merit of Academic Andria Apakidze can not be measured. “the destiny gave Andria Apakidze the Gift of Championship” (1994, 1). Yeas, he is the founder of the archaeological science of Georgia, First archaeology aspirant of Tbilisi State University, first scientist and PhD holder of all archaeologists in Georgia and academic. Editor and author of the first university handbook on Archeology“Archeology of Georgia and “Archeological Dictionary”. The founder of the Archeological Institute of his teacher G. Nioradze in Mtskheta; honored scientist of Historical society and Archeological commission as well as developer of Archeological researches. The nearest discoveries of his pupils held a huge role in archaeologic.

The merits of Andria Apakidze had been apprised. He received a special place at the cemetery of Samtavro Monastery – the St. land of the prior Capital of Georgia.

წნორის ლომამდე და წნორის ლომს შემდგომ

წნორის ლომი - ქ.წ. III ათასწლეულის II ნახევრის მოოქრული არტეფაქტი, სიმბოლო ძლევამოსილების, სამეფო ხელისუფლების, პირველობის, კეთილშობილების, სიამაყის, სიმდიდრის, მზის... წნორის ლომი - პირველი სკულპტურული გამოსახულება სამხრეთ კავკასიაში, თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე სახიერი ბრენდი. ის 1977 წელს, ალაზნის ველ-

ზე, წნორის ყორღნული სამარხის გადანაყარ მიწაში აღმ-ოაჩინა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა, არ-ქეოლოგმა კონსტანტინე (კიაზო) ფიცხელაურმა, რომელიც ამჟ-ამად "ონლაინ არქეოლოგიის" სტუმარია და ჩვენს მკითხველს უამბობს თავისი მოღვაწეობის შესახებ - წნორის ლომამდე და წნორის ლომს შემდგომ.

- ***ბ-ნ კიაზო, რატომ აირჩიეთ არქეოლოგია? გვიამბეთ თქვენი პირველი ექსპედიციის შესახებ?***

- ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, ჩემი თანაკურსელი იყო ლაშა ჯანაშია, სვიმონ ჯანაშიას ვაჟი. დავმეგობრდით, ვმეგობრობდი არა მხოლოდ მასთან, არამედ სვიმონ ჯანაშიას მთელ ოჯახთან. ამ ოჯახთან ურთიერთობამ დიდად განაპირობა ჩემი პროფესიული არჩევანი. 1963 წელს მივიღე მონაწილეობა პირველ ექსპედიციაში. ეს იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპედიცია კახეთში (ხელმძღ. ალექსანდრე კალანდაძე), რომლის მიზანიც გახლდათ სოფელ მელაანთან არსებული სამაროვნის შესწავლა. სწორედ იმ პერიოდში, მელაანის სამხრეთით, სავენახედ გამზადებული ტერიტორიის ხვნის შედეგად შემთხვევით გამოვლინდა არქეოლოგიური ობიექტი, სამლოცველო -მელიღელე პირველი (ქ.წ. XII- VII სს.), პარალელურად იქაც ვიმუშავე.

- ***ანუ დაიწყეთ კახეთით და დღემდე აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიას იკვლევთ?***

- საქმე ის არის, რომ მე-20 საუკუნის 60-იან წლებში, ყურადღება გამახვილებული იყო დასავლეთ საქართველოს შესწავლაზე, აღმოსავლეთ საქართველო, კახეთის რეგიონი არქეოლოგიურად აბსოლუტურად აუთვისებელი გახლდათ, ანუ კახეთი იყო მისახედი, როგორც არქეოლოგიურად ისე, ისტორიულად და, გარდა იმისა, რომ რეგიონით დავინტერესდი, საქართველოს არქეოლოგიის ამ ცარიელი ფურცლის შევსების სურვილი გამიჩნდა. ამჟამად, კახეთის ტერიტორიაზე ძალიან დიდი სამუშაოებია ჩატარებული, მრავალი ძეგლია შესწავლილი -დაწყებული ქვის ხანიდან, შუა საუკუნეებით დამთავრებული.

მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან სიღნაღში ჩამოყალიბდა არქეოლოგიური ბაზა, რომელიც ფოკუსირებული იყო კახეთის შესწავლაზე და ამ პერიოდიდან კახეთში უკვე ინტენსიურად მიმდინარეობდა არქეოლოგიური სამუშაოები. წელიწადის 7-8 თვის განმავლობაში, 20-25 წევრიანი მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობდა, შემდეგ თვეებში მოპოვებული მასალა კამერალურად მუშავდებოდა. ანუ 70-იანი წლებიდან კახეთში გააქტიურდა არქეოლოგიური კვლევა. კახეთის არქეოლოგიური ბაზა იყო კვლევის ინტერდისციპლინარული ცენტრი, ის აწარმოებდა, როგორც არქეოლოგიურ ისე, ანთროპოლოგიურ, სახელოვნებათმცოდნეო, ეთნოგრაფიულ, არქიტექტურულ და სხვ. ანუ მულტიდისციპლინარულ კვლევებს. დავიცავი დისერტაცია და 70-იანი წლებიდან უკვე ექსპედიციის ხელმძღვანელად ვმუშაობდი.

- ***გვიამბეთ, წნორის ლომის აღმოჩენის შესახებ და თუ შეიძლება აღწერეთ არტეფაქტი.***

-1977 წელს კახეთის ექსპედიცია ჩემი ხელმძღვანელობით წნორში მუშაობდა. თავდაპირველად აღმოვაჩინეთ მდიდრული ყორღანი. მიცვალებული ესვენა ურემზე. იქ გამოვლენილი არაჩვეულებრივი ინვენტარი მეტყველებდა მასზედ, რომ ყორღანი ბელადს, ან დიდგვაროვანს ეკუთვნოდა. როდესაც დამთავრდა გათხრები და მასალა უკვე ალაგებული იყო, მე ჩემს კოლეგასთან ერთად, საღამო ჟამს, მზის ჩასვლისას უბრალოდ ვათვალიერებდი განათხარ ყორღანს. უეცრად, გადანაყარ მიწაში რაღაც თითქოს აკიაფდა, დავინტერესდი რა ბზინავდა მიწაში, დავიხარე და დავინახე ოქროს პატარა სკულპტურა. ასე აღმოჩნდა წნორის ლომი. საფიქრებელია, არტეფაქტი ურმის მოსართავი იყო. ჩვენ დავასკვენით, რომ ამგვარი ლომი ურმის ოთხივე თვალზე უნდა ყოფილიყო დამაგრებული, სამწუხაროდ, გადარჩა და გამოვლინდა მხოლოდ ერთი.

თვითონ არტეფაქტი თარიღდება ქ.წ. 23 სს-ით, ცხადია, დათარიღდა ანალიზის საფუძველზე. ეს არის თიხაზე გადაკრული ოქროს ფირფიტა. ოქრომჭედლობის არაჩვეულებრივი ნიმუშია, დამუშავების უმაღლესი ტექნიკით შესრულებული, თანამედროვე აპარატურითაც კი შეუძლებელია ამგვარი ფილიგრანული სკულპტურის შექმნა. შიგნიდან ღრუა, ფაფარი შემკული აქვს ცრუგავარსით, ანუ ბურთულები სათითაოდ კი არ არის გამოყვანილი, არამედ გავარსის ეფექტი მიღებულია ჩამოსხმის ტექნიკით, ლომის ნაკვთები რეალისტურად არ არის გადმოცემული, რაც მეტყველებს მასზედ, რომ არტეფაქტი ადგილობრივი ნამზადია, რადგან ადგილობრივი ფაუნისთვის ლომი უცხო იყო, ოსტატმა არ იცოდა როგორ გადმოეცა ნაკვთები და სქემატურად გამოსახა. სხვათა შორის, წნორის ლომი, მისი სამეცნიერო ღირებულებიდან გამომდინარე, იმ პერიოდშივე აღიარეს ერთ-ერთ უდიდეს არქეოლოგიურ აღმოჩენად.

- ***ბატონო კიაზო, რამდენი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ბრძანდებით? რომელია მათ შორის თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?***

- გამოქვეყნებული მაქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და ათეულობით მონოგრაფია, მაგრამ ჩემთვის ყველაზე ღირსშესანიშნავი 2015 წელს გამოცემული მონოგრაფიაა, რომელიც ფაქტიურად მთელ ჩემს მოღვაწეობას ასახავს. წიგნი გამოსცა მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ.

- ***თქვენი სახელი დაკავშირებულია კახეთის ისტორიასა და არქეოლოგიასთან, იკვლევთ იორ-ალაზნის აუზის ბრინჯაოს ხანის კულტურას, რაც არქეოლოგის მასშტაბურ ხედვასა და მაღალ ამბიციებზე მიუთითებს,***

თვითონ როგორ შეაფასებთ ამ ინტერესს?

- თავისთავად კულტურა ძალიან სახიერია, ის საერთო ელემენტებს პოულობს მცირე აზიასთან. აუხსნელი რჩება კულტურების წარმოშობა, ვთქვათ, აღმოსავლეთ საქართველოში მისი წარმომავლობის ფესვები უნდა ვეძიოთ აღმოსავლეთში, მცირეაზიური და აღმოსავლური კულტურის გადმონაშთები და გავლენა იგრძნობა აღმოსავლეთ საქართველოზე, ანუ კახეთში არსებობს ყველანაირი პერიოდის ძეგლი და მათი შესწავლა თაობების საქმეა. რაც შეეხება ამბიციას, ის მუშაობის პერიოდში გაჩნდა, რადგან ვფიქრობ, რომ კულტურაა თვითონ ამბიციური.

- ***რამ განაპირობა ინტერესი დიდნაურის ნაქალაქარით, რა შედეგებია მიღწეული და რას ელით მომავალი გათხრებისგან?***

- დიდნაურის ნაქალაქარის აღმოჩენა, მისი გათხრა და კვლევა ჩემი სამუშაო მოღვაწეობის გვირგვინი უნდა იყოს, ვინაიდან, აქ საქმე გვაქვს სახელმწიფოებრივ წარმონაქმნთან. კერამიკული ანალიზების მიხედვით და ნაქალაქარის მასშტაბიდან გამომდინარე, ეს უნდა იყოს ქ.წ. X-VIII საუკუნეების ცენტრალური ქალაქი, რომელიც მთელ შირაქის ველზე დომინირებდა. საინტერესოა ის, რომ ნაქალაქარი გაშლილია ველზე. ის აღმოჩნდა სატელიტური სურათების დეშიფრირების შედეგად, მოიცავს 30 ჰექტარს, მის ჩრდილოეთ მხარეს იკვეთება 2 ციტადელი, მათი მასშტაბურობა საგრძნობია. ერთი მათგანი დაახლოებით 100X100 კვ.მ-ია, მეორე - 200X200 კვ.მ. სეისმოლოგების ვარაუდით, დიდნაურის ნაქალაქარი დანგრეულია მიწისძვრის შედეგად, თუ ეს ჰიპოტეზა დადასტურდა, საფიქრებელია, რომ საქმე გვაქვს ხელუხლებელ ნაქალაქართან, რომლის გათხრის შედეგად ძალიან ბევრი რამ გაირკვევა იმდროინდელი სახელმწიფოებრივი, ქალაქური ცხოვრებისა და

კულტურის შესახებ. ყოველივე ეს კი წინაპიროობაა კავკასიაში სახელმწიფოებრიობის წარმოშობის თარიღის დადგენისა.

როგორც აღვნიშნე, ნაქალაქარი გაშლილია მდელოზე, მაგრამ, საგულისხმოა, რომ მის გარშემო, მთაგორიან ადგილებზე, ბევრი პატარ-პატარა ნაქალაქარია, ანუ სავარაუდოდ, ეს პატარ-პატარა ქალაქები იცავდა სწორედ იმ ცენტრალურ ქალაქს, რომლის კვლევაც ამჟამად მიმდინარეობს.

მინდა აღვნიშნო, რომ ნაქალაქარს ვიკვლევთ საფუძვლიანად. პირველი გათხრები 2014 წელს დავიწყეთ. კვლევა არის ინტერდისციპლინარული, მასში ჩართულია მრავალი ადგილობრივი და უცხოური ინსტიტუცია -საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დუბლინის დნმ კვლევის ინსტიტუტი, რომლის თანამშრომლებმაც 20 ანალიზი აიღეს თავის ქალებიდან და დნმ-ის დადგენას ცდილობენ. მასალას იკვლევენ პალინოლოგები, ხდება ფოტოფიქსაცია, მიმდინარეობს გეომაგნიტური აზომვები. უახლოეს მომავალში ვაპირებთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართვას დიდნაურის ნაქალაქარის კვლევის საქმეში.

- ***ბატონო კიაზო, რას უსურვებთ "ონლაინ არქეოლოგიის" მკითხველებს?***

- პირველ რიგში ჟურნალს ვუსურვებ წინსვლას, წარმატებას, მუდამ მზარდ ელექტორატს, ხოლო რაც შეეხება მკითხველებს, ვისურვებდი მათ მეტ ჩართულობას არქეოლოგიური პრობლემების მოგვარების საქმეში.

ინტერვიუ მიჰყავდა მაია ჩოლოყაშვილს

Before and after Tsnori Lion

Tsnori Lion – golden artifact, created in the second part of the III millennium BC, the symbol of power, royal authority, superiority, nobility, pride, sun… Tsnori Lion – the first sculptural representation in South Caucasus, the most important brand of contemporaneity. It was discovered in 1977 ***in Alazani Valley, in burial grounds, by the Doctor of Science of History, the member of the National Academy of Science of Georgia, the leader of the archaeological expedition of Kakheti, - Konstantie (Kiazo) Pitskhelauri, which is now the guest of "Online Archeology" and will tell our reader about his work – before and after Tsnori Lion.***

- ***Mr. Kiazo, why did you chose archaeology? Tell us about your first expedition.***

I graduated from Tbilisi State University, faculty of history. Son of Svimon Janashia, - Lasha Janashia was my group mate. We became friends and I was friends only with him. Keeping in touch with this family had a great impact on my choice of profession. I participated in first expedition in 1963. It was the expedition if Tbilisi State University in Kakheti (leader. Alexander Kalandadze), which was aiming to explore the cemetery located near the village of Melaani. In this period, after tilling the territory of vineyard in the South from Melaani, we discovered an archaeological object, - chapel – Melighele first (XII-VII century BC).

- ***So, you began with Kakheti and still are exploring East Georgia?***

-The fact is that, in 60-ies of 20th century, emphasize was put on exploring West Georgia; East Georgia, region of Kakheti was absolutely unstudied archaeologically. Therefore, Kakheti needed to be paid at-

tention to archaeologically and historically. Besides the fact that I was interested in this region, I wanted to fill this empty page of archaeology. Until the present day, a great work has been done on the territory of Kakheti; many monuments have been explored – dated from the Stone Age to middle centuries.

From 70-ies of the 20th century, archaeological base was established in Signaghi. The base focused on exploring Kakheti and since this period, archaeological excavations have been conducted intensively During 7-8 months of the year, the constant group (20-25 members) of archaeological expedition was working. And during the rest of the year, the group was conducting manufacturing of discovered material. Therefore, since the 70-ies, archaeological excavations were activated in Kakheti. The archaeological base of Kakheti was the interdisciplinary center of excavation, it was conducting archaeological, as well as anthropological, cultural, ethnographical, architectural etc. i.e. multidisciplinary research. I maintained a thesis and sine the 70-ies I was already working as a leader of expedition.

- ***Tell us about the Tsnori Lion and please describe the artifact.***

- In 1977, the Kakheti expedition was working under my leadership. In the beginning, we discovered a luxurious barrow. The deceased was placed on the cart. The extraordinary inventory, whichwas found there, indicated that the burial ground belonged to the chief or noble person.After the excavations were finished and the material was put away, my colleague and I were inspecting the excavated burial ground in the evening, at the sunset. Suddenly, something bright appeared in the ground and I got interested. I saw a small golden sculpture, - it was the Tsnori Lion. It is possible that the artifact was the decoration of the cart. We established that, such kind of a lion should have been placed on all four wheels of the cart. Unfortunately, only one was

found out of four.

As a result of analysis, the artifact itself was dated 23rd century BC. It was the clay, covered with gold. It is the unusual example of goldsmith, created with the use of highest technology, - even with the use of modern apparatuses, it is impossible to create a filigree sculpture of such kind. Inside, there is cavity; traits of the lion are realistic, which indicates that artifact is a local piece of work. By the way, it follows from the scientific value of the lion, that the Tsnori Lion was recognized to be one of the biggest archaeological discovery.

- ***Mr. Kiazo, how many scientific works have you written? Which is the one that makes you proud the most?***

- I have published over 100 scientific works and tens of monographs. But the most important one for me is the monograph, published in 2015, which practically reflects my whole work. The book was published by the publishing house of Academy of Science.

- ***Your name is associated with the history and archaeology of Kakheti; you're exploring the culture of Ior-Alazani basin, which indicates the ambition and greatness of archaeological vision. How do you rate this interest yourself?***

- This culture is very specific. It has common elements with Asia Minor. The origin of the culture is still inexplicable. As to ambition, - it appeared in the process of working, because I think that the culture itself is ambitious.

- ***What was the reason of interest in the abandoned settlement of DiDnauri, was results are achieved and what do you expect from future excavations?***

- The excavations of the abandoned settlement of Didnauri should be the crown of my work, since here we are dealing with governmental body. According to the ceramic analysis and based on the scale of the abandoned settlement, it should have been the central city in X-VIII centuries BC., which was dominion in the whole valley of Shiraqi. It is interesting, that the abandoned settlement is located in the valley. It was discovered as a result of decryption of satellite photos, it covers 30 hectares, there are two citadels in the Northern part of the settlement. One of them is approximately 100x100 meters, and another is 200x200. Seismologists suggest that the abandoned settlement of Didnauri was destroyed by an earthquake. If this hypothesis is proved, it is presumable, that we are dealing with inviolable settlement and its excavations will tell a lot about governmental structure, urban life and culture of that period. As I have already mentioned, the settlement is located on the valley, however, it is presumable that there are many small abandoned settlements in its mountainous surroundings, therefore this small settlements must have been protecting the central city, which is being explored now. I'd like to mention, that we are excavating the abandoned settlement thoroughly. We started in 2014. The excavation is interdisciplinary, - many local and foreign institutions are involved - National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, Ilia State University, co-workers of which tried to analyze DNA from 20 skulls. Material is also being examined, photo fixation and geomagnetic measuring is being conducted. In the immediate future, we are planning to include the students of Tbilisi State University and Ilia State University in excavation of Didnauri abandoned settlement.

- ***Mr. Kiazo, what would you wish readers of "Online Archeology"?***

- First of all, I wish the journal progress, success, ever-growing electorate. As to the readers, - I wish them more involvement in solving of archaeological problems.'

Interview was conducted by Maia Cholokhashvili

წარსული მომავლის თვალით

"ონლაინ არქეოლოგიის" ახალი აქტივობით - "წარსული მომავლის თვალით" - გრძელდება ბლიც-ინტერვიუების ციკლი "უძველესი საქართველო მკვლევართა თვალით". ამჟამად, ჩვენს კითხვებს პასუხობენ ახალგაზრდა არქეოლოგები - ლანა ჩოლოგაური, ირაკლი ანჩაბაძე, ბორის გელაშვილი, მარიამ ელოშვილი და ლევან ლოსაბერიძე.

შეკითხვები:

- *არქეოლოგია მატერიალური კულტურის ყველაზე ფართო სფეროა, ვფიქრობ, ამგვარი პროფესიული არჩევანი ღრმა ერუდიციასა და დიდ სირთულეებთან ჭიდილს მოიაზრებს. როგორია არქეოლოგია თქვენთვის, როგორ ხედავთ თქვენს მომავალს არქეოლოგიურ სივრცეში?*

- *როგორ ფიქრობთ, რა უნდა იყოს არქეოლოგიის პრიორიტეტი და სწორად მიმდინარეობს თუ არა საქართველოში არქეოლოგიური კვლევა?*

- *როგორ შეებრძოლებოდით "შავ არქეოლოგიას"?*

- *რომელი უცხოური გამოცდილებით გაამდიდრებდით საქართველოს თანამედროვე არქეოლოგიური კვლევის მეთოდიკას?*

- *ვის მოიაზრებთ ისეთ მასწავლებლებად, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გემახსოვრებათ?*

ლანა ჩოლოგაური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, არქეოლოგიის მიმართულების მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი

- ჩემი მიზანია საკუთარი ადგილის დამკვიდრება არქეოლოგიურ სივრცეში, მსურს მომავალში არა მხოლოდ საველე სამუშაოებში მონაწილეობით შემოვიფარგლო, არამედ სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიმუშაო, სასურველია, ლექციები წავუკითხო სტუდენტებს, მიყვარს პედაგოგიური საქმიანობა. ვფიქრობ, მზად ვარ ამგვარ სირთულეებთან ჭიდილისთვის. საველე სამუშაო უნარ-ჩვევები სტუდენტობისას მეტ-ნაკლებად გამოვიმუშავე, რადგან მიმუშავია არა მხოლოდ ქართულ, არამედ სხვადასხვა ქვეყნის ექსპედიციებში, ვიცნობ ქართული და ბრიტანული გათხრების მეთოდიკას. ამ უნარ-ჩვევებს მომავალში საველე, კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის წარმოებისას გამოვიყენებ.

- ვფიქრობ, არქეოლოგიის პრიორიტეტი ამჟამად ძეგლების გადარჩენაზე ზრუნვაა. მე ვისურვებდი პრიორიტეტი იყოს არა მხოლოდ მათი გადარჩენა, არამედ შენარჩუნებაც, მით უმეტეს, თუ ძეგლი მნიშვნელოვანია. ძეგლები უნდა შევისწავლოთ და შევინარჩუნოთ, თუნდაც იმიტომ რომ ისინი ტურისტული კუთხით გახდეს საინტერესო და ქვეყანაში განვითარდეს არქეოლოგიური ტურიზმი. გარდა ამისა, პრიორიტეტად განვსაზღვრავდი არა მხოლოდ საქართველოში მდებარე ძეგლების, არამედ საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურის ძეგლების გადარჩენა-შენარჩუნებას.

- შავ არქეოლოგიასთან ბრძოლის ერთ-ერთ მეთოდად საუწყებო ან თუნდაც კერძო პირის მიერ ფონდის შექმნა მიმაჩნია. ფონდის მიზანი უნდა იყოს ბრძოლა საამისოდ, რომ არტეფაქტები არავინ გაიტანოს საქართველოს ფარგლებს გარეთ და ისინი ჩვენს მუზეუმებში განთავსდეს. ძნელია შავი არქეოლოგიის მხოლოდ კანონით გაკონტროლება, რადგან საქართველო მდიდარია არქეოლოგიური არტეფაქტებით. ფონდმა ამ არტეფაქტების აღმომჩენი უნდა დააინტერესოს, მისგან უნდა იყიდოს არტეფაქტი. ანუ ამ უკანონობის საპირწონედ კანონიერი სისტემის შექმნას მოვიაზრებ.

- თანამედროვე კვლევის ქართულ სისტემას გერმანული და ბრიტანული მეთოდიკით გავამდიდრებდი, ვგულისხმობ ძეგლის ინტერდისციპლინარულ კვლევას, რაც ცხადია, თანხებთან არის დაკავშირებული.

- ჩემი ასეთი მასწავლებელია არქეოლოგი ვახტანგ ლიჩელი, სწორედ მან შემაყვარა არქეოლოგია, ბ-ნ ვახტანგი სტუდენტებს მუდმივად გვაძლევს ცოდნის გაღრმავების სტიმულს. მის გარდა, დავასახელებდი არქეოლოგებს -იულონ გაგოშიძეს, გურამ ლორთქიფანიძესა და გურამ გრიგოლიას.

ირაკლი ანჩაბაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, არქეოლოგიის მიმართულების დოქტორანტი

- მიმაჩნია, რომ არქეოლოგია ზოგადად უნიკალურია, ის არის მეცნიერებისა და კულტურის ერთგვარი ნაზავი. არქეოლოგიის გარეშე კაცობრიობის ისტორია გაიყინებოდა, ჩვენ გვეცოდინებოდა მხოლოდ ის, რაც აღწერილია ჩვენამდე მოღწეულ მწირ წერილობით წყაროებში. არქეოლოგია საშუალებას იძლევა, ფაქტობრივად ყოველდღიურ რეჟიმში, მივიღოთ ახალი ინფორმაცია წარსულზე, ავსებს ან უარყოფს უკვე არსებულ ისტორიულ ცნობებს, აცოცხლებს ისტორიას და დინამიკას ანიჭებს მას.

ჩემს მომავალს არქეოლოგიურ სივრცეში ვხედავ, როგორც პროფესიონალს. პროფესიონალიზმის მისაღწევად ძალ-ღონეს არ დავიშურებ.

- არქეოლოგიის პრიორიტეტი უნდა იყოს ახალი ტექნოლოგიების, კვლევა-ძიების თანამედროვე მეთოდების დამკვიდრება (საბედნიეროდ, ამ თვალსაზრისით, ბოლო წლებში სასიკეთო ძვრები შეინიშნება), ასევე ახალი რეალობის გათვალისწინება. მწირი ეკონომიკური რესურსების პირობებში, სახელმწიფოს მხრიდან არქეოლოგიის სრულყოფილი დაფინანსება სირთულეებთან არის დაკავშირებული, ამიტომ უნდა გააქტიურდეს ალტერნატიული წყაროების მოძიება, ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია ტურისტული პოტენციალის გამოყენება (ამის წარმატებული მაგალითები არსებობს საბერძნეთში, თურქეთში, ისრაელში, იტალიაში). არქეოლოგიურ სფეროში ტურიზმის ჩართვა ხელს შეუწყობს ჩვენი ძეგლების პოპულარიზაციას როგორც ქვეყანაში ისე, მის გარეთ, იმავდროულად, დამატებით წყაროებს შექმნის არქეოლოგიური სამუშაოების გასაფართოებლად.

- არ ვარ მომხრე, რომ შეიქმნას ცალკე სამსახური შავ არქეოლოგიასთან საბრძოლველად. ეს გამოიწვევს დამატებითი ბიუროკრატიული სეგმენტის წარმოქმნას და ფინანსურ ხარჯებს, ფუნქციების დუბლირებას. მიმაჩნია, რომ უნდა გააქტიურდეს ადგილობრივი, რაიონული სამართალდამცავი ორგანოების ჩართულობა,

მით უმეტეს, როდესაც „შავი არქეოლოგია“ კანონით დასჯადია და სამართალდამცავი ორგანოების პირდაპირი მოვალეობაა კუთვნილ რაიონში კანონდარღვევის აღსაკვეთად მონიტორინგის წარმოება. ამისთვის საჭიროა ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებთან მეტი თანამშრომლობა, აგრეთვე, ტრენინგები.

- პირველ რიგში გავიზიარებდი წყალქვეშა არქეოლოგიის უცხოურ გამოცდილებას. ის საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს, საკმაოდ ძვირად ღირებული ფუფუნებაა და უცხოელი კოლეგების დახმარება ამ საქმეში აუცილებელია. საქართველოს ზღვის ზოლი დიდი ინფორმაციის შემცველია და მისი კვლევა მნიშვნელოვანი იქნება მთელი ცივილიზებული სამყაროსათვის.

- ჩემი მასწავლებლები არიან ისინი, ვინც მაზიარა პროფესიას, ვინც გამაცნო და მასწავლა არქეოლოგია, ვისთან ერთადაც ვმუშაობ და ვინც თავის გამოცდილებას გადმომცემს. ესენი არიან არქეოლოგები - მერაბ ძნელაძე, ზვიად კვიციანი, ვახტანგ ლიჩელი, გურამ გრიგოლია.

ბორის გელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, არქეოლოგიის მიმართულების მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი

- არქეოლოგია ჩემი ნანატრი პროფესიაა, ბავშვობიდან ვოცნებობდი. მიმაჩნია, რომ საქართველოარქეოლოგიურიმიმართულებით პერსპექტიული ქვეყანაა და, შესაბამისად, პროფესიონალიზმის დახვეწის პერსპექტივაც არსებობს.

- ვფიქრობ, დღეს არქეოლოგიის პრიორიტეტი არქეოლოგიური ტურიზმია და ასეც უნდა იყოს, რადგან ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი სახიერი ძეგლი. ვისურვებდი ინტერდისციპლინარული და მულტიკულტურული კვლევების გაფართოებას, აგრეთვე, უფრო მეტ მუშაობას ძეგლების პოპულარიზაციის მიმართულებით.

- შავ არქეოლოგიასთან ბრძოლა კანონმა უნდა დაარეგულიროს. მიმაჩნია, რომ ამჟამინდელი კანონი ლოიალურია, ის უნდა გამკაცრდეს. გარდა ამისა, უნდა შეიქმნას არქეოლოგიური ძეგლების ბაზა. მისი არსებობა შავ არქეოლოგიასთან ბრძოლას გაამარტივებს.

- ჩემთვის სამაგალითო გერმანული მეთოდიკაა. არქეოლოგიური კვლევების ქართულ მეთოდიკას გერმანული გამოცდილებით გავამდიდრებდი.

- ასეთი მასწავლებელი ჩემთვის არქეოლოგი ვახტანგ ლიჩელია. მან დამაკავშირა არქეოლოგიას, არა მხოლოდ პროფესიონალურად, არამედ ცხოვრებისეულადაც.

მარიამ ელოშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, არქეოლოგიის მიმართულების III კურსის სტუდენტი

- არქეოლოგია ჩემთვის მხოლოდ მომავალი პროფესია არ არის. ის მეცნიერებაა, რომელსაც დიდი პატივისცემით ვეკიდები. ვისურვებდი, ძველი ცოდნისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შეჯერებით გავაგრძელო იმ პერიოდის კვლევა, რომელიც მაინტერესებს (ნეოლით-ხალკოლითი: შულავერ-შომუ-თეფეს კულტურა). ამ ეპოქაში (როგორც ყველა ხანაში) ბევრი ბუნდოვანი არქეოლოგიური საკითხი და პრობლემაა, კვლევებმა ნათელი უნდა მოჰფინოს იმდროინდელი ადამიანის ყოფა-ცხოვრების საკითხებს.

- ჩემი აზრით, ქართული არქეოლოგიის პრიორიტეტი უნდა გახდეს თანამედროვე ტექნოლოგიების უფრო ინტენსიური მოხმარება. ჩვენს ქვეყანაში ამ დროისთვის ნამდვილად ბევრი ეროვნული თუ საერთაშორისო მოქმედი ექსპედიციაა, მაგრამ ვფიქრობ, მაინც არასაკმარისია, გაცილებით ინტენსიურად უნდა მიმდინარეობდეს ქვის ხანისა და შუა საუკუნეების ძეგლების შესწავლა, რაც მთავარია, არ უნდა შემოვიფარგლოთ ძეგლის გათხრით, საჭიროა, გაფართოვდეს ლაბორატორიული კვლევები. ამისთვის აუცილებელია უნივერსიტეტებსა და მუზეუმებში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორიების გამართვა, ასევე უნდა მოწესრიგდეს არქეოლოგიის კვლევის ცენტრი, რათა შევძლოთ უფრო ფართომასშტაბიანი კვლევა-ძიების წარმოება, ძალიან მნიშვნელოვანია ქართული არქეოლოგიის პოპულარიზაცია, როგორც ქვეყანაში ისე, საერთაშორისო მასშტაბით. უნდა იყოს ბევრი მუზეუმი ღია ცის ქვეშ, ექსპოზიციები კარგი საშუალებაა ტურისტული პოტენციალის ასამაღლებლად.

- მიმაჩნია, რომ საქართველოს არქეოლოგიის პოპულარიზაცია მნიშვნელოვან ფუნქციას შეასრულებს „შავი არქეოლოგების“ მოღვაწეობის შემცირებაში. ვფიქრობ, ინტენსიურად უნდა მიმდინარეობდეს მოსახლეობის ინფორმირება, ასევე, საჭიროა გამკაცრდეს კანონი.

კარგი იქნებოდა თუ ყველა მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

შეიქმნებოდა სტრუქტურა, რომელიც გააკონტროლებდა, როგორც იმ რეგიონის ძეგლებს ისე, შემთხვევით აღმოჩენებს. ძალიან მნიშვნელოვანია უკვე გამოვლენილი ძეგლების დაცვაც, მე ვიცი სამწუხარო ფაქტები, როდესაც ძეგლი მდებარეობს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან და მიწის დამუშავების დროს მისი ნაწილი ნადგურდება, ამგვარი შემთხვევების მაკონტროლებელი უნდა იყოს ზემოთ აღნიშნული ორგანო, რადგან შემთხვევითი აღმოჩენები ხშირად ხდება შავი არქეოლოგიის სამიზნე.

- ვფიქრობ, შეიძლება გავიზიაროთ გერმანიის, ბრიტანეთის, ამერიკის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების არქეოლოგიური გამოცდილება. როგორც აღვნიშნე, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა ძალიან მნიშვნელოვანია, უკვე დროა შევცვალოთ კვლევა-ძიების მეთოდიკაც. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობის გააქტიურება. სასარგებლო იქნება ახალგაზრდებისთვის საერთაშორისო ექსპედიციებში მონაწილეობა, გაცვლითი და კვლევითი პროგრამების გაფართოება უნივერსიტეტებში, სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებში და სხვ.

- უკვე მეოთხე წელია, რაც მარნეულის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრი ვარ და ვმუშაობ ბატონ მინდია ჯალაბაძესთან. ეს არის ექსპედიცია, რომელმაც ძალიან ბევრი რამ მასწავლა და ჩემი საკვლევი პროექტიც განსაზღვრა. სწორედ ამ ექსპედიციის ხელმძღვანელსა და მის უხუცესს მივიჩნევ ამგვარ მასწავლებლებად: მინდია ჯალაბაძესა და ერეკლე ქორიძეს, აგრეთვე, მარინე ფუთურიძეს.

ლევან ლოსაბერიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების IV კურსის სტუდენტი

- თანამედროვე არქეოლოგია იმდენად განვითარებადი და ფართო სფეროა, რომ ვფიქრობ, ჩვენი, ახალგაზრდების ვალია მსოფლიო სამეცნიერო სივრცესთან ქართული არქეოლოგიის ინტეგრირება.

- არსებობს ქვეყნები, რომლებსაც არქეოლოგიური პრიორიტეტები ძალიან კარგად აქვს განსაზღვრული. საქართველოს არქეოლოგიის საერთაშორისო ასპარეზზე წარმოსაჩენად საჭიროა უფრო აქტიური თანამშრომლობა უცხოურ არქეოლოგიურ სკოლებთან, გარდა ამისა, მეტად უნდა ვიზრუნოთ არქეოლოგიური ტურიზმის განვითარებისთვის.

- შავი არქეოლოგიის აღმოსაფხვრელად, ვფიქრობ, საჭიროა რამდენიმე სტრუქტურის მიერ არქეოლოგიურ საიტებზე კონტროლის გამკაცრება.

- ჩემი აზრით, არსებობს რამდენიმე ქართული ექსპედიცია, რომლებიც მაღალ დონეზე აწარმოებს არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ყველა მიმართულებით, ვგულისხმობ ვრცელ ინტერდისციპლინარულ კვლევებს, რადგან ძეგლის შესწავლა დიდი ხანია აღარ მოიცავს მხოლოდ მის გამოვლენას. ინტერდისციპლინარული კვლევა-ძიებისას მრავალი ისეთი ასპექტი ვლინდება, რომელიც სრულიად ახლებურად წარმოაჩენს ძეგლს, მის ისტორიას. ვისურვებდი უფრო აქტიურ თანამშრომლობას უცხოურ არქეოლოგიურ სკოლებთან, მეტი ვისწავლოთ და მეტი თანამედროვე ტიპის კვლევები განხორციელდეს. რადგან, როდესაც ექსპედიციას არ გააჩნია თანამედროვე სტანდარტების მაღალი დონის საკვლევი მეთოდიკა, არ გააჩნია ტექნოლოგიები ძეგლის შესასწავლად, გარკვეული ასპექტები გამოუვლენელი რჩება.

- ასეთ მასწავლებლებად რამდენიმე არქეოლოგს მოვიაზრებ - კახა კახიანს, მინდია ჯალაბაძეს, ერეკლე ქორიძესა და მარინე ფუთურიძეს.

ბლიც-ინტერვიუ მიჰყავდა მაია ჩოლოყაშვილს

ბოდბე - თებერვალი - 2016

2016 წლის 19 თებერვალს, სიღნაღის მუნიციპალიტეტში მიწის სამუშაოების არქეოლოგიური ზედამხედველობის მიზნით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული საგენტოს არქეოლოგიური სამსახურის უფროსმა, კონსტანტინე ფიცხელაურმა და სამსახურის სპეციალისტმა არქეოლოგებმა ლალი ახალაიამ და ზურაბ გიორგაძემ ადგილზე შეისწავლეს ვითარება.

ბოდბის წმ. ნინოს სამონასტრო კომპლექსში, მე-10 საუკუნის წმ. ნინოს ტაძრის ინტერიერსა და ფასადების გასწვრივ, სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს, ტაძრის ინტერიერში იცვლება იატაკის ფილები, ფასადებთან იჭრება შურფები. სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობისას გაირკვა, რომ წმ. ნინოს ეკვდერის სამხრეთ კედლის დასავლეთ მონაკვეთი (რომელიც, იმავდროულად, ტაძრის სამხრეთი კედელია) და ტაძრის ჩრდილოეთ და დასავლეთ ფასადების ქვედა სტრუქტურები ნეს-

ტიანდება. ნესტის გამომწვევი მიზეზების დადგენისა და სარინელის ხელახლა დაგეგმარების მიზნით, წმ. ნინოს ეკვდერსა და სამხრეთ კედლის გარეთ გაიჭრა შურფები.

ეკლესიის დასავლეთ და სამხრეთ კედლებთან ღრმა შურფების გაჭრა ვერ მოხერხდა, რადგან ამჟამად არსებული სარინელის ფილების ზედაპირიდან 71 სმ სიღრმეზე დაფიქსირდა, ამ ობიექტზე სხვადასხვა დროს განხორციელებული სარესტავრაციო-სარეკონსრუქციო სამუშაოების მიმდინარეობისას ჩადგმული 23 სმ სისქის ბეტონის ფილა. სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ მხარეს გაჭრილ შურფში, ადრე დაგებული ბეტონის ფილის ქვეშ, 11 სმ სიღრმეზე დადასტურდა დედაქანი. ფილის სამხრეთით, 50 სმ-ის სიშორეზე გამოვლინდა ახლო წარსულის ხის კუბოიანი საფლავი, რომელიც არქეოლოგებმა ხელუხლებლად დატოვეს.

წმ. ნინოს ეკვდერში შურფი (120X70 სმ) გაჭრილია სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში, 86 სმ სიღრმეზე. ***სტრატიგრაფიული სურათი ამგვარია: შურფის ზედაპირი წარმოდგენილია წმ. ნინოს საფლავის სამხრეთით მდებარე*** 13 ***სმ სისქის თეთრი მარმარილოს ფილით. ფილის ძირი სამხრეთით ეყრდნობა*** 10 ***სმ, ხოლო ჩრდილოეთით*** 21 ***სმ სისქის ნაყარ მიწას. გრუნტის სიღრმე შურფის სამხრეთ მხარეს აღწევს*** 36 ***სმ-მდე, ხოლო ჩრდ-***

ილოეთით** 18 **სმ-მდე (შურფის მთლიანი სიღრმე** 86 **სმ-ია). სამ-ხრეთ მხარეს გრუნტი ჩაჭრილია** 36 **სმ-მდე, ხოლო ჩრდილოეთით** 18 **სმ-მდე.

შურფის დასავლეთ მონაკვეთი მთლიანად ნაყარი ფენაა, ჩრდილოეთის კედლის დიდი ნაწილი დედაქანია (კონგლომერატი). შურფის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხე უშუალოდ ებჯინება წმ. ნინოს საფლავის ქვის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეს. სწორედ ამ მონაკვეთში გამოიკვეთა საინტერესო სიტუაცია, კერძოდ: საფ-

ლავის ქვის ქვეშ ამოსულია ნაყარი მიწის ფხვიერი ფენა, 95-100 სმ სიღრმეზე გაწმენდის შედეგად გამოვლინდა დედაქანში ჩაჭრილი ორმოს სამხრეთ-დასავლეთ კუთხე. სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს სამარხისთვის გაჭრილი ორმოს ზედაპირის ფრაგმენტი, ამ მონაკ-ვეთის ნაყარ მიწაში აღმოჩნდა ადამიანის ხელის თითის ფალანგის ძვალი და ორი კბილი, აგრეთვე, დაფიქსირდა შავად გამომწვარი, სუფთად განლექილი, მცირე ზომის ჯამის პირის ფრაგმენტი. მასა-ლა დაცულია მონასტერში.

ტაძრის პერიმეტრზე სამომავლოდ დაგეგმილი სარინელის მოწყობის სამუშაოები უნდა განხორციელდეს არქეოლოგის ზე-დამხედველობით.

ᲓᲛᲐᲜᲘᲡᲘ - ᲛᲐᲠᲢᲘ - 2016

2016 წლის 21 მარტს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში შემოსული შეტყობინების საფუძველზე, საagენტოს არქეოლოგიური სამსახურის უფროსი, კონსტანტინე ფიცხელაური და სპეციალისტი არქეოლოგები ლალი ახალაია და ზურაბ გიორგაძე იმყოფებოდნენ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ საფარლოში, სადაც მიმდინარეობდა თბილისი-ლენინაკანის საავტომობილო გზის გაფართოებითი სამუშაოები. შეტყობინების თანახმად, სოფ. საფარლოს ტერიტორიაზე დაზიანებულია არქეოლოგიური ობიექტი.

ადგილზე დაფიქსირდა სიტუაცია:

თბილისი-ლენინაკანის საავტომობილო გზის 82-ე კილომეტრზე, საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს, მძიმე ტექნიკით მიწის აღების პროცესში, დაზიანდა არქეოლოგიური ობიექტი - თონე, რომლის ფრაგმენტები იქვე იყო მიმოფანტული, თონის დაახლოებით ½ ადგილზეა უძრავად. ობიექტისთვის გამვლელთა ყურადღების მიპყრობის თავიდან აც-

ილების მიზნით, ის არ გასუფთავდა. იქვე აიკრიფა კერამიკული ნაწარმის უსახური ფრაგმენტები და ობსიდიანის ანატკეცები. ზედაპირული დათვალიერებით შეინიშნება, როგორც ბრინჯაოს ხანის ისე, შუა საუკუნეების მასალა (ანაკრეფი მასალა დასაცავად გადაეცა საქართველოს ეროვნული მუზეუმის დმანისის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის მმართველს, ბ-ნ გოჩა კილაძეს).

არქეოლოგებმა უზრუნველყვეს ობიექტის დატანა დმანისის რუკაზე და მას პირობითად „დმანისი 11“ ეწოდა.

ინფორმაცია რეაგირებისთვის გადაეცა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინსპექციას.

საბერეები - მარტი - 2016

2016 წლის 25 მარტს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში შემოსული შეტყობინების თანახმად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოს ტერიტორიაზე მდებარე, კლდეში ნაკვეთ სამონასტრო კომპლექს საბერეებზე განხორციელდა უკანონო მიწის სამუშაოები. სააგენტოს არქეოლოგიური სამსახურის უფროსმა, კონსტანტინე ფიცხელაუ-

რმა და სამსახურის სპეციალისტმა არქეოლოგებმა, ლალი ახალაიამ და ზურაბ გიორგაძემ ადგილზე შეისწავლეს ვითარება.

ძეგლზე დაფიქსირდა სიტუაცია:

საბერეების სამონასტრო კომპლექსის ერთ-ერთ ტაძარში ჩატარებულია უნებართვო მიწის სამუშაოები. კერძოდ, გამოტანილია 20-დან 60 სმ-მდე სისქის, ქარითა და წვიმით შეტანილი მიწისა და მწყემსების მიერ ცეცხლის დანთების შედეგად დარჩენილი ნაცროვანი ფენა. არქეოლოგიური კუთხით, რაიმე დაზიანება არ დაფიქსირებულა.

კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერებისას, მისგან სამხრეთ-დასავლეთით, 40 მ-ის სიშორეზე დადასტურდა მიწის ქვეშ მდებარე კიდევ ერთი „სათავსი“ (სენაკი?) (ზღვის დონიდან 635 მ), რომლის სიღრმე მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 3 მ-ია. სენაკი სანახევროდ ამოვსებულია ჩაცვენილი ქვებისა და მიწის ფენით, თუმცა, კარგად შეინიშნება კედლის დამჭერი საყრდენი სვეტი და მცირე „სათავსები“ (შესაძლოა, ტაძარია, რომელიც ცნობილი იყო, თუმცა ამ ეტაპზე ამის განსაზღვრა შეუძლებელია).

არქეოლოგებმა უზრუნველყვეს ობიექტის დატანა რუკაზე და მას პირობითად საბერეები სათავსი ეწოდა.

ინფორმაცია რეაგირებისთვის გადაეცა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინსპექციას.

წალკა - მარტი - 2016

2016 წლის 26 მარტს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში შემოსული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ეხებოდა წალკის მუნიციპალიტეტში, სოფ. ავრანლოს ტერიტორიასა და წალკის წყალსაცავში წყლის დონის დაწევის შედეგად გამოჩენილ კრომლეხზე მეტალოდეტექტორის საშუალებით უკანონო არქეოლოგიური საძიებო სამუშაოების წარმოებას, აგრეთვე, სოფ. ავრანლოს ტერიტორიაზე კულტურული ფენების დაზიანების ფაქტს, სააგენტოს არქეოლოგიური სამსახურის უფროსმა კონსტანტინე ფიცხელაურმა და ამავე სამსახურის სპეციალისტმა არქეოლოგებმა ლალი ახალაიამ და ზურაბ გიორგაძემ ადგილზე შეისწავლეს ვითარება.

დაფიქსირდა სიტუაცია:

წალკის წყალსაცავში წყლის დონის დაწევის შედეგად გამოჩნდა რამდენიმე არქეოლოგიური ობიექტი. კერძოდ, ყორღნები და კრომლეხი. ტერიტორიაზე მრავლად აიკრიფა ადრე ბრინჯაოს ხანისა და შუა საუკუნეების კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები, ობსიდიანის ნატეხები. არქეოლოგიურ ობიექტებზე, მათ შორის კრომლეხზე, დაზიანების კვალი არ ფიქსირდება, თუმცა ქვიშიანი

ნიადაგი ბუნებრივად მოსწორებულია და შეინიშნება ადამიანის ნაფეხურები.

სოფ. ავრანლოს ჩრდილოეთით, 300 მეტრის სიშორეზე გაყვანილია წყლის მილები, რისთვისაც ამოთხრილია 1 კმ-მდე სიგრძის, 2 მ-მდე სიგანისა და 1 მ-მდე სიღრმის თხრილი. რამდენიმე ადგილას დაზიანებულია კულტურული ფენები, იქ დაფ-

იქსირდა ადრე ბრინჯაოს ხანის კერამიკული ჭურჭლის დიდი ფრაგმენტები, აგრეთვე, ობსიდიანის ისრისპირი.

აღნიშნული ადგილები დატანილია წალკის არქეოლოგიურ რუკაზე.

ინფორმაცია რეაგირებისთვის გადაეცა საგამომძიებლო ორგანოებს.

საჩხერე - მარტი - 2016

2016 წლის 28 მარტს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში შემოსული წერილის საფუძველზე, რომელიც ეხებოდა საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. ლიჩის ტერიტორიაზე ნაპოვნ ქ.შ. II-IV სს-ის ოქროსა და ვერცხლის არტეფაქტებს, სააგენტოს არქეოლოგიური სამსახურის უფროსმა კონსტანტინე ფიცხელაურმა და ამავე სამსახურის სპეციალისტმა არქეოლოგებმა ლალი ახალაიამ და ზურაბ გიორგაძემ ადგილზე შეისწავლეს ვითარება.

ზედაპირული დათვალიერებით, ლიჩში არსებულ არქეოლოგიურ ობიექტზე დაზიანება-განადგურების ფაქტი არ დადასტურდა, თუმცა, შეინიშნება მძიმე ტექნიკის მუშაობის კვალი, მიწა აღებულია 20-30 სმ სიღრმეზე. აგრეთვე, დაფიქსირდა 40-70 სმ დიამეტრისა და 20-50 სმ სიღრმის ხელით ნათხარი მცირე ორმოები. ტერიტორიაზე მრავლად დადასტურდა შუა საუკუნეების კერამიკული ნაწარმის უსახური ფრაგმენტები. აღსანიშნავია, რომ იქვე შემორჩენილია დიდი ზომის ხარო (d120 სმ) in situ მდგომარეობაში. ანაკრეფი კერამიკული მასალის მსგავსად, ხაროც შუა საუკუნეებს განეკუთვნება.

ტერიტორიის მესაკუთრის განცხადებით, ოქროსა და ვერცხლის ნივთები ამ ხაროშია აღმოჩენილი. არტეფაქტები დასაცავად ეროვნულ მუზეუმს გადაეცა.

აზმანა - აპრილი - 2016

2016 წლის აპრილში, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში შემოვიდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს უფროსის, ზვიად ნატრიაშვილის წერილი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ აზმანას მიმდებარე, ნასოფლარ ღართას ტერიტორიაზე განხორციელებული მიწის სამუშაოების შესახებ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქეოლოგიური სამსახურის უფროსი კონსტანტინე ფიცხელაური და სამსახურის სპეციალისტი არქეოლოგები ლალი ახალაია და ზურაბ გიორგაძე ადგილზე გაეცნნენ ვითარებას.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფელ აზმანის დასავლეთით, 3 კმ-ის სიშორეზე მდებარე შუა საუკუნეების ნასოფლარ ღართას (ყართა) სამხრეთ მონაკვეთში, 10-ე საუკუნის ეკლესიის ჩრდილოეთით, მდინარე მტკვრის ფლატის კიდემდე განთავსებულია შუა საუკუნეების ქვით ნაგები ნასოფლარის ნაშთები, სა-

დაც კარგად იკითხება ქვის კომპლექსების უკიდურესი ქვედა სტრუქტურები, ზოგიერთ საცხოვრებელ კომპლექსში შეინიშნება სხვადასხვა სათავსის გეგმარება და განლაგება.

ნასოფლარის უკიდურეს ჩრდილოეთ მონაკვეთში, მძიმე ტექნიკით

დანგრეულია „ზედსახდელის საწარმო“. საწარმოს ნაგებობიდან შემორჩენილია დასავლეთის კედელი, რომელიც ნაშენია კარგად დამუშავებულზედაპირიანი, მასიური ქვის კვადრებით, იქვე გაფანტულია ნაგებობის ინტერიერის 2-3 მ სიღრმიდან ამოგდებული ზედსახდელის გელაზის ქვები და კერამიკული ჭურჭლის ნატეხები. დადგინდა არქეოლოგიური ძეგლის დაზიანების ფაქტი. ზოგადად, მთელი ტერიტორიის დათვალიერებისას, აიკრიფა სხვადასხვა პერიოდის კერამიკული ჭურჭლის ნატეხები - დაწყებული ქ.წ. III ათასწლეულიდან, გვიანდელი შუა საუკუნეების ჩათვლით.

ნასოფლარის ჩრდილოეთ კიდეზე კარგად იკითხება ქარაფიდან მტკვრის ხეობისკენ ჩამავალი ფილაქნით მოგებული ძველი გზის ნაშთები.

ადგილობრივი მოსახლის ინფორმაციით, ძეგლი 2015 წლის ოქტომბერში მისთვის უცნობმა პიროვნებებმა მძიმე ტექნიკით დააზიანეს.

ინფორმაცია რეაგირებისთვის გადაეცა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინსპექციას.

ივრისპირები - აპრილი - 2016

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში შემოსული შეტყობინების საფუძველზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ივრისპირების ტერიტორიაზე უკანონოდ წარმოებულ არქეოლოგიურ სამუშაოებთან დაკავშირებით, სააგენტოს არქეოლოგიური სამსახურის უფროსი კონსტანტინე ფიცხელაური და სამსახურის სპეციალისტი არქეოლოგები ლალი ახალაია, ზურაბ გიორგაძე ადგილზე ჩავიდნენ ვითარების შესაფასებლად.

დათვალიერებისას გამოვლინდა ადრე შუა საუკუნეების სა-

მაროვნის (ქვაყუთები) ხელყოფის ფაქტი. დაზიანებულია დაახლოებით ორ ათეულამდე სამარხი, გადაყრილია სამარხის სახურავი ფილები. ქვაყუთებში არტეფაქტები და ძვლოვანი მასალა არ დადასტურდა. აგრეთვე, შეინიშნება ძალაყინის საშუალებით სხვა სამარხების სახურავის ფილების აწევის მცდელობა და სხვ.

სამაროვანი მდებარეობს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 2-3 კმ-ის სიშორეზე. სამაროვნის ჩრდილოეთით 800 მეტრის სიშორეზე საქონლის ფერმაა.

ინფორმაცია რეაგირებისთვის გადაეცა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინსპექციას.

ფოტოები, აგრეთვე, რუბრიკა "არქეოლოგიური დაიჯესტისთვის" ლოგოდ დადგენილი ფოტო გადაღებულია ზურაბ გიორგაძის მიერ.

ARCHAEOLOGICAL DIGEST

Bodbe - February - 2016

On February 19 of 2016 head of archaeological office Konstantine Pitskhelauri and experts of archaeological office Lali Akhalaia and Zurab Giorgadze visited Sighnaghi to supervise archaeological works on the ground. In monastery complex of St. Nino in Bodbe, according to project of National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, reconstruction works are held along interior and façade ofSt Nino's monastery complex of 10th century, floor tiles are being changed, pits are being made near façade. During reconstruction works it occurred, that western part of thesouth wallof the oratory of the St Nino and north and western facades of the temple are being damped. To establish the he reason of the damp and to plan the place for installing the window, workers decided to make small pits, including outside part of the oratory of St. Nino and southern part of the wall. The goal of the archaeologists was to record in documents situation in the pits.

Making pits in the western and southern walls of the church was not possible, because concrete tile of 23 cm width was found in the depth of 71 cm from the place for installing windows, which was placed during restoration and reconstruction works of different times. In pits placed on the southern part under the concrete tile a rock of 11 cm of height was found. On the south from the tile, a 50 cm tomb of nearest past was found, it was left untouched by the archaeologists.

In the oratory of the St. Nino pits (120 x 70 cm) are placed in the south-western part, on the depth of 86 cm. Stratigraphic image shows

that surface of the pit is the marble tile of 21 cm width placed in the southern part of the tomb of St. Nino. The bottom of the tile relies on the ground, with width of 10 cm on the south part and 21 cm on the northern part. Depth of the soil is 36 cm on the south, and 18 on the north (total depth of the pit is 86 cm). On the southern part the depth of the soil is 36 and on the northern part – 18 cm. Western part of the pit is earth fill, most part of the northern wall is rock (conglomerate). North-eastern part of the pit abuts south-western edge of the headstone of St. Nino. In this part interesting image was found, namely: under the headstone friable layer of the earth fill is found on the whole depth, after cleaning it occurred that south-western edge of the pit which is intruded in the earth fill. Presumably, this must be the fragment of the pit prepared for the burial ground, in this part of earth fill finger bones and two teeth of the human were found, small part of the jar, which was burned in black color, and made very carefully was also found, all these materials are placed in the monastery.

On the whole perimeter of the temple works for making holes are needed, this has to be done with supervision of archaeologist.

Dmanisi - March -2016

_ _On march 21 of this year, according to notification that was submitted to Ministry of Cultural Heritage Protection Agency head of archaeological office Konstantine Pitskhelauri and experts of archaeological office Lali Akhalaia and Zurab Giorgadze visited Safarli village in Dman-

isi Municipality area, where Tbilisi-Leninakan road broadening works had been held. According to the notification, in the village. Safarli area archaeological objects had been damaged.

The situation on the ground was:

On the 82nd kilometers of Tbilisi -Leninakan highway, on the right side of the road, archaeological unit of bakery, the fragments of which were scattered nearby,had been heavily damaged in the process of taking land, , about ½ part of the bakery is standing motionless. Object was not cleaned to avoid attentio of the persons who passed by. ceramic fragments and obsidian flakes were collected nearby. Superficial examination, it is observed, Medieval materials as well as materials of the Bronze Age, (Assembled materials were given for the protection of the National Museum Dmanisi archaeological museum manager Mr. Gocha Kiladze).

On the 170-meter distance from above mentioned archaeological objects, on the north-west, at the end of the last century, archaeologist Kakha Kakhiani excavated Early Bronze Age burials.

Archaeologists have provided to put an object onto the map of Dmanisi and conventionally called it “Dmanisi 11”.

Information was given for cerresponding respond to the inspection of protection of cultural heritage.

Saberes - March - 2016

The National Agency of Protection of Cultural Heritage has received a report stating that on the rock cave monastery complex of Sabereebi in the Udabno village in Sagarejo Municipality the illegal excavations had been carried out. head of archaeological office Konstantine Pitskhelauri and experts of archaeological office Lali Akhalaia and Zurab Giorgadze visited the place and evaluated the situation on the ground.

The following situation was found:

In one of the temples of Sabere monastery complex traces of unauthorized earthworks had been revealed. In particular, 20 to 60 cm thick, brought in by the rain and wind, the land and ashes layaer cause by fires of the shepherds. No archaeological kind of damage was reported.

During the inspection of the territory near the complex, from the south-west, 40 meters under the ground, located in the northwest "storage" (cell?) had been found (635 m above sea level), with a depth of about 3 meters from the surface. Cell is half-filled by sunken rocks and soil, however, is wall holder can clearly be seen and a pillar of the small rooms as well (possibly a temple, which was known, but at the moment it is not possible to indicate it).

Archaeologists have provided to put an object onto the map and conventionally called it "Senaki".

Information was given for cerresponding respond to the inspection of protection of cultural heritage.

Tsalka - March - 2016

The National Agency of Protection of Cultural Heritage has received a report stating that because of lowering water level in Tsalka Reservoir in Village Avranlo in Tsalka Municipality, illligal archaeological excavations had been carried out. head of archaeological office Konstantine Pitskhelauri and experts of archaeological office Lali Akhalaia and Zurab Giorgadze visited evaluated the situation on the ground.

The following situation was found:

as a result of reduced levels in Tsalka reservoir several archaeological objects had been revealed. In particular, burial grounds (Korghani) and cromlechs. The abundance of fragments of ceramic materials of

the Bronze and medieval and obsidian had been collected. Archaeological sites, including cromlechs, do not seem to be damaged, however, ground has been flattened naturally and human footprints can be found.

To the north of Village. Avranlo, in 300 meters there are water pipes, which are dug up in 1 km in length, 2 meters wide and 1 meter deep trench. Several cultural layershave been seriously damaged, there were early Bronze Age ceramic dishes' large fragments as well as obsidian arrowheads.

The archaeological sites have been marked on the map of Tsalka.

Information was given to the investigative authorities for further action.

Sachkhere - March - 2016

Based on notification that was about gold and silver artifacts, that were given to National Museum of Georgia, of II _ IV centuries BC on the territory of the village Lichi, of the Municipallity of Sachkhere, and which was submitted to Ministry of Cultural Heritage Protection Agency head of archaeological office Konstantine Pitskhelauri and experts of archaeological office Lali Akhalaia and Zurab Giorgadze visited Safarli village.

Surface inspection did naot show any arhcaeological damages to archaeological objects, however, there are traces of heavy equipment work, the ground is taken out to the depth of 20-30 cm. goles of 40 – 70 cm diameter and 20- 50 cm depth were found. Frgaments of the ceramic works of medieval era were found. It has to be mentioned that big sized pit was found there (with diamter of 120 cm) in situ condition. As collected ceramic the pit is also from medieval era.

Accroding to the owner of the territory, gold and silver artifacts were

found in this pit. As he has said on nearby territories, during the works on the ground, citizens find artifacts often.

Azmana - April - 2016

In April 2016, in the National Agency for the Protection of Cultural Heritage entered the letter of head of Samtskhe-Javakheti Division of Environment and Natural Resources Protection of Georgia, Zviad Natriashvili, about land works nearby azmana village, the abandoned village Gharta area about the land works.

Protection of Cultural Heritage and the National Archaeological Service head Konstantin Pitskhelauri Service specialist archaeologists Lali Akhalaia and Zurab Giorgadze visited the place to evaluate the situation.

According to them, in Akhalkalaki Municipality from the west of village Azmani, in 3 km distance in the southern part of the medieval ruins of village Gharta (Karta),to nortj of the 10 th century church (the church had been restored,) to the edge of the River Mtkvari Plate are located medieval stone settlement remains, where the extreme lower structures stone complexes are clearly seen, some apartment complexes show various facility plannings and layouts.

The extreme northern part of the old settlement, heavily Zedsakhdeli "enterprise" has been collapsed with heavy equipment. From Enterprise structures only western wall is preserved, which itself is built of massive stone bricks with well manufactured surface, all over the interior of the building there are Gelazi Stones and pieces of the ceramc vessels taken out from the depth of 2-3 m. The damage to the archaeological monumentshas been estimated. In general, during the inspection of the entire area, various pieces of ceramic vessels _ starting from III millennium BC, to the late medieval times had been collected.

On the northern edge of the old settlement starting from upper surface of the rock remains o an old road leading to the Mtkvari gorgeis seen.

Accoding to local residents report the monument of cultural heritage had been damaged by an unknown persons with heavy equipment in October 2015.

Information was given to the investigative authorities (inspection of protection of cultural heritage) for further action.

Ivrispirebi- April - 2016

Based on notification on illegal archaological excavations submitted to Ministry of Cultural Heritage Protection Agency on the territory of the Ivrispirebi in the Municipallity of Dedoplistkaro, head of archaeological office Konstantine Pitskhelauri and experts of archaeological office Lali Akhalaia and Zurab Giorgadze visited the territory

Inspection showed damage of early medieval era sepulchres. About two dozen of burial ground are damaged, roofing tiles of the burial ground are thrown away. Artifacts and bone materials had not been found in the burial grounds. It is obvious that someone tried to pull up other tiles of the burial grounds with crow bar and etc.

Burial grounds are located to nort- west in 2-3 kms from the boarder of Georgia and Azerbaijan. From burial ground in 800 meters to north there is a ranch

Information was given for cerresponding respond to the inspection of protection of cultural heritage.

Photos were taken by Zurab Giorgadze

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები სოფელ კაპნისთავში

ა. კახიძე, თ. შალიკაძე, მ. ნაგერვაძე

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით, 2015 წელს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპნისთავში საველე სამუშაოები დაიწყო. ახალ ძეგლზე სამუშაოების წარმოება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ გასულ წელს, ხელვაჩაურის საკრებულოს მიერ მოწყობილი აჭარის ისტორიის ნარკვევების მრავალტომეულის განხილვისას აღინიშნა იმ უახლესი აღმოჩენების შესახებ, რომლებიც ბრინჯაოს მეტალურგიის უძველეს კერებს უკავშირდება. ბატონმა ასლან კახიძემ (საკრებულოს უფროსი) გვაცნობა, რომ მსგავსი ნაშთები არსებობდა სოფელ კაპნისთავში, კერძოდ მდ. ყურღელეში. ამ ცნობის შემოწმება შესაძლებელი გახდა მიმდინარე წლის გაზაფხულზე. ინფორმაცია დადასტურდა.

ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის საველე და სამეცნიერო მუშაობის ახალ ასპექტს მორიგი, მეტად საყურადღებო ძეგლი შეემატა. ადგილზე მივიღეთ ინფორმაცია, რომ სოფელ კაპნისთავის მკვიდრ ხასან კახიძის საკარმიდამო ნაკვეთში არის ქვევრი, რომელსაც ქვის სარქველი ჰქონდა დაფარებული. შევამოწმეთ ეს ცნობაც, გამოვაჩინეთ ქვის საკმაოდ დიდი ზომის სარქველი და ქვევრის პირი (ტაბ. II/1, 2). ქვევრის პირის გაწმენდისას ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ იგი კონფიგურაციითა და კეცის შეფერილობით იმეორებდა ჩაქვის ჩაისუბნის ნიმუშებს. დაღრმავების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ორნამენტის მოტივებიც ჩაისუბნის ქვევრის ანალოგიური იყო. ამიტომ

გადაწყდა, გვეწარმოებინა არქეოლოგიური გათხრები, როგორც ბრინჯაოს მეტალურგიის ისე, ადრე შუა საუკუნეების ნაშთების შესწავლის მიზნით (ექსპედიციის შემადგენლობა: ა. კახიძე - ექსპედიციის ხელმძღვანელი, ა. ჯაველიძე - მხატვარ-არქიტექტორი, თ. შალიკაძე - მეცნიერ-თანამშრომელი, მ. ნაგერვაძე - მეცნიერ-თანამშრომელი, უზუნაძე-ფოტოგრაფი, ი. ხინკილაძე - ლაბორანტი, ს.ბერიძე - რესტავრატორი).

სოფელი კაპნისთავი მდებარეობს ქ. ბათუმიდან 22 კმ-ის სიშორეზე. ზღვის დონიდან 321 მ-ზე. თვით ტოპონიმი კაპნის - აღმოსავლურია და ნიშნავს დაქანებულ ციცაბო ადგილს. მართლაც სოფელი მდ. აჭარისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, სამანქანო გზიდან 2კმ-ის სიმაღლეზეა (ტაბ. I).

აჭარისწყლის საკრებულოში კაპნისთავის გარდა გაერთიანებულია სოფელი მირვეთი, ზედა და ქვედა მაღლაკონი, ხერთვისი, ცისკარაძეები, კიბე, ქეციქედი და ა.შ. მდინარე ყურღელეს მარჯვენა შენაკადი ერთვის აჭარისწყალს. სოფლის ზემოთ მდებარეობს ადგილი საისრე, ტყეები საიდანაც შესაძლებელია გადასვლა ნაბაკვარში, ნაბაკვარიდან კი ჯოჭოში, მდინარის გაყოლებაზე _ დოლოგანში (ადგილი ჭინკაძეები). სოფელი გზით უკავშირდებოდა ხე-ყრუ ახალშენსა და მტირალას. საისრესთან ახლოს მდებარეობს ბაძგარვაკე. კახიძეების ზემოთ, უფრო დაბლა კოისძირი, აქ ჩაის პლანტაციები იყო გაშენებული. დამრეც ადგილებს სამგლეს უწოდებენ, არის ტოპონიმი საქორიო ბოლო. საკვლევი ობიექტიდან მოჩანს ხერთვისის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთი, გაგრძელებაზე კი, მაღლაკონის ნაწილი და შავშათის ქედის თოვლიანი წვერი.

თავდაპირველად, დავიწყეთ ადრე შუა საუკუნეების ნამოსახ-

ლარის ნაშთების შესწავლა. ქვევრების უბანზე აიგეგმა 16 მ სიგრძისა და 8 მ სიგანის თხრილი. ის დამხობილია აღმოსავლეთიდან - დასავლეთისკენ (ტაბ. III/1). NO სექტორში ექცეოდა 1, 11 კვადრატები (ზომა 4X4მ), ასევე NW სექტორში - 1, 11 კვადრატები, SO და SWსექტორებშიც - 1, 11 კვადრატები. წესისამებრ, თავდაპირველად მთელ ტერიტორიაზე მოიხსნა ზედა ჰუმუსოვანი ფენა. NO და NW სექტორების ოთხივე კვადრატში ჰუმუსის სისქე 20-30 სმ-ს შორის მერყეობდა (ტაბ. III/2). NW I კვადრატში გამოჩნდა მეორე ქვევრის საკმაოდ დაზიანებული პირის ფრაგმენტები (ტაბ. III/1). პარალელურად ჰუმუსოვან ფენას ვიღებდით SO სექტორის ცალკეულ კვადრატებში, XI კვადრატში გამოჩნდა მესამე ქვევრის პირი (ტაბ. IV/2). რაც განსაკუთრებით საყურადღებოა თხრილის სამხრეთ მონაკვეთის SO და SWსექტორებში, 8 მ სიგრძეზე და 4,5 მ სიგანეზე მიუყვება ნაგებობის საძირკვლის ნაშთები, რომელიც შექმნილია სხვადასხვა ზომის მშრალი ქვის წყობით (ტაბ. IV/2;V/1; VI/1). ჰუმუსოვანი ფენის აღებისას ბევრ ადგილას, განსაკუთრებით თხრილის სამხრეთ მონაკვეთზე ჩნდებოდა ქვის წყობის ნაშთები. ქვის წყობა, როგორც ჩანს საცხოვრებელი ნაგებობის იატაკის გამაგრების მიზნით შექმნეს (ტაბ. V/1). საველე სამუშაოებისას SWსექტორის XI კვადრატში

მეოთხე ქვევრის ნაშთებიც გამოვლინდა (ტაბ. IV/1). იშვიათად გვხდებოდა სხვა ჭურჭლის ნატეხებიც, **მათ შორის, დაფიქსირებულია დერგის პირის, დოქის, ჯამისა და კეცის ფრაგმენტები. არის ღია მწვანედ მოჭიქული ჭურჭლის კედლის მცირე ფრაგმენტიც.**

ჰუმუსოვან ფენას მოსდევს მოყვითალო ფერის ხრეშიანი ფენა, ზოგ ადგილას შერეულია ქვის მოზრდილი ნატეხები. SO სექტორის 1 კვადრატში ამ დონიდან გამოჩნდა მეხუთე ქვევრის პირი. აშკარაა, რომ ნამოსახლარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილი გამოყენებულია მარნისთვის, სწორედ აქ არის ჩაშვებული ქვევრები ერთ რიგად, გარკვეული სისტემის მიხედვით (ტაბ. IV; V). ერთი ქვევრი (IV) გაიწმინდა მარნის გარეთ. იგი მთლიანად ქვის გროვაში იყო ჩადგმული (ტაბ. IV/1). გათხრების პროცესში გამოიკვეთა ძეგლისთვის დამახასიათებელი მეთოდიკაც. ბარისპირის მეთოდით მუშაობა ჰუმუსის აღების შემდეგ აღარ შეიძლებოდა. სტრატიგრაფიულად განსხვავებულ დონეზეა მოქცეული ზემოთ აღნიშნული საძირკვლის ნაშთები. სარდაფის დონეზე უნდა იყოს განლაგებული იატაკის გასამაგრებლად დალაგებული ქვის წყობის ფრაგმენტები, ზომები: 6,5 X 1 მ (ტაბ. VI/2). ბუნებრივია, საკმაოდ ღრმად არის ჩაშვებული ქვევრები. საველე სამუშაოები ვაწარმოვეთ ცალკეული კვადრატების მიხ-

ედვით თოხის პირისა და საპრეპარაციო იარაღების გამოყენებით. კარგად იკითხება გრუნტში ჩაჭრილი ქვევრის კონტურები, მათი მომცველი სივრცეები წყლის ადვილად გამტარი ხრეშოვანი შრითაა შევსებული. თხრილში ქვევრების რაოდენობამ 11 მიაღწია (ტაბ. V; VIII/1).

კაპნისთავის საღვინე ქვევრები ორი სახისაა: I, VI, X და XI ადრეულია (ტაბ. VIII; IX; XI/6; XIII/2; XIV), აქვს მოვარდისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი მინარევიანი კეცი, პირი _ სამკუთხა-

განივკვეთიანია, ფართო ყელი ტანისგან არ არის გამოყოფილი, ტანის ზედა ნახევარი ვიწროა, ქვედა - ნახევარსფეროსებურად მომრგვალებული, ძირი დისკოიდური. ყელის დასაწყისს შემოუყვება დიდი ზომის, ერთმანეთთან დაკავშირებული ჭდეების ჰორიზონტალური ზოლი. ყელის დანარჩენი ნაწილი და კორპუსის ზედა შევიწროებული მონაკვეთი დაფარულია მჭიდროდ განლაგებული ჰორიზონტალური ღარებით (ტაბ. IX/1). როგორც აღვნიშნეთ, ისინი მსგავსია 2012 წელს ჩაქვის ჩაისუბანში მოპოვებული ქვევრისა, რომელიც წინასწარულად გვიან რომაული - ადრე ბიზანტიური ხანით თარიღდება (კახიძე, სურმანიძე, 2013:228, ტაბ. XXI/1,2). საქართველოში მსგავსი ქვევრები ადრე უცნობი იყო. 2013 წლის ინფორმაციით მსგავსი ქვევრის ფრაგმენტები აღმოჩნდა სოფ. სარფში, ოღონდ ის მოგვიანო პერიოდის უნდა იყოს,

რადგან კაპნისთავის ქვევრების მსგავსად, ტანი კირხსნარით აქვს დაფარული (კახიძე, სურმანიძე, 2013:228). ანალოგიური ქვევრები დაცულია ტრაპიზონის აია სოფიას ტაძრის შესასვლელთან, ტრაპიზონისა და რიზეს მუზეუმებში (კახიძე, სურმანიძე, 2013:228-229, ტაბ. XXVII\1, 2; XXVIII\1).

დანარჩენი _ II, IV, V, VII, VIII და IX ადგილობრივი ქვევრები ყავისფერკეციანია (ტაბ. II/2; IV/2). აქვს ოთხკუთხაგანივკვეთიანი დაბრტყელებული პირი, გამოყვანილი ყელი, სფეროსებრი ტანი და დისკოიდური ძირი. მთელი ტანი დაფარულია სიმეტრიულად დაშორებული ზოლებით (ტაბ. IX/2; X; XII; XIII/1). ისინი ჰორიზონტალურად შემკული ქვევრების კლასს განეკუთვნება. ქვევრები ხანგრძლივი გამოყენების შემდეგ კირხსნარით დაუფარავთ და ზოგიერთი მათგანი ორმაგ ქვევრად უქცევიათ (ტაბ. V/1; XII/2). ერთი ქვევრი კი, სამმაგია. არ არის გამორიცხული, რომ მარანში ქვევრები სანახევროდ იყო ჩადგმული. ბუნებრივია, კირხსნარით დაფარულია მეორე ნახევარი. ხოლო ყველა ორნამენტირებული ზედა ნახევარი ხილვადია (ტაბ. VII/2; VIII).

მსგავსი ქვევრები გავრცელებულია გვიან ანტიკური ხანიდან დღემდე, საინტერესოა ურბნისის მარნის ქვევრები (ბოხოჩაძე, 1963:140, 147; ტაბ. IV/3, სურ. 3. იქვე სხვა ლიტ-რა), ასევე უფლისციხის განვითარებული და გვიანდელი შუა საუკუნეებით

დათარიღებული, რელიეფური სარტყლით შემკული ქვევრები (მინდორაშვილი, 2008:33, ტაბ. X/4).

როგორც ცნობილია, ადრე ფეოდალური ხანისთვის ქვევრის ფორმები საბოლოოდ დაიხვეწა: პირი გაფართოვდა, გვირგვინი ბრტყელი გახდა, ცილინდრული მოყვანილობის ყელი უკვე შედარებით დაბალია, მხრები და მუცელი ზომიერად გამობერილია, ძირი ბრტყელია, ტანი დაფარულია სადა ან დაკბილული სარტყლით (ბოხოჩაძე, 1963:140). გადმოცემის მიხედვით, ქვევრის ამოყვანისას ორი ფენის შეერთების (ძველისა და ახლის) ადგილას სარტყელი კეთდებოდა. იგი სადა, დაკბილული ან გრეხილი ყოფილა. მისი დანიშნულება შეერთებული ადგილების გამაგრება, და კირხსნარის უფრო მტკიცედ დაჭერა იყო.

ქვევრების დუღაბით დაკირვა შუა ფეოდალური ხანიდან დასტურდება. ამისთვის იყენებდნენ კირხსნარს, რიყისა და ქვიშაქვის ნატეხებს, ზოგ შემთხვევაში, ქვევრისა და ჭურჭლის ნატეხებსაც. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქვევრების დაკირვა მთელ სა-

ქართველოში დაწყებულია ერთბაშად, ამის მიზეზი კი, ბუნების სტიქიური მოვლენები ყოფილა (ქვევრების მთავარი „მტერი“). დამანგრეველი მიწისძვრა საქართველოში სავარაუდოა XI ს-ის 80-იანი წლების მიწურულიდან (1080-1089), რის შედეგადაც დასკდა ქვევრები, რამაც თავისთავად განაპირობა დაზიანებული ქვევრების შეკეთების მცდელობა და ამ მიზნით მათი დაკირვა. როგორც ჩანს, ქვევრების დაკირვა წესად იქცა და არა მარტო გაბზარულ, არამედ ახალშეძენილ, მთლიან ქვევრებსაც კირავდნენ, რათა თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი საფრთხე (ბოხოჩაძე, 1963:14-142, სურ. 3).

როგორც აღვნიშნეთ, ნამოსახლარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილი გამოყენებულია მარნისთვის. ჩანს, რომ საქმე გვაქვს საცხოვრებელ ნაგებობასთან გამართულ მარანთან (ტაბ.V/1, 2). ეთნოგრაფიული მონაცემებისა და არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებულ მასალათა საფუძველზე დგინდება, რომ მარნის ტიპების საწყისი ფორმა ერთნაირი უნდა ყოფილიყო, როგორც აღმოსავლეთ ისე, დასავლეთ საქართველოსთვის, ანუ იყო დახურული „საღვინე სახლები“ და ღია ცის ქვეშ ჩაყრილი ქვევრები. მარნის მშენებლობისას ღვინის შესანახად და მისი ხარისხის დიდხანს შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო შესაბამისი ნიადაგ-გრუნტის ამორჩევა. აღმოსავლეთ საქართველოში მარანი ქვის ნაგებობაა, დასავლეთში კი - ხის (თოფურია, 1968:29-30).

აჭარაში გვხდება, როგორც დახურული ისე, ღია ტიპის მარნები. ღია ტიპის ადრეული მარნები ვაშნარსა (ბოხოჩაძე, 1963:175) და ციხისძირის გარექალაქის ტერიტორიაზეა (მამულაძე, 1993:157). იგივე სურათი ფიქსირდება ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტის შემთხვევით აღმოჩენილ ღია ტიპის მარნებზე (მამულაძე, 1993:156). ცალკე უნდა გამოიყოს საეკლესიო კო-

მპლექსებში მოქცეული თხილვანისა და სხალთის მარნებიც (მამულაძე, 1993:156).

დახურული მარნებიდან ცალკე გამოიყოფა სასიმაგრო ნაგებობების ტერიტორიაზე აღმოჩენილი მარნები: ტაკიძეები, ციხისყელის, დარჩიძეების კავიანის, ხიხანის ციხის თუ სხვა (მამულაძე, 1993:156; მინდორაშვილი, 2015:142, ტაბ. XXXI/4, 6, 7). დახურული ტიპის მარნები გვხვდება სოფ. ჩხუტუნეთშიც (კახიძე, 1974:44-46).

საინტერესოა კაპნისთავის მარნის ქვევრებიდან ამოღებული ნიადაგის ნიმუშების პალეობოტანიკური კვლევის პირველადი იდენტიფიკაციის შედეგები (რომელიც წარმოადგინა ეროვნული მუზეუმის თანამშრომელმა ქ-ნ ნ. რუსიშვილმა). მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მასალა არ არის კარბონიზირებული და სავარაუდოდ შესაძლებელი იქნება დნმ-ის ანალიზის შედეგების დადგენა. პირველადი დათვალიერების მიხედვით, სხვადასხვა ქვევრში დაფიქსირებული წიპწები მსგავსია და, სავარაუდოდ, ერთი ჯიშის ვაზს მიეკუთვნება.

აკად. ივ.ჯავახიშვილი წერს, რომ აჭარაში ვაზის 14 შავი და 12 თეთრი ჯიში არსებობდა. ყველა მათგანი მაღლარი ვენახის სახით არის წარმოდგენილი (ჯავახიშვილი, 1934:462-467). პროფ. მ.რამიშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ ვაზის სოკოვანმა დაავადებამ (ნაცარი, ჭრაქი), შემდეგ კი ფილოქსერას შემოჭრამ აქ მევენახეობა თითქმის გაანადგურა, მაინც აღწერა 40-მდე ადგილობრივი ჯიშის ვაზი (რამიშვილი, 1948:2). აკად. ნ.კეცხოველი კი 52 ჯიშს აღწერს. ამჟამად ფიქსირებულია 80-მდე ადგილობრივი ვაზის ჯიში (ბერიძე, 1975:25).

კაპნისთავის მარნის შესწავლა ჯერ არ დასრულებულა. მომავალი არქეოლოგიური აღმოჩენებით კიდევ მეტ სიახლეს ველით.

ლიტერატურა

ბერიძე კ. *მევენახეობა და მისი განვითარების პერსპექტივები აჭარაში, ბათუმი, 1975.*

ბოხოჩაძე ა. *მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბილისი, 1963.*

თოფურია ნ. *ქართული მარანი - ძეგლის მეგობარი, კრებული მე-16, თბილისი, 1968 გვ. 29-34.*

კახიძე ნ. *მაჭახელას ხეობა, ბათუმი, 1974.*

კახიძე ა., სურმანიძე ნ. *სოფელ ჩაისუბნის „შუამთის“ გორა ნამოსახლარის არქეოლოგიური დაზვერვების შედეგები - კრებული „აჭარა წარსული და თანამედროვეობა“ I, ბათუმი, 2013, გვ. 222-264.*

მამულაძე შ. *აჭარისწყლის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993.*

მინდორაშვილი დ. *უფლისციხე შუა საუკუნეებში, თბილისი 2008.*

მინდორაშვილი დ. *ხიხანის ციხეზე 2013 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში -კრებული „აჭარა წარსული და თანამედროვეობა“ II, ბათუმი, 2015, გვ. 132-183.*

რამიშვილი მ. *გურიის, სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები, თბილისი, 1948.*

ჯავახიშვილი ი. *ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბილისი, 1967.*

NEW ARCHAEOLOGICAL DISCOVERIES IN VILLAGE KAPNISTAVI

Kakhidze, T. Shalikadze, M. Nagervadze

In 2015 in village Kapnistavi of Khelvachauri Municipality field works started. Field works on new monument was based on the fact, that in previous year, new discoveries , which were related to oldest Bronze era metallurgy, were mentioned in discussion of Adjara Historical works organized by Khelvachauriassembly. Mister Aslan Kakhidze the (head of assembly) said that, similar remains existed in Village of Kapnistavi, namely in river Kurghele. Verification of this information became possible in this Spring. Informationwas confirmed.

New, very important monument had been added to aspect of field and scientific works of Batumi Archaeological Museum. We received information, that there is pitcher on the land of KhasanKakhidze, which has the valve of the Stone. We verified this information too and found the huge valve of the pitcher and he head of the pitcher (Tab. II/1, 2). During clearing head of the pitcher it was found that the pitcher was similar to the pitcher sample of the CakviChaisubani. After observations it had been found out that the ornaments of the pitcher were also similar to the pitcher of the Chaisubani. So it had been decided to make archaeological excavations in order to study metallurgy of Bronze Age, as well as, samples of the early middle centuries. (members of the excavation – A. Kakhidze – head of the expedition, A. Javelidze – Painter and Architect, T. Shalikadze – college scientist, M. Nagervadze - college scientist, Uzunadze - photographer, m I. Khinkladze – Laborant, S. Beridze - Restorer).

Village Kapnistavi is located in 22 kilometers from from Batumi, on 321 m above sea level. ToponymKapnis- is eastern and means downhill place. It is real that village on the right bank of the river Adjaristskali, is located on the height of 2 kilometers from the road. (Tab. 1)

Apart from Kapnistavi in assembly of Adjaristskali is Mirveti, upper and lower Maghalakoni, Khertvisi, Tsiskaradzeebi, Kibe, Ketsikediand etc. Right tributary of the river Kurghele joins river Adjaristskali. In the upper part of the village Saisre is located, there is forestry which makes it possible to go to Nabakvari, and from Nabakvari to Jocho., along the river – In Dologani (place Tchinkadzeebi). Village is connected to Akhalsheni and Mtirala with the road. Nearby the Saisre there is Badzgarvake. Above the KAkhidzeebi, a bite lower of Koisdziri, where there were Tea plantations. Sloping places are calledSamgle, there is ToponymSaqorio. From the place of study south eastern part of Khertvisi can be seen, and also part of the Maghalkoni and snowy top of the mountain ringe of Shavshati.

At first, we started studies of remains of abandoned settlements of early middle centuries. Sitch with length of 16 m and width of 8 m.-s was made at the area of the pitchers..it is made from eastern part to westertern part (Tab. III/1). 1, 11 squares were located in NO sector (size 4x4 m) as well as in NW sector – 1, 11 squares, in SO and SW sectors - 1, 11 squares. As usual, at first upper humus layer is being cleaned. The width of humus in all four squares of NO and NW sector is in-between 20-30 cms. (Tab III/2). In NW I square damaged fragment of the second pitcher was found (Tab III / 1). We were clearing huuslayere at the same time in setor SO, the head of the third pitcher was discovered in XI square (Tab. IV / 2)/ it is very important, that in the southern part of the sitch in SO and SW sectors, on the length of 8 m and width of 4.5 m there are remains of the structure, which is made of dry stones of various sizes (Ta IV /2 ; V / 1; VI / 1). During clearing the humus layer stone laying were seen in many places especially on the southern part of the sitch, as it seems it was made for floor of the residential house (Tab. V / 1). During field works the remains of the fourth pitcher were found in XI square of SW sector (Tab. IV / 1). Other vessel remains were very rear. **Remains of jug, ketsi (earthenware frying-pan to**

bake maize-flour), and basin were found in square. There also are small fragments of the wall of the vessel painted in green.

After humus layer there is yellow coloured gravel layer, in some places it is mixed with larger stone. in first square of SO sector the fifth head of pitcher was discovered. It is obvious that, in north – eastern part of the abandoned settlement was used for pitchers, because in this place there are pitchers placed in a row, according to some system (Tab. IV; V). one pitcher (IV) was cleaned away from the Marani (location for storing wine in special pitchers). It was placed in the stones (Tab. IV / 1). During the excavations the method characterizing this monument. Using Barispiri method for working on humus layer was not possible after taking off humus layer. Remains of the bottom foundation are stratigraphically on a different level. Fragments of stone laying are located for consolidation of the foundation, with dimensions: 6.5 x 1 m (Tab. VI / 2). It is natural, that pitchers are really deep in the ground. Field works were conducted according particular squares using maltocks and special tools. Contours of the pitchers can be seen clearly, their inside is filled with small stones. Number of the pitches in the sitch was 11. (Tab. V; VIII / 1)

Pitchis of Kapnistavi are of two tyoe : I, VI, X and XI are really old (Tab. VIII; IX; XI / 6 XIII / 2; XIV), they have pinkish brownish ketsim head is triangle shaped, the wide neck is not isolated from the body, the upper part of the body is narrow, the lower part is circled in hemisphere shape, the bottom is disco shaped. Horizontal line of notches goes around the neck. Remaining part of the neck and upper narrow part of the body is covered with dense grooves (Tab. IX / 1). As we mentioned, they are similar to pitches found in ChakviChaisubani in 2012, which is dated back to late Romanian – early Byzantium era (Kakhidze, Surmanidze, 2013:228, Tab XXI / 1, 2). These kind of pitches were unknown to Georgia before. According to information of 2013 fragments of similar pitches were found in village of Sarpi, but they were of later period, because like pitches of Kapnistavi, their body is covered with lime (Kakhidze, Surmanidze, 2013:228,). Analogic pitchers are preserving in

Trabzon at the gates of Aya Sophia Temple, in museum of Trabzon and Rize (Kakhidze, Surmanidze, 2013:228, Tab XXVII / 1, 2 ; XXVIII / 1).

Other – II, III, IV, V, VII, VIII and IX local pitchers have brown colour (Tab. II / 2; IV / 2). They have rectangular shaped low head, curved neck, sphere shaped body and disco shaped bottom. The whole body is covered symmetrically far lines (Tab. IX / 2; X; XII; XIII / 1). They are part of Horizontally painted pitcher class. Pitchers are covered with lime after long time of use and part of them have been turned to double pitchers (Tab. V /1; XII / 2). One pitcher is even threefold. it is possible, that in Marani pitchers were placed partially. It is natural that, only second part is covered with lime. All of the ornamented upper parts can be seen (Tab. VII / 2; VIII).

Similar pitchers were popular from late antique era to today, pitchers of UrbnisiMrani (Bokhochadze, 1963 : 140, 147; Tab. IV / 3, picture 3. Other literature), as well as, developed and late middle centuries' Uflistsikhe relief belt covered pitchers (Mindorashvili, 2008 : 33, Tab. X / 4) are very interesting.

As it is known, in early feudal era forms of pitchers were sophisticated: head was widened, neck was flattened, cylinder neck was now a bit lower, arms and belly were wide, bottom was flat, body was covered with simple belt (Bochokhadze, 1963 : 140). According to legend, during making of pitchers when connecting two layers (old and new ones), at the connection part the belt was made. It was with simple, jagged or twisted. It was intended for strengthening the connected part and holding the limed part.

Liming the pitchers was popular in middle feudal era. Special solution of lime, small stones and river stones were used for this, in some cases even parts of the vessels or the pitcher itself. It has to be noted that liming pitchers started in whole Georgia at the same time, and the reason of this was natural disasters in Georgia (the main enemy of the pitchers). Damaging earthquake happened in Georgia approximately form 80s of XI century (1080 - 1089), the result of which was damage

of the pitchers, and naturally this caused liming of the damaged pitchers and fixing them. As it seems, liming the pitchers became tradition not only for damaged pitchers but also for the new pitchers too, for avoiding their further damage. (Bochokhadze, 1963: 14 -142, pic. 3)

As we mentioned, northern eastern part of the abandoned settlement was used for Marani. It seems that there was residential structure, which had Marani nearby (Tab. V / 1, 2). According to ethnographic data and materials found during archaeological excavations it is estimated, that the typical initial form of Maranis should have been the same in western as well as in eastern part of Georgia, which means there were closed "winery houses" and pitchers placed under open sky. During the building of Marani for protecting and saving wine and saving its quality for long time it was inevitable to choose corresponding soil and ground. In eastern Georgia Marani is stone made structure, and in Western Georgia it is made of wood (Topuria, 1968 : 29-30).

In Adjara, there are closed and open Maranis. Open type of Marani are found in Veshnari (Bochokhadze, 1963 :175) and TsikhisdziriGarekalaki territory (Mamuladze, 1993 : 157). The same situation is found in Kedi, Shuakhevi and Khulo Municipalities, were open Maranis were found (Mamuladze, 1993 : 156). Maranis of Tkhilvani and Skhatla of church complex have to be mentioned separately (Mamuladze, 1993 : 156).

From closed Maranis Marannis found on fortress structure territories such as: Tkidzeebi, Tsikhiskeli, DarchidzeebisKaviani, Khikhani Castle and etc. (Mamuladze, 1993 : 156; Mindorashvili, 2015 : 142, Tab XXXI / 4, 6, 7) have to be separately mentioned. Closed Maranis are also spread in village of Chkhutuneti (Kakhidze, 1974 : 44 - 46).

Results of examination and studies of the samples of the ground discovered in Kapnistavi Marani. (which was presented by worker of National Museum of Georgia miss N. Rusishvili). The fact that materials are not carbonized and DNA analysis may be conducted is very interesting. After initial observation, grape stones found in various pitchers are similar, and it is possible, that they belong to one type of vine.

Academic Iv. Javakhishviliwrote, that in Adjara there were 14 black and 12 white breads of vine. All of them were of high vineyard type (Javakhishvili1934 : 462 -457). Professor M. Ramishvili, despite the fact, that fungus disease of vine (dust, wick-lamp), and then because of appearance of phylloxera almost destroyed vinery here, there still are about 40 breads of local Vine (Ramishvili 1948 : 2). Academic N. Ketskhoveli said that there were approximately 52 breads of bine. At this moment there are about 80 local breads of vine (Beridze, 1975 : 25)Studies of Kapnistavi Marani are not over yet. We are looking forward to new discoveries as a result of future archaeological excavations and works.

Literature

***Beridze K**. viticulture and its perspective of development of Adjara, Batumi 1975*

***Bokhochadze A.** viticulture - vinery according to old Georgia's Archaeological materials, Tbilisi 1963*

***Topuria N.**Georgian Marani – Friend of Monuments, 16th collection, Tbilisi, 1968, p. 29-34*

***Kakhidze A, Surmanidze N.** results of archaeological observations of village Chaisubani "Shuamta" hill abandoned settlement - collection " Adjara's Past and Modernity" I, Batumi 2013, P. 222 – 264*

***Mamuladze Sh**. Adjaristskaligorge archaeological monuments, Batumi, 1993*

***Mindorashvili D**. Uflistsikhe in Middle Centuries, Tbilisi 2008*

***Mindorashvili D**. Khikhani Castle report of archaeological excavations conducted in 2013 - - collection " Adjara's Past and Modernity" I, Batumi 2013, P. 132 – 183*

***Ramishvili M**. Vine varieties of Guria, Samegrelo and Adjara, Tbilisi, 1948*

***Javakhishvili I**. History of Georgians, Volume Iv, Tbilisi 1967*

ყორღნული ტიპის სამარხების გავრცელებისთვის საქართველოში

ალექსანდრე ორჯონიკიძე

ყორღნების გამოჩენისა და დამკვიდრების ხანა საქართველოს უძველესი ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპია. ამ დროს დგება გარდატეხის ჟამი ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურის განვითარებაში - ტრადიციულად სამხრეთზე ორიენტირებული, ძველაღმოსავლური ცივილიზაციის პერიფერიად მიჩნეული საქართველო

ამიერიდან, გარკვეული პერიოდით, ევროპულ კულტურათა ორბიტაში ექცევა. სუსტდება კავშირი სამხრეთთან, კრიზისს განიცდის ადგილობრივი მტკვარ-არაქსული კულტურა და მტკიცედ იკიდებს ფეხს ჩრდილოეთ ზონისთვის დამახასიათებელი სამარხის ტიპი - ყორღანი, ვრცელდება ამ ზონის მატერიალური კულტურის ელემენტები [ჯაფარიძე 1998: 5].

ყორღანი - ხელოვნური ქვა-მიწაყრილის ქვეშ მოქცეული სამარხი, სამხრეთ კავკასიაში მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში

ფართოდ იყო გავრცელებული. ის, როგორც სამარხის ტიპი, უნდა წარმოქმნილიყო გაშლილ ადგილას, სტეპში, სადაც სამარხის თავზე ამოზიდული ხელოვნური ყრილი ადვილად გასარჩევი იქნებოდა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ყორღანი პირველად კავკასიის ჩრდილოეთით გავრცელებული, ე.წ. ძველი ორმოსამარხების კულტურის წიაღში წარმოიშვა, ქ.წ. IV ათასწლეულის დასასრულიდან კი მან ჩრდილოეთ კავკასიაშიც მოიკიდა ფეხი და დამახასიათებელი შეიქნა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთისა და კავკასიისთვის [ჯაფარიძე 1998:168]. რამდენადმე მოგვიანებით, სამარხის ამ ტიპმა საქართველომდეც მოაღწია და ძირითადად მისი აღმოსავლეთ ნაწილი დაიკავა, ანუ ტერიტორია, სადაც მანამდე ყორღნული სამარხი თითქმის უცნობი იყო. აქ იგი ძირითადად მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლო პერიოდში გაჩნდა, ე.წ. ადრეული ყორღნების სახით [ჯაფარიძე 2006: 309].1

საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ადრეულ ყორღნებს შორის გამოირჩევა სხვადასხვა ტიპის ყორღნები: 1. ორმოში გამართული, ხის ძელებით ნაგები დასაკრძალავი კამერით; 2. ქვის დრომოსიანი ნაგებობით; 3. ხის ძელებით გადახურული უბრალო ორმოთი; 4. მიწისპირზე ნაგები ხის ან ქვის სამარხი კამერითა და სხვ. ხელოვნური ქვა-მიწაყრილით ხშირად ქვით ნაგები აკლდამები და დოლმენებია დაფარული. ზოგჯერ ყორღანს ძირში შემოუყვება ქვის წრე-კრომლეხი. აქ აღინიშნება, როგორც ინდივიდუალური ისე, წყვილადი და კოლექტიური დაკრძალვის წესი. არის კრემაციული სამარხებიც [Mindiashvili 2012: 71-89]. ყორღნები ერთმანეთისგან ზომითაც განსხვავდება. ზოგიერთი გრანდიოზულია, მდიდრული სამარხული ინვენტარის შემცველი, ზოგი კი იმდენად ღარიბულ ინვენტარს შეიცავს, რომ აშკარა შეუსაბამობა იკვეთება სამარხის აგებაზე დახარჯულ შრომასა და მიცვალებულისთვის ჩატანებულ

1კახეთისა და თრიალეთის აღმოჩენების საფუძველზე ყორღნის ტიპის სამარხის გამოჩენას ზოგიერთი მკვლევარი უკვე ადრემტკვარ-არაქსული დროიდან ვარაუდობს [Дедабришвили 1979: 59; შანშაშვილი 2010:147], ხოლო შიდა ქართლში, იორამისგორაზე გათხრილ ყორღანში კიდევ უფრო ადრეული — ხალკოლითური ხანის ნიშნებს ამჩნევს [აკჰარადზე 2008: 67]

ნივთებს შორის. ხშირია ადრეულ ხანაშივე გაძარცული ყორღნებიც. მათ გაძარცულობაზე მიუთითებს ყორღნების ყრილში არსებული ჩასაძრომი ხვრელები. სამარხებში გვხვდება ოქროსა და ვერცხლის სამკაულები; ბრინჯაოს იარაღები - ცულები, სატევრის პირები, სატეხები; ქვის, პასტისა და ლითონის მძივ-სამკაულები, ქვისა და ძვლის ისრის პირები და სხვ. ზოგჯერ ყორღნის კამერაში ჩადგმულია ხის დასაკრძალავი ოთხთვალა ეტლი ან მისი ნაწილები, უმთავრესად - თვლები და სარეცელი; არის სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების თიხის ჭურჭელი, მარცვლეულისა და ხილის ნაშთები და სხვ.

მეცნიერები ადრეული ყორღნების ორ ჯგუფს გამოყოფენ - მარტყოფულსა და ბედენურს. აღნიშნავენ ამ ჯგუფების ყორღნებს შორის მსგავსებასა და განსხვავებას. მსგავსია - დაკრძალვის წესი; განსხვავებულია - კულტურათა ხასიათი. მარტყოფული ყორღნები, თავდაპირველად, ინვენტარის ერთგვაროვნებითა და სიღარიბით ხასიათდება. სამარხეული ინვენტარის მიუხედავად, კარგად ჩანს რომ ყორღანში სოციალურად დაწინაურებული პიროვნება იყო დაკრძალული, რომელიც ქონებრივად ჯერ კიდევ არ იყო გამორჩეული. რამდენადმე მოგვიანებით მდგომარეობა იცვლება - ჩნდება ამავე ჯგუფის უკვე მდიდრული ყორღნები [ჯაფარიძე 2006: 314-316]. მარტყოფულ ყორღნებში სამარხეული კამერა ხშირად მიწისპირზე



ნაგები ხის კონსტრუქციაა. არის ქვით ნაშენი სამარხებიც. პარალელურად გვხვდება ორმოში გამართული დასაკრძალავი კამერაც. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი სამარხის უფრო გავრცელებული ტიპი უნდა იყოს.

მარტყოფული ყორღნებისთვის დამახასიათებელია მსხლისებრი ფორმის ჭურჭელი, შემკული ჭრილითა და ნაკაწრი გეომეტრიული სახეებით. გვხვდება ფრინველის სტილიზებული გამოსახულებაც. ეს კერამიკა გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს გვიანდელ მტკვარ-არაქსულ ჭურჭელთან, როგორც ფორმით ისე, ორნამენტის ხასიათით, რადგან, სავარაუდოდ, მის ტრადიციებზეა აღმოცენებული [Куфтин 1941: 104; ჯაფარიძე 1998: 71].

მსხლისებრი ფორმის გარდა გვხვდება ბიკონუსური და კვერცხისებრი მოყვანილობის ჭურჭელიც. შიდა ქართლში გავრცელებულია ამ ტიპის მხოლოდ მსხლისებრი ფორმის კერამიკა [საქართველოს არქეოლოგია 1992: 127]. მესხეთშიც შიდა ქართლის მსგავსი მდგომარეობა იკვეთება - აკოდიანსა და ფარავანზე გათხრილი ყორღნებიც მათ მსგავს თიხის ჭურჭელს შეიცავს. ასეთივე ჭურჭელია გამოვლენილი კახეთშიც, თუმცა იშვიათად. დალისმთისველის #1 ყორღნის ჭურჭელი სრულად იმეორებს შიდა ქართლისა და მესხეთის ხელადების ფორმას [ორჯონიკიძე 2015: 11].

ქონებრივი უთანასწორობის პროცესის გაღრმავებასთან ერთად, ჩნდება იმავე ჯგუფის, მდიდრული სამარხეული ინვენტარის შემცველი გრანდიოზული ყორღნებიც, გამართული სოციალურად დაწინაურებულ პირთათვის. მნიშვნელოვნად წინაურდება მეტალურგია, თავს იჩენს ბრინჯაოსგან დამზადებული იარაღის სხვადასხვა ტიპი; ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს სამკაული, აგრეთვე, ჩრდილოეთ კავკასიისა და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის სამარხებისთვის დამახასიათებელი ცხოველების კბილებისა და ეშვების საკიდები, რომლებიც უცნობია აღმოსავლეთ ამიერკავკასიისთვის [ჯაფარიძე 2003: 136-143].

მარტყოფული ყორღნებისთვის ქვის ისრისპირები დამახასიათებელი არ არის. სამაგიეროდ, ფართოდ არის წარმოდგენილი ბრინჯაოს პირამიდულთავიანი ისრისპირები, უცნობი, როგორც წინარე ისე, მომდევნო - თრიალეთის კულტურებისთვის [ჯაფარიძე 1998: 82]. ისინი ბედენურ კომპლექსებშიც ვლინდება, თუმცა, იშვიათად. ეს იარაღი უფრო მეტად დამახასიათებელია მარტყოფის ჯგუფისთვის. მრავლად არის წარმოდგენილი ქვის, პასტისა და ქარვის სხვადასხვა ფორმის მძივები და სამკუთხა საკიდები. სამკუთხა საკიდები კარგად არის ცნობილი მტკვარ-არაქსული სამარხებიდანაც.

როგორც ჩანს, მარტყოფული და ბედენური ყორღნები, ერთდროულად გაჩნდა მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ ეტაპზე და გარკვეული პერიოდის განმავლობაში თანაარსებობდა მასთან. ორივე ჯგუფი გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს დაახლოებით ერთსა და იმავე ტერიტორიაზე (როგორც მთაში ისე, ბარში). თუმცა, ზოგიერთ ადგილას ბედენური ყორღნები უფრო მეტად არის დამკვიდრებული. ბედენის პლატოზე, ძირითადად, ამ ჯგუფის ყორღნებია გამოვლენილი. ბედენურ ჯგუფშიც მიცვალებულებს ყორღნებში კრძალავდნენ, შეინიშნება განსხვავება: ბედენური ყორღნები, ძირითადად, ორმოშია გამართული. აქ მიცვალებულებს ხშირად ხის სარეცელზე ასაფლავებდნენ და ოთხთვალა ეტლს ატანდნენ. ზოგჯერ სამარხ ორმოში გამოვლენილია ვერტიკალურად ჩადგმული ხის მორებისგან შეკრული კამერა. ამგვარი კამერით ის მსგავსებას ამჟღავნებს ჩრდილოეთ კავკასიაში, დაღესტანში - უტამიშთან გამოვლენილ ყორღანთან და ძველი ორმოსამარხების კულტურასთან, რომლისთვისაც დამახასიათებელია ვერტიკალურად ჩადგმული ხის ძელებით შემაგრებული ორმოს კედლები. ჩრდილოეთის კიდევ უფრო ფართო რეგიონში - აზოვისპირეთში, შავი ზღვისპირა სტეპურ ზოლში,

ვოლგისპირეთში, კავკასიისპირეთში გათხრილ ყორღნებში დადასტურებულია მიცვალებულის დაკრძალვა ეტლთან ერთად (ბედენის მსგავსად). ეს განსაკუთრებით ყუბანისპირეთში, ნოვოტიტაროვკის ყორღნებში შეინიშნება, ანუ იქ, სადაც თითქმის ყველა სამარხში დაფიქსირებულია ეტლის ნაკვალევი. ბედენური ყორღნის სამარხ კამერაში ან მთლიანი ეტლია ჩატანებული, ან ეტლის რომელიმე ნაწილი, ძირითადად ბორბალი. ზოგჯერ ურმის მხოლოდ კვალია შემორჩენილი. ეტლების კონსტრუქცია გამორიცხავს მათ პრაქტიკულ დანიშნულებას. იგი უფრო მიცვალებულისთვის ჩასატანებლად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი [ჯაფარიძე 1998: 99].

საიდან გავრცელდა ეტლი, საბოლოოდ დადგენილი არ არის. მეცნიერები ვარაუდობდნენ, რომ ოთხთვალა ეტლი ერთი ცენტრიდან - ძველი აღმოსავლეთიდან მომდინარეობს [Чайлд 1956: 358]. თუმცა, საკმაოდ ადრეული ხანიდან ჩნდება ის აღმოსავლეთ ევროპაშიც, სადაც მიცვალებულთან ეტლის ჩატანების მრავალი შემთხვევაა გამოვლენილი. მკვლევართა აზრით, აღმოსავლეთ ევროპაში ეტლის გავრცელების ერთ-ერთი გზა წინა აზიიდან კავკასიაზე გადიოდა. თუმცა, არც კასპიის ზღვის აღმოსავლეთ მხარე, შუა აზია ამ თვალსაზრისით ყურადღების მიღმა არ არის დარჩენილი. არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც - ეტლის შუა



ევროპიდან სამხრეთ რუსეთის სტეპების, ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის გავლით, წინა აზიაში გავრცელების თაობაზე [Резепкин 2012: 114]. ფაქტია, რომ ეტლთან ერთად მიცვალებულის დაკრძალვის წესი სამხრეთ რუსეთის სტეპურ ზოლში და უფრო სამხრეთით მიმდებარე მხარეშიც, კავკასიაზე რამდენამდე ადრე ვრცელდება Гей 2000]. აღსანიშნავია, რომ ბედენისა და ჩრდილოური კულტურების ყორღანთა ინვენტარის შემადგენლობაც ხშირად ერთმანეთთან საკმაოდ ახლოა [ჯაფარიძე 1998: 105]. ეჭვგარეშეა - ყორღანი ჩრდილოური მოვლენაა. საფიქრებელია, რომ სამხრეთ კავკასიაში ყორღნულ სამარხში მიცვალებულის ეტლთან ერთად დაკრძალვის წესიც ჩრდილოეთიდან მომდინარეობს, სადაც ეს წესი საკმაოდ ადრე ვლინდება. საქართველოს სამხრეთიდან უშუალოდ მოსაზღვრე რეგიონებში ხის ოთხთვალა ეტლი აღმოჩენილი არ არის. საგულისხმოა, რომ სამხრეთ კავკასიაში, ყორღნებში იმთავითვე ხის ოთხთვალა ეტლი გავრცელდა. კავკასიის ჩრდილოეთით აღმოჩენილი ხის ყველა ეტლი ოთხთვალაა. წინარე - მტკვარ-არაქსის კუ-

ლტურაში ხის ოთხთვალა ეტლი უცნობია, რთული რელიეფის გამო საქართველოში, ყოფით მეურნეობაში უფრო ხის ორთვალა ურემი უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ამგვარი ურემი აქ დღემდე გამოიყენება, ხოლო ოთხთვალა ეტლის მოხმარება ქართულ ისტორიულ სინამდვილეში არ დასტურდება [მირცხულავა 2011: 109]. ოთხთვალა ეტლს იყენებდნენ მხოლოდ დაკრძალვის ცერემონიალისთვის, რომლის ტრადიცია უცხო კულტურას - ბედენს უკავშირდება. რამდენადაც ეს ტრადიცია მყარად იყო ფეხმოკიდებული სამხრეთ რუსეთის სტეპების კულტურებში, ბედენის კულტურაც აგრძელებს ამ ტრადიციას [ჯაფარიძე 2006: 337; მირცხულავა 2011: 113]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამკვიდრებული მოსაზრება ოთხთვალა ეტლის მხოლოდ ბედენის კულტურის კუთვნილების თაობაზე, როგორც ჩანს, გადასახედია, რადგან მარტყოფულ ყორღნებში მისი არსებობის არაერთი შემთხვევაა დაფიქსირებული. თედოწმინდის, ზეიანის #1, ჩიხისწყლის, თრიალეთის XXIV და ფარავნის ყორღნებში დადასტურებული ფაქტები მოწმობს, რომ ხის ოთხთვალა ეტლით დაკრძალვის წესი არც მარტყოფული ჯგუფის სამარხებისთვის უნდა ყოფილიყო უცხო. და მაინც, მიცვალებულის ეტლთან ერთად დაკრძალვა უფრო მეტად ბედენის კულტურაშია დამკვიდრებული. სწორედ ბედენური ყორღნების სამარხ კამერაში, ძელური იატაკითა და ხის ბოძებზე დაყრდნობილი ძელური გადახურვით, ხის სარეცელზე, ხის კუბოში ჩასვენებული მიცვალებული ხის ოთხთვალა ეტლზე იყო დასვენებული. თუმცა, ბედენურ ყორღნებში ჩადგმული ხის ნაგებობა, ამ კულტურის უმთავრესი დასაკრძალავი ნაგებობა არ უნდა იყოს. ძირითადად ორმოში გამართული, ზოგჯერ ხით გადახურული სამარხები ჩანს. იშვიათად გვხვდება მარტყოფული ჯგუფის ყორღნებისთვის კარგად ცნობილი, მიწისპირზე გამართული ხის ნაგებობიანი ყორღნებიც (ბაკურციხე). არის, აგრეთვე, მიწის პირზე,

ყრილის ქვეშ მოქცეული მტკვარ-არაქსული ტიპის სამარხებიც [Rova at al. 2010; Makharadze 2008]. აღსანიშნავია, რომ სამარხ ორმოში ჩადგმული ხის დასაკრძალავი ნაგებობა მხოლოდ ბედენის კულტურას ახასიათებს [ჯაფარიძე 1998: 56].

ბედენური ყორღნების სამარხეული ინვენტარიც საკმაოდ მრავალ-ფეროვანი და მდიდრულია. თავისებური და მკვეთრად განსხვავებ-ულია (მარტყოფული ყორღნების ჭურჭლისგან) თიხის ჭურჭელი. მართალია, ისიც ხელით ნაძერწია, მაგრამ გამოირჩევა ფორმათა გასაოცარი სინატიფითა და მრავალფეროვნებით. ჭურჭლის ზე-დაპირი გაპრიალებულია მეტალის ბზინვარების დონემდე. გვხვდე-ბა მოხატული ჭურჭელიც, თუმცა, იშვიათად [ჯაფარიძე 1998: 127].

როგორც მარტყოფის ისე, ბედენის ყორღნების ლითონის ნივთები ძირითადად დამზადებულია დარიშხანიანი სპილენ-ძისგან, რაც ათვალსაჩინოებს მათ კავშირს წინარე კულტურას-თან [ჯაფარიძე 1998: 124]. ბედენურ ძეგლებზე უკვე ჩნდება კალიანი ბრინჯაოს ნივთებიც. მეცნიერები ამ ბოლო დრომდე მიიჩნევდნენ, რომ ეს ლითონი საქართველოში ანატოლიიდან შემოდიოდა [Дедабришвили 1979: 60], თუმცა, არ გამორიცხა-ვენ კალის აღმოსავლეთ ევროპიდან მომდინარეობასაც [ფიცხე-ლაური 2013: 64-86].

ბედენურ სამარხებში გვხვდება სხვადასხვა ფორმის ოქროსა და ვერცხლის მძივები, საკიდები, საკინძები. წნორის ყორღანში ნაპ-ოვნია ლომის ოქროს ქანდაკება - პირველი სკულპტურული გამ-ოსახულება სამხრეთ კავკასიაში. ზოგადად, ოქრომჭედლობის განვითარება წინა აზიასთან კავშირში განიხილება, თუმცა, ამ ნივთებს არ ეძებნება პირდაპირი ანალოგი არც სამხრეთით, არც ჩრდილოეთით. აღნიშნავენ განსხვავებასაც მარტყოფულ და ბედენურ ძვირფას ლითონთა ნაწარმს შორის [ჯაფარიძე 1998: 120], რაც სხვადასხვა საიუველირო ცენტრის გავლენის

შედეგი უნდა იყოს.

ცნობილია, რომ ადრე ბრინჯაოს ხანაში, ლითონწარმოების სფეროში, შეინიშნება მკვეთრი ცვლილებები ევრაზიის მასშტაბით. ცვლილებათა უმთავრესი შედეგია ცირკუმპონტური მეტალურგიული პროვინციის ჩამოყალიბება. მან მოიცვა უზარმაზარი ტერიტორია შავი ზღვის გარშემო, სადაც ფართოდ ვრცელდება დარიშხნიანი ბრინჯაო - ამ ზონისთვის, სამხრეთ კავკასიისა და მტკვარ-არაქსის კულტურის წრისთვის ყველაზე დამახასიათებელი შენადნობი [Черных 1978: 53-82]. მძლავრი მეტალურგიული წარმოების კერის არსებობა აღინიშნება ადრეული ყორღნების პერიოდის საქართველოშიც, სადაც ამ პერიოდში ჯერ კიდევ ფართოდ გამოიყენებოდა დარიშხნიანი ბრინჯაო, მაგრამ ბედენის კულტურაში, დადასტურებულია კალიანი ბრინჯაოს ნივთებიც.

ადრეულ ყორღნებში გავრცელებულ ქვის იარაღებს შორის საყურადღებოა ქვის ხვრელიანი ცული. იგი ამ კულტურაში იშვიათია. თითქოს სიახლოვეც იკვეთება მარტყოფულ და ბედენურ კულტურათა ამგვარ ცულებს შორის. ეს ცულები ემსგავსება ჩრდილოეთ კავკასიურ ცულებს [შატბერაშვილი და სხვ. 2010: 189].

ზოგადად, სამხრეთ კავკასიაში ისე, როგორც წინა აზიაში, ქვის გახვრეტილი ცული იშვიათია. ის ნაკლებად არის გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზეც. ევროპული, განსაკუთრებით კი, სამხრეთ რუსეთის კულტურების ამგვარ ცულებს მეცნიერები უახლოებენ კოლხეთში აღმოჩენილ ქვის ამ იარაღს, რომელიც რიგი განსხვავების მიუხედავად, სიახლოვეს ამჟღავნებს აღმოსავლეთ საქართველოს ნაწარმთან, რაც ახსნილია მათი ჩრდილოური წყაროდან წარმომავლობით [ჯიბლაძე 2007: 40].

რაც შეეხება ქვის ისრისპირს, მარტყოფულ ჯგუფში ის იშვიათია. სამაგიეროდ, კარგად არის წარმოდგენილი ბედენურ ყორღნებში, სადაც ძირითადად სამკუთხა და ფოთლისებრი ფორმის,

ფუძეამოღარული ეგზემპლარები გვხვდება, ფაქიზად, ვიწრო პარალელური ამოღარვის ტექნიკით დამუშავებული ზედაპირით. იშვიათად შეინიშნება ყუნწიანი ისრისპირებიც, ასევე ფაქიზად დამუშავებული, იმავე ტექნიკით [შატბერაშვილი და სხვ. 2014: 85].

ბედენური თიხის ჭურჭელი საგრძნობლად განსხვავდება მარტყოფულისგან. იგი ფორმათა მრავალგვარობითა და შესრულების უფრო მაღალი ხარისხით ხასიათდება. ადრეული ყორღნული კულტურის ამ ორ კომპლექსს ძირითადად ჭურჭლის ზედაპირის დამუშავების ტექნიკა აერთიანებს, მაგრამ ის ბედენურ კერამიკაზე ბევრად დახვეწილია, ჭურჭლის სიკრიალე თითქმის ლითონურ ბზინვარებაში გადადის. მტკვარ-არაქსის კერამიკიდან მომდინარე საერთო ელემენტი, მაინც შეინიშნება და ამ ორ კერამიკულ კომპლექსს ერთმანეთთან აახლოებს, მაგრამ ბედენური კერამიკა იმდენად თავისებურია და რიგ შემთხვევაში იმდენად გამორჩეულიც, რომ მისი დაკავშირება სამხრეთ კავკასიურ სხვა ნებისმიერ კულტურასთან ძალზე გაჭირდება. ძირითადად სწორედ კერამიკა აერთიანებს ბედენის ტიპის ძეგლებს. ის ხელით ნაძერწია, დამუშავების ტექნიკის მსგავსი სიფაქიზე არ აღინიშნება სამხრეთ კავკასიის არც ერთი ეპოქის თიხის ჭურჭელზე. ყორღნული კერამიკის, განსაკუთრებით მომცრო ზომის თხელკეციანი ჭურჭლის ფორმები გამოყვანილია დიდი ოსტატობით. მისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია ორი ტიპი - ცილინდრულყელიანი და ბირთვისებრმუცლიანი ცალყურა ხელადა და ბიკონუსური ფორმის ცალყურა ტოლჩა [საქართველოს არქეოლოგია 1992: 136 - 138].

ორი კულტურული სამყაროს - ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარე კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე გავრცელებული მტკვარ-არაქსული კულტურა დროთა განმავლობაში ფართოვდება, ძირითადად სამხრეთის მიმართულებით მიიწევს და იკავებს უზარმაზარ ტერიტორიას. ის

მოიცავს ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიას, ჩრდილო-დასავლეთ ირანსა და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთის მთელ რიგ რაიონებს. მახლობელ აღმოსავლეთში მისმა ფართო განფენამ განაპირობა ძველ აღმოსავლურ სამყაროსთან კონტაქტების გაძლიერება, გაზარდა ამ კულტურის ტომების როლი წინა აზიის უძველეს ისტორიაში, კავკასია და, ბუნებრივია, აღმოსავლეთ საქართველო, სამხრეთის დაწინაურებული სამყაროს განუყოფელ ნაწილად, მის ჩრდილოეთ პერიფერიად აქცია [ჯაფარიძე 1976: 62 - 63].

ამ კულტურის დასასრული პერიოდისთვის, ვითარება ძირეულად შეიცვალა, როდესაც არსებობის თითქმის ათასი წლის მიწურულს, შეცვლილი ბუნებრივი პირობების, საზოგადოების სამეურნეო საქმიანობაში მომხდარი მკვეთრი გარდატეხის, მძლავრი მიგრაციული პროცესებისა თუ სხვა, ჯერ კიდევ ბოლომდე დაუდგენელი მიზეზების გამო, მტკვარ-არაქსის კულტურამ კრიზისი განიცადა, რაც მისი გავრცელების სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვაგვარად წარიმართა. აღმოსავლეთ საქართველოში ამ კრიზისის

ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ მიზეზად ყორღნული კულტურის ტომების გამოჩენა სახელდება [ჯაფარიძე 1998: 143]. ვრცელდება დაკრძალვის ახალი წესი - ინდივიდუალური ყორღნული სამარხი, რომელსაც არ გააჩნია ადგილობრივი ტრადიცია. დასაფლავების ეს წესი კავკასიის ჩრდილოეთით მოსახლე იმ ტომებისთვის იყო დამახასიათებელი, რომლებიც ამ პერიოდისთვის სამხრეთ კავკასიის მიმართულებით გააქტიურდნენ [Burney 1958: 175]. ჩრდილოური გავლენები, როგორც ჩანს, მხოლოდ კავკასიის მიმართულებით არ გაძლიერებულა. ეს პროცესი ინტენსიურად და მასშტაბურად წარიმართა შუა აზიასა და ბალკანეთშიც [ჯაფარიძე 1998: 173; Makharadze 2014: 226]. ამიერიდან აღმოსავლეთ საქართველო გარკვეული პერიოდით ჩამოსცილდა წინააზიურ სამყაროს, რომელთანაც, ტრადიციულად, კულტურულად დაკავშირებული იყო და მოექცა ჩრდილოურ კულტურათა ორბიტაში. ჩრდილოეთის ოლქებთან ურთიერთობა ნათლად აისახა არა მარტო სამარხის ტიპსა და დაკრძალვის წესზე, არამედ, სამარხეული ინვენტარის მნიშვნელოვან ნაწილზეც. სწორედ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის დიდ კულტურულ წრეებში ვლინდება ადრეული ყორღნებისთვის დამახასიათებელი ელემენტების ერთობლიობა, როგორც სამარხის ტიპსა და დაკრძალვის წესზე ისე, არქეოლოგიურ მასალებში, განსაკუთრებით ნათლად თიხის ჭურჭელზე [Burney 1958; გოგაძე 1972; გობეჯიშვილი 1981; ჯაფარიძე 1998; ორჯონიკიძეE 2014].

ქრება თუ არა მრავალსაუკუნოვანი მტკვარ-არაქსის კულტურა ადრეული ყორღნების გამოჩენის შედეგად? განაგრძობს თუ არა არსებობას მისი ტრადიციები? კონკრეტულად რა სახით ვლინდება ეს ნიშნები მატერიალურ კულტურაში? ყოველივე ეს მუდამ იწვევდა მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს. იმ ეპოქალური ძვრების მიუხედავად, რომლებიც ახალი ყორღნული კულტურის გამოჩენას მოჰყვა, მტკვარ-არაქსული ტრადიციები მეტ-ნაკლებად შემორჩა აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყოველი რეგიონის

მატერიალურ კულტურას. როგორც ჩანს, ეს ტრადიციები არ არის ერთგვაროვანი და სხვადასხვა ლოკალური ვარიანტის ნიშნებს (თუმცა, ახალ კულტურასთან შეხების გამო რამდენადმე სახეშეცვლილს) შეიცავს [ორჯონიკიძე 2004: 172].

რაც შეეხება ბედენურ კერამიკას, რომელსაც განსხვავებით მარტყოფულისგან, ადგილობრივი წანამძღვრები არ ეძებნება, იქაც შეინიშნება გარკვეული მტკვარ-არაქსული ელემენტები - შავპრიალა ჭურჭელი, კეცის ორფენიანობა, სპირალური ორნამენტისა და თიხის სარქველების გამოყენება, მაგრამ, სხვაობა ამ კულტურებს შორის იმდენად თვალსაჩინოა, რომ იგი მხოლოდ ევოლუციით ვერ აიხსნება [გოგაძე 1972: 108].

ბედენის კულტურის გამოჩენას უკავშირებენ მოსახლეობის ახალი ნაკადის შემოსვლას ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან (აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპა) [გოგაძე 1972: 111]. ჩნდება კალიანი ბრინჯაოს იარაღ-სამკაულის ახალი ტიპები, ქვის ნატიფად დამუშავებული ისრისპირები და სხვა მრავალი ელემენტი, რაც მკვეთრად განასხვავებს ამ ჯგუფს მტკვარ-არაქს-მარტყოფული წრის ძეგლებისგან. თავს იჩენს სრულიად ახალი კერამიკული ფორმები, შემკობის ხერხები, რითიც უფრო მჭიდრო კავშირი ჩანს იმ ქვეყნებთან, რომლებიც მდებარეობს სამხრეთ კავკასიის დასავლეთით და ჩრდილოეთით, სადაც ეს ელემენტები უფრო ადრეული და დამახასიათებელია. ამ ელემენტებს და ამ კულტურებს ერთნაირი იერი აქვს (მაგ.: ანატოლიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის კულტურები). ამგვარი ნაწარმის გამოჩენა ირანსა და მესოპოტამიაში, მოხატული კერამიკით მახასიათებელ ქვეყნებში, ახსნილია მათი გამოჩენით ჩრდილოეთიდან ან დასავლეთით მდებარე ოლქებიდან [გოგაძე 1972: 108]. წინა აზიასთან ურთიერთობა კი უფრო მეტად შეინიშნება მეტალურგიასა და საიუველირო საქმეში; კერამიკით ნაკლებად ვლინდება სამხრეთთან კავშირი. ამიტომ მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ამ დროს სამხრეთ-

იდან მნიშვნელოვანი მიგრაცია არ განხორციელებულა. სამხრეთ კავკასიაში მოსახლეობის ახალი მასის გამოჩენა სავარაუდოა, ჩრდილოეთის მხრიდან [ჯაფარიძე 1989: 36].

ადრეული ყორღნების ჩრდილოურ წარმომავლობაზე თვით სამარხის ტიპი და გავრცელების არეალი მეტყველებს. კავკასიის სამხრეთით ყორღნული სამარხი მეტად იშვიათია და ისინი ჩრდილოეთ ზონასთან კავშირში მოიაზრება. ჩრდილოეთ კავკასიასთან, განსაკუთრებით ნოვოსვაბოდნაიას კულტურის ძეგლებთან, მსგავსებას ავლენს აზერბაიჯანში გათხრილი ყორღნებიც. აღინიშნება ამ კულტურის ტომების გადასვლა ჩრდილოეთ კავკასიიდან წინა აზიაში, ანატოლიასა და ირანში [Резепкин 2012: 89]. ჩრდილოეთ ზონასთან კავშირზე მეტყველებს „მარგალიტების“ ორნამენტის იგივეობა ბედენისა და ირანის ძეგლების - ტიურენგ თეფე III, თეფეჰისარ II-B, იარიმთეფეს კერამიკის ერთი ჯგუფი. ფრაგმენტები ამგვარი ორნამენტით ცნობილია ცენტრალური ანატოლიიდანაც - ალიშარის ხალკოლითური ფენიდან [Кавтарадзе 1992: 51].



ამ პროცესებმა თავი იჩინა ანატოლიის სხვა ძეგლებზეც, რაც ნათლად აისახა იქ ძველი ორმოსამარხების კულტურისათვის დამახასიათებელ დაკრძალვის რიტუალში [პალუმბი 2011: 59].

ცვლილებების მასშტაბურობაზე მატერიალური კულტურის ძეგლების გარდა, მეტყველებს ანთროპოლოგიური მონაცემებიც

- ახალი მოსახლეობის გამოჩენა. ალაჯა ჰუიუკზე მოსახლეობა ბრაქიცეფალია მაშინ, როდესაც ცენტრალური ანატოლიის ადგილობრივი მოსახლეობა დოლიქოცეფალია [ჯაფარიძე 1969: 176; Кавтарадзе 1992: 36].

მაგრამ ჩრდილოური ელემენტების მომძლავრება ანატოლიაში უფრო ნათლად გამოჩნდა ევროპასთან მოსაზღვრე მის ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილო-ცენტრალურ მხარეებში, სადაც შეინიშნება ბალკანეთიდან მომდინარე კულტურული ნაკადები. სამხრეთ რუსეთის სტეპების გზით კავკასიის დასავლეთით მიმდებარე მხარეებში ყორღნული კულტურის ტომების განსაკუთრებული გააქტიურების შედეგად დუნაისპირეთსა და ბალკანეთში მნიშვნელოვნად შეიცვალა ცხოვრების სტაბილური ხასიათი [პალუმბი 2011: 59]. ბალკანეთზე მიმდინარე პროცესებმა განაპირობა ანატოლიის ამ ნაწილების ევროპიზაცია, მათზე აისახა ბალკანეთ-დუნაისპირული და ეზერო-თრაკიის ველის კულტურათა გავლენა [Palumbi 1987: 89-97]. ანატოლიის მხრიდან კი სავარაუდოა გარკვეული კულტურული ნაკადების გამოჩენა კოლხეთის დაბლობის ნასახლარებზე [ფხაკაძე 1993: 150]. მცირეაზიურ-ეგეოსურ და სამხრეთ ევროპულ ტრადიციებს უნდა ასახავდეს ბედენურ კერამიკაზე არსებული შვერილიანი და სიგრძივ ჩაღარული ან რელიეფური ზოლებით შემკული ყურები. ასევე, ჰორიზონტალური ყური დამახასიათებელია ჯერ დასავლეთ ანატოლიისთვის, მოგვიანებით კი, თავს იჩენს ცენტრალურ ანატოლიაში, შემდეგ კოლხეთის გზით აღმოსავლეთ საქართველოშიც ვრცელდება [გოგაძე 1972: 109; -Гогадзе, Панцхава 2003: 45].

კოლხეთის დაბლობის ნასახლარების კერამიკის ნაწილი მჭიდროდ აკავშირებს მას ანატოლიის, ბალკანეთისა და აღმოსავლეთ ევროპის სინქრონულ კულტურებთან, რომელთაც, თავის მხრივ, ახლო ანალოგები ეძებნება ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თანადროულ და კიდევ უფრო ადრეული ხანის

ზოგიერთ კულტურასთან, როგორც ფორმით ისე, ორნამენტით [Кавтарадзе 1983: 105; ჯაფარიძე 1991: 158 Пхакадзе 2000: 50 - 59; აფაქიძე 2000: 219; Черных 1987: 106; Шаншашвили 2004: 148 - 149]. განსაკუთრებული სიახლოვე ჩანს ბედენის კულტურასა და მის სინქრონულ დუნაისპირეთის ვუჩედოლის კულტურას შორის [Черных 1987: 106].

ცირკუმპონტური ზონის შიგნით მიმდინარე პროცესები, აქ შენიშნული ეთნოკულტურული ძვრები, მნიშვნელოვნად უკავშირდება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპული მოსახლეობის ანატოლია-კავკასიის მიმართულებით გააქტიურებასაც, რაც სამხრეთ კოლხეთის ნასახლარების გარდა ბედენის კულტურის ზოგიერთ კერამიკურ ნაწარმზეც შეინიშნება [გოგაძე 1972: 108 - 109; Черных 1987: 106; Мерперт 1988: 7 – 36]. პარალელურად, დასავლეთ საქართველოს ამ ნაწილში იკვეთება აღმოსავლეთ საქართველოს მხრიდან მომდინარე გავლენებიც, რომლებიც განსაკუთრებით ინტენსიური ხდება ბედენის კულტურის ხანაში, როდესაც პროტოკოლხური პერიოდის სამხრეთ კოლხეთის ნამოსახლარების ერთი ჯგუფი ახლო კავშირს ამჟღავნებს ქართლის დასავლეთ ნაწილის ბედენურ ნასახლარებთან. აღნიშნავენ იმ ელემენტებსაც, რომლებიც ერთმანეთთან აახლოებს ამ ხანის საქართველოს ორივე ნაწილის კულტურებს [Микеладзе 1990: 20; გოგაძე 1997: 33-58; - Гогадзе, Панцхава 2003: 41-55; ჯიბლაძე 1997: 75-78].



აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად, ჩრდილოური ელემენტები

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთშიც ვლინდება. აფხაზეთში აღმოჩენილი ორიოდე ყორღან-დოლმენი [Цвинария 1990] ახლოა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიისა და კიდევ უფრო მეტად დაშორებული სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რიგი ოლქების ადრებრინჯაოს ხანის კულტურებთან [ჯაფარიძე 1991: 160, 162; Гогадзе, Панцхава 2003: 45]. აფხაზეთის დოლმენებისთვის ჩვეული დაღარულზედაპირიანი კერამიკა, დამახასიათებელია ბედენის კულტურის სამარხებისა და ნამოსახლარების თიხის ჭურჭლის ერთი ჯგუფისთვის. საქართველოს ორივე რეგიონის ამგვარი ნაწარმი კი, ამავე ნიშნით სიახლოვეს ამჟღავნებს ძველი ორმოსამარხების, კატაკომბურ და ზოგიერთ ტრიპოლურ ნაწარმთან [გოგაძე 1972: 110]. სამხრეთ კავკასიის ამ პერიოდის ყორღნულ კერამიკაზე ისეთი ორნამენტის გამოჩენა, როგორიც არის გოფრირება, წერტილოვანი შემკობა ან მომცრო კოპების მწკრივი, უკავშირდება დნესტრისპირეთის ტრიპოლურ თიხის ჭურჭელს, ხოლო „მარგალიტებით“ - ნოვოსვაბოდნაიას კერამიკას ყუბანისპირეთიდან. ჩრდილოური გავლენები იკვეთება

1. Burial chamber after the removal of roofing

1. Armchair

2. Wagon wheels

უხეში ქილისებრი ჭურჭლის ზედაპირზე დატანილი ტეხილხაზ-ოვანი ორნამენტითაც, რაც ასევე აახლოებს მას ძველი ორმოსა-მარხებისა და კატაკომბურ კერამიკასთან [გოგაძე 1972: 91; Kelly – Buccellati 1968 - 70:54].

შეიძლება ითქვას, რომ ადრეული ყორღნების გავრცელების პერიოდში, საქართველოს ტერიტორია ადგილობრივი და ევროპული კულტურების ერთგვარი საკონტაქტო ზონა იყო (წინა-აზიურის გარკვეული მონაწილეობით) რომელშიც წამყვანი ადგილი ჩრდილოეთიდან მომდინარე ევროპულ ელემენტს ეკავა. ცვლილე-ბები სამხრეთ კავკასიაში ადრე ბრინჯაოს ხანის მიწურულს ასე-ვე უკავშირდება იმდროინდელი საზოგადოების შიგნით მიმდინა-რე სოციალური და ქონებრივი დიფერენციაციის პროცესების შემდგომ გაღრმავებას [გოგაძე 1972: 94; ჯაფარიძე 1998: 178]. თუმცა, ამგვარი ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა და მალე, შუა ბრინჯაოს ხანაში, აღმოსავლეთ საქართველო კვლავ დაუ-ბრუნდა წინააზიურ კულტურულ სამყაროს [ჯაფარიძე 1998: 250].

ლიტერატურა

აფაქიძე ჯ. 2000: აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისა და ანატოლიის ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის არქეოლოგიური კულტურების ურთიერთობის პრობლემები - აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, მაცნე I, 219-236

გობეჯიშვილი გ. 1981: ბედენის გორასამარხების კულტურა, თბილისი

გოგაძე ე. 1972: თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბილისი

გოგაძე ე. - 1997: კოლხური კულტურის გენეზისის ერთი ასპექტის შესახებ - გურია II, თბილისი, 33-58

მირცხულავა გ. 2011: მტკვარ-არაქსის კულტურის პრობლემები, თბილისი

ორჯონიკიძე ა. 2004: მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ძირითადი საფეხურები აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი

ორჯონიკიძე ა. 2014: ბედენის კულტურის ფორმირების ზოგიერთი ასპექტი, ანალები #10, თბილისი, 418-429.

ორჯონიკიძე ა. 2015: ადრეული ყორღნები საქართველოში, თბილისი.

საქართველოს არქეოლოგია II. 1992, თბილისი

ფიცხელაური კ. 2013: სამხრეთ აღმოსავლეთ კავკასიის ეთნოკულტურული სისტემა ბრინჯაო-რკინის ხანაში. თბილისი. ანანაურის #2 ყორღანი.

ფხაკაძე გ. 1993: დასავლეთ ამიერკავკასია ძვ.წ. III ათასწლეულში, თბილისი.

შანშაშვილი ნ. 2010: მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები თრიალეთიდან - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი. სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, თბილისი, 142-160.

შატბერაშვილი ზ., შატბერაშვილი ვ., ნიკოლაიშვილი ვ. 2010: ტყემლარას ბრინჯაოს ხანის სამარხები - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი. სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, თბილისი, 185-206.

შატბერაშვილი ზ., შატბერაშვილი ვ. 2014: მარაბდა-ახალქალაქის ექსპედიციის მიერ შესწავლილი ბედენური ყორღანები ბედენის პლატოდან, ძიებანი #22, 81-101.

ჯაფარიძე ო. 1969: არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1976: ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1989: ადრეული ყორღანების კულტურა საქართველოში, მაცნე #2, 26-40.

ჯაფარიძე ო. 1991: საქართველოს არქეოლოგია, თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1998: ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძვ.წ. III ათასწლეულში, თბილისი.

ჯაფარიძე ო. 2003: საქართველოს ისტორიის სათავეებთან, თბილისი.

ჯაფარიძე ო. 2006: ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბილისი.

ჯიბლაძე ლ. 1997: კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატიგრაფია, ქრონოლოგია

და პერიოდიზაცია, თბილისი.

ჯიბლაძე ლ. 2007: კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, თბილისი.

Гей А. 2000: Новотиторовская культура, Москва.

Гогадзе Э., Панцхава Л. 2003: Колхидская культура эпохи бронзы и раннего железа, Кавказ в системе раннеметаллических культур Евразии, Тбилиси, 41-55.

Дедабришвили Ш. 1979: Курганы Алазанской долины, Тбилиси.

Кавтарадзе Г. 1983: К хронологии эпохи энеолита и бронзы Грузии, Тбилиси.

Кавтарадзе Г. 1992: Вопросы этнической истории Кавказа и Анатолии и проблема хронологии и периодизации. Автореферат докторской диссертации, Тбилиси.

Куфтин Б. 1941: Археологические раскопки в Триалети. Тбилиси

Мерперт Н. 1987: Циркумпонтийская зона в раннем бронзовом веке. Вопросы культурных контактов. - Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, Тбилиси, 89-97 .

Мерперт Н. 1988: Об этнокультурной ситуации IV-III тыс. до.н.э. в Циркумпонтийской зоне. – Древний Восток. Этнокультурные связи. Москва. 7-36

Микеладзе Т. 1990: К археологии Колхиды. Тбилиси

Пицхелаури К. и др. 1995: Полевые исследования Кахетской экспедиции – ПАИ в 1987 г. 76-78

Пхакадзе Г. 2000: Восточное Причерноморье во второй половине IV-III тыс. до.н.э. (к проблеме культурных контактов). Взаймодействие культур и цивилизации, СПБ. 50-59

Резепкин А. 2012: Новосвободненская культура. СПБ

Ростунов В. 1988: Куро-аракские могильники Северной Осетии. Орджоникидзе, 3-42

Цвинария И 1990: Новые памятники дольменной культуры Абхазии. Тбилиси

Чайлд Г. 1952: У истоков европейской цивилизации. Москва.

Чайлд Г. 1956: Древнейший Восток в свете новых раскопок. Москва

Черных Е. 1978: Металлургические провинции и периодизация эпохи раннего металла на территории СССР – СА, №4, 53-82

Черных Е. 1987: Культурные контакты в циркумпонтийской области - Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, Тбилиси, 98-108

Шаншашвили Н. 2004: К распространению одного типа керамики на Кавказе – АЭФК. Баку. 148-149

Burney Ch. 1958: Eastern Anatolia in the Chalcolithic and Early Bronze Age. AS, VIII. 157-209

Kelly-Buccellati M.1968-70: The excavations at Korucutepe. The Early Bronze Age pottery and its affinities, ANES, V. 33 # 1. Turkey.

Makharadze Z. 2008: The settlement at Tsikhiagora and the Early Barrows at Kavtiskhevi. ANES, 19, 63-104

Makharadze Z. 2014: The End of the Early Bronze Age in Georgia. kavkasiisa da anatoliis adreliTonebis xanis arqeologiis problemebi. - saerTaSoriso konfernciis masalebi, Tbilisi, gv. 226-232.

Mindiashvili G. 2012: Early Kurgans of the South Caucasus – Studies in Caucasian Archaeology, I. Tbilisi

Palumbi J. 2011: The Arslantepe royal tomb and the ``Manipulation`` of the Kurgan ideology in Eastern Anatolia at the beginning of the third millennium. Ancestral Landscapes Lion. 47-59

Rova E., Puturidze M., Makharadze Z. 2010: The Georgian-Italian Shida Kartli archaeological project: A report on the First two Field seasons 2009 and 2010. Rivista di Archeologia. XXXIV, 5-30

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I - მარტყოფული და ბედენური ყორღნების კონცენტრაციის ძირითადი ზონები;

ტაბ. II - ადრეული ყორღნების გავრცელების სქემატური რუკა;

ტაბ. III - ხის ოთხთვალა ეტლის გავრცელების სქემატური რუკა;

ტაბ. IV - მაღაროს ყორღანი (კინწურაშვილის მიხედვით);

ტაბ. V - ბედენის ყორღანი (გობეჯიშვილის მიხედვით);

ტაბ. VI-VII - ანანაურის #3 ყორღანი (მახარაძისა და მურვანიძის მიხედვით).

ტაბ. V-XII - საიუველირო ნივთები ადრეული ყორღნებიდან (ღამბაშიძისა და სხვ. მიხედვით).

THE EARLIER PERIOD KURGANS IN GEORGIA

Alexander Orjonikidze

Summary

Coming into existence and establishing of the earlier period kurgan type burials is the most important event in the old ancient history of Georgia. It is that very passage of time when there had been starting to set a crucially significant turning point in the further development of the Early Bronze period culture.

Georgia, traditionally considered as an eastward oriented periphery of the ancient eastern civilization, appeared shifted into the orbit of European cultures for a certain period of time. The shift was followed by weakening of contacts with the south and the crisis of indigenous Kuro-Araxes culture. Instead there settled a new type of burial mound so called kurgan and some other elements of material culture characteristic to the northern Caucasian zone. Changes were singularly significant in the eastern part of Georgia where all the kurgan type burials had been detected and excavated.

Series of excavations, started in the 1930s, have revealed various types of kurgans with ordinary pit tombs beneath them. One part of the graves had been covered with timber logs, the others were equipped with stone paved portholes and one more part of them has yielded timber log burial chambers. Some of them belonged either to a single occupant or a pair of individuals. A certain number of them were mass burials or even cremation ones.

Scantiness of appropriate stratigraphic data reflective of the period thwarted the scholars' attempts to fix requisite correlations between the groups of kurgans belonging to either the earlier or the later periods.

There predominate the kurgans displaying coexistence of pottery ascribed to the cultures that are almost completely different from one another. In order to shed light on such an inadequateness there

emerges an utter importance of adducing the materials coming from already unveiled simultaneous and well stratified habitation sites but regretfully it is not always possible because of the extreme scantiness of appropriate settlements.

Admittedly there have been identified two main groups of the earlier period kurgans named Martkopi and Bedeni according the locality names where they had been found and explored. Scholars consider that the groups share certain traits and mainly these are burial rites but at the same time they stress the fact that there are considerable cultural differences between the contexts coming from these two groups of kurgans.

Burial chambers of Martkopi kurgans are log built structures arranged strictly on the topsoil surface and this evidence is considered as a characteristic feature of the group but at the same time there are examples of stone built chambers among them. As to the pattern of the burials there predominate pit tombs in the group.

Martkopi pottery is genetically connected with the earlier Kuro-Araxes culture examples uncovered in the both Trans and Ciscaucasia sites of the same culture. Grave goods coming from these kurgans include the first trickles of precious metals and bronze weapons normally characteristic to the northern zones and pendants made of animals' teeth.

As to the kurgans comprising Bedeni group they are mostly arranged in earthen pits and in some of the cases the pits are inserted with special burial chambers fittingly installed within them. Generally the chambers are constructed of vertically standing timber logs strictly bordering the pit. This kind of structures had been quite common not only in the north Caucasus but also in earlier period pit tomb cultures of neighboring regions.

Kurgans unveiled in the areas of the Azov Sea littoral, in the Volga riverside territories and the Black Sea steppes have displayed a burial rite similar of Bedeni group i.e. burying of the dead placed on a four

wheeled chariots. The same burial rite i.e. individuals lying on hearses has been evidenced in Martkopi group kurgans too but less frequently and it basically remains dominant in the group of Bedeni culture.

Bedeni grave goods are fairly different from the artifacts brought to light at Martkopi village and it is especially noticeable if compare the pottery belonging to the two groups. The wares coming from the former bear no sign of any earlier period local prerequisites.

Bedeni containers are distinguished with a vast variety of forms and shapes and exquisite subtleness. Their black burnished exteriors imitate metallic luster and silvery sheen. The kurgans of the group have yielded gold adornments for instance a tiny gold figure of a lion coming from Tsnori 2nd kurgan. It is the first sculptured example evidenced in the southern Caucasus. There also start off the first trickles of tinned bronze. One part of metal weapons bear the resemblance of the northern Caucasian specimens but there are the ones that display similarities to the Near Eastern examples. Besides the pottery and metal objects

Bedeni kurgans have yielded delicately worked stone arrowheads so uncommon to Martkopi group.

Nowadays scholars have evidenced coexistence of Martkopi and Bedeni pottery in a number of kurgans that in its turn points to the contemporaneousness of the both groups during a certain period of time. At the same time there are cases when the kurgans have yielded not only Bedeni but also the Kuro-Araxes culture pottery characteristic to

various local groups. There are also the containers displaying the traits characteristic to the both Bedeni and Kuro-Araxes cultures.

Bedeni pottery is in close connection with the specimens of the countries located in the west and north of the southern Caucasus rather than with the ones lying in the south and east of it. It is a well known fact that ceramic elements of these regions emerged in the north much earlier and more characteristically than in the south Caucasus.

Scholars fixed the fact that the northern cultures had became notice-

ably active towards the Balkans and western Anatolia. One of these streams had arrived in Anatolia, continued its its way and reached the Black Sea littoral. In the result there followed a change that is clearly seen within one of the groups of pottery. Further surveys have brought to light the fact that another northern current approved stronger in the eastern Georgia. The situation enabled the scholars to suggest a tangible penetration of certain forms of Bedeni pottery within one group of the Early Bronze period west Georgian earthen ware. Scholars have divided Bedeni pottery in two morphologically different groups: The first, earlier group includes the examples of offhand containers coming not only from the kurgans but also from the settlements resembling the grave goods of the kurgans unveiled in the north Caucasus and the Azov Sea littoral. This is the group that coexisted with the Kuro-Araxes and Martkopi pottery.

As to the second group it includes neatly modeled containers and they too have parallels in the north Caucasus, mainly at Maikop and Novosvobodnaya type sites and there is no sign of any coexistence with the Kuro-Araxes and Martkopi culture pottery.

The changes that had been taking place before the tail end of the Early Bronze period wer mainly connected with the movement of certain new ethnic streams heading from the north and west to the south Caucasus where they filtered through the locals and became the vehicle of the further social stratification and property qualification.

Description of The plates:

I - The zones of concentration Martkopi and Bedeni group kurgans

II - The map of distribution of early kurgans

III - The map of distribution of wooden chariots

IV - Magaro kurgan

V - Bedeni kurgan

VI-VII - Ananauri kurgan #3

VIII-XII - Golden objects of early kurgans

Pontos Limes (Limes Ponticanus) - რომაული სასაზღვრო სისტემა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ქ.შ. I-V სს.)

ზურაბ გიორგაძე - არქეოლოგი

ქ.შ. 63 წელს, რომის იმპერატორ ნერონის ბრძანებით, პოლემონთა პონტოს სამეფო გაუქმდა და კოლხეთი რომის იმპერიამ დაიქვემ-დებარა. ადგილობრივი სახელმწიფოებრიობის დაცემამ და უცხ-ოელთა საკმაოდ სუსტი ადმინისტრაციის დაფუძნებამ, მეზობელ

რომაული კასტელები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში:
I – რომაული კასტელები; II – ადრებიზანტიური გამაგრებანი;
III – რომაულ-ბიზანტიური კასტელები; IV – ქალაქები და სხვა პუნქტები;
V – ფლავიუს არიანეს ხიმალდის მარშრუტი; VI – "ორენტეს
მარტვილობაში" აღწერილი ხიმალდის მარშრუტი.

მთიელთა მეომარ ტომებს (ჯიქები, ჰენიოხები და სხვ.) ბარის რაიონებ-ზე წარმატებული შეტევების განხ-ორციელების საშუალება მისცა. ხშირად ისინი კოლხეთის ტერიტო-რიას არ სჯერდებოდნენ და კვეთდ-ნენ რომის იმპერიის საზღვრებსაც. სავარაუდოდ, სწორედ ამ დროიდან იქმნება ერთიანი გრანდიოზული თავდაცვითი სისტემის, ე.წ. **Pontos Limes**-ის სასაზღვრო ხაზი (სურ. 1).

აღმოსავლეთ შავი ზღვისპირე-თის რომაულ ციხესიმაგრეთა ერ-თობლიობა მეტად მნიშვნელოვანი ძალა იყო ამ რეგიონში რომის იმპერიის ძლიერების განსამტკიცე-ბლად. კოლხეთის ზღვისპირა ციხესიმაგრეებში რომაული გარ-ნიზონების ჩაყენება რომისთვის მეტად ხელსაყრელი გახლდათ: მოწესრიგდებოდა იმპერიის დაძაბული ურთიერთობა იბერიასთან,

რომს მიეცემოდა მთელი შიდა კოლხეთის დამორჩილების საშუალება და, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ეს შეაჩერებდა ჩრდილოეთიდან დაძრულ მომთაბარე ტომთა შემოსევებს [1.43-44].

მსგავსი რომაული გარნიზონები რომის უზარმაზარი იმპერიის სასაზღვრო ადგილებში იდგა (სურ. 2) [2]:

ე.წ. მეზიის კედელი - Limes Moesiae — აღმოსავლეთ რუმინეთისა და მოლდოვას საზღვარზე. მოიცავდა

ე.წ. ტრაიანეს კედელს (Trajan's Wall) — ვრცელ თავდაცვით სისტემას მეზიასთან საზღვარზე (ტერიტორია ქვემო დუნაისა და ბალკანეთის მთებს შორის);

ე.წ. ადრიანეს კედელი - Limes Britannicus (იგივე Hadrian's Wall) — ბრიტანეთის დასაცავად შოტლანდიელ მთიელთა შემოსევებისაგან;



რომაულ ციხესიმაგრეთა სისტემა რომის იმპერიის სასაზღვრო ადგილებში

ე.წ. ანტონინუსის (ანტონინეს) კედელი — იგივე Antonine Wall — შოტლანდიაში (Liimes Britannicus-is მსგავსად, აგრეთვე, შოტლანდიელთა შემოსევების შეჩერებას ისახავდა მიზნად);

*ე.წ. ზემო გერმანია-რეტიის ლიმესი და ქვემო გერმანიის ლიმესი — **Limes Germanicus** — მოხსენიებული, როგორც გერმანული, მდ. რაინისპირა "ლიმესი";*

*ე.წ. არაბული ლიმესი — **Limes Arabicus** — რომის უკიდურეს "არაბულ" საზღვარზე (დღევანდელი იორდანიის, სირიის სამხრეთ ნაწილისა და საუდის არაბეთის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს);*

*ე.წ. ტრიპოლის კედელი — **Limes Tripolitanus** — თანამედროვე ლიბიის ჩრდილო-დასავლეთისა და ტუნისის საზღვარზე;*



აღნიშნულ თავდაცვითი ხასიათის სასაზღვრო ხაზზე მდებარე რომაულ ციხესიმაგრეებში ჩაყენებული იყო სპეციალური სასაზღვრო ჯარები, მათი ცალკეული ქვედანაყოფები — ვექსილაციები — "ნუმერები" **(numeri)**; მიმდინარეობდა "კასტრა-კასტელუმების" მშენებლობა. ეს იყო ტიპური, გეგმაში ოთხკუთხა გამაგრებული ბანაკები, რომელთა ფართობი, იქ მდებარე ციხიონის რაოდენობიდან გამომდინარე — 1.5 ჰა-დან 3.5 ჰა-მდე მერყეობდა. რომაულ კასტელუმებს (სურ. 3), როგორც წესი, ჰქონდა ოთხი, კოშკებით გამაგრებული კარიბჭე, რომლებზეც გადიოდა ბანაკის ორი, ცენტრში ურთიერთგადამკვეთი ქუჩა. ღერძების გადაკვეთის ადგილას იდგა სამხედრო ბანაკის ცენტრალური ნაგებობა — "პრეტორია" **(pretorium)** — მეთაურის სახლი და "პრინციპია" **(principia)** — შენაერთის შტაბი. იქვე განლაგებული იყო კულტურული და საკულტო დანიშნულების მომცრო ზომის ნაგებობები **[1.44].**

ამ სტატიაში შეძლებისდაგვარად განხილულია საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე რომაული ციხესიმაგრეები:

ქ.შ. I ს-ის II ნახევარში აგებული აფსარისის (დღევანდელი გონიო-აფსაროსი) ციხესიმაგრე "პონტოს ლიმესის" უმნიშვნელოვანეს პუნქტად იქცა. იმ პერიოდში ის იყო ერთ-ერთი ყველაზე სამხრეთული რომაული ციხესიმაგრე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. პლინიუსი (ქ.შ. I ს.) მას იხსენიებს, როგორც "კასტელს" — ანუ "ლიმესის" ციხესიმაგრეს.

"პონტოს ლიმესისს" სხვა ციხესიმაგრეებისგან აფსარს მასშტაბურობაც განასხვავებდა. იქ იდგა რომაელთა ჯარის 5 "სპეირია" (**πέντε σπειραι**), რომელსაც ტრადიცულად ხუთ კოჰორტად, ანუ ნახევარ ლეგიონად (დაახლ. 2000-2800 ჯარისკაცი) მოიხსენიებენ. ამ ხუთი შენაერთიდან ორი ლეგიონერული იყო, ორი — დამხმარე; მეხუთე კოჰორტას, როგორც 1998 წელს გონიოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი აგურის დამღა გვამცნობს, "ალა" **(Ala)**, — ცხენოსანთა არმია [3.25] შეადგენდა.



მკვლევარი მ. შპაიდელი აფსარს ადარებს სიენას — რომის იმპერიის უკიდურეს სამხრეთში, ნილოსზე მდებარე სიმაგრეს, რომელშიც 3 კოჰორტა იდგა. მათი ფუნქცია ნუბიის (რეგიონი თანამედროვე ეგვიპტისა და სუდანის ტერიტორიაზე) გაკონტროლება იყო. პარალელად მეცნიერს მოჰყავს დუნაი-ევროპოსის მსგავსი მაგალითი. ეს სამი სიმაგრე რომაულ სამხედრო

წესს არღვევდა (*გამონაკლისი იყო), რადგან სასაზღვრო ციხესიმაგრეებში, ჩვეულებრივ, თითო-თითო კოჰორტა იდგა **[3.22].**

ქ.შ. 132 (ან 134) წელს რომის იმპერატორ ადრიანეს დავალებით, კაპადოკიელი ლეგატის, პროვინციის მმართველმა ფლავიუს არიანემ სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში განლაგებულ ბანაკებში ერთგვარი ინსპექცია მოაწყო. "...და მოვედით აფსაროსში", — წერდა არიანე, — "სადაც დგას ხუთი კოჰორტა. აქ ხელფასი დავურიგე ჯარისკაცებს და დავათვალიერე იარაღი, კედელი, თხრილი, ავადმყოფები და ისიც, თუ რა მდგომარეობაში იყო პურის მარაგის დამზადება" **[4.35].**

აფსაროსი ნახსენებია ასევე ცნობილ წარწერაში, რომელიც აღმოჩნდა იტალიაში, ქ. ნოლასთან. წარწერაში საუბარია ვინმე მარციანე პრეტორიუს ცელერის შესახებ, რომელიც აფსარში განლაგებული რომაული დამხმარე რაზმის მეთაური გახლდათ — **praeposit(o) numerorum tendentium in Ponto Absaro** [4.7]**.**



საინტერესოა ისიც, რომ აფსაროსი ადრეულ შუა საუკუნეების წყარო "ორენტეს მარტვილობაში" მოხსენიებულია ზიგანისისა და პიტიუნტის ციხესიმაგრეებთან ერთად; ჩამოთვლილია სადგომები იმ რომაული ხომალდისა, რომლის საშუალებითაც ქ.შ. IV ს-ის დასაწყისში, ქრისტიანები ტრაპეზუნტიდან აფხაზეთში გადაასახლეს.

აფსარის "კასტელი" (სურ. 4), აფსაროსი მოიაზრება ერთ-ერთ ძეგლად რომაულ ციხესიმაგრეთა არქიტექტურის მცირერიცხოვან დაურღვეველ ძეგლთა შორის. მას აქვს გეგმით სწორკუთხოვანი

ფორმა, რომელიც დამახასიათებელია რომაულ სასაზღვრო ციხესიმაგრეთა დიდი უმრავლესობისთვის. მისი ზომებია 194X245 მ, ანუ 4.75 ჰა. "პონტოს ლიმესში" ეს ყველაზე დიდი "კასტელია", სადაც არიანეს ცნობით, ყველაზე დიდი გარნიზონი იდგა. გარნიზონის მიზანი ცენტრალურ გზათა განშტოების საკმაოდ მნიშვნელოვანი კვანძის გაკონტროლება იყო.

აფსაროსის ციხესიმაგრე შედგებოდა 18 (მათგან 4 კუთხის) კოშკისა და ოთხი კარისგან, რომელთა განლაგება დამახასიათებელია მხოლოდ მსხვილი რომაული ციხესიმაგრეთათვის. ეს, ნაგებობის ოთხივე მხარეში, ერთმანეთის საპირისპიროდ დატანილი კარები, გადიოდა ორ ურთიერთგადამკვეთ მთავარ ქუჩაზე — **via principalis**-სა და **via pretoria**-ზე. კართა სიახლოვეს მოწყობილი ფართო კიბეებით შესაძლებელი იყო კედელზე შიგნიდან ასვლა. აფსარის "კასტელის" წინა მხარე კოშკთა უმრავლესობით მიმართული იყო ზღვისკენ (მსგავსად "პონტოს ლიმესის" ყველა ციხესიმაგრისა). ციხესიმაგრეების ამგვარი ორიენტირება მათ სამხედრო-საზღვაო ხასიათზე მეტყველებს **[5.78].**

აფსარიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, 65 კმ-ის დაშორებით, ზღვის ნაპირას (დღევანდელი ქ. ფოთის მიდამოებში) აღმართული იყო მორიგი რომაული ციხესიმაგრე — ფაზისი. ამ ნაგებობის ნაშთზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ დიუბუა დე მონპერეს მიერ შედგენილი ციხესიმაგრის სქემატური გეგმის (სურ. 5) მიხედვით. აფსარის მსგავსად სწორკუთხოვანი ფაზისის ციხესიმაგრე ცნობილმა მოგზაურმა უკვე მთლიანად მიწით დაფარული იხილა (1832-1834 წწ.) **[5.79-80].**

ფაზისის ციხესიმაგრე დაწვრილებით აქვს აღწერილი არიანეს. ეს აღწერა ფრიად მნიშვნელოვანია აქ ჩამოთვლილი ყველა ციხესიმაგრის განხილვისას. არიანე იხსენებს, რომ ფაზისში არსებობდა ასევე სიმაგრე "მიწაყრილითა და ხის კოშკურებით". ამ სიმაგრედ ის, სავარაუდოდ, მოიაზრებს, თავდაპირველ ნაგებობას, რომელ-

იც ფუნქციონირებდა მანამ, სანამ "პონტოს ლიმესი" აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში გადაიჭიმებოდა.მიწაყრილის სიმაგრედ შეიძლება ჩაითვალოს, აგრეთვე, პლინიუსის მიერ მოხსენიებული აფსარისა და სებასტოპოლისის ძველი ნაგებობებიც.

არიანეს მიხედვით, ფაზისში იდგა 400 ჯარისკაციანი გარნიზონი, რომელიც ერთ კოჰორტას შეადგენდა. სწორედ ასეთი გარნიზონები იყო ჩვეულებრივ უმრავლეს სასაზღვრო "კასტელში", რომლის მოსახლეობა ძირითადად ნამსახურები რომაელი ჯარისკაცები იყვნენ. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ფაზისის დასახლება "კანაბას" (**canabe**) ერთ-ერთი იმ დასახლებათაგანი იყო, რომლებიც იქმნებოდა რომის იმპერიის ყველა საზღვრის სასაზღვრო ციხესიმაგრეებთან ერთად **[5.79-80].**

შემდგომში, IV ს-ის დასაწყისში, ფაზისში რომაული გარნიზონის არარსებობაზე მიანიშნებს ის, რომ "ორენტეს მარტვილობაში" ჩამოთვლილ სადგომებს შორის შემხვედრ ნავსადგურთაგან ხომალდმა ღუზა ჯერ აფსარში ჩაუშვა, შემდეგ გვერდი აუარა ფაზისს და ზიგანისში შეჩერდა. ამას ემატება საყურადღებო ნუსხა გარნიზონებისა, რომელშიც ფაზისი არ იხსენიება, იხსენიება — ზიგანისი (აღსანიშნავია, რომ ზიგანისში არქეოლოგია ადასტურებს 120X120 მ ფართობის კვადრატული "კასტელის" ნაშთებს **[6]**).

საუბარია **Notitia Dignitatum**-ზე, ქ.შ. V ს-ის დასაწყისის ძეგლზე, რომელიც შეიცავს IV-V სს-ის მიჯნაზე "პონტოს ლიმესში" განთავსებული რომაული გარნიზონების სრულ ნუსხას (სურ. 6). ჩვენთვის საინტერესო ჩამონათვალია: პიტიუნტი, ვალენტია, უსიპორტო, კაენე პარემბოლე, სებასტოპოლი, ზიგანისი და მოხორა. პიტიუნტი დღევანდელი ბიჭვინთაა; უსიპორტო — სუსურმენე, კაენე პარემბოლე — ახალი ბანაკი (ორივე მათგანი დღეს თურქეთის ტერიტორიაზე, ქ. რიზეს მახლობლად მდებარეობს); სებასტოპოლისი — სოხუმი; ზიგანისი ლოკალიზებულია დღევანდელ სოფ. გუდავას-

თან, მდ. ოქუმის შესართავთან (ფაზისის ციხესიმაგრიდან დაახლ. 57 კმ-ის სიშორეზე); ვალენტია ივარაუდება სებასტოპოლისსა და ზიგანს შორის; მოხორა კი, ბიზანტიელი ისტორიკოსების მიერ აღწერილ მუხურისად მოიაზრება **[7.175-178].**

ამ ნუსხაში აფსარელთა არარსებობის მიზეზად ორ, ურთიერთგამომრიცხავ ჰიპოთეზას მოვიაზრებთ: 1. შესაძლოა, ამ დროისათვის (V ს-ის დასაწყისი) აფსარის ციხესიმაგრე დანგრეული იყო,



რომაული გარნიზონები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში
Notitia Dignitatum–ის მიხედვით

(D'APRÈS LA CARTE DE C. ZUCKERMAN « THE EARLY BYZANTINE STRONGHOLDS IN EASTERN PONTUS »,
TRAVAUX ET MÉMOIRES 11, PARIS, 1991, PAGE 539)

რასაც პროკოპი კესარიელიც გვამცნობს (თუმცა, ერთი საუკუნის შემდეგ) **[1.77]**; 2. მეცნიერები არ გამორიცხავენ, რომ **Notitia Dignitatum**-მა აფსარი რომის იმპერიის სურვილით "გამოტოვა". იმპერიის მესვეურთ არ სურდათ დაეტოვებინათ დაუცველად იბერიელთა საზღვარი, მით უმეტეს, რომ ციხესიმაგრის გამოტოვების პრეცენდენტი წარსულში არსებობდა: ქ.შ. 134-135 წწ. ალანთა წინააღმდეგ კაპადოკია-არმენიაში თავმოყრილ რომაულ ჯარებში არ იყო წარ-

მოდგენელი კლაუდიუსის სახელობის II კოჰორტა. ამ პერიოდში ამ კოჰორტის აფსარუნტში არსებობას 1996 წელს არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი დამღა იუწყება [3.25].

ზიგანისის ჩრდილოეთ სანაპიროზე მდებარე შემდეგი რომაული ციხესიმაგრე სებასტოპოლისი (სურ. 7) (დაახლ. 60 კმ ზიგანისიდან) იყო. პლინიუსის შემდეგ ამ ციხესიმაგრეს არიანე ახსენებს და წერს, რომ "იგი საბოლოო პუნქტია რომის იმპერიის ბატონობისა პონტოს შესასვლელის მარჯვენა მხარეს".

არიანეს მიერ სებასტოპოლის მონახულებას უკავშირდება სოხუმში, 1896 წელს აღმოჩენილი ფილის ნატეხზე შესრულებული, ცუდად შენახული ფრაგმენტი. ფრაგმენტზე შენარჩუნებულია მხოლოდ შემდეგი ასოები:

AD

PER . FL . A

LEG

წარწერა მკვლევარმა მ. როსტროვცევმა შემდეგნაირად ამოიკითხა:

...H] [ad[rianus] ...per FL(avium) A[(rrianum)]...
...leg(atum) pr(aetore)]

მეცნიერი ფიქრობს, რომ წარწერა იუწყება სებასტოპოლისში არიანეს მიერ რაიმე მემორიალური ნაგებობის აღმართვას.

მეორე მკვლევარი ლ. ელნიცკი იზიარებს წაკითხულს, ოღონდ უფრო მეტად ავსებს მას:

...Hadr[ianus]... c(astra) n(umerorum) in Sebastopoli c(uravit) per FL(avium) A[rrianum] leg(atum) [p(ro) c(onsule)]

ამ ორი მეცნიერის ნააზრევის თანახმად, არიანემ მართლაც

გაამაგრა სებასტოპოლის “ბანაკი” და ეს “პერიპლუსში” აღწერა.

სებასტოპოლი ნახსენებია ასევე **Notitia Dignitatum**-ში, პროკოპი კესარიელთან (ქ.შ. VI ს.) და იუსტინიანეს ნოველებში (534-565 წწ.), კერძოდ XXVIII ნოველაში, რომელშიც აღნიშნული “კასტელი” პონტოს პოლემონის რომაულ-ბიზანტიურ პროვინციათა შორის პიტიუნტთან ერთად მოიხსენიება.

სოხუმის სანაპიროზე, 1959 წელს გამოვლენილი სებასტოპოლის ნაშთები ორი “კასტელის” ნანგრევებია, რომელთა დიდი ნაწილი ამჟამად დაფარულია ზღვით. უფრო ძველი, რომაული “კასტელის”



კედლები ნაგები იყო იმ დროისთვის ფართოდ გავრცელებული, ე.წ. **opus mixtum**-ის წყობით (კედლის სიზუსტისთვის ქვის კვადრებში რთავდნენ აგურის ორ რიგს). ციხესიმაგრის გეგმა გამოირჩევა პარალელოგრამის ფორმითა და მომრგვალებული კუთხეებით. შემორჩენილ ნაშთებზე დაკვირვებით, აღნიშნულ ციხესიმაგრეს ოთხ-ოთხი კუთხის კოშკი და შუალედი ჰქონდა. რაც შეეხება ციხის კუთხის მომრგვალებულ კუთხეებს, მიჩნეულია, რომ ისინი მახვილკუთხიან კოშკებზე მეტად გამძლეა. ციხესიმაგრე ქ.შ. II-III სს-ით თარიღდება. მისი ფართობი 0.6-0.8 ჰა-ს შეადგენდა. ამ ზომის ციხესიმაგრეები გათვალისწინებული იყო ერთი “ნუმერის” მისაღებად.

სებასტოპოლის ჩრდილოეთით, 58 კმ-ის დაშორებით პიტიუნტის

ციხესიმაგრე მდებარეობდა. როგორც სიმაგრეს (**φρούριον**), მას პირველად ზოსიმე იხსენიებს "ახალ ისტორიაში" (V-VI სს.). სებასტოპოლისთან ერთად პიტიუნტს ახსენებს პროკოპი კესარიელიც, რომლის თანახმადაც, ეს ორი "კასტელი" რომაულ გარნიზონებს ემსახურებოდა.

1952 წელს განხორციელებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა, რომ რომაულ და ადრებიზანტიურ ეპოქაში პიტიუნტი ორი ნაწილისგან შედგებოდა (სურ. 8): დასავლეთის მხარეს სწორკუთხოვანი და აღმოსავლეთ მხარეს — გეგმით წრიული ფორმის გალავნებით შემოსაზღვრული ნაგებობებისგან. სწორკუთხიანი



შენობა ერთი კოჰორტისთვის განკუთვნილი ტიპური რომაული სასაზღვრო "კასტელი" იყო. **Notitia Dignitatum**-ის მიხედვით, პიტიუნტში იდგა ასეთი გარნიზონი — **Ala Felix Theodosiana.**

მეორე მრავალგეგმიანი, კოშკებით გამაგრებული შენობა — კანაბა, ფაზისის კანაბის მსგავსია. ეს ორი ნაგებობა ერთმანეთისგან მაღალი კედლით იყო გამოყოფილი. ციხესიმაგრეში იმყოფებოდა გარნიზონი, კანაბაში — მშვიდობიანი მოსახლეობა.

პიტიუნტის "კასტელის" ჩრდილო-დასავლეთით, 3-4 კმ-ში, 1957

წელს გაითხარა კოშკის ნანგრევები, რომლებიც მკვლევარებმა "დიდი პიტიუნტის" ერთ-ერთი რაიონის საყრდენად მიიჩნიეს. გათხრების დროს აღმოჩნდა აგურის ნატეხი ფრაგმენტული შტამპით. ის წარმოდგენილი იყო მხოლოდ შემდეგი ასოებით:

leg(io)

სავარაუდოდ, სწორედ დაკარგული ნომერი (თუ ინიციალი) გახლდათ მთავარი მანიშნებელი იმისა, თუ რომელი კაპადოკიური ლეგიონი აკონტროლებდა ამ მიდამოს: **XII Fulminata** თუ **XV Apollinaris.**

მეორე შტამპიანი აგურის ნატეხი (სურ. 9) 1924 წელს (ციხისძირში ქობულეთის მუნიციპალიტეტი), "პონტოს ლიმესის" ტერიტორიაზე აღმოჩნდა, იქ, სადაც პეტრა-ციხისძირის მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე მხოლოდ VI ს-ში აშენდა. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ აქ შესაძლებელია, ყოფილიყო საგუშაგო კოშკი, რომელიც სავარაუდოდ, მცირე ნაგებობასთან ერთად აფსაროსის ციხესიმაგრის ფორპოსტი იყო.

წარწერა ამგვარი სახისაა: **VEXFA.** მკვლევარმა ვ. ლექვინაძემ ის ახსნა, როგორც — **VEX(illations legionum XII) F(ulminatae et XV) A(pollinaris).** ჰავაის უნივერსიტეტის პროფესორმა მ. შპაიდელმა იგი სხვაგვარად წაიკითხა:

VEX(illatio) FA(siana)

უცხოელი მკვლევარი მიიჩნევდა, რომ ციხისძირის აგური დამზადებული უნდა ყოფილიყო სამხედრო ნაწილის სახელოსნოში, რომელიც ფაზისის ციხესიმაგრეში მდებარეობდა **[8.26].**

ზემოთ ჩამოთვლილ ციხესიმაგრეთა განხილვისას მხედველობაში მისაღებია ერთი საყურადღებო ფაქტი — ციხესიმაგრეთა შორის დაშორება. იგი მერყეობს 57-70 კმ-ის ფარგლებში. ეს მანძილი, რო-

გორც ჩანს, საკაბოტაჟო ნავიგაციის ხასიათის გათვალისწინებით განისაზღვრა. ამას ადასტურებს ისიც, რომ არიანე ხომალდის ნავსაყუდლად სებასტოპოლის შემდეგ პიტიუნტს ასახელებს, თან იმ დროს, როდესაც რომაელებს იქ ჯერ კიდევ არ აეგოთ ციხესიმაგრე **[5.89].**

როგორც ვხედავთ არსებობს სამი, მეტ-ნაკლებად სრული ნუსხა რომაული ციხესიმაგრეებისა საქართველოს (კოლხეთის) ტერიტორიაზე: პირველსა და მეორეს პლინიუსისა და არიანეს ნაშრომები ასახავს, როგორც "პონტოს ლიმესის" განვითარების დასაწყისს (როდესაც რომაული გარნიზონები ჯერ კიდევ არ იდგა პიტიუნტსა და ზიგანისში), მესამე ნუსხა — **Notitia Dignitatum** გახლავთ. იქ წარმოდგენილია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე რომაული "კასტელების" კლების ტენდენცია.

ამრიგად, ამ სამი, უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტის საშუალებითა და არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი ხდება, დადგინდეს "პონტოს ლიმესის" წარმოშობის, აღზევებისა და დაცემის ხანა, რაც მომავალი კვლევების საქმეა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. *გ. ლორთქიფანიძე, "ბიჭვინთის ნაქალაქარი", თბ. 1991*
2. *http://en.wikipedia.org/wiki/Limes*
3. *ტ. ებრალიძე, "გონიო-აფსაროსი", ტ. VI, ბათუმი, 2005*
4. *ნ. კეჭაყმაძე, ფლავიუს არიანე, "მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო", თბ. 1961*
5. *Леквинадзе В.А. "Понтийский Лимес",* ВДИ, *, 2, 1969*
6. *Бгажба О. Х., Лакоба С. З. "История Абхазии с древнейших времен до наших дней". Сухуми, 2007; стр. 76-82*
7. *ს. ყაუხჩიშვილი, "გეორგიკა, — ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ", ტ. I, თბ. 1961*
8. *ზ. კვიციანი, "დასავლეთ საქართველოსა და რომის იმპერიის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიისათვის", თსუ, 1997*

HELMETS OF EARLY IRON AGE AND CLASSICAL ANTIQUITY IN GEORGIA

Irakli Anchabadze

Of the categories of defensive armament coat-of-arms, helmet, shield and cnemides are attested in Classical period Georgia. These varieties have come down to us in specimens made of metal. The Kartvelian population, as evidenced by written sources, was armed with wooden and leather, at time flax, defensive means, hence these failed to be preserved in the earth.

The helmets are represented by the so-called **Conical** and **Chalcidice type** bronze helmets. *The conical bronze* and iron *helmets* of different types became widespread in the *Assyrian* Empire and Urartu during the Late bronze and Early iron period, thus, Georgian archaeological *finds of the same periods* (discovered in Beshtasheni and Primorskoe) may have an oriental origin. As a rule such a type consists of three to six steel or bronze plates connected to each other by the nails or straps. The frame takes a conical design that curves with the shape of the head and culminates in a point.

10 **"Chalcidian type"** helmets are known on the territory of Georgia. They were Found in the 5th-4th century archaeological complexes- Eshera, Akhul Abaa, Kutaisi, Kokhi, Lanchkhuti, (Western Georgia). This reflects the influence of the Greek military art in Colchis during the Classical and Hellenistic periods.

Chalcidian type helmet was a helmet made of bronze and worn by ancient warriors of the Hellenic world, especially popular in Greece in the fifth and fourth centuries BC. The helmet was also worn extensively in the Greek (Southern) parts of Italy in the same period. The helmet appears to have been a development of the **Corinthian** helmet,

its improvements in design giving the wearer better hearing and vision, resulting in a lighter and less bulky helmet.

One Roman helmet have been brought to light in Dedoplistsqaro, Eastern Georgia (Accidental finding). Most probably, it belongs to the "Imperial helmet-type". It was a type of helmet worn by Roman legionaries; it replaced the Coolus type, and constituted the final evolutionary stage of the legionary helmet (galea).

Description of the figures

I. The so-called Chalcidice type bronze helmets. Eshera
II. Chalcidice type bronze helmet. Eshera
III. Chalcidice type bronze helmets. Eshera
IV. Chalcidice type bronze helmets. Kutaisi, Kokhi, Lanchkhuti
V. Roman helmet. Georgia, Upper Quedi
VI. Images of warriors on the silver bowl. Gomi
VII. Map of helmet findings

მუზარადები წინარეანტიკური და ანტიკური ხანის საქართველოში

ირაკლი ანჩაბაძე

თავდაცვითი შეიარაღების ისეთი კატეგორია, როგორიც არის მუზარადი, საქართველოში ცნობილია წინარეანტიკური ხანიდან. გარდა არქეოლოგიური მასალებისა, არსებობს ბერძნულ-რომაული წერილობითი წყაროები, საიდანაც ვიგებთ, რომ ქართველური ტომები აქტიურად იყენებდნენ ორგანული მასალისგან დამზადებულ თავდაცვით საჭურველს, კონკრეტულად ხის, ტყავისა და სელის აბჯრებს, თუმცა, ჩვენამდე მხოლოდ ლითონის ნიმუშებმა მოაღწია (რუკა. ტაბ. VII).



ყველაზე უადრესად შეიძლება ჩაითვალოს, ე.წ. ასურულ-ურარტული ტიპის ბრინჯაოს ორი კონუსური ჩაფხუტი, რომლებიც საქართველოში აღმოჩენილია ადრე რკინის ხანის ბეშთაშენის №13 [Куфтин, 1941: 68] და პრიმორსკოეს დარღვეულ სამარხებში [Стражев, 1926: 106,107]. ეს უკანასკნელი შედგება ბრინჯაოს რამდენიმე ფურცლისაგან, რომლებიც ერთმანეთს ბრინჯაოს თასმით უკავშირდება. ბეშთაშენის შემთხვევაში კი გამოყენებულია მოქლონი. ბეშთაშენის მუზარადს ასევე შენარჩუნებული აქვს ორი ყურსაფარი. მისი ანალოგიურია ჩრდილოეთ ოსეთში, სოფელ ფასკაუს სამარხში გამოვლენილი კონუსური ჩაფხუტი, რომლის ბრინჯაოს ფურცლები, პრიმორსკოეს არტეფაქტის მსგავსად, შე-

კრულია ბრინჯაოს თასმით [Уварова, 1900: 2771900: 277].

კონუსური, ყურსაფარიანი ბრინჯაოს მუზარადი გამოვლინდა სტავროპოლის მხარეში, კლინ-იარის ქ.წ. VIII-VII სს-ის ყობანური კულტურის სამარხში [Белинский, 1990: 190-195. Рис.1,2,3 1].

კარმირ-ბლურში შესწავლილია კონუსისებური 20 მუზარადი. მათგან 4 მუზარადზე წარწერებია, რომლებშიც მოხსენიებულია არგიშთ I-სა და სარდურ II-ის სახელები. ზოგიერთი მუზარადის სასაფეთქლე და კეფის ნაწილზე გამოსახულია ურარტული 8 საბრძოლო ეტლი და 10 მხედარი. საინტერესოა ის, რომ მეეტლეები და მხედრები ატარებდნენ ისეთ მუზარადებს, რომლებზეც თვითონ იყვნენ გამოსახულნი [Есаян, 1966: 97,98,99].



II

ანალოგიური ტიპის არის ბრინჯაოს მუზარადი, რომელიც ნაპოვნია ზემო იტალიაში, ოპეანოში. ის ბერძნულ-აღმოსავლური ორნამენტული სტილითაა მორთული, სფინქსისა და ცხოველების გამოსახულებით. შედგება ბრინჯაოს ორი ნაწილისგან, რომლებიც ერთმანეთს მოქლონვით და არა ნაკერით უერთდება. ეს ჩაფხუტი თარიღდება ვილანოვის პერიოდის გვიანი საფეხურით, ე.ი. ქ.წ. V ს-ით. ნიმრუდში აღმოჩენილი შედგენილი ასურული მუზარადი დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში. მისი კორპუსის ნაწილები მოქლონვით უერთდება ერთმანეთს [Куфтин 1949: 139-143. Таб. X].

ბ. კუფტინი თვლიდა, რომ ბეშთაშენის, ზემოთ ნახსენები ჩრდილოეთ ოსეთისა და აფხაზეთში აღმოჩენილი ნიმუშები კოლხურ-ყობანურ კულტურულ ჯგუფს განეკუთვნებოდა და უარყოფდა

მათ ასურულ წარმომავლობას [Куфтин 1949: 139-143]. ბ. რაბინოვიჩი (თავის ნაშრომში "Шлем скифского їåÀèîäàÍ) კავკასიაში აღმოჩენილ ამ ტიპის მუზარადებს ადგილობრივი წარმოების ნივთებად მოიაზრებდა, თუმცა განიხილავდა მათ, როგორც კავკასიისა და წინა აზიის კულტურული ურთიერთობის პროდუქტს [Пиотровский, 1950: 167].

ს. ესაიანი მიიჩნევს, რომ კონუსური ტიპის მუზარადები ქ.წ. VIII ს-დან ასურული გავლენით ვრცელდება ურარტუში, ხოლო იქედან კი კავკასიის რეგიონში. მაგრამ საინტერესოა ბეშთაშენის ეგზემპლარი, რომელიც განსხვავდება კარმირ-ბლურის მუზარადებისაგან. მას, როგორც აღვნიშნეთ, ყურსაფარი აქვს, მსგავსი ფორმის ნიმუშები კი გამოსახულია ასურულ ბარელიეფურ გამოსახულებებზე აშურნასირპალ II-ის სასახლეში. ამიტომ შესაძლებელია, რომ ეს უშუალოდ ასურული იმპორტი იყო ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე ან უშუალოდ მისი გავლენით ხდებოდა ანალოგიური მუზარადების ადგილზე დამზადება.



III

მუზარადები ასევე იშვიათად გვხვდება საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე. ხელთ გვაქვს ლითონის თორმეტი მუზარადი, აქედან თერთმეტი განეკუთვნება ე.წ. **ქალკიდური** და **ატიკური** მუზარადის ტიპს. ერთი კი აშკარად რომაულია.

სანამ უშუალოდ ქართულ ეგზემპლარებს განვიხილავთ, გავეცნოთ ჩაფხუტის აღნიშნული ტიპების მოკლე ისტორიას.

ქალკიდური და ატიკური ჩაფხუტი **კორინთული** მუზარადის შემდგომი განვითარების შედეგი იყო. ელინურ სამყაროში, მუზარადების კორინთული ფორმა გამოიყენებოდა ქ.წ. VIII-VI სს-ში. ჩაფხუტი ადამიანის მთელ თავს ფარავდა და ჭრილები მხოლოდ თვალების, ცხვირის და პირის ადგილებზე ჰქონდა დატანილი. უადრესი კორინთული მუზარადის ასევე ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება იყო ქვემოთ, გვერდით კიდეებზე (სადაც მთავრდება ადამიანის ყბა და იწყება კისერი) ამონაჭრის ჩაღრმავების არსებობა. ქ.წ. VI ს-ის დასაწყისში ის შეიცვალა უფრო მკვეთრად გამოხატული ისრისებური ჭრილით. კორინთული მუზარადის ყბის საფარი იყო დრეკადი, ამიტომ შესაძლებელი ხდებოდა თავზე მისი ნახევრად ჩამოცმა. სწორედ ასე ატარებდნენ ჰოპლიტები მუზარადებს ბრძოლის დაწყებამდე. ბრძოლის დროს კი მას მთლიანად ჩამოიცვამდნენ ხოლმე თავზე [Bottini, ... 1988: 11-27].

საბერძნეთში კორინთული მუზარადი მოხმარებიდან გავიდა უკვე ქ.წ. V ს-ის დასაწყისისათვის, განსხვავებით იტალიისა, სადაც ქ.წ. VI-V სს-ში იტალიკური ტომები განაგრძობდნენ კორინთული მუზარადის საკუთარი ვარიანტის განვითარებასა და მოდერნიზებას. ქ.შ. I ს-ის დასაწყისისთვის ისინი მთლიანად გაქრა [Bottini, ... 1988: 65-107].

კორინთულ მუზარადს ჰქონდა ერთი დიდი ნაკლი — გარე ხმაურის გამტარობას ზღუდავდა. ამ ნაკლის აღმოფხვრას შეეცადნენ ყურის ადგილზე ნახვრეტის ან ჭრილის გამოყვანით, შედეგად წარმოიშვა ახალი **ქალკიდური** ტიპის მუზარადი. მისი პირველი გამოსახულებები ლარნაკებზე ქ.წ. VI ს-ის დასაწყისიდან გვხვდება. არსებობდა ამგვარი მუზარადის ორი ტიპი: 1. ყბის საფარი მუზარადზე მყარად იყო მიდუღაბებული, როგორც მისი უშუალო გაგრძელება; 2. ანჯამებით ეკიდა და მოძრაობდა. არსებობდა, აგრეთვე, ე.წ. **ატი-**

კური მუზარადი, რომელიც ქალკიდურის ანალოგიურია, მაგრამ მას არ ჰქონდა ცხვირსაფარი.ეს უკანასკნელი პოპულარული იყო აპენინის ნახევარკუნძულზე, ეგეოსურ სამყაროში ის ნაკლებად პოპულარული გახლდათ [Bottini, ... 1988: 137-151].

ეშერის ნაქალაქარის მიდამოებში, ანტიკური ხანის დანგრეულ სამარხებში აღმოჩენილია რამდენიმე ბერძნული ქალკიდური მუზარადი.

პირველი ნიმუში აღმოაჩინეს 60-იან წლებში, ეშერის ნაქალაქარის ჩრდილოეთით, დანგრეულ სამარხში (ტაბ. I 1). მას აქვს ნახევარსფერული ფორმა, არ არის ღრმა და მისი კეფის ნაწილი ოდნავ უკან არის გაზიდული. სურათზე ჩანს, რომ მას არ ჰქონია ყურისთვის განკუთვნილი ამონაჭერი, ხოლო ქვედა კიდეებზე ოდნავ შესამჩნევი ნახვრეტები გასდევს, რაც ალბათ ყბის საფარის დასამაგრებლად გამოიყენებოდა. მუზარადის სახის მხარეს დატანილია ორი თვალზედა რკალი, ხოლო მათ შორის მოკლე, ოდნავ შესამჩნევი სამკუთხა გამონაშვერია — ცხვირსაფარი. თითოეულ სათვალე რკალს დაუყვება ოთხ-ოთხი გამჭოლი ნახვრეტი. მუზარადის სიმაღლეა 16-სმ, სიგრძე 25-სმ, დიამეტრი — 17-სმ [Воронов, 1969: 80, ტაბ. XLVI, 10].

ამ მუზარადთან ერთად გამოვლინდა მუზარადის საკეფე გამონაშვერის ნაწილი, რომელსაც კიდეებზე სხვადასხვა ზომის ნახვრეტები დაუყვება. აქვე აღმოჩენილია სხვა ფრაგმენტებიც: ორი მთელი ყბის საფარი და, სავარაუდოდ, ყურისთვის განკუთვნილი ჩაღრმავების ნაწილი. ეს ნაწილები უკვე ზემოთ აღწერილი მუზარადისაგან განსხვავდებოდა ფერითა და ფაქტურით, ე.ი. აღმოჩენილია რამდენიმე მუზარადის ფრაგმენტები. სავარაუდოდ, მხოლოდ ერთი ყბის საფარი შეიძლება ეკუთვნოდეს ზემოთ აღწერილ ნახევარსფერულ მუზარადს, რადგან მისი ქვედა კიდეების ნახვრეტების რაოდენობა ემთხვევა ყბის საფარის ზედა ნახვრეტების რაოდენობას. თავდაპირველად, მუზარადს მოიაზრებდნენ ატიკურ

ტიპად, ხოლო მოგვიანებით, მას ადგილზე გადაკეთებულ ისეთ ფორმად აღიქვამდნენ, რომელიც თითქოს იმეორებდა კორინთული მუზარადის ფორმას [Воронов, 1969: 50].

მსგავსი მუზარადი გამოვლინდა 1971 წელს, ვერეშაგინის ბორცვის აღმოსავლეთ ფერდობზე. ის ნაპოვნია დანგრეულ გრუნტიან სამარხში, სადაც ასევე დაფიქსირდა პეპლისებურვადიანი რკინის ე.წ. აკინაკი, დანა და ბრინჯაოს სამაჯური (ტაბ. I 2). კომპლექსი დათარიღებულია ქ.წ. VI-V სს-ით. მუზარადისგან შემორჩა მისი წინა ნაწილი: პატარა სამკუთხა ცხვირსაფარი, მასიური საშუბლე ნაწილი და კეფის მხარე. თვალზედა რკალები და საშუბლე ნაწილი ორნამენტირებულია რელიეფური ხაზებით. ამავე მუზარადის ნაწილია ფართო, მასიური ყბის საფარი, რომელიც ნახვრეტების მეშვეობით მაგრდებოდა მუზარადის ქვედა და საკეფე ნაწილზე. მას პირველი მუზარადის მსგავსად ქვედა კიდეებზე ამონაჭერი არ ჰქონდა [Шамба, 1988: 130. სურ-16].



IV

ანალოგიური ტიპის მესამე მუზარადი აღმოჩენილია 1979 წელს, ვერეშაგინის ბორცვის სამხრეთით, ბორცვის დასაწყისთან. მასთან ერთად გამოვლინდა რკინის სამი ცული და რკინის ორი აკინაკი. მუზარადი „თითქმის მთელია, აქვს მხოლოდ ძველი ფართო ნახვრეტი მუზარადის ზედა ნაწილზე“ [Шамба, 1988: 82. სურ-2]. ფოტოსურათზე ჩანს, რომ მუზარადს არ აქვს საყურე ჭრილი და წარმოდგენილია მასიური საკეფე ნაწილით (ტაბ.I 3). მუზარადის საფეთქლის არეში და საკეფე გამონაშვერის

გვერდით კიდეებზე რამდენიმე ნახვრეტი შეინიშნება.

მეოთხე ანალოგიური ტიპის ნიმუში უკვე ომისშემდგომ აფხაზეთშია შესწავლილი, 2000 წელს, ამჟამად დაცულია აფხაზეთის ჰუმანიტარული კვლევების არქეოლოგიურ განყოფილებაში (ტაბ. II). ის მოიპოვა ომის შემდეგ აღდგენილმა ეშერის ექსპედიციამ. მუზარადს წინ, სახის მხარეზე აქვს პატარა სამკუთხედის ფორმის გამონაშვერი — ცხვირსაფარი. ისე როგორც ზემოთ აღწერილ ეგზემპლარებს, მასაც არა აქვს ყურისთვის განკუთვნილი ჭრილები. შემორჩენილია უკანა მასიური საკეფე ნაწილის თითქმის ნახევარი. მის კიდეებზე ექვსი ნახვრეტია დატანილი, რომლებითაც უკავშირდებოდა ყბის საფარს. ეს უკანასკნელი დაკარგულია. რამდენიმე ნახვრეტია ასევე მუზარადის ქვედა გვერდით კიდეებზე: შვიდი ცალი ერთ გვერდზე, ხოლო რვა — მეორე გვერდზე. როგორც ჩანს, ყბის საფარები დამაგრებული იყო, როგორც ჩაფხუტის ქვედა კიდეებზე ისე, მის საკეფე ნაწილზეც. თვალზედა ჭრილები — რკალები გაფორმებულია ოდნავ შესამჩნევი მომრგვალებული ფორმის ღრმულების რიგით. მუზარადის სიმაღლე დაახლოებით 23.5 სმ-ია სიგრძე 23 სმ, სიგანე 18 სმ [Эрлих, 2008: 80-81].



V

ზემოთ აღწერილი ყველა არტეფაქტისთვის, რომლებიც სხვადასხვა დროს აღმოჩნდა ეშერის ნაქალაქარის მიდამოებში, დამახასიათებელია საერთო ნიშნები: მოკლე სამკუთხა ცხვირსაფარი, მასიური კეფის საფარი, საყურე ჭრილის უქონლობა, ასევე, ე.წ. ”ყბის საფარები” (ან ყურის საფარი), რომელთა მოხსნა და გა-

მოცვლა შეიძლებოდა, რადგან, როგორც აღვინიშნეთ, ისინი არ იყო მუზარადის უშუალო გაგრძელება, ნახვრეტების საშუალებით მაგრდებოდა მუზარადის ქვედა გვერდით კიდეებზე.

შესწავლილი ეგზემპლარები საერთო ფორმის მიხედვით, შეიძლება მივაკუთვნოთ — ქალკიდური მუზარადების ჯგუფს (თუმცა, მათ ატიკურსაც უწოდებენ, რადგან სწორედ ეს მუზარადებია ასახული ატიკურ მხატვრობაში). მათი ტიპოლოგია შეიმუშავეს ე. კუნზემ (ოლიმპიის მუზარადებიდან გამომდინარე) და გ. პფლუგმა. ეშერული ჩაფხუტები ყველაზე ახლოა პფლუგის V ტიპთან ან კუნზეს VII ჯგუფთან [Bottini, ... 1988: S. 138.ABB.2]. ამგვარ მუზარადებს ახასიათებს მოძრავი ყბის საფარები და მოკლე ცხვირსაფარი. ორივე ყბის საფარი კიდეებზე დატანილ ნახვრეტებში გაყრილი მრგვალი რგოლებით ან ანჯამებით იყო ჩამოკიდებული ჩაფხუტზე. გ. პფლუგი მაგალითად მოიაზრებს მეომრის გამოსახულებას, რომელსაც თავზე ქალკიდური მუზარადი ახურავს. მუზარადის ორივე ყბის საფარი მაღლა არის აწეული. ეს გამოსახულება დათარიღებულია ქ.წ. V ს-ის დასაწყისით [Bottini, ... 1988: S. 144. Abb. 10].

სწორედ ასეთი, ანჯამებიანი ყბის საფარით აღჭურვილი მუზარადებია აღმოჩენილი 1979 წ. და 1985 წ. სოხუმში, ახულ-აბაასთან, ქ.წ. IV ს-ის სამარხებში (ტაბ.III 1,2) [Воронов, 1991: 227, სურ. 2,3], კიდევ ორი ცალი ნაპოვნია შემთხვევით ეშერის ნაქალაქარსა და მდ. კელასურის შესართავთან [Воронов, 1975: სურ. 6. 1-3, 13-20]. ახულ-აბაასში გამოვლენილი ერთ-ერთი ქალკიდური მუზარადის მხოლოდ წინა მხარეა შენარჩუნებული, თავისი ცხვისაფარითა და ისრისებური ჩაღრმავებით შუბლის არეში. მეორე ეგზემპლარს შენარჩუნებული აქვს, როგორც საკეფე ნაწილი ისე, ყბის საფარი, რომელიც ანჯამებით იყო ჩამოკიდებული მუზარადის ქვედა კიდეზე.

არსებითი განსხვავება, ე.წ. V ტიპის ქალკიდურ მუზარადებსა და ზემოთ აღწერილ პირველ ოთხ ეშერულ ნიმუშს შორის არის ის, რომ V ტიპის ქალკიდური მუზარადის ყბის საფარი უშუალოდ არ

არის დაკავშირებული კეფის საფართან და მათ შორის ყურისთვის განკუთვნილი ჭრილია. აქედან გამომდინარე, განსხვავებულია თვითონ მისი ყბის საფარის ფორმაც (ტაბ.III, 3).

აფხაზეთის მუზარადების სახით, ჩვენ საქმე გვაქვს ბერძნული მუზარადების განსაკუთრებულ სერიასთან, რომელიც, როგორც ჩანს, ერთი სახელოსნოს ნამზადი იყო. ამაზე მეტყველებს, როგორც მათი მსგავსება ისე, ეშერის ნაქალაქარის რაიონში მათი კონცენტრაციაც. მათგან ორი, ე.წ. აკინაკებთან ერთად გამოვლინდა ქ.წ. VI-V სს-ის სამარხებში.

ზოგიერთი არქეოლოგის (მაგალითად ი. ვორონოვი) აზრით, ეშერული მუზარადები ჩრ. შავი ზღვისპირეთში, სკვითურ სამყაროში გავრცელებული მუზარადების გადაკეთებული ვარიანტები იყო. თუმცა, სკვითურ ეგზემპლარებს მოხსნილი ჰქონდა კეფისა და ყბის საფარები, მათ ნაცვლად ფირფიტებიან ზარადს ჰკიდებდნენ. ეშერულ მუზარადებს კი ასეთი გადაკეთების კვალი არ აღენიშნება. გარდა ამისა, სკვითური არტეფაქტების დიდი უმრავლესობა ქ.წ. IV ს-ით თარიღდება.

საქართველოში კიდევ სამი ქალკიდური მუზარადია ცნობილი. ყველა მათგანი, აფხაზეთის მუზარადებისგან განსხვავებით, ნაპოვნია შემთხვევით. ფორმების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისინი უნდა დათარიღდეს ქ.წ. V საუკუნით, ან ქ.წ. IV საუკუნით. ისინი შეიძლება ჩაითვალოს უკვე ჩამოყალიბებულ, კლასიკურ ქალკიდურ მუზარადებად, განსხვავებით ზემოთ აღწერილი არქაული ეშერული ქალკიდური მუზარადებისგან.

ერთ-ერთი მათგანი ნაპოვნია ქუთაისში. მის ნახევარსფერულ კორპუსს აქვს ცხვირსაფარი და კეფის საფარი. ისინი შუბლის არეში „ისრისებურადაა“ შეღრმავებული. დაკარგული აქვს ორივე ყბის საფარი. მისი მუზარადთან შეერთების ადგილზე შეინიშნება ნახვრეტები, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ყბის საფარი მოძრავი იყო (ტაბ.IV 1).

ასევე ნაკლულია სოფ. კოხში (აჭარა) აღმოჩენილი მუზარადი. მუზარადს დაკარგული აქვს ყბის საფარები და მოტეხილია ჩაფხუტის ზედა მეორე ნახევარი. შენარჩუნებულია მუზარადის ქვედა ნახევარი თავისი ცხვირის საფარით, ყურისთვის განკუთვნილი ჭრილითა და საკეფე ნაწილით (ტაბ. IV 3).

ლანჩხუთში აღმოჩენილი მუზარადიც ქალკიდური ტიპისაა, მაგრამ ოდნავ განსხვავდება ქუთაისსა და კოხში აღმოჩენილი მუზარადებისგან და უფრო არქაულ შთაბეჭდილებას ახდენს: მას მეტად მასიური, სამკუთხედი ფორმის მახვილი ცხვირის საფარი აქვს. დაკარგული აქვს ყბის საფარები, თუმცა აშკარაა, რომ ისინი მუზარადის უშუალო ნაწილი, მისი გაგრძელებაა. აქვს ნაკლებად გამოხატული საკეფე ნაწილი. მისი შუბლის არე, სხვა მუზარადებთან შედარებით უფრო ნაკლებად შეჭრილია სიღრმეში (ტაბ.IV 2).

VI

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კოლხეთში უკვე ქ.წ. VI საუკუნისთვის საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული ბერძნული თავდაცვითი შეიარაღება (იგულისხმება აფხაზეთში აღმოჩენილი ჰოპლიტური ფარის ნაშთებიც). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მათი დიდი უმრავლესობა შავი ზღვისპირა რეგიონებშია აღმოჩენილი, სადაც ბერძნული გავლენა ყველაზე ძლიერი იყო.

რომაული ნახევარსფერული მუზარადი აღმოჩენილია კახეთში, დედოფლისწყაროს რაიონში, სოფ. ზემო ქედში. ის ნაკლულია: დაკარგულია ორივე ყბის საფარი და ზედა ნახევარი. თუმცა, შემორჩენილია მუზარადის შუბლის, საფეთქლის ნაწილი და, რაც მთავარ-

ია, მისი საკეფე გამონაშვერი. მიუხედავად იმისა, რომ მუზარადის თითქმის ნახევარი დაკარგულია, შენარჩუნებული ნაწილი (განსაკუთრებით კი საკეფე გამონაშვერი) მისი ტიპის დადგენისა და დათარიღების საშუალებას იძლევა (ტაბ.V).

გამორიცხვის მეთოდით თუ ვიმსჯელებთ, კახეთის არქეოლოგიური არტეფაქტი რომაული მუზარადების არც მონტეფორტიული ტიპია და არც კულუსის. ასეთი ვარაუდი დასაშვებია, კახეთში აღმოჩენილი იმ მუზარადის საკეფე გამონაშვერიდან გამომდინარე, რომელიც აშკარად უფრო მასიურია ვიდრე მონტეფორტიული და კულუსის ჩაფხუტების მუზარადების გამონაშვერები. ეს დეტალი მიანიშნებს იმაზე, რომ ქართული ნიმუში უფრო გვიანდელია, ვიდრე რომაული მუზარადების ეს ორი ფორმა. სავარაუდოდ, ის ყველაზე ახლოა პორტულ და, ე.წ. იმპერიულ-კელტურ ან იმპერიულ-იტალიურ მუზარადებთან. შესაბამისად, კახეთში აღმოჩენილი რომაული მუზარადი უნდა დათარიღდეს არაუადრეს ქ.შ. I საუკუნისა და არაუგვიანეს ქ.შ. III საუკუნისა. მართალია, ამ დროს რომაული მუზარადები უკვე ძირითადად რკინისგან მზადდებოდა (ჩვენი არტეფაქტი კი ბრინჯაოს ნამზადია), მაგრამ რომაული ლეგიონების დამხმარე ნაწილებში, ე.წ. აუქსილიებში ბრინჯაოს მუზარადები ჯერ კიდევ გამოიყენებოდა.



VII

კახეთში აღმოჩენილი მუზარადის ასეთ დათარიღებას (ქ.წ. I-II სს.) ადასტურებს ისტორიული კონტექსტიც. ამ პერიოდში რომის იმპერია საკმაოდ აქ-

ტიურად არის წარმოდგენილი, როგორც კოლხეთში ისე, იბერიის სამეფოში. განსაკუთრებით კი კოლხეთში, სადაც მის ზღვისპირა სანაპიროებზე რომაული გარნიზონები დგას. ხოლო ქართლის სამეფოსთან მას საკმაოდ მჭიდრო და ინტენსიური ურთიერთობები აკავშირებდა.

აღნიშნული არტეფაქტი დასავლეთ საქართველოში რომ აღმოჩენილიყო, განსაკუთრებით კი რომელიმე ზღვისპირა რეგიონში, ჩვენ სერიოზული საფუძველი გვექნებოდა ვარაუდისთვის, რომ ის რომაელ ლეგიონერს ან აუქსილიაში მებრძოლ ადგილობრივ მეომარს ეკუთვნოდა. თუმცა, ის იპოვეს აღმოსავლეთ საქართველოში. აქ კი არც წერილობითი წყაროებით და არც არქეოლოგიურად არ დასტურდება რომაული გარნიზონების ყოფნა. ამიტომ მუზარადი იქ სხვა მრავალი გზითაც შეიძლება მოხვედრილიყო (თუნდაც ნადავლის სახით).

არქეოლოგიურ არტეფაქტებზე არსებული გამოსახულებებიც გვეხმარება საბრძოლო იარაღის ამ სახეობის შესწავლაში. სოფ. გომში აღმოჩენილ სასმისზე გამოხატულ ოთხივე მეომარს თავზე ახურავს ნახევარსფერული მუზარადი (ტაბ. VI). ზოგიერთ მათგანს თითქოს ცხვირსაფარი და ყბების საფარი აღენიშნება. ბერძნული და შემდგომი რომაული სამყაროსთვის ყბის საფარები შედარებით ხშირი ატრიბუტია. რომის იმპერიაში მუზარადებს სიმტკიცისთვის შუბლთან ამაგრებდნენ დამატებით ლითონის სარტყელს, რომელიც გომის სასმისის პირველ და მეორე მეომრის მუზარადებზე გამოსახული სარტყლის მსგავსია. რესპუბლიკისა და იმპერიის ხანის რომაული მუზარადებისთვის ცხვირსაფარები ნაკლებად დამახასიათებელია. გომის სასმისზე, ალბათ, შერეული ტიპის (ბერძნულ-რომაული) ან კოლხური ხის მუზარადებია გამოსახული. კოლხური მუზარადების შესახებ ცნობას გვაწვდის ჰეროდოტე. ხის მუზარადები მოსხებსაც ეხურათ. უფრო მოგვიანო, კერძოდ, პომპეუსის იბერებთან ბრძოლისდროინდელ ამბებზე თხრობისას,

სტრაბონი აღნიშნავს, რომ იბერებს თავზე ტყავის მუზარადები ეხურათ [გამყრელიძე, 2002: 43; ტაბ. I, 1,2].

გამოყენებული ლიტერატურა

1. ***გამყრელიძე გ.*** *2002: ვერსია ბრძოლისსიუჟეტიანი ვერცხლის რიტონის შესახებ ზემო რაჭის სოფ.გომიდან.- აკც-ს ძიებანი, № 10. თბილისი გვ. 39-49.*
2. ***გამყრელიძე გ., ფირცხალავა მ., ყიფიანი გ.*** *2005: ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები. თბილისი.*
3. *Белинский А.Б. 1990: К вопросу о времени появления шлемов Ассирийсского типа на Кавказе. СА, №4. Москва 190-195.*
4. *Воронов Ю.Н. 1969: Археологическая карта Абхазии. Сухуми.*
5. *Воронов Ю.Н. 1975: Вооружение древнеабхазских племен в VI-I вв. до н.э.- Скифский мир. Киев. Ст. 218-234.*
6. *Воронов Ю.Н. 1991: Новые материалы античной эпохи из окресности Диоскуриады. - СА, №1. Москва. Ст. 225-234.*
7. *Есаян С.А. 1966: Оружие и военное дело древней Армении (III-I тыс. до н.э.). Ереван.*
8. *Куфтин Б.А. 1941: Археологические раскопки в Триалети. Тбилиси.*
9. *Куфтин Б.А. 1949: Материалы к археологии колхиды. Т-1. Тбилиси.*
10. *Пиотровский Б.Б. 1950: Кармир-Блур. Вып 1. Ереван.*
11. *Стражев В.И. 1926: Бронзовая култура в Абхазии. ИАИО, №4. Москва.*
12. *Уварова П.С. 1900: Могилъники Северного Кавказа. МАК. VIII. Москва.*

13. *Шамба Г.К. 1988: Археологические памятники Абхазии. Сухуми.*
14. *Эрлих В.А. 2008: Об одном типе греческих шлемов из центральной Абхазии. Сухуми.*
15. *Bottini F., Egg M., Hase F., Pflug H., Schaaf V., Schauer P., Waurick G. 1988: Antike Helme. Mainz.*

ტაბულების აღწერილობა

I. ეშერის ნაქალაქარის მუზარადები;
(Воронов, 1969: 80, ტაბ.XLVI, 10; Г. Шамба, 1988: Ст. 130. Рис-16. Ст. 82. Рис-2).

II. ეშერის ახალი მუზარადი (2008 წ.); (Эрлих, 2008: 80-81)

III. ეშერის მიდამოებში აღმოჩენილი მუზარადები;
(Воронов, 1991: Ст.227, 228. Рис.2,3)

IV. საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი მუზარადები; (გამყრელიძე, 2005: 209. ტაბ.XXIX)

V. რომაული ნახევარსფერული მუზარადი. კახეთი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო ქედი; (გამყრელიძე, 2005: 210. ტაბ.XXX)

VI. სოფ. გომში აღმოჩენილი სასმისი; გამყრელიძე, 2002: 48. ტაბ.I)

VII. არქეოლოგიური ძეგლების რუკა, რომელზეც დატანილია ადგილები, სადაც აღმოჩნდა მუზარადები.

რუკა შედგენილია ირაკლი ანჩაბაძის მიერ.

აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე და საქართველოს უძველესი ქალაქების არქეოლოგიური კვლევის საკითხები

არქეოლოგიის დოქტორანტი შალვა ბუაძე

საქართველოს ძველი ურბანისტული ცენტრების კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ საქმეში გამორჩეული წვლილი მიუძღვის აკადემიკოს ანდრია აფაქიძეს. მან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო მრავალფენიანი ნაქალაქარების კვლევა. ანდრია აფაქიძემ არქეოლოგიური კვლევებისა და წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე დაახასიათა "უძველესი ქართული ქალაქების იერსახე, მისი სოციალური და ეთნიკური შემადგენლობა, ფორტიფიკ-



აციის საკითხები და საქალაქო ხელოსნობა" [ანდრია აფაქიძე 1963]. ფუნდამენტურ ნაშრომში "ქალაქები და საქალაქო ცხოვრე-

ბა საქართველოში” მკვლევარი დასკვნის სახით წარმოადგენს, რომ “...მცხეთის დედაქალაქობის ხანის საქართველოს ქალაქების ცხოვრება ქართლის და კოლხეთის მონათმფლობელური ქალაქების ცხოვრებაა.” [ანდრია აფაქიძე 1963: 245]. ასევე ამბობს: “ქალაქი სამი უმთავრესი ნაწილისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი: ა) საკუთრივ ქალაქი; ბ) ციხესიმაგრეთა სისტემა და გ) გარეუბანი (ქალაქის სასოფლო რაიონი)”.

აკად. ანდრია აფაქიძემ ქართლისა და შავი ზღვისპირეთის ქალაქების გარდა, ქუთაისის არქეოლოგიის საკითხიც გამოიკვლია. მან ქუთაისის ტერიტორიაზე ქვევრსამარხები დაადგინა [ანდრია აფაქიძე 1963: 89], რაც ქუთაისის არქეოლოგიური კვლევების შედეგად დადასტურდა.

თანამედროვე არქეოლოგიური კვლევები ათვალსაჩინოებს, რომ

გეგმა II

ანაზომი: ლ. ჭლიკაძე



ქალაქური ტიპის მსხვილი სამოსახლოები ჩვენში გვიან ბრინჯაოს ხანის მიწურულიდან გაჩნდა და განსაკუთრებული აღმავლობა ქ.წ. I ათასწლეულის შუახანებისთვის განიცადა. ამის დასტურია მცხეთის, ვანის, საირხის, ქუთაისისა და ფაზისის კვლევის შედეგები.

ქუთაისის არქეოლოგიური შესწავლილობის დონე საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს საქალაქო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი არაერთი მნიშვნელოვანი დეტალი.

ქალაქის უშუალო მიმდებარე ტერიტორიაზე ადამიანის კვალი ფიქსირდება მუსტიეს ხანიდან [ომარ ლანჩავა 2007: 19] და მას შემდეგ თითქმის უწყვეტად მომდინარეობს ცხოვრება.

არქეოლოგიურად აქტიური ზონაა მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე არსებული ტერიტორია, რომელიც გაბაშვილის, დათეშიძის, არქიელის გორის, ვარდიგორისა და თეთრამიწის გორებისაგან შედგება (სურ. 1).

ნეოლით-ენეოლითური ხანის კულტურული ფენები გამოვლენილია თეთრამიწაზე. ჩვენი აზრით, თეთრამიწაზე მცხოვრებმა ადამიანთა ჯგუფებმა ხელსაყრელი პირობების ძიებისას ნელ-ნელა გადაინაცვლეს არქიელის გორაზე (სურ. 1) და საფუძველი ჩაუყარეს იმ უძველეს დასახლებას, რომელიც 2007 წელს მცირე მონაკვეთში გამოვლინდა ბაგრატის ტაძრის ეზოში [ომარ ლანჩავა, როლანდ ისაკაძე 2007ა: ან-

გარიში].

2012 წლის საველე არქეოლოგიური გათხრების დროს [ომარ ლანჩავა, როლანდ, ისაკაძე, შალვა ბუაძე, დავით ბერძენიშვილი, შიო სიმსივე, დავით დვალიშვილი, ნონა ქარციძე 2014: ანგარიში] აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის (სურ. 2) საფუძველზე ეს დასახლება დათარიღდა შუა ბრინჯაოს ფინალური და გვიან ბრინჯაოს საწყისი ხანით.

გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის მძლავრი კულტურული ფენები და სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების ნაგებობები დასტურდება არქიელის, გაბაშვილისა და დათეშიძის გორებზე (ომარ ლანჩავა 2015: 41-45).

არქეოლოგიური კვლევების უახლესმა შედეგებმა წარმოაჩინა ქუთაისის გორაკ-ბორცვიან ნაწილში გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის საკმაოდ ფართო, მძლავრი დასახლების არსებობა. იგი დაახლოებით 25 ჰექტარზეა გაშლილი, სხვადასხვა ინტენსივობით (სურ. 1). 2013-2014 წწ. დათეშიძის გორაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა თავდაცვითი თხრილი, რომლის სიგანე 10-12 მეტრია, სიღრმე კი 6 მეტრი [ჭრილი 1-1; სიტუაციური გეგმა; ომარ ლანჩავა, როლანდ ისაკაძე, შალვა ბუაძე, დავით ბერძენიშვილი, შიო სიმსივე, დავით დვალიშვილი, ნონა ქარციძე 2014: ანგარიში].

აღნიშნულმა აღმოჩენამ გარკვეულწილად წარმოაჩინა იმდროინდელი დასახლების ტოპოგრაფია: 1. დღევანდელი გაბაშვილის გორა (კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორია) წარმოგვიდგება,

როგორც ბუნებრივი და ხელოვნური გამაგრებებით (წყლით სავსე თავდაცვითი თხრილები, ხით, რიყის ქვითა და თიხით ნაგები დამცავი კედლები) განმხოლოებული ციტადელი. 2. გაბაშვილის გორის დასავლეთით მიმდებარე ვაკე ტერიტორია ასევე საგანგებოდ დაცულია ზემოაღნიშნული თხრილით. 3. გაბაშვილის გორასა და დღევანდელი ბაგრატის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიას შორის მოქცეული საკმაოდ დიდი მონაკვეთი, საიდანაც შემთხვევით მოპოვებული ბრინჯაოს არტეფაქტები ამ მონაკვეთში კოლხური სამაროვნების არსებობის საფუძვლიან ეჭვს ბადებს. უმჭიდროესი თანამედროვე განაშენიანების გამო ამ მონაკვეთის დაზვერვაც კი გართულებულია. 4. დღევანდელი ბაგრატის ტაძრის მიმდებარე, ე.წ. არქიელის გორაზე არსებული, როგორც ამ ეტაპზე ჩანს, ხელოვნურად გაუმაგრებელი დასახლება მძლავრი კულტურული ფენებითა და ქვის ერთრიგა საფუძველზე აღმართული ხის (გეგმა 2) ნაგებობებით [ომარ ლანჩავა, როლანდ ისაკაძე 2012: ანგარიში].[1]

ამ სტილის ნაგებობების გამართვის წესი და მათ კონტექსტში აღმოჩენილი არქეფაქტების ერთი ნაწილი (თიხის ჭურჭლის გვერდისგან დისკოსებურად გამოყვანილი და ცენტრში გახვრეტილი ნივთები, ადამიანთა და ცხოველთა ქანდაკებების ფრაგმენტები, საბეჭდავის ფორმის ნივთები, კვირისტავის ფორმის ბორბლები...

[1]. ამ სტილის ერთი ნაგებობა გაბაშვილის გორაზეც არის აღმოჩენილი, იხ. ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე 1194:32).

თიხატკეპნილი იატაკის ქვეშ ნახევრად მიწური სათავსის არარსებობა განსხვავებით პირდაპირ მიწაზე დადგმული ხის ნაგებობებისაგან) შესაძლოა, მათ გამოკვეთილ საკულტო ფუნქციაზე მიუთითებდეს.

დიდი რაოდენობითაა ლითონწარმოების დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალა, სტანდარტული კერამიკული ნაწარმი და ბრინჯაოს არტეფაქტები.

საქალაქო ცხოვრების მომდევნო ეტაპი ადრეანტიკური ხანის თანხვედრაშია. ამ ეტაპისათვის მოსახლეობა შედარებით მცირეა (ან თითქმის აღარ არის) არქიელის გორაზე. ისინი ძირითადად გაბაშვილი-დათეშიძის გორასა და მათზე სამხრეთით მიბმულ დატერასებულ ფერდობსა და ვაკეს (დღევანდელი რუსთაველის პროსპექტის მიმდებარე უბნები) ითვისებენ [სურ. 3; ომარ ლანჩავა, როლანდ ისაკაძე 2005; 2007; ანგარიში].

ზედაპირული დაზვერვებითა და არქეოლოგიური გათხრებით მეტ-ნაკლებად დადგინდა ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარის საზღვრები (სურ. 3). ძირითად ორიენტირად კვლავ რჩება გაბაშვილის გორის კარგად გამაგრებული ტერიტორია.

შედარებით უკეთ არის შესწავლილი დასახლების ვაკე მონაკვეთის სამეურნეო-სახელოსნო უბნის ნაწილი და ელინისტური ხანის სამაროვანი. სახელოსნო უბანი წარმოდგენილია ნახევრად მიწურიანი მრგვალი ან ოვალური ფორმის შენობებით ანალოგიური შენობები კოლხეთში ჯერ კიდევ ძვ. წ. III-II ათასწლეულებში ფიქსირდება [ლერი ჯიბლაძე 2006: 35-39]. კვლევების ამ ეტაპზე ქუთაისში მიწურიანი შენობები წინარე და ადრე ანტიკური ხანაშია გავრცელებული.

ზოგიერთ ასეთ შენობას მცირე ზომის მინაშენი უნდა ჰქონოდა [ომარ ლანჩავა, როლანდ ისაკაძე 2007: ანგარიში] მათი ინტერიერი ძირითადად ამოვსებულია სხვადასხვა დანიშნულების კერამიკული

ჭურჭლის ფრაგმენტებით. დოკუმენტურად დასტურდება სამეთ-უნეო და ლითონდამამუშავებელი სახელოსნოების არსებობა. ელინისტურ ხანაში ქუთაისი შემცირებული დასახლებაა, თუმცა ციტადელი (გორაკები) და ვაკე დასახლება ისევ განაგრძობს არ-სებობას. ელინისტური ეპოქის სამაროვანი, უკვე დანგრეული ად-რე ანტიკური ხანის ფენებშია ჩაჭრილი. სამაროვანზე ფიქსირდე-ბა დროში ურთიერთმონაცვლე ორი ტიპის (ქვევრსამარხი და ორმოსამარხი) სამარხი [ომარ ლანჩავა, როლანდ ისაკაძე 2005; 2007: ანგარიში; შალვა ბუაძე 2011: 76-84].



ამ პერიოდისათვის სტრატეგიული გზები გადანაცვლებულია მდ. ყვირილის სამდინარო არტერიის გასწვრივ.

გვიან რომაული ხანის დასახლების კვალი ქუთაისში არ ჩანს და შემთხვევით მოპოვებული არტეფაქტებიც ცოტაა.

ქ.შ. III-IV საუკუნიდან საქალაქო ცხოვრების აღმავლობის ახალი, ე.წ. ახალქალაქობის ეტაპი იწყება [ო. ლანჩავაღ1996:].

ბიბლიოგრაფია

აფაქიძე ა. 1963: ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში I. თბილისი.

ბუაძე შ. 2011: ანტიკური ხანის სამარხები ქუთაისიდან. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები. კრებული XXI, ქუთაისი, გვ. 76-84.

ლანჩავა ო. 1996: ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში. ქუთაისი.

ლანჩავა ო. ისაკაძე რ. ბერძენიშვილი დ. ჭუმბურიძე მ. ქარციძე ნ. 2005: ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის 2005 წლის საველე სამუშაოების წინასწარი ანგარიში.

ლანჩავა ო. ისაკაძე რ. 2007ა: ბაგრატის ტაძრის ექსტერიერში 2007 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში.

ლანჩავა ო. ისაკაძე რ. 2007: ქ. ქუთაისში გრიშაშვილის ქ. მე-4 შეს. #9 2007 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში.

ლანჩავა ო. ისაკაძე რ. ბერძენიშვილი დ. ბუაძე შ. 2012: ბაგრატის ტაძრის გალავნის ჩრდილოეთის ექსტერიერში 2012 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების წინასწარი ანგარიში.

ლანჩავა ო. ისაკაძე რ. ბუაძე შ. ბერძენიშვილი დ. სიმსივე შ. დვალიშვილი დ. ქარციძე ნ. 2014: ქ. ქუთაისში ვაჟა-ფშაველას ქ. #15-ში 2013 წლის 3 დეკემბრიდან 2014 წლის 20 იანვრამდე ჩატარებული გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში.

ლანჩავა ო. 2015: ქუთაისის არქეოლოგია. ქუთაისი.

ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე 1994: თბილისი-ქუთაისი.

ჯიბლაძე ლ. 2006: კოლხეთის დაბლობის ძველი წელთაღრიცხვის III-II ათასწლეულების ნამოსახლარები. თბილისი.

ACADEMICIAN ANDRIA APAKIDZE AND ARCHAEOLOGICAL ISSUES OF RESEARCHES OF THE OLDEST GEORGIAN CITIES

Shalva Buadze – PhD in Archaeology

The research of old urban centers has great history. Academic Andria Apakidze has an important role in research of this problem. He is one of the first Georgian archaeologists, who started to work on as difficiul field of archaeology, as is a research of multilayer old settlements.

Modern archaeological researches clearly show that, appearance of urban type settlments started at the end of late bronze age and the rising of started in the middle of the 1st Century BC. This is confirmed by the results of researches of Mtskheta, Vani, Sairkhe, Kutaisi, Pazisi.

In Mountanous part of the Kutaisi exists broad, sturdy settlment of the late bronze age. It is located on 25 hectare with various intensity. Surface inspection and archaeological excavations more or less acertained preantique borders of the old settlements. The main orientation research is mad by Gabashvili on the territory of the Gori.

In hellenistic era Kutaisi was reduced settlement, however, citadel and plain settlments still continued to exist. Burial grounds of Hellenistic Era are slotted in the demolished pre-antique layers. On burial grounds two types of burial grounds of different periods (sub-sepulchers and hole

type sepulchers) are fixated. Strategic road of this period were located along river-bed river Kvirila. There are no traces of late Roman settlements in Kutaisi and there are very few artifacts. From III-IV century AD starts new urban settlment era.

საქართველოს მღვიმეები

წონას მღვიმე, ჯრუჭულის მღვიმე, ცუცხვათის მღვიმური კომპლექსი, ორთვალა კლდე, უნდო კლდე და ბონდის მღვიმე

მღვიმე-ქვაბულები ოდითგანვე ყოფილა განდეგილთა ნავთსაყუდელი, სწორედ დევთა სამყოფელი ქვაბი აირჩია ტარიელმა მარტოობის მესაიდუმლედ თავისი ცხოვრების ყველაზე მძიმე ჟამს, მღვიმეში დაყუდებულმა წმინდა ბერმა იხილა "ნათელი საკვირველი"... ალბათ, ამიტომ საქართველოს მღვიმეების იდუმალ მისტერიასთან ზიარებისას, ყველაზე მძაფრად შეიგრძნობა სწრაფვა უთვალავფერ სამყაროსთან შერწყმისკენ, სიახლოვე მასთან, რომელმან იგი შექმნა. მაგრამ... როგორია მღვიმეთა არქეოლოგიური ნარატივი, რა ინფორმაციას აწვდის მღვიმური მიწისქვეშეთი დედამიწას?!.

საქართველოს მღვიმეთა საეტაპო მნიშვნელობისა და მათი სამეცნიერო შესწავლის ღირებულების შესახებ "ონლაინ არქეოლოგიის" მკითხველს ქვის ხანის მკვლევარი არქეოლოგი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოგარემოს რეკონსტრუქციისა და არქეოლოგიური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ნიკა თუშაბრამიშვილი უამბობს:

მღვიმური ძეგლები გავრცელებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მღვიმეთა სისტემაში იკვეთება ისეთი ძეგლები, რომლებიც ინფორმაციულად სხვა დანარჩენებზე მეტად დატვირთულია, ანუ სადაც დადასტურებულია ურღვევი გეოლოგიური და კულტურული ფენები. სწორედ ისინი უნდა

საეტაპო ძეგლები

მოვიაზროთ საეტაპო ძეგლებად. ამგვარი ძეგლები ძირითადად დასავლეთ საქართველოშია ლოკალიზებული. მათგან ყველაზე კარგად იმერეთის მღვიმეები გვაქვს შესწავლილი.

წონას მღვიმე - მდებარეობს ისტორიული შიდა ქართლის (ჯავის მუნიციპალიტეტი) ტერიტორიაზე, მდინარე ყვირილას სათავესთან, ზღვის დონიდან 2 150 მეტრზე. ის ყველაზე მაღლა მდებარე ძველი ქვის ხანის მრავალფენიანი ძეგლია, სადაც წარმოდგენილია, როგორც ქვედა პალეოლითური, ანუ აშელური კულტურა ისე, შუა პალეოლითური, მეზოლითური ხანის ფენები. ამგვარი ძეგლის არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე უკვე თავისთავად მნიშვნელოვანია. ძეგლის ასეთ სიმაღლეზე მდებარეობას მისი ფუნქცია განსაზღვრავს, ანუ ეს იყო მონადირეთა დროებითი სადგომი. აქ აღმოჩენილია ძალიან საინტერესო მასალა, რომლის მსგავსი შესაძლოა, სხვაგანაც არის დადგენილი, მაგრამ



წონას მღვიმე

წონას მღვიმე გამოირჩევა იმით, რომ ამ მასალასთან ერთად აქ ხელოვნების ერთ-ერთი პირველი ნიმუშია დადასტურებული. ეს გახლავთ არგილიტის ფილა, რომელზეც ჯვარია გამოსახული. ფილა შეისწავლეს უცხოელმა სპეციალისტებმა და ნაკაწრების ხასიათის მიხედვით დაადგინეს, რომ ამ ჯვრის შემადგენელი სამი ხაზი ხელოვნურია, ერთი კი ბუნებრივი, რაც თავისთავად განაპირობებს დასკვნას, რომ თვითონ ქვაზე, ფილაზე ბუნებრივი ჯვარი იყო და შემდგომ ვიღაცამ ის ჩააღრმავა, შესაძლოა, უბრალოდ გართობის მიზნით. ამ ჯვრის სემანტიკა სხვადასხვაგვარად არის გააზრებული, მაგ.: ძეგლის პირველი გამთხრელი, პროფ. ალექსანდრე კალანდაძე მის ფორმას ცეცხლს უკავშირებდა და ვარაუდობდა, რომ ეს იყო ცეცხლის მისაღები ორი გადაჯვარედინებული ტოტი.



წონას მღვიმე

წონას მღვიმის შესწავლით ზოგადად შეიცვალა ამ პერიოდის სამეცნიერო ხედვა. საფიქრებელია, რომ ის გაცილებით ადრეული ძეგლია, ვიდრე ამ დრომდე ვარაუდობდნენ (მე და ჩემმა აწ გარდაცვლილმა მეგობარმა, ალეკო მუსხელიშვილმა ეს ჰიპოთეზა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ გამოვთქვით). გამომდინარე არქეოლოგიური მასალებიდან და იქ გამოვლენილი მიკროფაუნის საფუძველზე, ჩვენ მისი ასაკი

დაახლ. 700 000 წლამდე დავიყვანეთ. ანუ, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ძეგლი და ამ სიძველესთან ერთად გამორჩეულია იქ აღმოჩენილი ქვის ხანის ინდუსტრიითა და ხელოვნების ნიმუშით. გარდა ამისა, მღვიმეში გამ-ოვლენილია ისეთი მიკროფაუნა, რომელიც დაახლოებით 1 000 000 წლის წინ გადაშენდა მთელ ევროპაში და შენარ-ჩუნებულია მხოლოდ საქართველოში. სწორედ ამ მიკრ-ოფაუნის საფუძველზე უნდა გადათარიღდეს ძეგლი. მას ათარიღებდნენ დაახლ. 200 000 წლით. ჩვენ ვცდილობთ ეს ასაკი 700 000 წლამდე დავიყვანოთ, მაგრამ ძეგლის ჯავის რეგიონში მდებარეობა ხელს გვიშლის საფუძვლიანი კვლე-ვების განხორციელებაში.

ხელცული

კლივერი

შუა პალეოლითური ეპოქის საეტაპო მნიშვნელობის ძეგლია ჯრუჭულის მღვიმე, რომელიც თავისი კულტურით წონას მღვიმეს უკავშირდება. ძეგლი მდება-რეობს ჭიათურის მუნიციპალიტეტში, ჯრუჭულის კანიონისებური ხეობის მარცხენა ნაპირზე. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული ყველაზე ძველი შუა პალეოლითური ძეგლია. ორი წლის წინ, როდე-საც ის თანამედროვე მეთოდიკით გადავათარიღეთ, მივიღეთ ასაკი - 274 000 - 130 000 წწ., ანუ შუა პა-ლეოლითური ხანა, რაც თავისთავად წონას გადათარ-იღებასაც ამართლებს, რადგან ინდუსტრია აქ გაც-ილებით ძველია და, შესაბამისად, თარიღიც უფრო ადრინდელი. ანუ, ამ ძეგლის თარიღმა, არა მხოლოდ დააძველა ქვედა პალეოლითური ეპოქის ასაკი, არა-

ხელოვნების ნიმუში, ჯვარი

წვეტანები და რქის იარაღი

მედ გადაათარიღა მთელი შუა პალეოლითური ხანა. შესაბამისად, მისი ასაკი გასათვალისწინებელია ძველ და მომდევნო პერიოდებთან მიმართებაშიც.

ჯრუჭულაში გამოვლინდა ვიზუალურად ღირსშესანიშნავი და ძალიან ლამაზი მასალა, გარდა ამისა, ეს არის ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ერთ-ერთი პირველი ძეგლი, სადაც აღმოჩნდა ნეანდერტალელის ნაშთი, კბილის სახით.

ნუკლეუსი

ლამელები.

სხვადასხვა იარაღი



.ხედი ჯრუჭულის მღვიმიდან

სხვადასხვა იარაღი

ხელოვნებისხელოვნების ნიმუში, ნიმუში, ქანდაკება ქანდაკება მე-2 მე-2 ფენიდან ფენიდან

ხელოვნების ნიმუში, ქანდაკება პირველი ფენიდან

ხელოვნების ნიმუში, ქანდაკება პირველი ფენიდან

ნეანდერტალელების კბილები

ცუცხვათის მღვიმური კომპლექსი გამორჩეულია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ზოგადად პრეისტორიული ეპოქის მღვიმეთა შორის. ძეგლი ტყიბულის მუნიციპალიტეტში, ოკრიბა-არ-

შაბათა-ღელე (ჭიშურა)

ზედა მღვიმე

გვეთის ხედის ჩრდილოეთ კალთაზე მდებარე სოფელ ცუცხვათშია. მისი უნიკალურობის არსი არის ის, რომ ცუცხვათი გახლავთ მცირე ფართობზე განფენილი 15 სართულიანი მღვიმური კომპლექსი, რომელსაც ანალოგი არ ეძებნება. ცუცხვათის 6 მღვიმე დასახლებულია ადამიანებით. ყველა მღვიმის ასაკი რაღაც ეტაპზე, რომელიღაც პერიოდში ერთმანეთს ემთხვევა. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან საფიქრებელია, რომ აქ იყო ერთი დასახლება, რომლის ყოველ მღვიმეს თავისი ფუნქციონალური დატვირთვა ჰქონდა. ერთი მონადირეთა ბანაკია, მეორე - ძირითადი საცხოვრებელი, საბაზო, მესამე საკულტო ძეგლია, სადაც მღვიმის კედლების გასწვრივ, გეომეტრიული თანმიმდევრობით განლაგებული 5 დათვის თავის ქალა (ქვედა ყბის გარეშე) გამოვლინდა და აღმოჩნდა მხოლოდ და მხოლოდ 14 არტეფაქტი, რაც ადასტურებს იმას, რომ ეს მართლაც საკულტო ძეგლია. შესაბამისად, ცუცხვათის მღვიმური კომპლექსი უნდა გან-

ისაზღვროს, როგორც მღვიმური სისტემების ერთ-ერთი მოდელი.

ორთვალა კლდე **-** მდებარეობს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევისის მიდამოებში. ის აღმოჩენილია XX საუკუნის 70-იან წლებში და დღემდე მიმდინარეობს მისი შესწავლა. ორთვალა კლდე არის ძეგლი, რომლის კვლევისას პირველად გამოვთქვით მოსაზრება შუა პალეოლითის ხანიდან ზედა პალეოლითურ ეპ-ოქაზე თანდათანობით გადასვლასთან დაკავშირებით. (შუა პალეოლითი (**60 -36 000** ? ზედა პალეოლითი (**34 000 ?– 19 000)**)
ეს ჰიპოთეზა მეცნიერებმა თავდაპირველად უარყვეს, მაგრამ შემდგომში ის კვლევებმა დაადასტურა. რაც მთავარია, ძეგლი

ორთვალა კლდე. პატარა დარბაზი, ჭრილი



ორთვალა კლდე

ქვის მასალა

ქვის მასალა



ძვლის მასალა. ნაკაწრებითა
და ორნამენტით

ზუსტად გადათარიღდა და მივიღეთ ზედა პალეოლითური ხანის, მთელი რეგიონის მასშტაბით, ყველაზე ადრეული ასაკი - 42 000 წელი. აქაც, ისე, როგორც ცუცხვათის ერთ-ერთ მღვიმეში - ბრინჯაოს მღვიმესა და ჯრუჭულის მღვიმეში, აღმოჩენილია ნეანდერტალელის კბილი. ძეგლი კარგად არის შესწავლილი თანამედროვე მეთოდიკით. შესაბამისად, გვიანდელი, ანუ ბოლო ნეანდერტალელების ცხოვრების პერიოდისა და ინდუსტრიის კვლევა სწორედ ამ ძეგლთან შედარებით უნდა განხორციელდეს.

უნდო (ანუ არასაიმედო) კლდე აღმოჩნდა ჭიათურის მუნიციპალიტეტში, 2006 წელს. ის გამოირჩევა, როგორც ფუნქციით ისე,

ვარხმელას ხეობა.

ქვის მასალა

ადამიანის თავის ქალა
რეკონსტრუირებული
კარსტული ჭიდან

მღვიმური დათვის ნაშთები

შინაარსობრივად. ანუ ეს მონადირეთა დროებითი სადგომი და, იმავდროულად, სარიტუალო მრავალფენიანი ძეგლია. აქ არის დაფ-

იქსირებული პირველი კედლის გამოსახულება (საქართველოს ტერიტორიაზე), გამოვლინდა უფსკრული, რომელიც, როგორც ჩანს, თავდაპირველად, ნაგავსაყრელად გამოიყენებოდა და შემდგომ სარიტუალო ფუნქციით დაიტვირთა. ძეგლზე წარმოდგენილია შუა და ზედა პალეოლითური კულტურა. აქაც შესაძლებელია დადგინდეს შუა პალეოლითიდან - ზედა პალეოლითზე გარდამავალი პერიოდი. უნდო მღვიმეში დადასტურებულია მიწისძვრის კვალი.

ჭიათურის მუნიციპალიტეტში მდებარე ბონდის მღვიმე ასევე მნიშვნელოვანი საეტაპო ძეგლია. აქ აღმოჩენილია თანამედროვე ადამიანის კბილი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე თანამედროვე ადამიანის ყველაზე ძველი ნაშთია. ძეგლი ძალიან კარგად არის დათარიღებული, დაფიქსირდა ძველი ზედა პალეოლითური და შუა პალეოლითური ფენები. (ზედა პალეოლოთი 40 000-27 000, შუა პალეოლითი 47 000). ვვარაუდობთ, რომ შე-

ბონდის მღვიმე. ინტერიერი

საძლოა, ამ ძეგლმაც დაადასტუროს შუა პალეოლითიდან ზედა პალეოლითზე გარდამავალი პერიოდის არსებობა. ძეგლზე გამოვლენილია ვულკანური ფერფლი, მიწისძვრის კვალი, შესაბამისად, დადგენილი გვაქვს მიწისძვრების თარიღები. ბონდის მღვიმე სხვა თვალსაზრისითაც ღრმა ინფორმაციული ძეგლია. როდესაც ლაპარაკია საქართველოში სელისა და ძაფის აღმოჩენაზე, გასათვალისწინებელია, რომ პირველად (2007 წელს) სწორედ ბონდის მღვიმეში აღმოჩნდა სელიც, ძაფიც, გრეხილი, შეღებილი ძაფები და სხვ. მსგავსი მასალები დადასტურებულია ძუძუანას მღვიმეშიც, რომელიც პარალელურ ხეობაში, ბონდის მღვიმიდან 4 კმ-ში მდებარეობს და რომელიც ასევე საეტაპო მნიშვნელობის ძეგლია, ოღონდ ძუძუანაში წარმოდგენილია მხოლოდ ზედა პალეოლითური კულტურა.

ანუ, ამ მღვიმეებიდან მომდინარე მთელი ინფორმაცია ერთმანეთს ავსებს და მიუხედავად წყვეტილებისა, კარგად წარმოაჩენს პრეისტორიის ყველა საფეხურსა და მიმართულებას. მღვიმეების კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოს ტერიტორია ინტენსიურად გახლდათ ათვისებული პირველყოფილი ადამიანის მიერ. ჩვენს ქვეყანაში უძველესი სამყაროს თითქმის ყველა კულტურის გავლენა იგრძნობა. აქ საქმე გვაქვს - ფუნქციურად თუ შინაარსობრივად განსხვავებულ ძეგლებთან, ჩანს ცხოვრების სტილის სხვადასხვაობა, დაფიქსირებულია როგორ ნადირობდნენ პირველყოფილი ადამიანები, რომ არსებობდა ნადირობის ტრადიცია. ორთვალა კლდეში დადგენილია ნეანდერტალელთა და თანამედროვე ადამიანთა თანაარსებობა, ზოგიერთ ძეგლზე კი, ჯიხვზე ნადირობის ტრადიცია, რაც სხვაგან არ არის დადასტურებული. ეს გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს სეზონურ ნადირობასთან.

ნიკა თუშაბრამიშვილი

საეტაპო ძეგლები

რედაქციისგან:

საქართველოს ტერიტორიაზე განფენილი მღვიმური სისტემა არა მხოლოდ საეტაპო ძეგლების ჯაჭვია, არამედ ახალ ეტაპს ქმნის პრეისტორიული ეპოქის სამეცნიერო კვლევით სივრცეში.

მღვიმური ძეგლების კატალოგი

წონას მღვიმე

ქვის მასალა

ჯრუჭულის მღვიმე

ხედი ჯრუჭულის მღვიმიდან

საეტაპო ძეგლები

ჯრუჭულის ხეობა

საეტაპო ძეგლები

ცუცხვათის მღვიმური კომპლექსი

ხედი ცუცხვათიდან

ცუცხვათის მღვიმოვანი კომპლექსის მთავარი ტალანი

ცუცხვათის ძირითადი ტალანი



ბრინჯაოს მღვიმე, სხვადასხვა არტეფაქტი

ცუცხვათის ციხის ტერიტორია

ხედი ცუცხვათის ციხიდან

დაკბილული ინდუსტრია



შაბათა-ღელე (ჭიშურა)

ბრინჯაოს მღვიმე, შესასვლელი

ბრინჯაოს მღვიმე, თაღიანი მღვიმე, ბიზონის მღვიმე

საეტაპო ძეგლები



ბრინჯაოს მღვიმე, ჭრილი

მოაჯირიანი მღვიმე

ორმაგი ეხი

მონადირეთა ბანაკი

ჭრილი

ორთვალა კლდე



ჭერულის ხეობა



ორთვალა კლდე. ხედი საბაგირიდან

ორთვალა კლდე. პატარა დარბაზი, ჭრილი

ორთვალა კლდე. პატარა დარბაზი, ჭრილი
და ბუშაობის პროცესი

საეტაპო ძეგლები

უნდო კლდე



ვარხმელას ხეობა

გარემო





\ უნდო კლდე

უნდო კლდე, შესასვლელი

ჭრილი

ინტერიერი

უნდო კლდე, ინტერიერი

ჭრილი

საეტაპო ძეგლები

სტალაქტიდი და სტალაგმიტი

სტალაქტიდები

სტალაქტიდები

მღვიმეში

კედლის ხელოვნება. სიმბოლური გამოსახულება

ძვლის მასალა კარსტული ჭიდან

ლიფტი უფსკრულში ჩასასვლელად

კარსტულ ჭაში

კარსტულ უფსკრულში ჩასვლის პროცესი



ქვის მასალა

არტეფაქტები



რტეფაქტები

საეტაპო ძეგლები

ბონდის მღვიმე

ხეობა

ხეობა და ბონდის ხიდი

ბონდის მღვიმე



ბონდის მღვიმე

ბონდის მღვიმე, შესასვლელი

ბონდის მღვიმე, შესასვლელი



ბონდის მღვიმე. ინტერიერი

ბონდის მღვიმე. ინტერიერი

ბონდის მღვიმე. ჭრილი

საეტაპო ძეგლები

ბონდის მღვიმე - სხვადასხვა არტეფაქტი

საეტაპო ძეგლები









ფოტოები გადაღებულია
ნიკა თუშაბრამიშვილის მიერ.

Caves of Georgia

Cave of Tsona, Jruchuli Cave, Tsutskhvati Cave Complex, Ortvala Rock, Undo and Bondi Caves*Caves and caverns have been residential places for anchorets, Tariel chose exactly the residential cave of Devi's when he was lonely and alone at worst period of his lifetime, Monk who was living in the cave saw " magical light" …. May be that is the reason for relating Georgian caves to mystery, and there is some kind of feeling that in caves you feel close to him, who created the world. But… as about archaeological background of the caves, what information does it give to universe ?!*

About importance of caves of Georgia and them as landmark monuments, their scientific studies readers of Online Archaeology will be informed by scientist of Stone Age Studies, head of Ilia State University Paleo environment reconstruction and Archaeological research centre, Professor Nika Tushabramishvili.

Cave monuments are spread all around the territory of Georgia, however there are some of the monuments, which are more informational than others, where constant geological and cultural layers are estimated. Exactly these monuments should be considered as landmark monuments. These kind of monuments are located mostly in western Georgia. Caves of Imereti have been researched and studied and there is the most information about them.

Tsona Cave - is located on historic Shida Kartli (Java Municipality) territory, at the beginning of river Kvirila, 2 150 meters above sea level. It is the highest located late Stone Age monument, where there are layers of lower Palaeolithic, e.i Ashelic culture, as well as middle Palaeolithic, Mesolithic layers. Existence of this kind of monuments on territory of Georgia is really important. The location of the cave on this height is conditioned by it function, so this means this cave was dwelling for hunters. Very interesting materials have been found here, similar to which may even not have been discovered elsewhere, however Tsona Cave is important for having one of the first art works apart from archaeological materials. This is tile of Argillite, where a cross is painted, tile had been studied by foreign specialists and according to the scratches they estimated that three lines of this cross are artificial, and one was natural, which means that the cross on the stone itself was natural and afterwards was deepened by someone, it is possible, that that someone did this just for fun. The semantic of this cross is being seen in various different ways, for example: the first excavator of the monument Professor Aleksandre Kalandadze related its form to fire and said that this was two crossed sticks to receive fire.

After studying Tsona Cave scientific vision of this period changed in general. It is possible, that this is the monument of far earlier period, rather than it is considered until now (me and my deceased friend Aleko Muskhelishvili, had this hypotheses long time ago). According to archaeological materials and micro fauna discovered there, we dated it back to ap-

prox 700 000 years. This means that this cave is the oldest monument and apart from this antiquity it is standout for samples and industry of Stone Age discovered in it. Apart from this, in cave such micro fauna was found, which had gone instinct about 1 000 000 years ago in whole Europe and it is preserved just in Georgia. Exactly, according to this micro fauna the date of the monument should be changed. It is dated back to approx.. 200 000 years. We are trying to change this date to 700 000 years. However location in Java Region is an obstacle for us to conduct corresponding works.

Jruchula Cave is landmark monument of middle Palaeolithic Era, which is connected to Tsona Cave with its culture. The monument is located in Tchiatura Municipality, on the left bank of Canyon like ringe of Jruchuli. First of all, it has to be noted, that this is the oldest middle Palaeolithic monument found in Georgia. Two years ago, when it was re-dated by using modern methods, we received the period of - 274 000 – 130 000 years, which is Middle Palaeolithic Era, which itself may be bases of re-dating Tsona Cave too, as middle industry here is far early and, correspondingly, date is earlier too. The date of this monument not just made Lower Palaeolithic Age older, but also re-dated all of middle Palaeolithic Era. Correspondingly, its age has to be considered regarding old and future periods.

In Jruchula visually important and very beautiful materials were discovered this is one of the first monuments on the territory of ex-Soviet Union, where remains of Neanderthal (the tooth) had been found.

LANDMARK MONUMENTS

Tsutskhvati Cave Complex is special not only in Georgia's Caves, but also in-between Pre historic caves. This monument is located in Tkibuli Municipality, in Northern part of Okriba - Argveti in village Tsutskhvati. Its uniqueness is that, it is 15 storied cave complex located on a very small area. There are no analogues. 6 of Tsutskhvati Caves are settled. Age of all of the caves, at one moment is the same. This is very important fact, because it appears that here once has been some kind of settlement, each cave of which had its own function. One is camp of hunters, the second one – is main dwelling, base, the third one is iconic monument, where along the cave walls, in geometric order there are 5 skulls of bear (without lower jaw). Just 14 artefacts had been discovered, this estimates that this is really iconic monument. Correspondingly, Tsutskhvati Cave Complex shall be considered as one of the models of Cave system.

Ortvala Rock - is located in Tchiatura Municipality village of Perevisi. It was discovered in 70s of XX century and it studies are still being held. This is monument, during studies of which we firstly initiated re-dating from Middle Palaeolithic era to upper Palaeolithic era, at first scientists had refused this word, however afterwards, it was confirmed by monuments. What is important, is that the monument was re-dated and it occurred as an earliest age of upper Palaeolithic era, in Whole region - 42 000 years. Here, as well as in one of the caves of Tsutskhvati - Bronze cave and Jruchula Cave - a tooth of Neanderthal had been found. The monument is being carefully studied using modern methods. Accordingly, studies of the

period of life of Neanderthal and industrial researches shall be started from this monument.

Undo (which means unreliable) Cave had been found in Tchiatura Municipality, in 2007. It is special , with its function as well as with its purpose. This was temporary dwelling for hunters and at the same time it is iconic monument. The first wall painting on the wall has been found here, an abyss had been found, which as it seems, at first, was used as trash and later was given iconic function. Earthquake trails had been found in Undo Cave.

Bondi Cave located in Tchiatura Municipality is special and important landmark monument as well. Here a tooth of modern human has been found, which is the oldest remain of the modern human on the Territory of Georgia. . monument had been dated very carefully, old upper Palaeolithic and middle Palaeolithic layers had been found. We reckon, that it is possible that this monument could and confirm existence of transitional period from Middle Palaeolithic to middle Palaeolithic, volcanic ashes, traces of earthquake had been found in the monument, accordingly, earthquake dates have been set. Bondi Cave is informational monument in other aspects too. When the talks are about finding flax and thread in Georgia, it has to be taken into account, that at first in 2007 exactly in Bondi Cave was found flax and thread, twisted, coloured threads and etc. similar materials have been found in Dzudzuana Cave, which is located in parallel ringe, on 4 kilometres form Bondi Cave and which is landmark monument as well. However in Dzudzuana only upper Palaeolit-

hic culture is represented.

All of information which comes from these monuments fills each other and despite empty spaces, it clearly shows all of the steps and directions of pre history. Researches of the caves confirm, that territory of Georgia was densely mastered by natural state humanity. There is influence of almost every cultures of universe in our country. It regards to functionally or contextually different monuments, variety of life style can be seen, as well as hunting of natural state humans, it shows that there was tradition of hunting. In Ortvala Rock cohabitation of Neanderthals and modern Humans is confirmed, on several of the monuments, even tradition of hunting the aurochs, which is not determined nowhere else. This makes us think, that this is the case of seasonal hunting.

Nika Tushabramishvili

From the editorial team:

Cave System spread around Georgia is not just chain of landmark monuments, but also it creates new stage in scientific space of researches of Pre historic Era.

Photos have been taken by Nika Tushabramishvili

ნიჩბისის ხეობის უცნობ-ნაცნობი კულტურული მემკვიდრეობა

ქეთევან დიღმელაშვილი

მცხეთიდან მტკვრის ხეობას დასავლეთისკენ რომ შეუყვებით, ხელმარცხნივ ერთმანეთს თრიალეთის ქედის ხეობები შეცვლის. ერთ-ერთი ნიჩბისის ხევია, რომელიც პატარა მდინარის, ნიჩბურას ხეობაა. ამ პატარა ხეობაში გაშლილი სოფლები ჩვენი წინაპრების უძველეს ნაკვალევსა და კულტურას ინახავს. ოდესღაც ნიჩბისის ხეობა შიომღვიმის მონასტრის საკუთრება იყო. ნიჩბისზე გადიოდა უმნიშვნელოვანესი გზა, რომელსაც თრიალეთის გადავლით ქვემო ქართლიდან პირდაპირ მცხეთაში გადაჰყავდა მგზავრი. სწორედ ამ მნიშვნელობაზე მეტყველებს დავითის მიერ დიდგორის ბრძოლის წინ მისი საგულდაგულოდ გამაგრება. XV საუკუნეში ფანასკერტიდან შიდა ქართლში გადასახლდა ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, რომელსაც საბატონოდ მდ. ძამას ხეობა გადაეცა. მოგვიანებით კი, მის შთამომავლებს სხვა სოფლებთან ერთად ნიჩბისიც უბოძეს.

ხეობის თითქმის ყოველ გოჯ მიწაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. მაგრამ მათ შორის, მაინც გამოირჩევა რამდენიმე, რომელთა მონახულების გარეშე ხეობის დატოვება უბრალოდ წარმოუდგენელია.

გაიცანით საქართველო

შეუყვებით თუ არა ნიჩბურას ხეობას, მდინარის მარჯვენა მხარეს მოვაკებულ ალაგზე დაინახავთ ციციშვილების ციხე-დარბაზს. გადმოცემითა და პალეოგრაფიული მონაცემებით, მისი მშენებლობა დომენტი კათალიკოსის დისწულს, ზაზა ფანასკერტელს დაუწყია XVII ს-ის 70-იან წლებში. ადგილობრივების გადმოცემით, მას ვინც ამ გზაზე ურმით გაივლიდა, ზაზა ფანასკერტელი ერთი დღე ციხის მშენებლობაზე ამუშავებდა. თავად ციციშვილთა კომპლექსი მოიცავდა კოშკებიან გალავანს, სასახლეს, ეკლესიას, ლაზარეთსა და აბანოს. ნატეხი ქვით ნაგები ოთხკუთხა გალავანი, თავისი ორი ოთხკუთხა კოშკით, საგულდაგულოდ იცავდა ფეოდალთა სიმშვიდეს. გალავნის მეორე სართულზე დატანილი ბილიკი უზრუნველყოფდა, რომ მტრისთვის კარგად დაემიზნებინათ თოფები და ლოდები. გალავნის დათვალიერებისას, დასავლეთ კედლის ძირში აუცილებლად შეამჩნევთ შემორჩენილ ნანგრევებს, რომლებიც პატარა თაროებად იყოფა. ასეთი თაღჩებიანი (კედელში შეჭრილი თარო) ნაგებობა, როგორც წესი აფთიაქი იყო. და უცებ გაგახსენდებათ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, როგორც კარაბადინის ავტორი და ექიმი. იქნებ, მისი რეცეპტების მემკვიდრე ამ აფთიაქის თაღჩებშიც ინახავდა დიდი წინაპრის

სამკურნალო ცოდნას. იმავე კედლის გაგრძელებაზე სხვა ნანგრევებიცაა შემორჩენილი. სოფელში ამბობენ, რომ ოდესღაც აქ ციციშვილებს ლაზარეთი ჰქონიათ მოწყობილი.

ეზოს შუაში ჯერ კიდევ ამაყად დგას ოთხსართულიანი ოთხკუთხა კოშკი, რომელსაც შესასვლელი პირველივე სართულზე აქვს მოწყობილი. მაღალი რელიეფურთაღოვანი პირველი სართული, თითოეული სართულის კედლებში ჩაშენებული ბუხრები, ნიშები და სართულებს შორის ასასვლელი კიბეები კოშკის დიზაინს თანმიმდევრულად აცოცხლებს. საკარე ჭრილი კოშკის ჩრდილოეთ კედლის ფასადზე, ნიშები და ხის მორების სამაგრი ჭრილები გაფიქრებინებთ, რომ მას ფართო, ფანჩატურიანი აივანი უნდა ჰქონოდა.

ციხე-გალავნის ჩრდილოეთ ნაწილში ციციშვილების აბანოა. ის აგურით არის ნაშენი. აბანო შედგებოდა საცეცხლურის, საქვაბის, გასახდელისა და საბანაო ოთახებისგან. თავადები თავდაპირველად შედიოდნენ გასახდელში, რომლის კედლებში ბუხარი და ნიშები იყო გაჭრილი, ცენტრში კი აუზი მდებარეობდა. გასახდელიდან გადიოდნენ

საბანაო ოთახში. მის შუაში შემაღლებული ღრმა აუზი იყო მოწყობილი. ის კედლის ნიშში გაკეთებული პატარა აუზიდან გადმომავალი წყლით ივსებოდა. წყალს აცხელებდნენ იმ საცეცხლურისა და საქვაბის მეშვეობით, რომელიც ამ საბანაო აუზის გვერდით და ქვეშ მდებარეობდა.

გარდა ამ ნაგებობისა, ციხის ეზოში კარის ეკლესია და ციციშვილების სასახლე იდგა. დღეს ისინი აღარ არსებობს, მაგრამ თვალშისაცემია ნანგრევები ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. აქ კედლებში ძველი წყობა და კომუნისტურ პერიოდში შეღებილი ფენები ერთმანეთს ცვლის. ეს არის იმ სასახლის ნაშთები, რომელშიც კომუნისტების დროს სკოლა იყო გახსნილი.

ციხე-გალავნიდან ნიჩბურის ხეობისკენ მიმავალი, გზად სხვადასხვა პერიოდში აშენებულ ღვთისმშობლის ეკლესიასა და კიკოლაანთ საყდარს გაივლით, შემდეგ კი პატარა ხეობაში აღმოჩნდებით, რომლის შუაში ამაყად აღმართულა წმინდა ნიკოლოზის ეკლესია. ტაძარი ციხე-დარბაზის მაშენებელ ზაზა ციციშვილსვე აუგია

XVII საუკუნის 70-იან წლებში. XVII-II საუკუნეში, გამაგრების მიზნით მისთვის სარტყლად შემოუვლიათ ახალი, თლილი ქვით შემოსილი კედელი. ამის გამო, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ტაძარს ჯავშანი აცვია. ოდესღაც ტაძარს გუმბათი ჰქონდა, დღეს კი მის ნაცვლად მინის კონსტრუქციაა, ამიტომ ინტერიერი უფრო მეტად და უჩვეულოდაა განათებული. ეკლესია ციციშვილების საძვალე იყო. მხედრულით შესრულებული წარწერები საფლავის ქვებზე აქ დაკრძალულთა შესახებ გიამბობთ. ამ სამარხებში უთუოდ გამოარჩევთ ერთს - დიდ ბრტყელ საფლავის ქვას ამბიონის წინ, რომელიც დაზიანებულიც არის და რთულად ამოსაკითხიც, მაგრამ ასოებს შორის უცებ გამოარჩევთ ორგზის დაწერილ სახელ - ზაზას. ეს ტაძრის მაშენებლის ზაზა ციციშვილის საფლავია.

ტაძრის გარშემო შემოვლისას, მის რელიეფებს დაინახავთ - გეომეტრიულსა და მტრედების გამოსახულებით, თითქოს მდიდრულს, თითქოს მონდომებით ნაკვეთს, მაგ-

რამ მაინც იგრძნობა, რომ ეს მხოლოდ აჩრდილია იმ სამკაულისა, რომელიც ოქროს ხანის ქართულ ტაძრებს ახასიათებს.

აქედან თუ არ დაგეზარებათ და სოფლის გავლით ხეობის სათავისკენ დაიწყებთ სვლას, ჯერ თრიალეთის ტყეში ჩაიკარგებით, შემდეგ კი, მაღლა ამავალი, ერთ პატარა მოვაკებულ ადგილას გახვალთ. თუ გაგიმართლათ და ამინდი მზიანია, როდესაც უკან დაბრუნდებით საოცრად ლამაზ პეიზაჟს დაინახავთ - მუხრანის ველსა და მის უკან გადაშლილ კავკასიონს, მათ შუაში კი, მყინვარწვერს. გააგრძელეთ სვლა თრიალეთის

თხემისკენ და ძველი საურმე გზა თავად მიგიყვანთ ტყეში ჩაკარგულ კომპლექსთან. რამდენი წიგნიც არ უნდა წაიკითხოთ, მის შესახებ ვერაფერს შეიტყობთ.

თავკაპიწა, როგორც მას ადგილობრივები უწოდებენ, ისტორიისგან დავიწყებული ციხე-სასახლეა, უკვე ნანგრევებად ქცეული, მიწითა და ტყით დაფარული. მიუხედავად ამისა, მაინც დაგხვდებათ ნიჩბისის ნატეხი ქვითა და კირხსნარით ნაგები ოთხსართულიანი, საკმაოდ დიდი სასახლე. მის ჩრდილოეთ კედელში, ზემოთ, ორ სართულზე ბუხარი

და ნივთების დასაწყობი თაღები იყო. სასახლის აღმოსავლეთით დარბაზული ეკლესიაა ნახევარწრიული აბსიდით. აშენების შემდეგ ეკლესია სასახლესთან მიუერთებიათ დამატებითი კედლებით. დღეს ტაძრის ჩრდილოეთ კედელი საერთოდ აღარ არსებობს, აბსიდისგან კი ისეთი პატარა ნაწილია შემორჩენილი, რომ თუ კარგად არ დააკვირდებით, ვერც კი ამოიცნობთ მასში აბსიდას.

ტყეში მიმობნეული ქვებითა და ნანგრევთა ნაკვალევით თუ ვიმსჯელებთ, კომპლექსს სამი მხრიდან გალავანი უნდა ჰქონოდა (მეოთხე მხარე უბრალოდ არ საჭიროებდა ქედის დამრეცი ფერდის გამო). გალავანს შიგნით კი, სხვადასხვა ნაგებობის კვალი იკითხება. ახლა უკვე ძნელია იმის გარკვევა სად რა იდგა, მაგრამ თუ შემორჩენილი სასახლითა და ეკლესიით ვიმსჯელებთ, თავკაპიწა გან-

ვითარებულ შუა საუკუნეებამდე,საკმაოდ დიდი და კარგად გამაგრებული ფეოდალის კომპლექსი უნდა ყოფილიყო. ოღონდ ვინ ან რა დრომდე ცხოვრობდა აქ ეს უკვე ისტორიისთვის უცნობია, ალბათ სამუდამოდ. . .

ფოტოები გადაღებულია ქეთევან დიღმელაშვილის მიერ.

გარეჯა - ქოლაგირის მონასტერი

ქეთევან დიღმელაშვილი

ქოლაგირი დავით-გარეჯის ერთ-ერთი მონასტერთა-განია. იგი მდებარეობს მდ. ივრის მარცხენა ნაპირზე, ე.წ. ბერების სერის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სამიოდე კილომეტრის სიშორეზე. მონასტრის სამლოცველო-სათავსები გაჭრილია მთის კონგლომერატში, რომელიც თიხით შეცემენტებული ქანია და სწრაფად და ადვილად იშლება. სწორედ ეს უნდა იყოს მონასტრის ნგრევის მიზეზიც. დღეს მონასტრის მხოლოდ დასავლეთი ნაწილია შემორჩენილი. ის ახლაც იშლება, შესაბამისად, სავარაუდოა, რომ რამდენიმე ათწლეულში ქოლაგირის მონასტერი აღარ იარსებებს.

ქოლაგირის მონასტერში უკანასკნელი ექსპედიცია 1998 წელს მოეწყო. გასული 18 წლის განმავლობაში, როგორც აღმოჩნდა მონასტერი კიდევ მეტად დაინგრა, რადგან ამ ექსპედიციის კვლევის ამსახველ ზ. სხირტლაძის ნაშრომში

გადმოცემული ბევრი დეტალი დღეს აღარ იკითხება. რა ერქვა მონასტერს თავდაპირველად, უცნობია. ერთგვარი გაურკვევლობაა მის ამჟამინდელ სახელთან დაკავშირებითაც. ანალოგიური ტოპონიმი ქვემო ქართლში, ბოლნისთან დასტურდება. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, იგი აზერბაიჯანული ენიდან უნდა მომდინარეობდეს (kol - ეკალს, ხოლო gir - შესვლას ნიშნავს). თუ გავითვალისწინებთ მონასტრის დაბლა, ივრის ჭალების ეკალნარისადაძნელადგასავლელი მცენარეული საფარის არსებობას, მაშინ, შესაძლოა, სახელწოდება ქოლაგირი, მონასტრის ძნელად მისადგომობისაღმნიშვნელიციყო.

ერთ იარუსად განლაგებული მომცრო კომპლექსის ნაწილები აშენებულია ერთდროულად. სავარაუდოდ, აქ არ იყო ზედმეტი თავდაცვითი ნაგებობები. არ გვხვდება არც სათავსები და არც სამეურნეო დანიშნულების გამოქვაბულები. კომპლექსში დაახლოებით ოცი მოწესე თუ დაეტეოდა. როგორც ჩანს, ის, ბერთუბნის მსგავსად,

თავიდანვე ჩაფიქრებული იყო მცირე ელიტარულ კომპლექსად, რომელიც ამჟამად მოიცავს ნაგებობის 6 მეტ-ნაკლებად შემორჩენილ ნაშთს, რომლებიც ჩრდილო-სამხრეთის ღერძზეა გამოკვეთილი. ყველა მათგანი ერთმანეთს ღიობით უკავშირდება. ყველაზე სამხრეთით მდებარე ნაგებობა ამჟამად თითქმის დანგრეულია. კედლებზე, მართალია, ცუდად, მაგრამ მაინც შემორჩენილია მხატვრობის ფრაგმენტები.

მთავარ ტაძარს ჩრდილოეთით და სამხრეთით, მცირე ზომის ეკვდრები ჰქონია. ეკვდრები მასთან თაღოვანი ღიობით იყო დაკავშირებული. ტაძრის დარბაზისა და ეკვდერების კედლებს ძირზე ერთსაფეხურიანი ხარისხი შემოუყვება. ეკლესია საგულდაგულოდ არის მოხატული. ტაძრის დარბაზს საუფლო დღესასწაულთა ციკლის სცენები ამკობდა. გამოსახული იყო: ნათლისღება, უფლის შებრძანება იერუსალიმში, ჯვარცმა, ჯოჯოხეთით წარტყვევნა, ამაღლება, ღვთისმშობლის მიძინება. ამჟამად, კომპოზიციები ძალზე დაზიანებულია და მათგან მხოლოდ



ფრაგმენტებია შემორჩენილი. ჩრდილოეთის ეკვდერში გამავალი ღიობის თავზე გამოსახული იყო მანდორლიანი ქრისტე, რომელსაც ანგელოზები განადიდებდნენ. ქრისტეს დაშვებული მარჯვენა ხელი ვიღაცაზე მიუთითებს. ამ ვიღაცის ფიგურა დღეს აღარ არის შემორჩენილი. თუმცა, მსგავს შემთხვევათა გათვალისწინებით, ზ. სხირტლაძე ფიქრობს, რომ აქ სამეფო პირთა პორტრეტები უნდა ყოფილიყო გამოსახული.

ჩრდილოეთ ეკვდერიდან დღეს მხოლოდ დასავლეთ კედელი და სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლების ნაწილია შემორჩენილი. ეკვდერი ასევე მოხატულია. კამარაზე გადმოცემულია ოთხი ანგელოზის მიერ უფლის ამაღლების სცენა. კედლებზე კი, წარმოდგენილია საერო პირთა მთელი გალერეა. 1998 წ. მეცნიერებს ამ გამოსახულებებში 11 პიროვნების ამოცნობა მოუხერხებიათ. მათგან სამ-სამი გამოსახული იყო სამხრეთ და დასავლეთ კედლებზე, დანარჩენი 5 კი, ჩრდილოეთ კედელზე. ყველა მათგანი მიმართულია საკურთხევლისკენ. ყოველ ფიგურას შავი საღებავით შესრულებული ასომთავრული განმარტებითი წარწერა ახლდა, რომელთაგან დღეს მხოლოდ ნაწილი იკითხება, ისიც ფრაგმენტულად. ჩრდილოეთ კედლის უკიდურეს

აღმოსავლეთით გამოსახული იყო ვარდან ერისთავთ-ერისთავი, ძე საღირ ერისთავთ-ერისთავისა, რომელიც განმარტებითი წარწერის მიხედვით, დემეტრე მეფის გაზრდილი ყოფილა. დღეს ეს ფიგურა თითქმის აღარ იკითხება. მის გვერდით გამოსახულია სასულიერო პირი. განმარტებითი წარწერის მიხედვით, იგი ვაზირთუხუცესი და მწიგნობართუხუცესია. შემდეგ ისევ სასულიერო პირის პორტრეტ-

ია. ბოლოს კი, საერო პირია გამოსახული. იგი კვერთხითა და წელზე შემორტყმული ხმლით არის წარმოდგენილი. საერო და სასულიერო პირებს შორის გამოსახული იყო მლოცველი ყრმა.

ბაიცანით საქართველო

სამხრეთ კედლის შემორჩენილ უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილზე ასახული სასულიერო პირის გამოსახულება დღეს თითქმის აღარ იკითხება. მის შემდეგ კვლავ სასულიერო პირია, განმარტებითი წარწერის მიხედვით, ვარდან ერისთავთ-ერისთავის ძე. ბოლოს გადმოცემულია საერო პირის პორტრეტი. ის ასევე ხმალშემორტყმულია, თუმცა, სკიპტრა არ უჭირავს. განმარტებითი წარწერის მიხედვით, ეს საერო პირი ბეშქენი, ვარდან ერისთავთ-ერისთავის ძეა. ეკვდერის დასავლეთ კედელზე გამოსახული სამივე პიროვნება საერო პირია და სამივე კვერთხითა და წელზე შემორტყმული ხმლით არის წარმოდგენილი. განმარტებითი წარწერები, რომლებიც მათ ვინაობას გვამცნობდა, დღეს აღ-

არ იკითხება, ამდენად პიროვნებების ვინაობა უცნობია. ჩრდილოეთ ეკვდერში გამოსახული ისტორიული პირების განმარტებით წარწერაში ნახსენები დემეტრე მეფისა და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის ტიტულის თანხვედრათა გათვალისწინებით, ზ. სხირტლაძე ფიქრობს, რომ ეკვდერში წარმოდგენილნი არიან XII ს-ის მეორე ნახევრის მოღვაწენი. კონკრეტულად კი ვარდან ერისთავთ-ერისთავი დემეტრე I-ის გაზრდილი ვარდან კოლონკელიძე უნდა იყოს. მკვლევარი

ვაზირთუპირველესის გამოსახულებაში მოიაზრებს ანტონ გნოლისთავისძეს, რომელიც მას შემდეგ, რაც XII ს-ის 80-იან წლებში კათოლიკოსმა მიქაელ მირიანის ძემ თანამდებობა წაართვა, სწორედ გარეჯის მონასტერში დასახლდა. დანარჩენი ისტორიული პირების სახით, შესაბამისად, ვარდან კოლონკელიძის ოჯახის წევრები და კახეთის საერისთავოს გამგებელ-

თა _ მახატლისძეთა ოჯახის წევრები არიან წარმოდგენილნი. მხატვრობა შესრულებულია XII-XIII სს-ის მიჯნაზე, ოდ-ნავ ადრე, ვიდრე მონასტერი სხვა მონასტრების მსგავ-სად, მტრის შემოსევის შემდეგ დაცარიელდებოდა. მისი მოხატვიდან არაუმეტეს რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, მიწისძვრის შედეგად მონასტერი დაიქცა.

წყარო: სხირტლაძე ზ. ისტორიულ პირთა პორტრეტები გა-რეჯის მრავალმთის ქოლაგირის მონასტერში. თბილისი, 2000.

ფოტოები გადაღებულია ქეთევან დიღმელაშვილის მიერ.

Gareja – Monastery of Kolagiri

Ketevan Dighmelashvili

Kolagiri is one of the Monastery of Davit –Gareji. It is located on the left side of the river Iori, approximately 3kilomteresfrom the north – eastern part of so called hill of monks. Storages and chapels of the monastery are located in mountain conglomerate, which is layer cemented with clay and is being quickly and easily destroyed. This must be the reason of the collapse of the monastery. Today only the western part of the monastery is still visible. It is still being destroyed, so it is foreseeable that in few decades nothing from Kolagiri monastery will be left.

The last expedition in Kolagiri monastery was organized in 1998. During the past 16 years, as it turned out monastery was destroyed even more, because lots of details from thepapers made by G. Skhirtladze illustrating researches of this expeditionare no longer readable.

What was the original name of the monastery, is unknown. A kind of vague exists about its current name as well. Similar place namesare found in the KvemoKartliregion, Bolnisi. Some scientists believe that it should come from the Azerbaijan language (kol - thorns, and the gir - that means entrance). If we take into account river floodplains and thorn plaints vegetation given below the monastery in river Iori fields,that makes it hardto walk there, then the name kolagiri,may indicate hardness of the access to monastery.

The one-tiered smaller parts of the complex were built at the same time. Presumably, there were none of the extra defensive buildings. Neither do we see any agricultural areas and agricultural caves. In the

complex about 20 personswouldfit in. It seems that it, just like Bertubnisi, was conceived and designed for small luxury complex, whichnow consists of six more or less preserved remains of the building, which are found of the north-south axis. All of them are connected to each other apertures. The southern building is now almost destroyed. On the walls, though poorly, but still parts of the paintings can be seen.

Monastery, from the main temple in the north and the south, had small oratories. Oratories were connected to it with the arched apertures. The hall of the church and the walls of the oratoriesare surrounded by one step stairs. The church is carefully painted. The Lord's feast hall shows scenes of the religious feasts. Walls represented Epiphany, the visit of Jerusalem, Crucifixion, The Anastasis, Asention day, Assumption of the Virgin Mary. Currently compositions are badly damaged and only fragments remain. On top of the the outgoing of theNorthern oratoryshows the image of Christ, who is beingpraised by the Angels. Christ allowed right hand points on someone. Today this figure of someone is no longer preserved. However, as mostly in such cases, G. Skhirtladzereckons, that the royal portraits were displayed here.

From Northernoratory only the Western Wall and the southern and northern walls are preserved. Oratory is also painted. Set out across the wall it may be seen four angels and Lord's Ascension scene. As for the walls, they show of the gallery oflaity persons.In 1998. Scientists recognized the 11 person depicted here. The three of them were depicted on the southern and western walls, and the rest of the 5 on the north wall. All of them are focused on the altar. Each figure was accompanied by an explanatory caption in black paint the Asomravruli Letters, only one part of which only can be read, and even part of

these captions cant be read. On the extreme east partof the northern wall Eristavi of eristavsVardan was depicting, who according to explanatory caption, was brought up by Demetre King. Today, this figure is almost not seen. Beside this figure the walls feature cleric. according to the explanatory caption, he is Vazirtukhutsesiand Mtsignobartukhutsesi. Then again, the portrait of the clericis shown. At the end of the civil personis depicted. He holdscrozier and has a sword on the belt around his waist. Between civil persons and clericsa praying child was shown.

On the extreme eastern part of the South wall which survived the extreme the reflected image of the clericcould not actually be read now. Then again cleric is represented, according to the writing explanatory - the son of VArdanEristavi. At the end image of the civil person is shown again. He also has sword on the belt which surrounds his waist, however, he does not hold the crozier. According tothe explanatory caption the

civil person is Beshkeni, the son of VardanEristavi.

On the western wall of the oratory all of the 3 persons depicted are the civil persons and three of themhave crozier and have a sword on the belt around their waist.An Explanatoryinscriptions which would show their names, can no longer be read, so these individuals are unknown.

By taking into account the historical figures mentioned in the explanation inscriptions of the King Demeteand Mtsignobartuhutsesi and chkondidli titles depicted In NorthernoratoryG. Skhirtladze thinks that in the oratory there are represented hermits of the second half of XII century. Specifically, VardanKokonelidze brought up byDemetre the first. Researcher thinks that image of Vazirtupirvelesiis represented Anton Gnolistavisdze,who after the XII century 80s when Catholicos Mikael Mirian's son seized his position, was settled in the Gareji monastery. The rest of the historical persons, therefore areKolonkelidzis family members and regional governors ofSaeristavo of Kakheti - Makhatlisdze family members.

The painting was done in between XII-XIII centuries, a little bit earlier before the monastery would have been emptied, as a result of enemy attacks. After several millennia from painting the monastery, an earthquake resulted in the collapse of the monastery,

Source: Skhirtladze Z. portraits of historic persons in Kolageri monastery of Gareja. Tbilisi, *2000*

Photos were been taken by Ketevan Dighmelashvili

ეს საქართველოა — გაგიდის სამაროვანი

(ძეგლები ოკუპირებულ ტერიტორიებზე)

გაგიდის სამაროვანი - ეს საქართველოა და მის შესახებ "ონლაინ არქეოლოგიის" მკითხველს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ლერი ჯიბლაძე უამბობს.

გაგიდის სამაროვანი მეცნიერთათვის ნაკლებად ცნობილია. ის მდებარეობს ფიჩორის ნამოსახლარის ჩრდილოეთით 2 კმ-ზე, ადგილ ნაჭკადუში (ისორეთი), უშუალოდ ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ. ზღვის ღელვამ დროთა განმავლობაში გააშიშვლა სანაპირო ზოლი და იქ ბრინჯაოს სხვადასხვა ეპოქის სამაროვნებისთვის დამახასიათებელი დიდძალი არქეოლოგიური მასალა გამოჩნდა. როგორც ჩანს, ეს მასალები ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ განხორციელებული უნებართვო გათხრების შედეგად უგზოუკვლოდ იფანტება. მხოლოდ მათი უმნიშვნელო ნაწილია დაცული ზუგდიდისა და ქუთაისის მუზეუმების ფონდებში. სავარაუდოდ, საქმე გვაქვს ძალიან დიდი პარამეტრების სამაროვანთან, რომელიც ცნობილი მასალების მიხედვით, ფიჩორის ცენტრალური ბორცვის შუა და გვ-

1

იან ბრინჯაოს ხანის ფენების (VI-III ფენა) სინქრონულია.

გაგიდის სამაროვანი ფიჩორის ცენტრალური ბორცვის პროტო და ძველი კოლხური კულტურების მცხოვრები ხალხის საძვლე უნდა იყოს. ამ ძეგლსა და ზოგადად ფიჩორის ნამოსახლართა სისტემას 1980-1990 წწ-ში იკვლევდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის, აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. მალხაზ ბარამიძე). სამწუხაროდ, აღმოჩენის ადგილის დათვალიერება და გარკვევა იმისა, თუ რა ტიპის სამაროვანთან გვაქვს საქმე, ამჟამად, შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ ეს ძეგლი კოლექტიური დაკრძალვის სამარხი ორმოებია. გაგიდის სამაროვნის ლითონის ინვენტარს ახლო პარალელები ეძებნება ბრილისა და მოდინახეს შუა ბრინჯაოს ხანის მასალებთან. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, აღნიშნულ პერიოდებში გავრცელებული იყო ერთგვაროვანი მატერიალური კულტურა, რომელიც ლითონის იარაღსამკაულის მიხედვით, მჭიდრო კავშირებს ავლენს შიდა და ზემო ქართლის შუა ბრინჯაოსა და გვიან ბრინჯაოს საწყისი ეტაპის (წაღვლი, აწყურის სამარხი, ნული, ქვასათალი, ზველის ყორღანი, კვირაცხოველი, ჩითახევი, ბორნისღელე და თლიას ადრეული სამარხები) ბრინჯაოს ინვენტართან.

2

ექსპედიციას სხვადასხვა პერიოდში მიეწოდებოდა შემთხვევით აღმოჩენილი სამარხეული ინვენტარი, რომლის დაახლოებითი ლოკალიზაცია სავარაუდოა გალის მუნიციპალიტეტის სოფელ გაგიდაში. გაგიდის კოლექციაში ბრინჯაოს 5 სატევარი, 4 შუბისპირი, 2 ისრისპირი, 6 დისკოსებრთავიანი საკინძი, 3 სპირალურად ჩახ-

ვეული ბოლოებიანი მამალი დუგმა და თიხის ჭურჭლის უფორმო, მონაცრისფრო ნატეხია _ სულ 21 ნივთი. არტეფაქტების შემცველობა და მრავალსახეობა უფლებას გვაძლევს გამოვიტანოთ დასკვნები და გალის მუნიციპალიტეტის სოფ. გაგიდის ბრინჯაოს მასალები დანგრეული სამაროვნის კუთვნილებად მოვიაზროთ.

გაგიდის კოლექციის ნივთები:

1. სხვადასხვა ზომის 13 მკვეთრქედიანი, მასრაგახსნილი და მოკლემასრიანი შუბისპირი. ზოგ მათგანს გახსნილი მასრა წვერამდე გასდევს, უმრავლეს შემთხვევაში, ისინი ქედს უერთდება. ყველა ნაჭედია, ახასიათებს სამკუთხა მოყვანილობის პირი, მომრგვალებული და დაშვებული მხრები. ზოგიერთ შუბისპირს გვერდები ჩამოტეხილი აქვს.

3

კოლხეთის დაბლობზე, როგორც ქედიანი ისე, უქედო ბრინჯაოს შუბისპირები (ვგულისხმობთ მათ ჩამოსასხმელ ყალიბებს), თავდაპირველად ქ.წ. III ათასწლეულის დასასრულსა და ქ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში (ფიჩორის ცენტრალური ბორცვი, VIII-VII კულტურული ფენები) გამოჩნდა. გაგიდის შუბისპირები ტიპოლოგიურად განსაკუთრებულად ახლოა ფიჩორის ნამოსახლარის VII ფენაში მიკვლეულ მკვეთრქედიან და მასრიან შუბისპირთან (ყალიბის მიხედვით), რომელიც შუა ბრინჯაოს საწყისი პერიოდით თარიღდება. ცალკ-

ეული დეტალების მიხედვით, მათ გარკვეული მსგავსება აღენიშნება მოდინახეს (შუა ბრინჯაოს ხანის სამარხები), თლიას (უადრესი კომპლექსები), წაღვლის, ბრილის, ნულისა და მესხეთ-ჯავახეთის შუა ბრინჯაოს ხანისა და გვიან ბრინჯაოს საწყისი პერიოდის შუბისპირებთან. ამ პარალელების გათვალისწინებით გაგიდის შუბისპირი სავარაუდოდ, ქ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებით (დაახლ. ქ.წ. XVI-XV სს.) უნდა დათარიღდეს.

2. გაგიდის კოლექციაში წარმოდგენილია ბრინჯაოს 10 სატევრისპირი. ყველა მათგანი ნაჭედია. მათში ტიპოლოგიურად გამოიყოფა რამდენიმე ქვეტიპი. გვხვდება ყუნწიანი, ბრტყელგანივკვეთიანი, როგორც ქედიანი ისე, უქედო ტოლფერდა სამკუთხედის ფორმის სატევრისპირები. ზოგიერთ ეგზემპლარს მომრგვალებული და მრგვალხვრელიანი სატარე ყუნწი აქვს. ამ ქვეტიპის გაგიდის სატევრისპირებთან (გარკვეული დეტალების მიხედვით) ტიპოლოგიურად ახლოა ჭოლიპას ნამოსახლარის, თლიასა და ბრილის სამაროვნების უადრესი კომპლექსებიდან მომდინარე ანალოგიური ნივთები. ზოგიერთ იარაღს ახლო პარალელები ეძებნება ზემო სვანეთის (ბოგრეშის სამარხი) სატევრისპირთანაც, აგრეთვე, ფიჩორის ცენტრალური ბორცვის VIII კულტურულ ფენაში გამოვლენილი მრავალგანყოფილებიანი ყალიბის ერთ-ერთ წახნაგზე ამოკვეთილ სატევრისპირთან. 3 სატევარი შემორჩენილია უყუნწოდ. ისინი ფორმით რამდენადმე განსხვავდება ზემოხსენებული სატევრისპირებისგან. ორ მათგანს, თითქმის თანაბარი ზომის ტანზე, ბოლომდე გასდევს დაბალი ქედი. მათ ვიწრო წვერი აქვს. მესამე სატევრისპირი ბრტყელგანივკვეთიანია, თანაბარი სიგანის ტანით. მომდევნო ორი სატევრისპირი შედარებით პატარა ზომისაა. ერთ მათგანს თითქმის სამკუთხა მოყვანილობის

პირი და ქედი აქვს, მომრგვალებული ხვრელიანი ყუნწით. ახასიათებს ვიწრო დაქანებული მხრები და ბრტყელი განივკვეთი. მეორე სატევრისპირი გვერდებზე ოდნავ ნაკლულია. აქვს მრგვალგრეხილიანი ვიწრო გრძელი ყუნწი, თანაბარი სიგანის ტანი, დაქანებული მხრები და დაბალი ქედი. ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით ამ ორ სატევრისპირს ზუსტი ანალოგები არ გააჩნია.

3. გაგიდის კოლექციიდან საინტერესო და საყურადღებოა ორიგინალური ფორმით გამორჩეული გრძელყუნწიანი ისრისპირები. ერთი მათგანი სრულადაა შემონახული. აქვს ქედიანი სამკუთხა მოყვანილობის პირი. მეორე ისრისპირი ფრაგმენტულად სამ ნაწილადაა შემორჩენილი, მრგვალღეროიანია, დაშვებული მხრებითა და თითქმის სამკუთხა, გვერდებზე ოდნავ ნაკლული ქედიანი პირით. საქართველოს ტერიტორიაზე იდენტური ფორმის ამგვარი იარაღი არ გვხვდება. საყურადღებოა, რომ გაგიდის საბრძოლო დანიშნულების ბრინჯაოს ეს არტეფაქტები ზოგიერთი დეტალის მიხედვით (გრძელი ყუნწი, მოკლექედიანი პირი), საქართველოს ტერიტორიაზე ადრე ბრინჯაოს ხანაში ცნობილი შუბისმაგვარი იარაღების მსგავსია.

4

5

4. გაგიდის შემთხვევით მონაპოვარ მასალაში წარმოდგენილია 3 ყუამ-

ილიანი ცული. ერთი ნიმუში სრულადაა შემონახული. წინა მხარეს ოდნავ დაქანებული მრგვალხვრელიანი საშუალო ზომის ყუა აქვს, მსუბუქად მოხრილი ტანითა და მომრგვალებული პირით. მეორე ეგზემპლარის წინა მხრიდან შეჭრილ მრგვალხვრელიან ყუას ზემოდან დატანილი აქვს განივი ქიმი. მას ახასიათებს შვერილი ტანი და მომრგვალებული პირი. მესამე ყუამილიანი ცული პატარა ზომისაა. აქვს წელში ძლიერ მოხრილი ნამგლისებრი მოყვანილობის ტანი, სწორი სოლისებური ფორმის პირით. ამ ცულის ყუა არ არის შემორჩენილი. გაგიდის ყუამილიანი ცულები, გარკვეული დეტალების მიხედვით, ფიჩორის ცენტრალური ბორცვის, კინოთის, ორბელისა და ზემო სვანეთის ამ რიგის იარაღების მსგავსია. ისინი კოლექციის სხვა არტეფაქტებთან შედარებით, ტიპოლოგიურად უფრო ადრეული უნდა იყოს.

ვფიქრობთ, ყოველივე ამის გათვალისწინებით, გაგიდის ბრინჯაოს ყუამილიანი ცულები განისაზღვრება ქ.წ. II ათასწლეულის I ნახევრის შუა ხანებით (დაახლ. ქ.წ. XVIII-XVII სს.).

5. გაგიდაში მოპოვებულ ბრინჯაოს არტეფაქტებს შორის 4 ცალი მრგვალგანივკვეთიანი ნაჭედი დისკოსებურთავიანი საკინძია, რომლებსაც ღეროზე დატანილი აქვს მრგვალი ხვრელი. ანალოგიური საკინძები გვხვდება ბრილის (ადრეული კომპლექსები), მოდინახეს (შუა ბრინჯაოს ხანის სამარხები), თლიასა და წაღვლის სამაროვნებზე. სავარაუდოდ, გაგიდის დისკოსებურტანიანი საკინძები შუა ბრინჯაოს მიწურულითა და გვიან ბრინჯაოს საწყისი პერიოდით თარიღდება.

6. კოლექციაში ბრინჯაოს ერთნახევარი სპირალი (ან აგაფის რგოლი) 3 ცალითაა წარმოდგენილი. ისინი ოვალური და მრგვალ-

განივკვეთიანია. ბრინჯაოს ერთ ნახევარ სასაფეთქლე ხვიებს მოქმედების დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონი ახასიათებს. მიუხედავად ამისა, არქეოლოგიურ კულტურებში მაინც დადგინდა მათი გავრცელების სივრცე, ზედა და ქვედა ქრონოლოგიური საზღვრები. კოლხეთში 1,5 სასაფეთქლე ხვიები გაჩნდა ქ.წ. III ათასწლეულის მიწურულით დათარიღებულ ფიჩორის ცენტრალური ბორცვის ნამოსახლარზე (VIII ფენა), აგრეთვე, ადრე ბრინჯაოს დასასრულისა და გვიან ბრინჯაოს დასაწყისის ეშერის, ხუაბისა და ოთხარის დოლმენებში.

გაგიდის ერთ ნახევარი ხვიის რგოლები ტიპოლოგიურად ახლოა ჩამოთვლილი ძეგლების ანალოგიურ არტეფაქტებთან. თანმხლებ მასალებთან ერთად ეს ფაქტი გვაძლევს საშუალებას გაგიდაში გამოვლენილი ერთ ნახევარი სასაფეთქლე რგოლები შუა ბრინჯაოს მიწურულითა და გვიან ბრინჯაოს საწყისი პერიოდით დავათარიღოთ.

7. გაგიდის კოლექციაში მრგვალღეროიანი, სპირალურბოლოებიანი (სათვალისებრი ფორმის) დუგმა 6 ეგზემპლარადაა წარმოდგენილი. ისინი სხვადასხვა ზომისაა. 3 ერთეული სრულადაა შემორჩენილი, ხოლო დანარჩენზე წარმოდგენა იქმნება მხოლოდ ფრაგმენტების მიხედვით. სავარაუდოდ, ეს ნივთები შუა ბრინჯაოს მიწურულსა და გვიან ბრინჯაოს საწყის ეტაპს ეკუთვნის. ანალოგიური ნივთები თითქმის სინქრონულ პერიოდში გაჩნდა მოდინახეს, ბრილის, წაღვლისა და თლიას სამაროვნებზე, აგრეთვე, მესხეთ-ჯავახეთში. მრგვალგანივკვეთიანი სოკოსებრთავიანი საკინძი გრეხილღეროიანია. შუა ნაწილში დატანილი აქვს მრგვალი ხვრელი. მეორე, ლურსმნისებრთავიანი საკინძი უფრო მცირე ზომისაა. აქვს ბრტყელი თავი, მრგვალი ღერო და

ზედა ნაწილში დატანილი ხვრელი.

კოლხეთის დაბლობზე ამ ტიპის საკინძები იშვიათად გვხვდება. ისინი ჩნდება შუა ბრინჯაოს პერიოდიდან (ფიჩორის ცენტრალური ბორცვის V ფენა) და განაგრძობს არსებობას გვიან ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანაშიც (ჩოლოქი IV ფენა, ნაოხვამუ III ფენა). აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ლურსმნისებურ და სოკოსებურთავიანი საკინძები შუა ბრინჯაოს ხანაში დასტურდება და მკვიდრდება მომდევნო პერიოდში. გაგიდის ზემოხსენებული საკინძები ტიპოლოგიურად ახლოა, როგორც კოლხეთის დაბლობზე ისე, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ ლურსმნისებრ და სოკოსებრთავიან საკინძებთან. ისინი, სავარაუდოდ, გვიან ბრინჯაოს საწყისი ეტაპით განისაზღვრება.

8. ძაღლის სკულპტურა, ბრინჯაოსი.

9. ბრინჯაოს ორფერდა ყუამილიანი ცული.

10. ფიჩორული და ანაკლიური ტიპის მრგვალხვრელიანი ბრინჯაოს თოხი, ფართო პირითა და სწორი მხრებით.

კოლექციაში აღინიშნება გაურკვეველი დანიშნულების, ორბურცობიანი ნივთი, რომელიც შესაძლოა, კალისგან იყოს დამზადებული. ამ ნივთის მეტალოგრაფიული ანალიზის ჩატარება, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა.



6

გაგიდის მასალებში წარმოდგენილია მინიატურული ფორმის ერთი საკიდი. იგი მომრგვალებურღეროიანია, აქვს გახვრეტილი ყუნწი, სფეროსებური დაბოლოებები, შემკულია ხუთი კოპით. ეს ნივთიც, სავარაუდოდ, გვიან

ბრინჯაოს საწყის პერიოდს ეკუთვნის.

გაგიდის კოლექციაში შუა ბრინჯაოს მიწურულისა და გვიან ბრინჯაოს საწყისი პერიოდის სხვადასხვა ტიპის საკინძებია წარმოდგენილი: მრგვალღეროიანი, ჯვრისებურთავიანი ორი საკინძი შუაში დატანილი ხვრელით, მომრგვალებულღეროიანი გახვრეტილი ყუნწიანი საკინძი, რომლის სფეროსებური დაბოლოებები შემკულია ხუთი კოპით; მრგვალღეროიანი ორი საკინძი, რომელთაც ტანის ზედა და შუა ნაწილში დატანილი აქვს მრგვალი ხვრელი. საკინძებს თავთან აქვს გამონაზარდები, ისინი დატოტვილია ორად და ოთხად. მათ შორის ერთი საკინძი ორ ნაწილადაა წარმოდგენილი. ზედა ნაწილი დატოტვილია და ზემოდან სპირალისებური ხვრელი აღენიშნება.

ამრიგად, გალის რაიონის სოფელ გაგიდაში აღმოჩენილია მეტად საყურადღებო ბრინჯაოს მასალები. მათი სიმრავლე და მრავალსახეობა მიგვითითებს მასზედ, რომ ისინი უეჭველად სამაროვანს განეკუთვნება. ეს ფაქტი მით უფრო საყურადღებოა, რადგან კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე არასდროს ყოფილა გამოვლენილი შუა და ბრინჯაოს ხანის საწყისი პერიოდის სამაროვნები და მათგან მომდინარე მასალები. გაგიდის კოლექციაში კი წარმოდგენილია, როგორც შედარებით ადრეული ისე, უფრო მოგვიანო ხანის ბრინჯაოს





7

ინვენტარი. ვფიქრობთ, გაგიდის კოლექცია უნდა განისაზღვროს შუა ბრინჯაოსა და გვიან ბრინჯაოს საწყისი პერიოდით.

ილუსტრაციების აღწერილობა:

1. *არტეფაქტების ტაბულა;*
2. *ბრინჯაოს სატევრისპირები;*
3. *ბრინჯაოს საფხეკები;*
4. *ბრინჯაოს შუბისპირი;*
5. *ბრინჯაოს სატევრისპირი;*
6. *ბრინჯაოს ორფერდა ყუამილიანი ცული;*
7. *ფიჩორული და ანაკლიური ტიპის მრგვალხვრელიანი ბრინჯაოს თოხი.*

ტაბულები გამოყენებულია ნაშრომიდან "აფხაზეთი", ტომი II, 2009 წელი.

This is Georgia – Gagidi Cemetery

(Monuments on the occupied lands)

Gagidi Cemetery - this is Georgia and History Science Doctor Leri Jibladze will tella story about it to the reader of Magazine Online Archaeology.

Gagidi Cemetery is less known for scientists. It is located to the north of Pichori abandoned settlment in 2 kms, on the place Nachkaduri (Isoreti), along the seaside. Waves of the sea caused various Bronze and other era cemetery archaeological to show off. As it seems, these materials are being lost by illegal archaeological excavations of local residends. Only the small part of them are preserved in Zugdidi and Kutaisi museums. Presumably, it has to be very huge sized cemetery, which, as known materials show, is synchroned to Pichori central hill and late Bronze era layers (VI – III layers).

Gagidi Cemetary should be saving the bones of Pichori central hill and old Colches culture residents. This monument and in general Pichori abandond settlement system was researched by archaeological research center, Abkhazia archaeological expedition (head. Malkhaz Baramidze) in 1980 – 1990. Unfortunately, it is impossible to inspect discovery place and estimate what kind of cemetery it is. Despite of this, we reclon, that this monument represent collective burial grounds. Gagidi Cemetery metal things have parallel with Brill and Modinakhe middle Bronze

Age materials. This fact gives us one more reason to think that in western Georgian in these eras common material culture had been spread, which according to metal tools and adornment, has tight connections with inventory of middle and upper Kartli's middle Bronze Age and late Bronze age begging (Tsarghvili, Atskuri Cemetery, Kvasatali, Zveli burial ground, Kviratskhoveli, Chitakhevi, Bornisghele and Tlia's early burial grounds).

In different periods the expedition was given accidentally discovered cemetary inventory, the approximate localization of which is presumed to be in village Gagida in Gali Municipality. In Collection of Gagida there are 5 bronze daggers, 4 spreadheads, 6 rounded fasteners, 3 hooks with spiral endings and piece of ceramic vessel without any form – 21 things in sum. The diversity and content of artifacts gives us opportunity to assess and conclude that materials of the village Gagidi of Gali Municipality are part of the damaged cemetery.

Things of Gagidi Collection

1. 13 Spread heads of different size. Some of them have spools up to the head, in most cases, they join the neck. All of them are wrought and have triangle formed heads, and circled sides. Some of the spread heads have broken sides.

   On Kolkhetilowland, all kinds of bronze spread heads at first showed at the end of III millennia BC and II Millennia BC. (Central hill of Pichori, VIII – VII cultural layers).Spreadheads of Gagidiare typologically really

close to spread heads found in VII layer (according to gauge) of Pichori abandoned settlement, which are dated in Middle Bronze age. According to particular details, there is some kind of resemblance to Modinakhe (middle Bronze Age burial grounds), Tlia (the earliest complexes), Tsaghveli, Brili, Nuli and Meskhet – Javakheti middle Bronze Age and late Bronze age spread heads. Taking into account this parallel, Spread heads must be dated presumably, in the middle of II millennia BC (about XVI_ XV centuries BC)

2. In Collection of Gagidi there are 10 bronze daggerheads . All of them are wrought. Several types are found in between them typologically. There are haulm typed, flat, triangle formed etc. dagger heads. Some of the samples have rounded and round holed haulms. This kind of daggers heads of Gagidi (according to several details) are typologically close to dagger heads of Tcholipa abandoned settlement, Tlia and Brili Cemeteries. Some of the tools have parallels with dagger heads of upper Svaneti (Bogreshi burial ground), as well as, with dagger heads cut on the gauges found in Pichori central hill cultural layer. 3 of the dagger heads are found without haulm. They are somhw different from dagger heads mentioned above. Two of them have almost same sized necks. They have narrow heads. Third of the dagger heads is flat, with equal body, and has low neck. The next to dagger heads are a bit smaller. One of them has almost triangle formed head and neck, with rounded haulm. They have

narrow sides and flat diameter. Second dagger head is a bit broken. Has rounded narrow long haulm, equal width body, narrow sides and low neck. According to materials that we had access to, these dagger heads do not have analogue.

3. From collection of Gagidiarrow heads are most interesting and important, because they have original form. They have triangle formed heads. Second arrow head is divided and preserved into three pieces, with a bit broken neck on the sides. There are no identical tools like this on the territory of Georgia. It has to be noted, battle intended this artifact according to several details (long haulm, short necked head), looks like spread heads of early Bronze Age found on the territory of Georgia.
4. In occasionally discovered materials of Gagidi there are 3 axes. One sampeis preserved in whole. It has middle sized rounded stub, slightly bended body and rounded head. Second sample has diametric neck on the stub. The third stubbed axe is small sized. It has bended crescent body, with straight head. Stub of this axe has not been preserved. Axis of Gagidi, according to some details, looks like tools of Pichori central hill, Kinoti, Orbeli and upper Svaneti.

   Unlike other artifacts of the collection, have to be typologically from the earlier period.

   We reckon, taking all of this into account, the axes of Gagidi must be of middle of the first half II millenniaBC (approx. XVIII – XVII centuries)

5. In between the artifacts discovered in Gagidi there are 4 fasteners with disco formed had, which have round hole on the axis. Analogic fasteners were found in Brili (early complexes), Modinakhe (middle Bronze Age burdial grounds), Tlia and TsasghviliCemeteries. It is possible, that Gagidi fasteners were of the end of middle Bronze age the beginning of early Bronze Age.
6. In collection one half spiral is represented by 3 ones. They are oval and rounded formed. These spirals have really huge diapason of working in Bronze Age. Despite this, in archaeological cultures it is still estimated there area of spread, upper and lower chronological borders. In Kolkheti spirals appeared in III millennia BC on the Pichori central hill abandoned setllementes (VIII layer), as well as, in Esheri, Khuabi and Otkhari Dolmens of the end of early Bronze age and beginning of late Bronze Age.

   One half of Gagidi collection of spirals are typologically close to artifacts of listed monuments. With assisting discovered things this fact gives us opportunity to reckon, that these spirals were of the end of middle Bronze Age and beginning of late Bronze Age.
7. The round axed, spiral ended hook of Gagidi collection is represented by 6 samples. They are of the various sizes. 3 samples are preserved in whole, but view on the others is made by gathering the fragments. It is presumable, that these things are of end of middle Bronze age and beginning of later Bronze age. Analogic things appeared almost in the same period in Modinakhe, Brili, Tsaghveli

and Tlia burial grounds. As well as in Meskhet – Javakheti. Rounded mushroom head alike hook is long axed. It has round hole in the middle part. Another nail alike headed hook is a bit smaller, it has flat head, round axis and hole in the upper part.

In Kolkheti lowland this kind of hooks are not found often. They appear from the middle of the Bronze age (Pichori central hill V layer) and continues existence even in late Bronze and early Iron Age. (Choloi IV layer, Naokhvamu III layer).

On the territory of eastern Georgia nail alike and mushroom alike hooks are of middle Bronze age and continue existing in following periods too. Above mentioned hooks of Gagidi are typologically close to nail alike and mushroom alike hooks found in Kolkhetilowland as well as in eastern territory of Georgia. They presumably, are of late Bronze age.

8. Sculpture of Dog, Bronze.
9. Two sided Axe.
10. Round holed Bronze hoe, which looks likePichori and Anaklia hoes, with wide head and straight arms.

In collection there are unidentified two relief thing, which may be made of tin. Metallographic analysis unfortunately was not made to this thing.

In materials of Gagidi there are miniature formed one hanger. It is rounded, has drilled haulm, and has 5 bumps. This thig, as well, might be of the beginning of late Bronze Age.

In Collection of Gagidi there are different types of hangers of end of the middle Bronze Age and beginning of the late Bronze age: round axed, cross typed with hole in the middle, rounded type with drilled haulm with five bumps; round formed two hangers which have round holes in upper and middle part of the body. Hangers have some editions, which are left in two and four. In between them one hanger is represented in two parts. Upper part is branched and has spiral hole in the upper side.

So, in village Gagida of Gali municipality very important artifacts of Bronze Age have been discovered. The diversity and amount of artifacts indicate that they belong to the Cemetery. This fact has to be taken into account, because on the territory of the Kolkheti lowland cemeteries and artifacts found on the cemeteries. of Middle and late Bronze Age had never been found. In Gagidi collection even early Bronze Age inventory as well as later Bronze age inventory is represented. We reckon, that Gagidi collection is of middle Bronze Age and beginning of the late Bronze Age.

Description of illustrations:

1. Table of Artifacts;
2. Bronze Dagger Heads;
3. Bronze Scrapers;
4. Bronze Spread Head;
5. Bronze Dagger Head;
6. Bronze Two Sided Axe;
7. Bronze Hoe, Which Looks Like Pichori and Anaklia Hoes

Tables are used from work “ Abkhazia “ , volume II, 2009

მუზეუმები და არტეფაქტები



ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი

ზევსისა და მნემოსინეს საიდუმლო კავშირის შედეგად, სიმღერისა და ცეკვის ხელოვნებით დაჯილდოებული ცხრა ქალიშვილი დაიბადა. ეს მუზა-ქალღმერთები - პოეტთა შთაგონების წყარონი, პარნასზე ცხოვრობდნენ. მუზებს თავიანთი ტაძრები სჭირდებოდათ და გაჩნდა "მუზეუმები." ცხრა მუზის ცხრა მუზეუმი, ცხადია, არ იკმარა სიძველეების, ხელოვნებისა და ზოგადად მშვენიერების ტრფიალმა კაცობრიობამ და დღეს სამყაროს უამრავი მუზეუმი ამშვენებს. 18 მაისს მსოფლიომ მუზეუმების საერთაშორისო დღე აღნიშნა. ჟურნალი "ონლაინ არქეოლოგია" ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ულოცავს მუზეუმების მესვეურსთ, თანამშრომლებსა და დამთვალიერებლებს, ხოლო ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის კურატორი, ლევან ზაზაძე წარმოგიდგენთ ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალსა და იქ დაცული რამდენიმე არტეფაქტის აღწერილობას.

ვარძიის შესწავლა პირველად დიუბუა დე მონპერემ სცადა, რომელმაც 1838 წელს მისი გამოქვაბულები და ეკლესიების ფრესკები აღწერა. XIX საუკუნის მიწურულიდან ვარძიით არაერთი მკვლევარი დაინტერესდა და XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის პერიოდულ ლიტერატურაში უხვად არის წარმოდგენილი მოგზაურთა მიერ ვარძიის აღწერილობები, ამავე პერიოდიდან იწყება მისი მეცნიერული შესწავლაც.

მუზეუმები და არტეფაქტები

1938 წელს აქ დაარსდა მუზეუმი. 1959 წელს ვარძია გამოცხადდა ძეგლ-ნაკრძალად და დამოუკიდებელი დაწესებულების სახით დაექვემდებარა საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს. 1979 წლის ნოემბრიდან ვარძიას ხელოვნების, ისტორიისა და არქიტექტურის მუზეუმ-ნაკრძალი უწოდეს.



2009 წლის დასაწყისიდან ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ექვემდებარება.

2015 წელს ვარძიის სამონასტრო კომპლექსის დასავლეთ ნაწილში, სადაც უამრავი ოთახია დამარხული, განხორციელდა გაწმენდითი არქეოლოგიური სამუშაოები. აღმოჩენილია საცხოვრებელი დარბაზები და სართულების დამაკავშირებელი გვირაბები. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ამჟამად აწარმოებს ***ვარძიის - არა მხოლოდ, როგორც არქეოლოგიური ობიექტის, არამედ ზოგადად, საქართველოს ერთ-ერთი უნიკალური ძეგლის ინტერდისციპლინარულ კვლევას. კვლევა ხორციელდება სეისმომდგრადული, ჰიდროლოგიური, გეოლოგიურიმიმართულებებით, დაწყებულია სარესტავრაციო პროცესი.*** ვიზიტორთა უსაფრთხოების მიზნით გაშენებულია მოაჯირები. მონასტრის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე საიდუმლო გვირაბი გამაგრებული და რესტავრირებულია. ქვათა ცვენის შესაჩერებლად კლდეზე გადაკრულია ლითონის ბადე.

1

2

3

4

ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის ადმინისტრაციული შენობის ფონდსაცავში დაცულია 3 343 არტეფაქტი, ნუმიზმატიკური თუ კერამიკული მასალა, მათ შორის, მოჭიქული კერამიკის მრავალფეროვანი ნიმუში.

არტეფაქტები

- *ვერცხლის მონეტა, რომაული, ერთ ადგილას ღრმა ნაჭდევით. ერთ მხარეს გამოსახულია იმპერატორის პროფილი, მეორე მხარეს _ მამაკაცი მთელი ტანით, ფეხზე მდგომი, ერთი ხელით ეყრდნობა საყრდენს, მეორე ხელი წინ აქვს გაწვდილი. ამ მხარეს იკითხება ბერძნული წარწერა.*
- *სპილენძის სასანთლე; ძდ-10.3 სმ, ს-22 სმ. ძირი და ღერძი ერთმანეთს მოცილებულია.*
- *გრძელტუჩიანი ჭურჭელი, სპილენძი. ს-9,5 სმ, პდ-19.5 სმ, ძდ-15 სმ, პატინირებული, ძირი ნაწილობრივ შემორღვეულია.*
- *ჭურჭლის ფრაგმენტი. მოჭიქული, ლურჯ ფონზე გამოსახული შავი, მსხვილი ზოლებით.*

MUSEUMS AND ARTIFACTS

HISTORIC AND ARCHITECTURAL MUSEUM – PRESERVE OF VARDZIA

Secret union of Zeus an Mnemosine resulted in birth of nine virgins, who were gifted with the art of singing and dancing. These muse godesses - inspirations of the poets, lived on Parnas. Muses needed there own temples and that is how museums were created. Nine museums for nine muses, were not enough for lovers of antiquity, art and beauty in general, so today there are lots of museums all around the world. On May 18 world celebrated international museum day. Magazine ONLINE ARCHAEOLOGY congratulates this important date to owners, workers and visitors of the museums, and the curator of Historic and Architectural Museum – Preserve of Vardzia, Levan Zazadze presents Historic and Architectural Museum – Preserve of Vardzia and description of several artifacts preserved in this museum.

Diubua De Monpre was the first who tried to study Vardzia, in 1838 he described caves and frescos of the churches. From the end of the XIX century many researches got interested in Vardzia and many descriptions by travellers of Vardzia are presented in literature of the second half of XIX century and beginning of the XX century, from this period scientific study of the Vardzia begins.

In 1938 museum was founded here. In 1959 Vardzia was declared as museum –preserve and was subordinated to Cutural Minsitry of Republic of Georiga. From November 1979 Vardzia was called art, historic an architectural museum –preserve.

From the beginning of 2009 Historic and Architectural Museum – Pre-

serve of Vardzia is subordinated to National Agency for Cultural Heritage of Georgia.

Clearing works have been done in 2015 in the western part of the monasteric complex of Vardzia, were many rooms were burried. Living halls and tunnels connecting floors were discovered.National Agency for Cultural Heritage of Georgia currently works not only on archaeological research of objects, but on interdisciplinary research of this unique monument. Researches are being conducted in seismic, hidrologic, geologic fields ad restoration works have already began. For the safety of the visitors fences are built. Tunnel located in the eastern part of the Monastery is fortified and restored. Metalic grid is placed on the rock to prevent stones from falling down.

3 343 artifacts, numismatic and ceramic materials, including a variety of glazed ceramic samples, are preserved in storage of administrative building of Museum –preserve of Vardzia

Artifacts

1. The silver coin, Roman, with deep notch on one place. One side features a profile of the Emperor, the other side shows a man with full body view, standing, who leans on headstock with one hand and has the other hand stretched out ahead. On this side of the coin the Greek inscription can be read.
2. Copper candlestick; Diameter of the bottom -10.3 cm, with the length of 22 cm. Footer and the axis are separated from each other.
3. Long neck pottery, copper. Length of 9,5 meters, diameter -19.5 cm, diameter of the bottom -15 cm, patterned, partly damaged bottom.
4. Part of the vessel. Glazed, on a blue background with black, thick stripes.

პროექტი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2016 წლის მაისში არმაზისხევის კომპლექსის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები განხორციელდა (ექსპედიციის ხელმძღვ. გოდერძი ნარიმანიშვილი).



პროექტის წინა ისტორია

არქეოლოგიური ძეგლი არმაზისხევი მდებარეობს ქ. მცხეთის რკინიგზის სადგურის დასავლეთით 2 კმ-ის სიშორეზე, მდ. არმაზისხევისა და მდ. მტკვრის შესართავთან, არმაზისხევის მარჯვენა ნაპირზე. 1937-1946 წლებში აქ გაითხარა II-IX სს-ის სამაროვანი, აბანო, ზღურბლიანი ნაგებობა, ერთსენაკიანი და ორსენაკიანი ნაგებობები და მარანი, აგრეთვე, 144 სამარხი. არმაზისხევის არქეოლოგიური ობიექტი ამჟამად შემოზღუდულია და იქ საველე მუზეუმია გამართული, სადაც

მიმდინარეობს ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2014 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, სააგენტოს მიერ გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე, არმაზისხევის არქეოლოგიური ნაკრძალის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები განახორციელა.

2014-2015 წწ. არმაზისხევის არქეოლოგიური კომპლექსის რეაბილიტაცია-კონსერვაციის სამუშაოების ფარგლებში, პიტიახშთა სამარხების მიმდებარე ტერიტორიაზე წარიმართა არქეოლოგიური გათხრები, გამოვლინდა და გასუფთავდა ადრე გათხრილი არქეოლოგიური ობიექტები. საველე მუზეუმის დიდი ნაწილი დაფარულია მიწის ფენით. საყურადღებოა, რომ ნაგებობების ნაწილიც კორდოვანი ფენითაა დაფარული, რაც ძეგლის დაზიანებას იწვევს. ამდენად, სასურველია მათი გათავისუფლება მიწის ფენებისგან და შენობის ვიზუალური წარმოჩენა, მნიშვნელოვანია გაუთხრელი ფართობის შესწავლა მუზეუმის ტერიტორიაზე.



2016 *წელს ჩატარდა სამუშაოები*

ასპარუგ ერისთავის სამარხის სამხრეთით, არმაზისხევის აბანოსა და ერისთავთა სამარხებს შორის არსებულ მონაკვეთზე, იქ სადაც განთავსებულია სასახლე (დაახლ. 530 კვ.მ) და ორსენაკიანი ნაგებ-

პროექტი

ობა მიწის საფარი 0.5 მ სიღრმემდე მოიხსნება.

ერთსენაკიანი ნაგებობის გარშემო (დაახლ. 400 კვ.მ) მიწის საფარი 0.5 მ სიღრმემდე მოიხსნება.

არქეოლოგიური კომპლექსის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში არსებულ გაუთხრელ ფართობზე (დაახლ. 450 კვ.მ) მოიხსნება მიწა მინიმუმ 0.5 მ სიღრმემდე.

პრეპარაცია ჩაუტარდება 1380 კვ.მ ფართობზე გამოვლენილ ნაგებობის კედლებს, იატაკებსა და არტეფაქტებს.

განხორციელდება სამარხების პრეპარაცია (დაახლ. 40 სამარხი).

მოხდება შესწავლილი ტერიტორიისა და მასზე არსებული ობიექტების ფიქსაცია, ფოტო-ფიქსაცია და ვიზუალური აღწერა.

შეისწავლება ობიექტის ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული და საარქივო კვლევის მასალები, შესაბამისი წყაროების მითითებით. კერძოდ, ექსპედიცია მოიძიებს სამუზეუმო და საარქივო მასალებს (ისტორიული რუკები და გენერალური გეგმები, ისტორიული, საკადასტრო და ნაგებობების გეგმები, არქივებში

დაცული ტერიტორიის ამსახველი ფოტომასალა, კოსმოსური და აერო ფოტომასალები).



გაკეთდება შესწავლილ ტერიტორიაზე მოპოვებული პირველადი ინფორმაციის საარქივო მონაცემებთან მიმართების ანალიზი.

შედგება შესწავლილი ტერიტორიის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა, GPS კოორდინატებით.

შედგება საკვლევი ტერიტორიის კვადრატებად დაყოფის სქემა.

შედგება არქეოლოგიური კვლევისას გამოვლენილი ძეგლების განლაგების სქემა და ანაზომი.

შედგება კროკები.

ნახაზებზე დატანილი იქნება ძირითადი პარამეტრები და ზომები.

არტეფაქტები ჩაიხატება და მოხდება მათი ფიქსაცია.

Project

Archaeological excavations financed by National Agency for Protection of Cultural Heritage took place on the territory Armaziskhevi Complex (head of expedition Goderdzi Narimanishvili)

Pre-history of Complex

Archaeological monument Armaziskhevi is located in2 kms on the western side of railroad station of City of Mtskheta, at the outfall of river Armaziskhevi and river Mtkvari, on the right bank of Armaziskhevi. In 1937-1946 sepulchres, bath house, fenced structure, one and two celled structures and winery, as well as burial grounds of II-III centuries were dag out here. Archaeological objects of Armaziskhevi are now fenced and field museum, where rehabilitation works are being held, is placed there.

In 2014 archaeological expedition of National Museum of Georgia, based on declared tender, commenced archaeological excavations on the archaeological preserve.

In 2014 – 2015 during rehabilitation and conservation works of archaological complex, on the nearby territories of Pitiakh burial grounds archaological excavations were held, old archaological objects were found and cleaned. The most part of the field museum is covered by ground layer. It has to be mentioned, that part of the structure is covered with cordon layer, this causes damage of the monument. So, it is recommended, to free them from the ground layers and to show of the visual side of the structure, it is ery important to study unexcavated parts of the museum territory.

In 2016 archaological works were conduced on the southern part of

Project

Asparug Eristavi burial ground, on the segment between Armaziskhevi bath hoyuse and Eristavi burial grounds, where two celled structure and castle are located (appr. 530 sq. m) with the depth of 0.5 m from the ground.

Around one celled structure (appr. 400 sq. m.) ground layer is found on the depth of 0.5 m.

On unexcavated territory (appr. 450 sq. m.) of the east-southern edge of the archaeological complex burial ground is found on the depth of 0.5 m.

preparation works have been conductedon the walls, floors and artifacts of the structure found on the territory of 1380 sq. ms.

Preperation of the burial grounds has also been conducted (appr. 40 burial grounds)

Fixation of the studied territory and objects, including photo and visual description, on it is to be conducted in the future.

Historical an bibliographic and archive researches will be studied, indicating corresponding sources. Namely, expedition will search for museum and archive materials (historical maps and general plans, historical, cadastral and structural plans, photo materials preserved in the archive, cosmic and aero photo materials).

Analysis of initial information procured on the studied territory in respect of archived data will be conducted.

Situational plan with GPS coordinates of the studied territory will be drawn.

Plan of dividing into squares of research territory will be drawn.

Location plan and measurement of found archaeological monuments will be drawn.

Croquises will be drawn.

Main parameters and sizes will be indicated on the plans.

Artifacts will be drawn and fixated.

თვალსაზრისი

ზემო იმერეთი. გზები, კლდის ძეგლები და კომუნიკაციის საკითხები

იყო თუ არა მხოლოდ სახიზრად შექმნილი ზემო იმერეთის კანიონებში ნაკვეთი, მტრისგან "შეუვალი" და "საკვირველი" ხელოვნური გამოქვაბულები? განაპირობებდა თუ არა თავდაცვითი დანიშნულების სისტემების გეოგრაფიული განლაგება ცალკეულ ობიექტთა შორის ინფორმაციის სწრაფ გაცვლას მოწინააღმდეგის გადაადგილებისა და საბრძოლო მოქმედებების შედეგების შესახებ? იყო თუ არა ჩართული საერო და სასულიერო დანიშნულების ობიექტები სიგნალიზაციის სისტემაში, რომელიც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების საქმეს ემსახურებოდა?..

ზემო იმერეთი. გზები, კლდის ძეგლები და კომუნიკაციის საკითხები არქეოლოგების ნიკა თუშაბრამიშვილის, ნოდარ ბახტაძისა და პალეოგეოგრაფოსის ლაშა სუხიშვილის თვალსაზრისით:

ზემო იმერეთის რეგიონი, ზემო იმერეთის პლატო (ჭიათურის მუნიციპალიტეტი) კარსტული სისტემაა, რომლის ფორმირება ზედა ცარცულ პერიოდში უნდა დასრულებულიყო. პლატო დასერილია მდინარეებით _ მდ. ყვირილა და მისი შენაკადები იქ საკმაოდ ღრმა (150 მ-მდე) კანიონებს ქმნის. კანიონებში, ფლატეებსა და კლდეებში უხვად არის წარმოდგენილი როგორც ბუნებრივი მღვიმეები ისე, ისტორიულ ეპოქებში ნაკვეთი ხელოვნური გამოქვაბულები. ამ რეგიონით ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დაინტერესდა დიდი ქართველი ისტორიკოს-გეოგრაფოსი, ვახუშტი ბაგრატიონი, რომელიც თავის თხზულება "აღწერა სამეფოსა საქართველოსაში",

ზემო იმერეთის მიმოხილვისას წერდა: “სვერის წყლის შესართავიდამ მღვიმე-საჩხერემდე, ამ ყვირილას იქით და აქეთ არს ფრიად მაღალი კლდე, და არიან მას შინა ქუაბნი მრავალნი, გამოკვეთილი სახიზრად და შეუვალი მტრისაგან, და საკუირველი, ვითარ უქმნიათ. და დადგა [ე.ი. შეიქმნა. N6.ბ.] ესენიც ჟამსა ყრუსასა” (ვახუშტი ბატონიშვილი 1973:760). მე-19 საუკუნეში, მღვიმევისა და მის მახლობლად მდებარე კაცხის მონასტრები მოუხილავთ მ. ბროსეს (**Brosset M.-F** 1851:88-93), გ. წერეთელს (**Церетели Г.** 1898), დ. ბაქრაძესა (**Бакрадзе Д.** 1853) და სხვა ცნობილ მკვლევარებს, მაგრამ ამ კომპლექსებში ქვის საეკლესიო ნაგებობებისა და ბუნებრივი მღვიმეების გვერდით არსებული კლდეში ნაკვეთი ქვაბოვანი სისტემებისა და ხეობის მეზობლად მდებარე ხელოვნური გამოქვაბულების დანიშნულება არ შეუსწავლიათ. მათი მიზანი ძეგლების აღნუსხვა იყო, გარდა ამისა, ეს მეცნიერები ვახუშტი ბატონიშვილის შეფასების გავლენით, ამ გამოქვაბულ კომპლექსებს უბრალო თავშესაფარ-სახიზრებად მოიაზრებდნენ და გამოქვაბულებში შესაღწევად





აუცილებელ ალპინისტურ უნარ-ჩვევებსაც არ ფლობდნენ.

XX ს-ის II ნახევარში, ქართულ საზოგადოებრიობაში ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის ძეგლებისადმი ინტერესი გაიზარდა და, შესაბამისად, ადგილობრივი მცხოვრებლები თუ მოგზაურ-დამთვალიერებლები, ყვირილას აუზის ამ გამოქვაბულებითაც დაინტერესდნენ. ცნობისმოყვარე პირებმა და სიძველეთა მოყვარულმა მთამსვლელებმა გამოქვაბულებში შეღწევაც მოახერხეს (ამას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ინდუსტრიულ გიგანტთან, მარგანეცის მომპოვებელ ორგანიზაციასთან, მათი პროფესიული, სამთო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, იმ პერიოდში მუდამ ფუნქციონირებდა მთამსვლელთა კლუბები). XX ს-ის 50-60-იან წლებში, სწორედ ადგილობრივმა ალპინისტებმა და ენთუზიასტმა მხარეთმცოდნეებმა მიაკვლიეს ამ კლდის ძეგლში ზოგიერთ საკმაოდ საინტერესო არტეფაქტს და ისინი უმთავრესად სასკოლო მუზეუმებს გადასცეს; ცნობილმა სიძველეთა მოყვარულმა ალპინისტმა, გოდერძი სამხარაძემ რაიონულ გაზეთ "ჭიათურის მაღაროელში" სტატიებიც გამოაქვეყნა აღნიშნული ძეგლების

შესახებ და მათი ფუნქციისა თუ შექმნის ეპოქის თაობაზეც გამოთქვა ვარაუდი (გ. სამხარაძე, 1965). თითქმის მაშინვე, პროფესორმა დომენტი მშვენიერაძემ ადგილობრივ მთასვლელთა მიერ მიწოდებული სქემების საფუძველზე, ჭიათურის მიდამოების გამოქვაბულთა რამდენიმე ჯგუფი განიხილა (მონოგრაფია "გამოქვაბული ნაგებობანი საქართველოში") და ეს ძეგლები საფორტიფიკაციო დანიშნულების სისტემებად მოიაზრა (დ. მშვენიერაძე, 1955).

1968 წელს არქიტექტურის დოქტორმა გ. გაფრინდაშვილმა და ალპინისტმა ა. ნემსიწვერიძემ ყვირილას ხეობის რამდენიმე ასეთი ქვაბოვანი კომპლექსი მოიხილეს; ეს ძიება მხოლოდ ერთი საგაზეთო პუბლიკაციით დასრულდა, თუმცა, ჩვენთვის საყურადღებო ის არის, რომ ამ სტატიაში პირველად გამოითქვა ვარაუდი ზოგიერთი გამოქვაბულის სამონასტრო მოძრაობასთან შესაძლო კავშირის შესახებ (გ. გაფრინდაშვილი, ალ. ნემსიწვერიძე 1955:96).

მდინარე ყვირილას აუზის ხეობათა კლდეში ნაკვეთი ძეგლების სერიოზულ, გეგმაზომიერ მეცნიერულ შესწავლას ხელოვნებათმცოდნეობითი და არქეოლოგიური კუთხით, საფუძველი ჩაუყარა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის პალეოგარემოს რეკონსტრუქციის ცენტრმა (ხელმ. პროფ. ნ. თუშაბრამიშვილი). ამ ცენტრის რიონ-ყვირილას აუზის შემსწავლელმა მულტიდისციპლინურმა ექსპედიციამ (ხელმ. ნ. თუშაბრამიშვილი) გააფართოვა თავისი კვლევების არეალი და 2011 წელს, ადამიანის გარემოსთან ადაპტაციის პროექტის ფარგლებში, მღვიმური ძეგლების კვლევასთან ერთად დაიწყო ჭიათურა-საჩხერის რეგიონების ხელოვნური და ნახევრად ხელოვნური გამოქვაბულების მოძიება-შესწავლა. კვლევის პროცესში, უპირველეს ყოვლისა, დასადგენი გახლდათ რამდენად მართებული იყო ისტორიულ წყაროებსა და სამეცნიერო-პოპულარულ

თვალსაზრისი

პუბლიკაციათა უმეტეს ნაწილში დამკვიდრებული მოსაზრება მასზედ, რომ შუა საუკუნეებში ამ გამოქვაბულებს მხოლოდ სახიზრებისა და საფორტიფიკაციო დანიშნულება ჰქონდა. გამოქვაბულთა რამდენიმე დაჯგუფების გეგმარების ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ მდ. ყვირილას აუზის ნახევარმღვიმეებისა, თუ ხელოვნური გამოქვაბულების დიდ ნაწილს მართლაც აღენიშნება თავდაცვითი მიზნით შექმნისა და გამოყენების კვალი. ასეთი გამოქვაბულები, ფუნქციების მიხედვით, ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

ა) სახიზრები, რომელთა დანიშნულება გახლდათ, რაც შეიძლება მეტი ადგილობრივ მცხოვრებთა შეფარ- ება და თავდაცვითი ბრძოლის წარმოება (საჭიროების შემთხვევაში,), მტრის შემოსევების დროს;

ბ) ციხე-ქვაბები (ეს ტერმინი მრავალგზის დადასტურებულია ლეონტი მროველის "ქართლის ცხოვრებაში"), რომლებიც სტრატეგიულად მოხერხებულ ადგილებში იკვეთებოდა მტრის ლაშქრის შესაკავებლად, ხეობებში მათი წინსვლის შესაჩერებლად და მოწინააღმდეგის სათვალთვალოდ.

აღსანიშნავია, რომ მდ. ყვირილას აუზის ხეობათა კალთებში სახიზრად თუ მტრის წინსვლის შესაჩერებლად გამოკვეთილი ხელოვნური და ნახევრად ბუნებრივი გამოქვაბულების საფა-

სადე ღიობები, უმეტესწილად დამატებითი ქვითკირის კედლების სისტემებით არის ამოშენებული (ისტორიულ წყაროებში გვხვდება ტერმინი "გამოკირული"). ეს ნაგებობანი ან დროთა განმავლობაში ჩამონგრეული შესასვლელების აღმდგენი წყობებია, ან ქვაბულების ტევადობის გასაფართოებელი და თავდაცვითუნარიანობის ასამაღლებელი ზღუდეები გახლავთ. გამოქვაბულებისა და ქვით ნაგები სიმაგრეების ამგვარი კომბინაცია ძველ ქართულ ისტორიულ თხზულებებში "ქვაბნაშენებადაც" მოიხსენება და ისინი საქართველოს ზოგიერთ სხვა რეგიონშიც გვხვდება. ყვირილას ხეობის საფორტიფიკაციო სისტემებში შეინიშნება კანონზომიერება: თუკი სახიზარი მღვიმეები და გამოქვაბულები მხოლოდ მიუვალობისა და დიდი ტევადობის პირობებს აკმაყოფილებდა, ციხე-ქვაბები უფრო სტრატეგიულად მოხერხებულ, გარემოზე გაბატონებულ ადგილებში იყო მოწყობილი, მაგ.: მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გამოკვეთილია მდ. ყვირილას კანიონთან მისი შენაკადი მდინარეების ხეობების შერთვის ადგილზე შექმნილი კლდოვანი კონცხების საკმაოდ მაღალ ვერტიკალურ ნიშნულებ-



ზე ისე, რომ ამ სივრცეების შესასვლელი ღიობები, ან სამზერი სარკმლები, ამ ხეობების ორივე ნაპირს აკონტროლებდა.

გარდა ამისა, გაირკვა, რომ ასეთი საბრძოლო-სათვალთვალო გამოქვაბულებისა და ქვაბნაშენების აბსოლუტურ უმრავლესობას ვიზუალური კომუნიკაცია აკავშირებდა სხვა, უფრო ხშირად კი, რამდენიმე, მეტ-ნაკლებად დაშორებულ ციხე-ქვაბთან (როგორც ხეობის ამავე კალთებში ნაკვეთ ისე, გადაღმა მდებარე კლდოვან მასივებში). გამოვლენილია გამოქვაბულების სამი დაჯგუფება, რომელთა შიგნით არსებულ ქვაბებსა და საფორტიფიკაციო ნაგებობებს ერთმანეთთან პირდაპირი ვიზუალური კავშირი აქვს:

1. *მდ. ყვირილას მდ. შუქრუთისწყლის შესართავთან ორივე ნაპირზე არსებული გამოქვაბულები და საფორტიფიკაციო ნაგებობა;*
2. *გამოქვაბულები მდ. ყვირილას ორივე ნაპირზე (მდ. ჯრუჭულის მარჯვენა ნაპირთან, საჩხერე-ჭიათურის გზის დაახლოებით მე-6-7 კმ-ზე);*

3. *მდ. ყვირილას მარჯვენა ნაპირზე, საჩხერე-ჭიათურის ცენტრალურ გზაზე, სოფ. სარეკის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ქვაბები და ხეობის მოპირდაპირე კალთაში გამოკვეთილი გამოქვაბულები.*

თავდაცვითი დანიშნულების სისტემების (ნაგებობებისა თუ გამოქვაბულების) ამგვარი გეოგრაფიული განლაგება განაპირობებდა ცალკეულ ობიექტთა შორის ინფორმაციის სწრაფ გაცვლას მოწინააღმდეგის გადაადგილებისა და საბრძოლო მოქმედებების შედეგების შესახებ. ხშირად ამ მიზნით, ლანდშაფტზე დომინირებულ პუნქტებში სპეციალური, სათანადო მოწყობილობებით აღჭურვილი, ერთმანეთისგან ოპტიმალური მანძილით დაშორებული სათვალთვალო ან შუალედური-საინფორმაციო კოშკებისა და სხვა სათავსების ქსელებიც ეწყობოდა. ინფორმაციის გადაცემა ხდებოდა სხვადასხვაგვარი ხილული სიგნალის საშუალებით: განსხვავებული ფერის ალმების მანიპულირებით, ცეცხლის ნათებისა თუ კვამლის გამოყენებით და ა.შ. (ცხადია, თუკი მანძილი და შესაბამისი მოწყობილობა საშუალებას იძლეოდა, ვიზუალურ კომუნიკაციას არანაკლები წარმატებით ანაცვლებდა ხმოვანი შეტყობინება).

ამდენად, ყვირილას ხეობის ამ მონაკვეთებში მდებარე სახიზარ-გამოქვაბულებსა და ციხე-ქვაბების ზოგიერთ ჯგუფს შორის აღნიშნული გეოგრაფიული ურთიერთმიმართების დადასტურება სრულიად კანონზომიერი მოვლენაა. უფრო მეტიც, თუკი გავითვალისწინებთ ყვირილას ხეობის გაყოლებით არსებული სტრატეგიული გზის მნიშვნელობას (მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში), იმ გზის, რომელიც ქვეყნის აღმოსავლეთ, დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებს ერთმანეთთან აკავშირებდა, შემდგომი კვლევისას უნდა ვეძიოთ ისეთი სათვალთვალო ქვაბები, რომლებიც

თვალსაზრისი



ზემოთ აღნიშნულ, ვიზუალურად ურთიერთკავშირში მყოფ ჯგუფებს ერთმანეთთან ინფორმაციის გაცვლის საშუალებას აძლევდა და რომელთა დახმარებითაც შეტყობინება დიდ მანძილებზე, ფაქტიურად, გზის მთელ გაყოლებაზე გავრცელდებოდა.

მდ. ყვირილას აუზის გამოქვაბულებში ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება დადასტურდა. გაირკვა, რომ ამ ხეობების გამოქვაბულთა მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდ თავდაცვითი დანიშნულებით არ ყოფილა გამოყენებული. აქ რამდენიმე, დღემდე სრულიად უცნობი კლდეში ნაკვეთი უდაბნო-მონასტერიც დადასტურდა, რითიც გაიფანტა ქართულ მეცნიერებაში დამკვიდრებული აზრი იმის თაობაზე, რომ თითქოს ადრეულ შუა საუკუნეებში მნიშვნელოვანი გამოქვაბული მონასტრები მხოლოდ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში იყო გავრცელებული. რამდენადმე მოულოდნელი

გარემოებაა ისიც, რომ გარეგნული მიმოხილვით საფ-ორტიფიკაციო იერის გამოქვაბულებისა და ქვაბნაშე-ნების მნიშვნელოვანი ნაწილი, გეგმარებისა და არაერთი დეტალის მიხედვით, სრულიად ცალსახად, ორგანულად აღმოჩნდა დაკავშირებული ჩვენში ქრისტიანული მეუ-დაბნოეობის ჩასახვა-განვითარების საწყის ეტაპებთან. მაგალითად, მღვიმევის XIII ს-ის მონასტრის აღმოსავლეთით, 500 მ-ის დაშორებით, კლდოვანი კანიონის კალთაში გამოკვეთ-ილია, სავარაუდოდ, VI-VII სს-ის ორნავიანი ეკლესია, რომლის ირგვლივ განლაგებულია ქვაბ-სენაკები და სამონასტრო დან-იშნულების სხვა გამოქვაბულები (ცხადია, შუა საუკუნე-ების საყოველთაოდ ცნობილი მონასტერი ამ უდაბნოს ბაზა-ზეა განვითარებული). ამ უძველესი ქვაბოვანი მონასტრის თვალსაწიერში, მდ, ყვირილას კანიონის მოპირდაპირე მხა-რეს, მიუვალ სიმაღლეზე გამოკვეთილია რამდენიმე ქვაბიანი ჯგუფი, რომელიც მიუდგომლობითა და მეტად ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობით, გარეგნულად საფორტიფიკაციო ციხე-ქვაბის შთაბეჭდილებას ახდენს. თუმცა, გამოქვაბულთა ამ ჯგუფში ალპინისტური ტექნიკით შეღწევისა და ინტერიერების გამოკვლევის შედეგად დავრწმუნდით, რომ ის განდეგილი ბე-რების სადგომი იყო. ამაზე მიგვანიშნებს თუნდაც კლდეში ნა-კვეთი საძვლე აკლდამები, რომელთა მსგავსი საქართველოსა თუ ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა რეგიონებში მხოლოდ სამონასტრო სტრუქტურებისთვის არის დამახასიათებელი. ის გარემოება, რომ ამ სადასაყუდებლო ჯგუფს საკუთარი ეკლესია არ გააჩნდა, ადვილი ასახსნელია: საქართველოს სხვა ქვაბოვან უდაბნო-მონასტრებშიც აღინიშნება განდეგილთა გაფანტული სადგომები, რომელთა ბინადარი ბერები წირვაზე საერთო, ცენ-ტრალურ ეკლესიაში დადიოდნენ. საფიქრებელია, რომ მღვ-იმევის თავდაპირველი ქვაბოვანი მონასტერი ლავრის მსგავ-სად იყო მოწყობილი. მის ცენტრალურ, ქვაბოვან ეკლესიაში

თვალსაზრისი



მხოლოდ კვირა დღეს მიდიოდნენ ამ ადგილიდან მეტ-ნაკლებად ბად დაშორებული "სოხასტერების" ბინადარი განდეგილი ბერები ზიარებისთვის, წირვაზე დასასწრებად და სატრაპეზოდ. კვირის დანარჩენ დღეებს ისინი "ჭიპიანი კლდისა" თუ სხვა მეზობელ კლდოვან მასივებში მდებარე ქვაბოვან სადასაყუდებულოებში ატარებდნენ.

მღვიმევის ორნავიანი ეკლესია და "ჭიპიანი კლდის" ქვაბნაშენი ურთიერთის მიმართ იმგვარად არის განლაგებული, რომ ერთმანეთთან ვიზუალურ კავშირს ამყარებს. ალბათ, შეძლებისდაგვარად, ასეთივე ადგილებს ირჩევდნენ მღვიმევის ლავრის ჩვენთვის ცნობილი ზოგიერთი სხვა სადასაყუდებლოს მოსაწყობადაც; მაგ.: მონასტრის დღევანდელი ცენტრის დასავლეთით, დაახლოებით 200 მ-ის დაშორებით მდებარე ქვაბოვანი სამონაზვნო ჯგუფიც (აგრეთვე აკლდამებიანი), კარგად ჩანს ძველი უდაბნოს ცენტრიდან, ეკლესიიდან. ამრიგად, პირდაპირი თუ დიაგონალური ვიზუალური კავშირი იმერეთის ამ მხარეში

არა მარტო თავდაცვითი გამოქვაბულებისთვის, არამედ, ლავრის ტიპის ქვაბოვანი მონასტრების შემადგენელი განცალკევებული ჯგუფებისთვის ყოფილა დამახასიათებელი. სავარაუდოდ, მონასტრებში ქვაბების ასეთი განლაგება ემსახურებოდა, როგორც ზოგადად ქვეყნის სტრატეგიულ-თავდაცვითი მნიშვნელობის კომუნიკაციის საკითხის მოგვარებას ისე, ინფორმაციის გავრცელებას მონასტრის ლიტურგიულ შინაგანაწესთან დაკავშირებულ საკითხებზე, მაგ.: რიგგარეშე წირვისა თუ სხვა შეკრებების შესახებ.

ამგვარად, ამ რეგიონში იკვეთება სოციალურ-პოლიტიკური და საფორტიფიკაციო არსის შემდეგი სქემა: შუა საუკუნეების სხვადასხვა სტადიაზე, მდ. ყვირილას და მის შენაკად ხეობებში გამოკვეთილი გამოქვაბულთა სისტემები (განურჩევლად იმისა წმინდა თავდაცვითი მნიშვნელობის იყო ისინი, თუ სამონასტრო სტრუქტურების შემადგენელი ქვაბოვანი საგანდეგილოები), თითქმის ყოველთვის იმგვარად

იქმნებოდა, რომ მათ შორის ვიზუალური კომუნიკაცია დამყარებულიყო. ყოველივე ეს კი იმის საშუალებას იძლეოდა, რომ ადამიანებს სასიცოცხლოდ აუცილებელი, სხვადასხვა სახის ინფორმაცია ერთმანეთისთვის გაეცვალათ და ეს საერო, თუ სასულიერო დანიშნულების ობიექტები აქტიურად ყოფილიყო ჩართული სიგნალიზაციის სისტემაში, რომელიც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების საქმეს ემსახურებოდა.

როგორც ჩანს, ზოგადად საქართველოში, ერთმანეთისგან რამდენადმე განსხვავებული გეგმარებითი პრინციპების მიუხედავად, ქვაბოვანი მონასტრები იქმნებოდა ლანდშაფტის რელიეფის გათვალისწინებით. მაგ.: დავით გარეჯისა და ჭიათურის რეგიონის სამონასტრო კომპლექსები. თუ პირველი მათგანი ადაპტირებულია ნახევრად უდაბურ ლანდშაფტთან, ჭიათურის რეგიონის ქვაბები იკვეთებოდა კლდოვან, დაკლაკნილ კანიონებში. ორივე კლდოვან მასივში ქვაბების გამოკვეთისას გათვალისწინებული იყო გამოქვაბულების ურთიერთმიმართება ერთმანეთთან კომუნიკაციის დამყარების მიზნით.

ვფიქრობთ, მსგავსი ვითარება უნდა იყოს საქართველოს ზოგიერთ სხვა რეგიონშიც, მაგ., ქვემო ქართლში (მდ. ხრამის ხეობა), კახეთში (მდ. თურდოს ხეობა) და ა. შ., რაც ცალკე კვლევის საგანია.

თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი

ლიტერატურა

1. *გ. გაფრინდაშვილი, ალ. ნემსიწვერიძე 1955: გ. გაფ-რინდაშვილი, ალ. ნემსიწვერიძე ჭიათურის მიუვალ გამოქვაბულებში. გაზეთი. თბ.: "კომუნისტი", #96. 1955.*
2. *ვახუშტი ბატონიშვილი 1973: აღწერა სამეფოსა სა-ქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტ. IV. თბ., 1973.*
3. *დ. მშვენიერაძე 1955: დ. მშვენიერაძე., გამოქვაბული ნაგებობანი საქართველოში, თბ. 1955.*
4. *გ. სამხარაძე 1965: "ჭიათურის მაღაროელი"; მისივე, ხელნაწერი დღიურები.*
5. ***Бакрадзе Д.** 1873: **Бакрадзе Д., Кавказ в древних памятниках Христианства. Акты àÀÃåãÀà´èÄåÁêîé комисии, т. V. Тифлис,** 1873*
6. ***Церетели Г.** 1898: **Археологическая прлогулка по квирильскому ущелью. Материалы по археологии Кавказа, в. VII, Москва,** 1898.*
7. ***Brosset M.-F.** 1851: **Rapports sur un voyage archaeologique dans la Georgie et dans l'Armenie, excute en** 1847-1848, **livr.** 1-3, **St. Petersbourg,** 1851.*

ფოტოები გადაღებულია ნიკა თუშაბრამიშვილის მიერ.

Were only created for migration Upper Imereti, roads, monuments of rock and communication issues in Upper Imereti canyons area? „Inaccessible“ and „Suprising“ artificial caves? Determined whether the destination defensive systems separate geographical layout of objects in the rapid exchange of information about the enemy's movement and the military operations? If it was or not involved Secular and religious objects in the alarm system, that served strengthening the country's defense According to Archaeologists of Upper Imereti, roads, monuments of rock and communication issues - Nika Tushabramishvili, Nodar Bakhtadze and Paleogeographer Lasha Sukhishvili:

Upper Imereti Region, Upper Imereti plateau (Chiatura Municipality) is karst system, which formulation must be completed in the upper Cretaceous period. Plateau is crossed by the rivers - Kvirila River and its tributaries there create quite deep (150 meters) canyons. Abundance is presented as natural caves as artificial caves created in historical epochs in precipice,canyons and cliffs. The historian and geographer, Vakhushti Bagrationi was interested in this region even XVIII century. He was writing during review of Upper Imereti in his work „describing of the kingdom of Georgia“, „from Sveri Water opening till Sachkhere Cave, there are high cliffs this side and other side of Kvirila, and inside it there are many caves, caved for migration and inaccessible from enemy. (Vakhushti Bagrationi1973:760).

M. Brose (Brosset M.-F 1851:88-93), G. Tsereteli (Церетели Г. 1898), D. Bakradze (Бакрадзе Д. 1853) and ather famous researchers visited Mghvimevi and the nearby Katskhi monasteries in the 19th century, but these complexes stone church buildings and natural caves carved into

the rock side of the valley and the nearby artificial caves kvabovani systems had not been studied by them. Their goal was the recording of monuments, in addition, the scientists influenced by Vakhushti Batonishvili assessment, viewed these cave complexes as only a shelters for migration and they did not hold the necessary climbing skills to access caves. In the second half of XX century, there was increased interest for our country history and cultural monuments in Georgian society and consequently, local residents and travelers and visitors, were also interested in caves in Kvirala. Antiquities officials and curious amateur climbers managed to penetrate caves in 50-60 years, the local rock climbers and enthusiasts students of local lore discovered some pretty interesting artefacts in this cliff monument and they are mostly given to school-museums; A well-known antiquities lover climber, Goderdze Samkharadze in regional newspaper "Chiatura Mane" published an articles about the monuments and suggested presume about their function and the creation era (G. Samkharadze, 1965)

In 1968, architecture G. Gaprindashvili and a climber A. Nemsitsveridze reviewed several stone complexes of Kvirala gorge; This search is completed by only article, however, that interest is the fact that this article was first suggested some cave monastic movement possible involvement (G. Gafrindashvili, Al. Nemsitsveridze 1955:96).

Ilia State University the reconstruction of paleo-ISU Institute of Earth Sciences Center laid the foundation for serious, systematic scientific study of art and archaeological terms for Kvirila Basin gorge cave monuments. The Center for the Study of the Rioni-Kvirila River basin- multidisciplinary expedition (Coordinator. M. Tushabrishvili) expanded the scope of its research, and in 2011, within the project human adaptation to the environment, at the same time of research of mane momuments began Sachkhere-Chiatura regions artificial and semi-artificial caves –finding and studying.

During the survey, above all, was to identify the relevancy of historical sources and scientific and popular publications and most of the established notion that the caves had only fortifications and shelters destinations in the Middle Ages in

Several caves gang planning analysis has revealed that the river. Kvirila basin half-manes, or artificial caves really had the defense establishment purpose and usage. Such caves, according to functions, can be divided into two groups:

A) harbours, whose purpose was as many local residents harbor during the enemy invasion and defence fighting(If necessary); B)Castle-pots, which are strategically caved at convenient places to deter enemy army, to stop their progress to Valleys and track the enemy.

Kvirila valley fortifications systems observed regularities: if harbour manes and caves satisfied the requirements for large capacity inaccessable, Castle-pots strategically more convenient, the environment prevailing places were arranged, for example: the important part of them are caved at the river. Kvirila canyon, so that the inlet openings of these spaces, bugging-windows controled both sides of the valleys

In addition, it became clear that the vast majority of caves and castle-pots used for combat and surveillance had visual communication through the other, more or less remote castle-pot. The caves have been identified in three groups, inside of which the castle-pots and fortification buildings have direct visual connection:

Caves and fortification buildings of both banks of river Kvirila, river Shuqruti Water confluence ;

2. Caves on both banks of river Kvirila

3. Pots On the right bank of river Kvirila, Sachkhere-Chiatura central road, around village Sareki and carved caves in the opposite slope of the valley

Such geographic layout of defensive destination systems (buildings or

caves) determined rapid exchange of information about movement of the enemy and the military results between the individual objects. The information was transfered on a variety of visible signal means: Different color flags manipulation, fire lighting or smoke using etc. (Of course, if the distance and appropriate device allowed for visual communication is no less successfully replacing by voice message). River. Kvirila Basin caves we conducted studies revealed another important factor has been confirmed. It was clear that the important part of cves in this region was not used only for defence purpose. There are confirmed some unknown caved desert-monasteries, **Thus dissipated Georgian science-established vision of the early Middle Ages, as if the only important cave monasteries were common in eastern and southern Georgia**. Unexpected circumstance is the fact that the external review of the caves and fortifications important part, according to planning and a lot of details, was organically related to the conception and development from the very beginning we in the Christian hermit. For example, in the east of XIII century MGvimevi monastery, far away by 500 m,carved in canyon slope, presumably, VI-VII century Church, there are cell-pots and monastry destination buildings around it. This ancient pot-monastery foreseeable, in the opposite site of river Kvirila canyon, at inaccessable high are caved som pot groups, whicha are very favorable for their inaccassible location, looks like fortification castle-pot. However,to access this group of caves by climbing equipment and study the interiors, we have confirmed that he was a hermit monks living place. even the rock-cut tombs, which are typical for only the the monastic structures in Christian East regions of Georgia suggests about it. The Fact that this group did not have their own church, is easy to explain: there are noted living places of hermit monks On the other desert-monasteries of Georgia, which resident monks used to go for worship to central church. It seems that the initial Mghvimevi monastery

was arranged like Lavra Monastery kvabovani. Its central, pot-church was visiteb by monks from this place only on Sunday for eucharist, attending for worship and misericords. The rest of the days of the week they were "chipiani rock" or other neighboring rocky massifs located pot-places

Mgvimevi church and "chipiani rocky"potbuilt are located in such a way overlooking the mutual, the visual links between each other. Presumedly, they prefered places like this for arrangement the new anchorages in Mgvimevi Lavra, for example, the west side of the today;s centre, about 200 m far away located pot-cloister group (even tombs), is well seen fro the old desert centre, church. Thus, direct or diagonal visual connection is characteristic not only for self-defense caves, but also the type of Lavra pot-monastery separate groups in this region of Imereti kvabovani. **Presumably, such a layout pots in monasteries served as the country's strategic-military importance of communication and resolve the issue, the dissemination of information on issues related to the monastery's liturgical regulations**, for example, about a special sacrament and other meetings.

Thus, in this region are emerging socio-political and fortifications in the following scheme: In the Middle Ages various stages, caves systems in river Kvirila gorge (Regardless of whether they were defensive, if the structures of the monastery pot-anchorets places for living) ***Almost always being set up in such a way that visual communication was established between them. All this made iit possible for the vital information about the different types of mutual exchange and in addition, secular, and religious destination objects would have facilities actively involved in the signaling system, served strengthening the defense of the country*** As can be seen in Georgia, somewhat different from each other in spite of the principles of planning, pot-monasteries were created landscape

relief, for example, David Gareji and Chiatura region monastery complexes. If first one of them is adapted to the semi-desert landscape, Chiatura region pots were being carved in a rocky, winding canyons. Both rocky massifs, pots were considered in caving to have the caves relationship with each other for the purpose of communication.

.We thinkthat a similar situation to be in some other regions, eg., in Lower Kartli (the river. Khrami valley) Kakheti(the river. Turdo Valley) and so on. Sh., Which is the subject of a separate study.

Literature:

1. *G. Gafrindashvili Al. Nemsitsveradze1955: G. Gaprindashvili, Al. Nemsitsveradze In inaccessable caves of Chiatura Newspaper. Tb .: "communist"#96. 1955.*
2. *Vakhushti Batonishvili 1973: „describing of the kingdom of Georgia"*
3. *D. Mshvenieridze 1955: Structures cave in Georgia, Tbilisi. 1955.*
4. *G.Samkharadze1965:"Chiaturaminers";hisahandwrittenjournals.*
5. *Бакрадзе Д. 1873: Бакрадзе Д., Кавказ в древних памятниках Христианства. Акты археграфической комисии, т. V. Тифлис, 1873*
6. *ЦеретелиГ.1898:Археологическаяпрлогулкапоквирильскому ущелью. Материалы по археологии Кавказа, в. VII, Москва, 1898.*
7. *Brosset M.-F. 1851: Rapports sur un voyage archaeologique dans la Georgie et dans l'Armenie, excute en 1847-1848, livr. 1-3, St. Petersbourg, 1851.*

წარწერებით გაცოცხლებული წარსული

1953 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ექპედიციამ (შ. ხანთაძე, გ. ჯამბურია, ნ. შოშიაშვილი) თმოგვის ციხეზე აღმოაჩინა ქვა წარწერით: ***„შეწევნითა და ძლიერებითა ვარძიის ღვთისშობლისაითა ქრონიკონს*** 38 ***(ე.ი.*** 1350 ***წელი) დავიწყე ზღუდე ესე მე, მეფეთა მეფის დავითის ვარძიელმა საწოლის მწიგნობარმა თმოგვს მურვან კითხას ძემან თეოდორე დადგა“.*** წარწერაში ყურადღებას იპყრობს ის, რომ მურვან კითხას ძე მოხსენიებულია დავით მეფის (1346-1360 წწ.) ვარძიელ საწოლის მწიგნობრად, რომელმაც მიწისძვრის შედეგად დანგრეულ თმოგვის ციხეს ზღუდე აუშენა.

„ხელმწიფის კარის გარიგებისნ მიხედვით, სადაც უფრო მეტი ცნობაა დაცული მწიგნობართა შესახებ, საქართველოს მეფის კარზე სულ 26 მწიგნობარი ყოფილა. მათ შორის ერთს „საწოლის მწიგნობარი“ ერქვა, ხოლო მეორეს “ზარდახშის მწიგნობარი”, დანარჩენი 24 მწიგნობრის სახელი “კარის გარიგებაში” მოხსენიებული არ არის. ივ. ჯავახიშვილის ცნობით, მწიგნობართა შორის ყველაზე უფროსი “საწოლის მწიგნობარი” უნდა ყოფილიყო, მის გარდა არავის ჰქონდა ვაზირთა საბჭოზე დასწრების უფლება, ის მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელის თანაშემწე იყო, ხელმძღ-

ვანელობდა ეკლესია-მონასტრების საქმიანობას და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრე ბაში თვალ საჩინო როლს ას რულებ და.

ცნობისათვის:

თმოგვის ციხეზე აღმოჩენილი წარწერიდან ირკვევა, რომ სახელმწიფო მოხელეთა შორის საქართველოში XIV საუკუნეში "საწოლის მწიგნობარი" იყო ვარძიის ბერი მურვან კითხას ძე, მეფესთან დაახლოებული, მეფის სანდო პირი. ზოგადად, სამცხე-საათაბაგოს ფეოდალებს, ჯერ კიდევ ათაბაგიდან, ამ მხარის საქართველოდან გამოყოფის (1266 წ.) შემდეგაც, საქართველოს მეფის კარზე ხშირად ეპყრათ ესა თუ ის სახელმწიფო თანამდებობა (მეჭურჭლეთუხუცესობა, მანდატურთუხუცესობა, სახლთუხუცესობა, მოლარეთუხუცესობა და სხვ.),

თმოგველებს ფეოდალური შუღლი ჰქონდათ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მეორე დიდ საგვარეულოსთან _ სამცხის მთავრებთან, ჯაყელებთან. ამ ბრძოლაში თმოგველ-მხარგრძელები დამარცხდნენ და XIV საუკუნეში დატოვეს თმოგვი, გადასახლდნენ კახეთსა და შიდა ქართლში. კახეთში ისინი დაეუფლნენ უჯარმას, ხოლო შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილში _ ნიქოზს და ეწოდათ მათ თავდაპირველად თმოგველ-უჯარმელები, ხოლო შემდეგ _ თმოგველ-უჯარმელ-ფავლენიშვილები. აქ მათ საგვარეულო საყდრად ნიქოზის ეკლესია აირჩიეს.

1191 წელს თმოგვის ციხე საგვარეულო მფლობელობაში გადაეცა მხარგრძელთა ერთ შტოს, რომლებიც ამის შემდეგ თმოგველე-

ბად იწოდებოდნენ. 1204-1234 წლებში თმოგველებმა საპატრონოდ მიიღეს ვანის ქვაბების მონასტერი. ერისთავთ-ერისთავმა, მხარგრძელ-თმოგველმა სარგისის ძემ, ვაჰანის მონასტერს ტიბიკონი "ვაჰანის ქვაბთა განგება" გაუწერა, რომელიც მონასტრის რიგსა და განმგებლობის წესს შეიცავს.

XIV საუკუნის პირველ ნახევარში თმოგველთა თმოგვიდან წასვლის შემდეგ ვანის ქვაბების მფლობელად ფეოდალური საგვარეულოს ღარიბას ძეები გამოჩნდნენ, რაც ზემოხსენებული "ვაჰანის ქვაბთა განგების" შემდეგდროინდელი მინაწერებიდან ჩანს. 1393 წლის ერთ მინაწერში მურვან ღარიბაის ძე აღნიშნავს ვანის ქვაბის მონასტერზე: "განვაგე საუკუნოი სახსენებელი და მოვახ-

სენე ეკუტერსა, სამკვიდრებელსა ხორცთა ჩემთასა, ვანის ქვაბთა, სანაწილესა და საფლავთა ჩემთა მიცვალებულისაი და საფლავსა ზედა მწირველსა." მეორე უთარიღო მინაწერში, რომელიც იმავე

დროისაა, ღარიბაიძეები აღნიშნავენ: “წმინდისა მონასტერსა ქუაბთა მოვახსენე ეს ეკვდერსა ჩუენსა, სამკვიდრებელსა და საფლავთა ჩუენთა.” ამ მინაწერთა მიხედვით, ვანის ქვაბთა მონასტერი ღარიბას ძეთა საგვარეულო მონასტერი და ეკვდერია.

ვანის ქვაბის აღაპებში მოხსენიებულია: მურვან ღარიბას ძე (1393 წ.), ღარიბა _ არსლანი მურვანის ძე და მურვან ღარიბას ძე. ეს საგვარეულო ვანის მონასტერს ფლობდა, რაც საფუძველია ვარაუდისა, რომ თმოგვიც ამ დროისთვის მათ ეკუთვნოდათ. თმოგვის ციხის წარწერაში მოხსენიებული მურვან კითხას ძეს სახელი თანხვედრაშია ამავე პერიოდში ვაჰანის მონასტრის მფლობელთა საგვარეულო სახელთან.

დასკვნა

თმოგვის ციხის წარწერისა და ვაჰანის მონასტრის ტიბიკონის მინაწერთა მიხედვით, თმოგვისა და ვანის ქვაბის პატრონებად მოიაზრებიან: მურვან კითხას ძე (*1350 *წ.), ღარიბა მურვანის ძე, მურვან ღარიბას ძე (*1393 *წ.), ღარიბა არსლანი მურვანის ძე (*1393 *წ.) მურვან ღარიბას ძე.

ლევან ზაზაძე

For Information:

Past resurrected with inscriptions

In 1953 Expedition of History Instutution named after I. Javakhishvili of Science Academy of Georgia (Sh. Khantadze, G. Jamburia, N. Shoshiashvili) discovered stone with following inscription in Tmogvi castle: “with encouragement and strenght of St. May in 38 (which means 1350) I, bibliophile of King of Kings Daviti, son of Murvan Kitxa,built a fence to castle in Tmogvi.”

In inscription, it has to be noted, that son of Murvan Kitxa is mentioned as bibliophile of King Davit (1346 - 1360), who built a fence to a castle in Tmogvi, which had been collapsed because of an earthquake.

Accroding to “Khelmtsiphis Karis Garigeba”, where there is more information about bibliophiles, there were just 26 bibliophiles who worked for Kings. One of them was called bibliophile of bed, another one was called as jewelcase bibliophile, there is no information about names of other bibliophiles. Accroding to Iv. Javakhishvili, the highest of Bibliophiles was bibliophile of bed, no one had right to attent board of viziers, he was assistant of head of bibliophile Tschkondideli, and was administration activity of Churches and Monastery and held very special place in governing political life of the country.

For information:

From the incriptio discovered on Tmogvi castle, it becomes obvious that inbetween public officials there was bibliophile of bed in Georiga in XIV, who was monk of Vardzia son of Murvak Kitxa, who was close to King and trusted by him. Generally, Feudals of Samtskhe –Saatabago, from Atabagi, after splitting this region from Georgia in 1266, usually held public positions (Metchurchletukhucesi (head of economy), Mandaturtukhutsesi (minister at court in old Georgia), Saxltukhutsesi, Molaretukhutsesi and etc.)

There was feudal disagreement between feudals of Tmogvi and another big ancestral of south western Georgia _ sovereigns of Samtskhe, Jakeli. In this battleTmogveliancestral and Mkhargrdzeliancestral lost and left Tmogvi in

XIV, they moved to Kakheti and ShidaKartli. In Kakheti they conquered Ujarma, and in western part of ShidaKartli _ Nikozi and the were called Tmogveliancestral and Ujarmeliancestral at first, but next their names changed into Tmogvel-Ujarmel_Pavlenishviliancestral. Here they chose as a main church church of Nikozi.

In 1191 Castle of Tmogvi was given to one branch of Mkhargrdzeliancestral, who were called as Tmogveliancestral hereafter. In 1204 – 1234 Tmogveliancestral received VanisKvabebi Monastery. Eristavi of Eristavs, son of Sargisi of Mkhargrdzeliancestral and Tmogveliancestral, wroteTibikoni for Vani Monastery " Providence of VahaniKvabi", which included rules and government of Monastery.

In the first half of the XIV after leaving Tmogvi by Tmogveliancestral the owner of the Vani Kvabebi became sons of feudal ancestral of Ghariba, which became obvious from the c of the" Providence of VahaniKvabi". In one of the inscriptions of 1292, Son of MurvanGhariba says on the Vani Kvabi Monastery: "I ruled VanisKvabeb, which was my place, and place of my deceased and prayers" In another inscription without exact date Gahribadze ancestral say:" Monastery is our oratory, heirdom and cemetery". Accordingtotheseinscriptions, Monastery of VanisKvabebi is ancestralownership of sons of Ghariba and oratory.

In uneral repast (feast) banquets of Vanis Kvabi Murvan son of Ghariba (1393), Ghariba _ Arslani son of Murvani and Murvan son of Ghariba are mentioned. This ancestral owned monastery of Vani Kvabebi, which gives us reason to think that, Tmogvi was in ownership too. The name of son of Murvan Kitxa is the same as the ancestral name of the Vahani Monastery.

Conclusion:

According to Tmogvi castle inscriptions and Vahani Monastery Tibicon notes, owners of the Tmogiv an Vanis Kvaebebi are : Son of Murvan Kitxa (1350***), Ghariba son of Murvan, Murvan son of Ghariba (***1393***), Ghariba Arslan son of Murvan (***1393***) Murvan son of Ghariba.***

Levan Zazadze

დავით თუშაბრამიშვილი

დავით თუშაბრამიშვილმა საქართველოს ქვის ხანის კვლევას 100-მდე ნაშრომი (მათ შორის გერმანულ, ფრანგულსა და ინგლისურ ენებზე) და მონოგრაფია "გვარჯილას კლდის პალეოლითური ნაშთები" მიუძღვნა. ის იყო ერთ-ერთი იმ მეცნიერთა შორის, რომლებმაც წარმატებით გააგრძელეს ქართული არქეოლოგიის ფუძემდებლის, აკად. გიორგი ნიორაძის მიერ დაწყებული საქმე და არქეოლოგიური მეცნიერების განვითარებაში ახალი ეტაპი შექმნეს.

დავით თუშაბრამიშვილი გახლდათ აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების გამგე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქვის ხანის სექტორის ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული დედამიწის მეოთხეული ხანის შემსწავლელი კომისიის, სპელეოლოგიური საზოგადოების პრეზიდიუმისა და სამეცნიერო საბჭოს წევრი.



1957 წელს მან ჩამოაყალიბა რიონ-ყვირილის აუზის სტაციონარული ექსპედიცია და დაიწყო კვლევითი სამუშაოები ჭიათურა-საჩხერის მუნიციპალიტეტებში. გამოავლინა და შეისწავლა რიონ-ყვირილის აუზის ქვის ხანის ძეგლები.

ექსპედიციამ (დ. თუშაბრამიშვილი ხელმძღვანელობდა 1979 *წლიდან) ჭიათურა-საჩხერის რეგიონში აღმოაჩინა* 70*-ზე მეტი პალეოლითურ და ნეოლითურ ხანათა ძეგლი (მათ შორის,* 15*-მდე სტრატიფიცირებული). მათგან თავიანთი მნიშვნელობით გამორჩეულია: ჯრუჭულის მღვიმე, ორთვალა კლდე, კოტიას კლდე, ძუძუანას მღვიმე, სამელე კლდე, სარეკის ეხი, დარკვეთის ეხი, სამგლე კლდე, შვალიეთის მღვიმე, სამერცხლე კლდე, ტოღონ-კლდე, კაცხის, ჭილოვანის, სარბების, კაქნარის, ჯოყოეთისა და სხვა ღია სადგომები. ეს ძეგლები განეკუთვნება პალეოლითის სხვადასხვა ეპოქას. ჯრუჭულა, ორთვალა კლდე,*



ძუძუანას მღვიმე, კოტიას კლდე, აგრეთვე, შვალიეთის მღვიმე და ცუცხვათის (ტყიბულის მუნიციპალიტეტი. მღვიმური კომპლექსი (როგორც არქეოლოგიური მასალის ისე, სტრატიგრაფიის გამო) და სხვ. საერთაშორისო მნიშვნელობის არქეოლოგიური ძეგლებია.

*დ. თუშაბრამიშვილმა საქართველოს ტერიტორიაზე, სხვადასხვა ძეგლზე პირველმა აღმოაჩინა ნეანდერტალელის ნაშთები, კბილების სახით (ჯრუჭულის მღვიმე, ორთვალა კლდე, ბრინჯაოს მღვიმე). ექსპედიციების მუშაობისას მოპოვებული არტეფაქტებით შეავსო და გაამდიდრა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ხანის ფონდი, რომელიც მანვე ჩამოაყალიბა 70-იან წლებში. არქეოლოგიურ მასალათა უმრავლესობა კლასიფიცირებული და აღწერილია დავით თუშაბრამიშვილის მიერ. მეცნიერი თავისი კვლევის შედეგებს სისტემატიურად აქვეყნებდა სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში (სხვადასხვა ენაზე), ჯერ კიდევ **XX** საუკუნის 70-იანი წლების უცხოურ მაღალრეიტინგულ პუბლიკაციებში ხშირია ამ ძეგლების ციტირება. დავით თუშაბრამიშვილის მიერ აღმოჩენილი და შესწავლილი ძეგლებისა და არტეფაქტების გამოყენებით დღესაც ხორციელდება საერთაშორისო პროექტები. ამგვარი მნიშვნელობისა და რაოდენობის ქვის მასალის, აგრეთვე, ინფორმაციის დაგროვებამ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ხანის ფონდი პალეოლითის შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და მდიდარ ცენტრად აქცია.*

ამჟამად, "ონლაინ არქეოლოგია" გთავაზობთ ამონარიდებს დავით თუშაბრამიშვილის მიერ წარმოებული საველე დღიურიდან, სადაც ასახულია ყვირილის ხეობის პალეოლითური ექსპედიციის მიერ 19591984- წლებში გაწეული სამუშაოები. დღიურებში აღწერილია ის სიძნელეები, რომლებიც ხშირად მძიმე შრომითი და ბუნებრივი პირობების გამო, თანამდევი იყო საქართველოს ქვის ხანის კვლევითი პროცესის. მასალა განსაკუთრებულად საყურადღებოა ქვის ხანის სპეციალისტებისთვის,

ვინაიდან, ამ ძეგლების კვლევისა და იქ მოპოვებული არტეფაქტების შესწავლის საკითხი დღესაც აქტუალურია. მათ საშუალება ეძლევათ გაეცნონ მეცნიერის უშუალო ნააზრევს, მის მიერ ჩახატული თითოეული ნივთის გასწვრივ გასაოცარი სიზუსტით შესრულებულ აღწერილობას, არტეფაქტთა წარმომავლობის ზუსტი კვადრატის, სიღრმისა და ა.შ. მითითებით.

ყვირილის ხეობის პალეოლითური ექსპედიცია

1959 წელი ივნისი-ივლისი



12.06.59

11-ში ღამის 10 სთ-ზე ჩამოვედით ჭიათურის სოფ. ზოდში. ღამე ბინა ვერ ვიშოვეთ და დავბინავდით სოფლის ბიბლიოთეკისა და კლუბის შენობაში. შევხვდი კულტგანყოფილების გამგეს და გავაცანი ჩვენი მუშაობის გეგმები. ვიყავით სოფ. კაცხში, ადგილ საქორიაზე. ვიპოვეთ რამდენიმე ასეული ანატკეცი და ნუკლეუსი.

13.06.59

დილით წავედით ჯრუჭულის გამოქვაბულის სანახავად. ჩვენი ბინიდან საკმაოდ შორს არის, დაახლოებით 9 კმ-ის სიშორეზე. გამოქვაბულის მიწის ზედაპირზე, გადანაყარ მიწაში ვიპოვეთ რამდენიმე ანატკეცი და ცხოველების დამტვრეული ძვლები. გაზეთ "ჭიათურის მაღაროელი-1"-ის რედაქციის თანამშრომლებს ჩემ მიერ შარშან გავლებული თხრილი გაუფართოებიათ, რის შედეგადაც დაზიანებულა კულტურული ფენები.

დავზვერეთ მდ.ჯრუჭულის მარცხენა ნაპირი. სოფ. სარეკის ტერიტორიაზე ჩვენი გამოქვაბულის მოპირდაპირე მხარეს, მთის ფერდობზე ვიპოვეთ კაჟის რამდენიმე ანატკეცი და ორმხრივად დამუშავებული იარაღების ნატეხები. შესაძლოა, ეს მასალა მთის წვერიდან არის ჩამორეცხილი. აქვეა მეტად საინტერესო პატარა გამოქვაბული, საჭიროა მისი სადაზვერვო გათხრა. კაჟის მასალა, სავარაუდოდ, ნეოლითურ და ენეოლითურ ხანას ეკუთვნის. ანატკეცის ერთი ნატეხი ღრმად პატინირებულია, დარტყმის მოედანი შესწორებული აქვს, არის მუსტიეური იერის. დავათვალიერეთ სოფ. სარეკის ტერიტორიაზე, საკმაოდ მაღალი, თავგადაკვეთილი ბორცვი, რომელიც კარგად ჩანს გამოქვაბულიდან. ბორცვი თითქოს ხელოვნურადაა გამოკვეთილი, არქეოლოგიური თვალსაზრისით, მეტად მიმზიდველია. ბორცვის თავსა და ფერდობზე ვერაფერი აღმოვაჩინეთ. სამაგიეროდ, ბორცვებს ქვემოთ, ოდნავ მოშორებით, ვიპოვეთ კაჟის რამდენიმე ლამელა და ანატკეცი. უკან დაბრუნებისას დავათვალიერეთ ჩვენი გამოქვაბულის ზემოთ მდებარე ორი გამოქვაბული, ერთ მათგანს ადგილობრივი მცხოვრებლები რაჭველების გამოქვაბულს უწოდებენ, მეორის სახელწოდება ჯერჯერობით ვერ დავადგინე.

14.06.59

დილის 8 საათზე დავიწყეთ მუშაობა გამოქვაბულში. მოვწმინდეთ მიწის ზედაპირი და გადავყარეთ სადაზვერვო თხრილიდან ამოღებული მიწა. გადანაყარ მიწაში ვიპოვეთ ქვის რამდენიმე ანატკეცი და იარაღი, მათგან 3 ცალი წვეტანაა, 1 _ წვეტანისებური უხეში იარაღი, 1 _ ამოღარული, ჩაზნექილი საფხეკი და 1 _ ორმხრივი დანა თუ საფხეკი.

18.06.59

გამოქვაბულის წინა ფართობზე, დიდი ლოდის ქვეშ, წყლის ხაზიდან -5,25-5,30 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა დათვის კბილი და სხვა ძვლები. აქვე გამოვლინდა მონაცრისფრო კაჟის უხეში ანატკეცი, რომელსაც ზურგის მხრიდან შერჩენილი აქვს კაჭრის კანი.

დღეს დავიწყეთ f-1, g-1, h-1 da i-1 კვადრატების მიწის აღება. კვადრატ g-1, -3,20 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა მონაცრისფრო გამჭვირვალე კაჟის სამფერდა თხელი ლამელის ნატეხი. f-1 კვადრატში -3,70 სმ სიღრმეზე გამოვლინდა სამკუთხა მოყვანილობის ანატკეცი. h-1 კვადრატში -3,70 სიღრმეზე კი, კაჟის მოგრძო ლამელა, არგილიტის გვერდამოღარული საფხეკი, ორფერდა მონაცრისფრო ლამელაზე ნაკეთები ორმხრივი სწორი საფხეკი და ცხოველების წვრილი (დამტვრეული) ძვლები.

გამოქვაბულის წინა ფართობის დასაწყისში, სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლის ჰუმუსოვან ფენაში აღმოჩნდა მოწითალო კაჟის ორმხრივად დამუშავებული წვეტანა.

24.06.59

დილით მოვანგრიეთ მე-2 და მე-3 კვადრატებში მდებარე დიდი ლოდები, მანამდე გადავიღე ფოტოსურათი, მაგრამ გამოვა თუ არა არ ვიცი, აპარატი გამიფუჭდა. ლოდების ქვეშ აღმოჩნდა ცხოველების დამტვრეული ძვლები და ქვის რამდენიმე ანატკეცი. გავაკეთეთ 4-4 კვადრატის ჭრილი, აღნიშნულ კვადრატებში 10 ფენა დაფიქსირდა.

I. შავად შეფერილი, ჰუმუსნარევი თიხნარი, 35***- სმ სისქის;***

***II.** თიხოვანი ფენა, საშუალო 30-40 სმ სიმძლავრის, რომელიც გაშრობის შემდეგ ვერტიკალური შრეებით კუბიკებად იშლება. მსგავსი ფენა გვხვდება გამოქვაბულის ცენტრში, სადაზვერვო თხრილში (I ფენა);*

***III.** ხრეშის მარგანეცნარევი ფენა, 3040- სმ სიმძლავრის; რომელშიც აქა-იქ აღინიშნება კირქვის ნატეხები;*

***IV.** თიხის სილანარევი ფენა, აქ საშუალოდ 10 სმ სისქის;*

***V.** ხრეშის, სილისა და მარგანეცის შემცველი ფენა;*

***VI.** მოყავისფრო თიხნარი, რომელშიც აქა-იქ შერეულია მარგანეცის წვრილი ნამცეცები;*

***VII.** სილანარევი, ღორღოვანი ფენა, მრავლად შეიცავს მარგანეცის კენჭებს;*

***VIII.** მოყავისფრო, წებოვანი თიხნარი, მრავლად შეიცავს კირქვის ბრტყელ ნატეხებს, ღორღის ფენა მეტად მკვრივია და თითქმის ბრექჩიადქცეული კულტურული ნაშთი;*

***IX.** მარგანეცისა და სილანარევი ღორღის ფენა, მრავლად შეიცავს კირქვის ლოდებს;*

***X.** მუქი მოყავისფრო წებოვანი თიხა, დიდი ლოდებისა და ღორღის შემცველი. მარგანეცი თითქმის არ ურევია. კლდოვანი საფუძველი.*

კლდოვან ფარდულში აღმოჩნდა კულტურული ფენა, რომელიც შეიცავს მეზოლითური ხანის ბარმაქსიზისა და წონის გამოქვაბულების მსგავს მასალას. კაჟის მასალა წარმოდგენილია სამკუთხედისა და სეგმენტის ტიპის იარაღებით, ზურგდაბლაგვებული ლამელებით, ერთ მათგანზე გაფორმებულია მინიატურული საფხეკი მიკროლამელებითა და ანატკეცებით. აქვე აღმოჩნდა გატეხილი, მშვენიერი საფხეკი, ცხოველების წვრილად დამტვრეული ძვლები

და ნახშირი. ფარდული მშრალია, მიმართულია სამხრეთისკენ. მდ. ჯრუჭულის დონიდან 20 მ სიმაღლეზეა. კულტურული ფენა მეტად თხელია, დაახლ. 5-7 სმ. ის წარმოდგენილია შავად შეფერილი, წვრილღორღნარევი თიხოვანი მიწით, რომლის ზემოდან მტვრად ქცეული, ჰუმუსია, შესაძლოა, აქ მეზოლითური ხანის დროებითი სადგომია. გასათხრელი ფართობი მეტად მცირეა, ვინაიდან, დიდი ლოდები მიწის ზედაპირზე ამოდის. ხვალ საძიებო თხრილს გავაღრმავებთ და გავაფართოებთ.

1960 წელი

სექტემბერი-ოქტომბერი




16 სექტემბერს, დილის 11 საათზე გამოვედი თბილისიდან გაიოზ ჯავახიშვილთან, გურამ აბრამიშვილთან და ურბნისელებთან ერთად. საბჭოში მივედით მივლინების დასამოწმებლად და მუშების საშოვნელად. ვერავინ ვნახეთ, დღეს კვირაა და სადღაც წასულან. მუშების შოვნა გვიჭირს, არ ვიცი როგორ ვიშოვო...

გამოქვაბულის დასათვალიერებლად წავედი. მე-7, მე-8 და მე-9 კვადრატების მნიშვნელოვანი ნაწილი ვიღაცებს უთხრიათ და დაუზიანებიათ. საკმაოდ დიდი ფართობია დაზიანებული. I (ზედა) კულტურული ფენა თითქმის მთლიანად განადგურებულია. გრძივი ჭრილიდან ზედა ფენები (შესასვლელთან) ჩამონგრეულა და ახლა აქ მიწის დიდი ზვინია. ხვალ დავიწყებთ მიწის გამოტანას.

20.09.60

დილის 9 საათზე დავიწყეთ მუშაობა, დავამთავრეთ ზედმეტი ბალასტის გატანა. დავიწყეთ I კულტურული ფენის გაწმენდა. f კვადრატში ნულოვანი ხაზიდან 1,60 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ორივე გვერდდამუშავებული წვეტანა, ისინი ნაკეთია მონაცრისფრო თეთრხალებიანი კაჟის სამფერდა ლამელაზე.

i-8 კვადრატში, I ფენაში, 1,70 მ სიღრმეზე აღმოჩნდა მოთაფლისფრო კაჟის ორფერდა სქელ ლამელაზე ნაკეთები დანა, საფხეკი სასაჭრისე ჩამონატეხით.

i-8 კვადრატში, I ფენაში, 1,66 მ სიღრმეზე გამოვლინდა ხორცისფერი კაჟის, ირგვლივ რეტუშირებული წვეტანა-საფხეკი, ნაკეთებია ორფერდა, სქელ ლამელაზე. ლამელის ქედი მაღალია. ორივე ფერდი ნაწილობრივ დაფარულია რეტუშით.

i-8 კვადრატში, I ფენაში, 2,12 მ სიღრმეზე აღმოჩნდა არგილიტის მასიური ლამელისებური სამფერდა ანატკეცი, რომლის დარტყმის მოედანი შესწორებულია.

22.09.60

განვაგრძობთ მუშაობას 8-8 კვადრატების გაწმენდაზე, აგრეთვე, შესასვლელის მარცხენა მხარეს დარჩენილი წინა ფართობის გათხრას, რაც გუშინ დავიწყეთ. აღნიშნულ წინა ფართობს პირობითად #2 დავარქვი. 32 წინა ფართობის მთელი ზედაპირი დავყავით კვადრატებად, სულ გამოვიდა 38 კვადრატი (1X1). კვადრატები აღვნიშნეთ ციფრებით, მარცხნიდან მარჯვნივ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 და ა.შ. წინა ფართობზე საკმაოდ მრავლად გამოვლინდა კაჟის ნაწარმი, მათ შორის, წვეტანები, დისკოიდალური ნუკლეუსები, პრიზმული ნუკლეუსები, ზედაპალეოლითური საფხეკი, წვეტანები, ანატკეცები, ნამტვრევები და ცხოველების რამდენიმე დამტვრეული

ძვალი. აქვე აღმოჩნდა კერამიკის ნატეხები. მასალა გამოვლინდა ჰუმუსოვან ფენაში - არა in situ.

ორი მუშა გავგზავნე ჯრუჭულის ქვემო წელში, სამგლე კლდე, რომელიც მდებარეობს მდინარის მარჯვენა ნაპირზე, წყლის დონიდან საკმაოდ მაღალია. გამოქვაბული ძნელად მისასვლელია. გამოქვაბულის შესასვლელის მარცხენა ნაწილში, გავავლეთ საძიებო თხრილი (1.20, 0.60 მ). მიწის ზედაპირიდან 0.20 მ სიღრმეზე აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, გაურკვეველი ხანის, ხოლო უფრო ღრმად (0.30 მ) გამოვლინდა კაჟის ლამელა და რიყის მომრგვალო განივკვეთიანი ქვა (გატეხილია).

23.09.60

დღეს დილით #2 წინა ფართობზე ავაფეთქეთ უზარმაზარი ლოდები, რომელთა ფოტოსურათი გუშინ გადავიღეთ. ავაფეთქეთ, აგრეთვე, i-7-8 და j-7-8 კვადრატებში მდებარე ლოდები. სხვაგვარად მათი აღება შეუძლებელი იყო.

3.10.60

m-7 კვადრატში, II ფენაში, -3,35 მ სიღრმეზე გამოვლინდა მონაცრისფრო კაჟის ორი დანა, კაჟისა და არგილიტის სამი ანატკეცი.

წინა ფართობზე #2, II ფენაში, -3,5 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა არგილიტის ანატკეცი საჭრისის ჩამონატეხით, აგრეთვე, მონაცრისფრო კაჟის ანატკეცი.

29 კვადრატში, II ფენაში, -3,15 მ სიღრმეზე ვიპოვეთ მოყავისფრო კაჟის ასიმეტრიული წვეტანა დანა.

II ფენაში, 30 კვადრატში აღმოჩნდა მონაცრისფრო კირქვური კაჟის ანატკეცი (მუშას გაუტყდა).

ჰუმუსოვან ფენაში გამოვლინდა კაჟის დისკოიდალური ნუკლეუსი, ორივე გვერდდამუშავებული ანატკეცი, ძვლები და რამდენიმე უხეში ანატკეცი.

4.10. 60

განვაგრძობთ მუშაობას, როგორც შიდა ისე, გარე ფართობზე.

m-7 კვადრატში, II ფენაში, -3,37 მ სიღრმეზე აღმოჩნდა მოყავისფრო კაჟის წვეტანა, რომელიც ოდნავ პატინირებულია, მონაცრისფრო, გამჭვირვალე კაჟის საფხეკი და კაჟის 4 ცალი ანატკეცი.

8.10.60

გუშინ საღამოს ჩამოვიდნენ სტუმრად ალ. კალანდაძე, გ. გრიგოლია და შ. კალანდარიშვილი. დღეს დილით ერთად წავედით გამოქვაბულში. ფენათა განლაგების ნათელი სურათი და გათხრის მეთოდი ყველას ძალიან მოეწონა. ვიყავით სამელე კლდეში. დღის ბოლოს სტუმრებს მოპოვებული მასალა გავაცანი.

დღეს ვმუშაობდით გამოქვაბულის შიდა ფართობზე, სადაც აღმოჩნდა კაჟისა და არგილიტის რამდენიმე ანატკეც-ანამტვრევი და ცხოველების დამტვრეული ძვლები, რომელთა ჩახატვა, სამწუხაროდ, ვერ მოვასწარი. აღსანიშნავია, რომ რაც მეტად ჩავდივართ სიღრმეში ქვის ნაკეთობანი კლებულობს, სამაგიეროდ, უფრო მრავლად გვხვდება ცხოველთა ძვლები, განსაკუთრებით, გამოქვაბულის დათვის.

1961 წელი ოქტომბერი

4.10.61

ვმუშაობთ მუქი მოყავისფრო-მოშავო (მარგანეცნარევი) თიხნარის ფენის (მე-15 ფენა) აღებაზე.

გასულ წელს f-7-8, g-7-8 და h-7-8 კვადრატებში აღნიშნული ფენა აუღებელი დაგვრჩა.

წინა ფართობის #2 24 კვადრატში, -4,50 მ სიღრმეზე, მე-2 კულტურულ ფენაში გამოვლინდა არგილიტის ლამელისებური ანატკეცის ნატეხი, მონაცრისფრო პატინირებული ანატკ-ეცი, მოვარდისფრო, გამჭვირვალე კაჟის პატარა ანატკეცი და ცხოველების წვრილად დამტვრეული ძვლები. 29 კვადრატში, II კულტურულ ფენაში (მე-13 ფენა), - 4,50 მ სიღრმეზე გამოვლინდა მოთეთრო, გამჭვირვალე კაჟის ანატკეცი, რომელსაც მუცლის მხარეზე აღენიშნება რადიალურად განლაგებული ანატკეცების კვალი (შესაძლებელია, ანატკეცი ნუკლეუსადაა გამოყენებული), აგრეთვე, კირქვული კაჟის თხელი ფირფიტა.

f-7 კვადრატში, II კულტურულ ფენაში (მე-14 ფენა), -5,30 მ სიღრ-მეზე აღმოჩნდა მოთაფლისფრო-მოყვითალო კაჟის ანატკეცზე ნა-კეთები უხეში წვეტანა, რომლის ქუსლი დაფარულია კაჭრის კანით.

სამელე (ჭაო) კლდეში ვაფართოებთ 1959 წელს გავლებულ საძ-იებო თხრილს, სადაც ჩნდება ცხოველების ძვლები და თიხის ჭურჭლის ნატეხები, დაახლოებით 30-35 სმ-ზე ზედაპირიდან ფენის ქვეშ გამოჩნდა ძლიერ დამწვარი, დატკეპნილი ფენა, რომელიც შეიცავს დამწვარ ძვლებს, თიხის ჭურჭლის ნატეხებ-სა და სხვ. საძიებო თხრილზე მუშაობენ თამაზ ბუგიანიშვილი და ლამარა ჟორჟიკაშვილი. დღეს საკმაოდ საინტერესო აღმოჩენები აქვთ. ენეოლითურ კერამიკასთან ერთად გამოვლინდა ხელის საფ-ქვავის ნატეხები, ძვლის ყუნწგახვრეტილი სადგისი და საკინძის (ქინძისთავის) ნატეხი, აგრეთვე, კაჟის ნამგლისპირი, საფხეკი და ნუკლეუსი.

9.10.61

გუშინ დილით წავედით კაცხში, დავათვალიერეთ კაცხის მონას-ტერი და შემდეგ გავედით ადგილ _ საქორია-კაჟნარზე, სადაც შევაგროვეთ კაჟის ათეულობით ნაწარმი. მათ შორის, რამდენიმე

მშვენიერი ნუკლეუსი.

განვაგრძობთ მუშაობას 9 და 10 კვადრატების აღებაზე. სამელე კლდეში, I ფენაში, i-10 კვადრატში, -1,60 მ სიღრმეზე აღმოჩნდა მოყვითალო კაჟის თავ-ბოლოგადამტვრეული ანატკეცი.

i-9 კვადრატში, -1,65 მ სიღრმეზე გამოვლინდა კაჟის მოყავისფრო წვეტანა.

სამელე (ჭაო) კლდეში დღეს ვაღრმავებთ საძიებო თხრილს, რომელიც თანდათან უფრო საინტერესო ხდება, ვიღებთ არაუმეტეს 15-20 სმ სისქის ფენებს. მოპოვებული მასალა ფიქსირდება 15-20 სმ-ის ფარგლებში. გუშინ გადავარჩიე ფაუნისტური მასალა, რომელიც საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ძვლებს შორის ჭარბობს თხა, ირემი, ღორი. გვხვდება, აგრეთვე, ხარის, დათვისა და სხვ. ცხოველების ძვლებიც. კერამიკული მასალა მცირე და ფრაგმენტულია (შარშან წინ აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები უფრო მრავალრიცხოვანი და მოზრდილი იყო). მრავლად ჩნდება კაჟის ნაწარმი, რომელიც ცალკეული გროვების სახით, ძირითადად თავმოყრილია ნაცარტკეპნილ ე.წ. "იატაკის" ზედაპირზე, კაჟის ნაწარმიდან საყურადღებოა ნუკლეუსები, სწორი ლამელები, საფხეკები და სხვ. გუშინ გამოვლინდა ძვლისა და რქის სადგისები, ლულოვანი ძვლისგან ნაკეთები შუაზე გატეხილი მშვენიერი საპრიალებელი და სხვ. I ფენაში, i-10 კვადრატში, - 2,20 მ სიღრმეზე აღმოჩნდა არგილიტის დაზიანებული წვეტანა.

1962 წელი, ივლისი-აგვისტო





16. 07. 62

14-ში დღის 4 საათზე გამოვედით თბილისიდან. ექსპედიციაში მონაწილეობენ: გაიოზ ირაკლის ძე ჯავახიშვილი, ვაჟა შალვას ძე ჩაგუნავა (არქიტექტორი), ქეთინო ჯავახიშვილი, მედიკო მენაბდე, ცირა დავლიანიძე და მანანა გაბუნია. მანქანით წამოვედით, ღამე გავათიეთ ურბნისში, დავათვალიერეთ ხიზანაანთ გორა და სხვა ობიექტები. დღის 5 საათზე ვიყავით ზოდში.

გამოქვაბულში:

I ფენაში, h-11 კვადრატში, - 1,10 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ორი წვეტანა. პირველი მათგანი ფოთლისებური მოყვანილობისაა, ორივე გვერდი დამუშავებული აქვს და ნაკეთებია მოყვითალო კაქის სამფერდა ლამელისებურ ანატკეცზე. მეორე წვეტანა ორფერდა ლამელაზე და დაფარულია მკრთალი პატინით.

I ფენაში, f 11 კვადრატში, - 1,20 მ სიღრმეზე გამოვლინდა წვეტანა-საჭრისი ნაკეთები ორფერდა ლამელისებურ ანატკეცზე. დარტყმის მოედნის მხრიდან (რომელიც წამტვრეული აქვს) ჩამოყალიბებულია ირიბი საჭრისი.

17. 07. 62

განვაგრძობთ მუშაობას ჯრუჭულის გამოქვაბულში. 1-1 კვადრატების მიწის ზედაპირის გაწმენდის დროს b-1 კვადრატში - 2,9 მ სიღრმეზე აღმოჩნდა მოყვითალო კაჟის ანატკეცი. ანატკეცი გამოვლინდა ჰუმუსოვან ფენაში.

I ფენაში, g-11 კვადრატში - 1,30 მ სიღრმეზე გამოვლინდა მუქი მონაცრისფრო კაქის, კაჭრისკანიანი ლამელისებური ანატკეცი. ანატკეცი ნაწილობრივ რეტუშირებულია. ამავე კვადრატში - 1,32 მ სიღრმეზე ნაპოვნია მოყავისფრო კაქის მასიურ ანატკეცზე ნაკეთები წვეტანა.

I ფენაში, h-11 კვადრატში, - 1,35 მ სიღრმეზე აღმოჩნდა მონაცრისფრო კაქის მოკლე ანატკეცზე ნაკეთები ფოთლისებური მოყვანილობის მშვენიერი წვეტანა. ამა-

ვე კვადრატში, - 1,4 *მ სიღრმეზე გამოვლინდა მონაცრისფრო კირქვული კაქის ლამელისებური ანატკეცი.*

f-11 *კვადრატში,* ***I*** *ფენაში, -*1,25 *მ სიღრმეზე აღმოჩნდა მონაცრისფრო კაქის პაწია ანატკეცი. ამავე კვადრატში, -*1,30 *მ სიღრმეზე გამოვლინდა არგილიტის ლამელისებური ანატკეცის ნატეხი.*

I *ფენაში,* ***g-***11 *კვადრატში, -*1,50 *მ სიღრმეზე აღმოჩნდა მონაცრისფრო გამჭვირვალე, ხალებიანი კაქის ლამელისებური ანატკეცი, ამავე კვადრატში _* 1,53 *მ სიღრმეზე გამოვლინდა მოყავისფრო კაქის ანატკეცი. ხოლო _* 155 *მ სიღრმეზე მონაცრისფრო გამჭვირვალე კაქის ლამელისებური ანატკეცი.*

I *ფენაში,* ***g-***11 *კვადრატში, -*1,75 *მ სიღრმეზე აღმოჩნდა ნაცრისფერი კაქის ლამელისებურ ანატკეცზე ნაკეთები წვეტანა.*

I *ფენაში,* ***g-***11 *კვადრატში, -*1,12 *მ სიღრმეზე გამოვლინდა მოყავისფრო კაქის მკრთალრეტუშიანი ორფერდა ანატკეცი.*

1.08.62

27-31 რიცხვებში ვმუშაობდით სამერცხლე კლდისა და სამელე კლდის გამოქვაბულებში. პირველი მათგანი საკმაოდ მაღალია, მისი სიგრძე რამდენიმე ასეული მეტრია (ბოლომდე არ გავსულვართ). შესასვლელთან მარჯვენა მხარეს გამოქვაბულში სიღრმიდან პერიოდულად მოედინება წყალი (დიდი წვიმების დროს), ამის გამო კულტურული ნაშთები დაზიანებულია (განსაკუთრებით გვიანდელი ხანის). შესასვლელის მარცხენა ნაწილში გადარჩენილია გვიანი ნეოლითური თუ ადრეული ენეოლითური ხანის კულტურული ფენა, რომლის იატაკი მიმწვარ-მიტკეპნილია. ფენა შეიცავს კერამიკის ნამტვრევებს, დამწვარ ძვლებსა და მცირე რაოდენობით კაჟის ინვენტარს (შესაძლებელია, მინარევს).

გამოქვაბულის სამხრეთ კედელთან, კულტურული ფენის დონეზე აღმოჩნდა ნაწილობრივ განადგურებული ბავშვის სამარხი, სადაც გამოვლინდა ნახევარსფერული მოყვანილობის ხელით ნაძერწი ორი უხეში ჭურჭელი, დიდი ჭურჭლის ნატეხები და კაჟის ორი ანატკეცი. ბავშვის ჩონჩხი ძლიერ ცუდად იყო შენახული, შეიძლება ითქვას, სრულიად გამქრალიყო და პრეპარაციის დროს განადგურდა. ***გადარჩენილი ძვლების მიხედვით ირკვევა, რომ მიცვალებული თავით დასავლეთით იყო დაკრძალული, ხოლო ჩონჩხის მდებარეობა (ზურგზე თუ გვერდზე მწოლიარე) გაურკვეველია.*** ჩონჩხის ქვეშ, 5 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა მოყავისფრო ფერის ყუნწიანი ისრისპირი (ყუნწი მოტეხილი აქვს), კულტურულ ფენაში გამოვლინდა ერთი მომწვანო, მეორე მოშავო ქვის ქანისგან ნაკეთები წიბოებიანი ხელცულების ნატეხები. ზოგ მათგანზე ჩხვლეტილი ორნამენტია, უმრავლესობა ქილისებრი მოყვანილობის ჭურჭლებს ეკუთვნის. ძირითად მასალაში შერეულია უფრო მოგვიანო ხანის კერამიკის ნატეხები, რომელთა ნაწილს გაპრიალებული ზედაპირი აქვს. ამ კულტურული ფენის ქვეშ ჰუმუსოვანი ფენაა (საშუალოდ 50 სმ სიმძლავრის), მის შემდეგ იწყება მოყვითალო თიხნარევი ქვიშნარი, რომელიც შეიცავს ზედაპალეოლითური ხანის კულტურულ ნაშთებს. ფენაში აღმოჩნდა ცხოველების რამდენიმე ძვალი და კაჟის მრავალრიცხოვანი მასალა წარმოდგენილი სხვადასხვა სახის ნუკლეუსით, ლამელებით, ანატკეცებითა და იარაღებით. იარაღებს შორის წამყვანია განსხვავებული ტიპის საჭრისები, განსაკუთრებით საფხეკები _ რამდენიმე ცალია, მათ შორის, ერთი დუბლირებულია. აქვე აღმოჩნდა ძვლის ორი სადგისი. კულტურული ფენის სიმძლავრე საშუალოდ 60-70 სმ-ია, გამოქვაბულის იატაკის დონემდე არ დავსულვართ. მოპოვებული მასალა წინასწარული განსაზღვრით ახლო კავშირშია საკაჟიასა და გვარჯილას კლდის ინვენტართან.

საფიქრებელია, რომ სამერცხლე კლდის მასალა საკაქიასა და გვარჯილის კლდის პალეოლითური ძეგლების მასალათა

შორის მოვიაზროთ.

სამელე კლდის გამოქვაბული მდებარეობს ჯრუჭულის მარჯვენა ნაპირზე, სამერცხლე კლდისა და წისქვილთან არსებულ გამოქვაბულებს შორის, ჯრუჭულის ზედაპირიდან დაახლოებით 35-40 მ სიმაღლეზე. გამოქვაბული პირით აღმოსავლეთისკენაა მიმართული და საკმაოდ მშრალია. შედგება ორი ნაწილისგან _ წინა ნაწილი შედარებით მცირე ზომისაა, უკანა ნაწილი კი მშვენიერი, მაღალთაღიანი, დიდი დარბაზია, რომლის ჭერი და კედლები დაფარულია სტალაგმიდებითა და სტალაქტიტებით. პირველი დარბაზიდან მეორეში გასასვლელი ხვრელი საკმაოდ დაბალია. მისი სიგანე 3 მ-ია, ხოლო სიმაღლე _ 1,50 მ, წინა დარბაზის დღევანდელი იატაკი დაქანებულია ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ. გამოქვაბულის შესასვლელის მარჯვენა ნაწილში გავლებულ პატარა საძიებო თხრილში აღმოჩნდა მაკროლითური იერის კაჟის ნაწარმი _ კაჟის ზურგდაბლაგვებული ლამელა (სეგმენტის იარაღი), საფხეკი, წვრილი ანატკეცები და ლამელები. მასალა გამოვლინდა მიწის ზედაპირიდან 30-40 სმ სიღრმეზე.

ძირითად საძიებო თხრილში, წინა დარბაზის ცენტრში (შესასვლელიდან ოდნავ მარჯვნივ, ზომა 1,5X2 მ) დაფიქსირდა სამი ფენა: ***I _ მუქი მოყავისფრო თიხნარი, დაახლ.*** 1 ***მ სისქის, სადაც ზედა ჰორიზონტში აღმოჩნდა გამოქვაბულის დათვის ანატომიური თანმიმდევრობით განლაგებული ძვლები. II _ ღორღოვანი ფენა, დაახლ.*** 30 ***სმ სიმძლავრის. ქვედა ჰორიზონტში გამოვლინდა გამოქვაბულის დათვის ძვლები, III _ თიხნარი მოშავო-მოყავისფრო, ქვიშნარევი დაახლ.*** 70 ***სმ სიმძლავრის. ქვედა ჰორიზონტებში აღმოჩნდა მომწვანო არგილიტის საჩეხისებრი იარაღი და არგილიტის ანატკეცი, აგრეთვე, ცხოველების დამტვრეული ძვლები. მასალა ქვედა პალეოლითის ეპოქას მიე-***

კუთვნება, სავარაუდოდ, აშელის ხანას. ყოველ შემთხვევაში, ჯრუჭულის მასალაზე არქაულია.

1963 ივნისი-აგვისტო

28.07.63

ყვირილის ხეობის პალეოლითური ექსპედიცია ველზე გაემგზავრა 1963 წლის 28 ივნისს. ექსპედიციაში მონაწილეობენ: დ. თუშაბრამიშვილი (ხელმძღვანელი), გ. ჯავახიშვილი (უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი), ვ. ჩაგუნავა (არქიტექტორი მოწვევით), მ. ანთაძე (ლაბორანტი), კ. კალანდაძე (სტუდენტი), ზ. ამოევი (მუზეუმის ავტომანქანის მძღოლი). 10-11 ივლისიდან ექსპედიციას შეუერთდებიან ც. დავლიანიძე და ქ. ჯავახიშვილი (უმცროსი მეცნიერ -თანამშრომლები), აგრეთვე, ორი სტუდენტი. ექსპედიციის ხანგრძლივობა _ 45 დღე. თბილისიდან გამოვედით 28 ივნისს, დღის 3





საათზე. ღამე გავათიეთ ურბნისში. 29 ივნისს, დილის 8 საათზე გამოვედით ურბნისიდან და ჭერათხევის გავლით ჩავედით ზოდში, დღის 12 საათზე. დღის 3 საათზე რამდენიმე მუშასთან ერთად წავედი სამგლე კლდეში და გავწმინდეთ გამოქვაბულთან მისასვლელი გზა.

30.07.63

წავედი ჯრუჭულის გამოქვაბულში. 13-13 (?) კვადრატების I ფენა მნიშვნელოვნად დაზიანებული დაგვხვდა. გამოქვაბულში ალაგ-ალაგ წყალი წვეთავს, ვინაიდან, წინა კვირებში ხანგრძლივი და ინტენსიური წვიმები იყო მთელ საქართველოში. ჯრუჭულის გამოქვაბულში ასეთი ნესტი არასდროს მიგრძნია. მცენარეული საფარიც საკმაოდ განვითარებულა. I კულტურული ფენის ჩამონგრეულ მიწაში ვიპოვე მოყავისფრო კაჟის ნაწილობრივ დამუშავებული წვეტანა.

1.08.63

დღეს სამგლე კლდის გამოქვაბულის შესასვლელი და წინა ნაწილი გავწმინდეთ ბარდ-ეკლნარისგან, იმავდროულად, გამოგვაქვს გასულ წელს გავლებული საძიებო თხრილიდან ამოყრილი მიწა. გადმონაყარ მიწაში აღმოჩნდა კაჟისებური (?) ქანისგან ნაკეთები წვეტანისებური, უხეში იარაღი, დამზადებულია მასიურ ანატკეცზე, რომლის დარტყმის მოედანი შესწორებული არ არის.

გამოქვაბული სამგლე კლდე მდებარეობს მდ. ჯრუჭულის მარჯვენა ნაპირზე, მდინარის დონიდან 3335- მ სიმაღლეზე. გამოქვაბულის შესასვლელი მიმართულია ზუსტად აღმოსავლეთით. სამგლე კლდე შედგება სამი გამოქვაბულისგან. სამხრეთით მდებარე მცირე ზომის გამოქვაბული, ამქამად

თითქმის განადგურებულია, მისი ჭერი ჩამონგრეულია, ზემოდან ჩამოდის (წვიმების დროს) ღორღი და დიდი ლოდები. ორივე გამოქვაბულს საერთო ჭერი აქვს, ერთმანეთისგან სანახევროდ გაყოფილია კედლით. მეორე გამოქვაბულის უკან საკმაოდ დიდი დარბაზია, რომლის კედლები და ჭერი დაფარულია სტალაქტიტური და სტალაგმიტური ჩამონაღვენთებით. გამოქვაბულის კედლებში მრავლად არის ხვრელები, "ჯიბეები" და ფარდები. სამხრეთისა და დასავლეთის კედლების კუთხეში სტალაქტიტური და სტალაგმიტური უზარმაზარი წარმონაქმნია. გამოქვაბული ბნელი და ნესტიანია. მისი ზომებია: სიგრძე _ 23 მ, სიგანე 13 მ (აღებულია საშუალო ზომები), ხოლო სიმაღლე დაახლოებით 6 მ. წინა დარბაზის სიგანე შესასვლელიდან - 13 მ-ია, ცენტრალურ ნაწილში _ 8 მ, ხოლო მეორე დარბაზში გასასვლელიდან - 2,60 მ. წინა დარბაზის სიგრძე გამოქვაბულის ჭერის გარე კიდურიდან 18 მ-ია. ამრიგად, ორივე დარბაზის სიგრძე (გამოქვაბულის ჭერის გარე კიდურიდან) 41 მ-ია. სამგლე კლდის გამოქვაბულის საერთო სიგანე, წინ წამოწეული კლდოვანი შვერილების ჩათვლით 35 მ-ია. წინ აქვს 4 მ სიგანის ბაქანი, რომელიც დაფარული იყო ბუჩქნარით. წინამდებარე იატაკი მნიშვნელოვნად დაქანებულია აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით. მეორე დარბაზის შესასვლელიდან იატაკი დაბლა ეშვება. სხვაობა მეორე დარბაზის შესასვლელის ყველაზე მაღალ წერტილსა (აქედან იწყება ნულოვანი ხაზი) და წინა ბაქნის ფლატეს დასაწყისს შორის _ 5 მეტრია, ხოლო კლდოვანი ჭერის შვერილის კიდემდე - 2,70 მ.

2.08.63

განვაგრძობთ მუშაობას სამგლე კლდეში. გათხრები დავიწყეთ წინა ბაქნიდან გამოქვაბულის უშუალო შესასვლელში. ცენტრში და მარჯვენა მხარეს უზარმაზარი ლოდებია, რომლებიც ხელს გვიშლის გათხრების წარმოებაში. გამოქვაბულის წინ არსებული ფლატე

შექმნილია კირქვის ნატეხებით ამოყვანილი ყორით. ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, აქ აკაკი ხვედელიძის ოჯახის ყანა იყო და ხვედელიძეებს ამოუყვანიათ კედელი. წინა ფართობის ჰუმუსოვან ფენაში ჩნდება გვიანი ხანის კერამიკის ნატეხები და გვიანი პალეოლითური ეპოქის კაჟის რამდენიმე იარაღი და ანატკეცები (ზურგდაბლაგვებული, თავმომრგვალებული დანა, ამოღარული საფხეკი და სხვ.). 1962 წელს გავლებული საძიებო თხრილის გადანაყარ მიწაში აღმოჩნდა ორი ანატკეცი და ცხოველების ძვლები. დღეს დავასრულეთ გამოქვაბულის დასუფთავება.

3.08.63

დილით ავაფეთქეთ დიდი ლოდები, მაგრამ ბევრი ვერაფერი დავაკელით. საჭიროა ხელმეორედ აფეთქება, აფეთქებული ლოდებისგან გავასუფთავეთ შესასვლელი ფართობი. მოშავო-მოყავისფრო ჰუმუსნარევ თიხნარში გამოჩნდა ზედა პალეოლითური იერის კაჟის ანატკეცები.

10.08.63

განვაგრძობთ მუშაობას სამგლე კლდეში. ქვედა ფენაში 1\6 კვადრატში _ 3.85 მ სიღრმეზე აღმოჩნდა კირქვისგან ნაკეთები პაწია ხელნაჯახი. აქვე გამოვლინდა ირმის კბილი. 46 კვადრატში, -3,85 მ სიღრმეზე ნაპოვნია მოყავისფრო, თეთრხალებიანი კაჟის ლამელისებური ანატკეცი და მოვარდისფრო, გამჭვირვალე კაჟის რეტუშირებული ანატკეცი. აქვე გამოვლინდა ნუკლეუსის მსგავსი ანდეზიტის (?) ანამტვრევი.

ქვედა ფენაში, 26 კვადრატში, 4,00 მ სიღრმეზე აღმოჩნდა მოყავისფრო კაჟის ანატკეცი, ირმის ფალანგი და ირმის კიდურის

ძვლის ნატეხი. ქვედა ფენაში, 37 კვადრატში -4,15 მ სიღრმეზე გამოვლინდა მოყავისფრო, თეთრხალებიანი კაჟის ანატკეცი, რომელზეც შეინიშნება გამოყენების კვალი. აქვე ვიპოვეთ ხარის ფალანგიც.

ქვედა ფენაში, 36 კვადრატში, -4,25 მ სიღრმეზე აღმოჩნდა მონაცრისფრო-მოთაფლისფრო, გამჭვირვალე კაჟის ლამელა.

25.08.63

განვაგრძობთ მუშაობას სამგლე კლდეში, აგრეთვე, სამერცხლე კლდის გამოქვაბულსა და ფარდულში.

სამგლე კლდის გამოქვაბულის სულ ზედა ფენაში, დაახლოებით 10 სმ სიღრმის ფარგლებში, ალაგ-ალაგ მიწის ზედაპირზეც გვხვდებოდა გვიანი პალეოლითური თუ მეზოლითური ხანის კაჟის მასალა, წარმოდგენილი ზურგდაბლაგვებული ლამელებით, მიკროლამელებით, ანატკეცებითა და სხვ. ეს ფაქტი და ის გარემოება, რომ გამოქვაბულის დღევანდელი იატაკი (მიწის ზედაპირი) მნიშვნელოვნად დაქანებულია სამხრეთის კედლიდან ჩრდილოეთით და მეორე გამოქვაბულის შესასვლელთან წინა ფართობისკენ, გვაფიქრებინებს, რომ გვიანპალეოლითური თუ მეზოლითური ხანის ფენა გადარეცხილია მეორე გამოქვაბულის ჭერთან ჩამოსული წყლის მძლავრი ნაკადის მოქმედებით. ამ მოვლენის დამადასტურებელი ფაქტი დღეს აღმოვაჩინეთ სამხრეთის, აგრეთვე, ჩრდილოეთის კედლის თითქმის მთელ გაყოლებაზე, განსაკუთრებით 89, 92, 95, 98, 100 კვადრატებში, რომლებიც გამოქვაბულის ჩრდილოეთის კედელს ეკვრის, კლდოვან თაღზე აქა-იქ შერჩენილია ბრძედქცეული ქვიშნარ-ღორღოვანი ფენა, რომელიც მრავლად შეიცავს კაჟის ანატკეც-ანამტვრევებსა და ძვლებს. ფენის ნაშთები, სადაც დაფიქსირდა ძვალი და კაჟი, რიგ შემთხვევაში, გამოქვაბულის დღევანდელი იატაკიდან დაცილებულია დაახლ. 1,00 მეტრით. ***შესაბამისად, ცხადია, რომ სამგლე კლდის გამოქვაბულიდან გამორეცხილია საშუალოდ*** 1,00 ***მ სიმძლავრის ფენა, რომელიც შეიცავდა გვიანი***

პალეოლითური თუ მეზოლითური ხანის კულტურულ ნაშთებს. უკვე ნათელია, თუ რატომ გვხვდებოდა მიწის ზედაპირზე და რიგ შემთხვევაში, მუსტიურ იარაღებთან ერთად, გვიანი ხანის მასალა.

1964 წელი

12-13. 06. 1964

წლევანდელ ექსპედიციაში მონაწილეობენ: დ. თუშაბრამიშვილი, გ. ჯავახიშვილი, ც. დავლიანიძე, ქ. ჯავახიშვილი (უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი), ვ. ჩაგანავა (არქიტექტორი მოწვევით), თ. ჯავახიშვილი (რესტავრატორი) და გ. მეძმარიაშვილი (კოლექტორი მოწვევით).

14.06.64

დღეს რამდენიმე მუშასთან ერთად წავედი ჯრუჭულის გამოქვაბულში. დავიწყეთ გასულ წელს გადმოყრილი მიწის გატანა და ქვების დაგორება, რისთვისაც მთელი დღე დაგვჭირდა და საბოლოოდ ვერც დავასრულეთ. მიუხედავად იმისა, რომ დღეს კვირაა მუშები (დიდი უმრავლესობა ბავშვებია) მაინც მოვიდნენ. ბევრი უკან გავაბრუნე, რადგან სრულიად ბავშვები არიან. მხოლოდ რამდენიმე მუშა მუშაობს ძეგლებიდან, დანარჩენებს პირველად ვხედავ.







15.06.64

განვაგრძობთ ჯრუჭულის გამოქვაბულში I ფენებიდან ჩამონგრეული მიწის გატანას, რაც შრომატევად სამუშაოს მოითხოვს, ვინაიდან, მიწა ატალახებულია და მისი გატანა ძალიან ჭირს. დღეს თითქმის მთლიანად დავასრულე გამოქვაბულის მიწის ზედაპირი და აღვადგინე კვადრატები. არც ერთი ნივთი არ შეგვხვედრია, ან შესაძლოა, გადავაყოლეთ ატალახებულ მიწას.

16.06.64

განვაგრძობთ მუშაობას ჯრუჭულის გამოქვაბულში, ვიღებთ გასულ წელს დარჩენილ ბელტს და 7-7, 13-13 კვადრატებიდან ჩამონგრეულ მიწას, რომელიც ნესტიანი წლის გამო მნიშვნელოვანი რაოდენობით ჩამოზვავდა.

7-7 კვადრატების I კულტურული ფენის ჩამონგრეულ მიწაში აღმოჩნდა მოყავისფრო ფერის კაჟის დანისებური იარაღი, ასეთივე კაჟის წვეტანა, რომელიც მუცლის მხრიდან ნაწილობრივ დამუშავებულია და არგილიტის ლამელისებური ანატკეცი. აქვე გამოვლინდა არგილიტის ორი ანატკეცი და არგილიტის ნუკლეუსი, რომელიც ბოლომდე არ არის გამოყენებული (გატეხილია). აქვე გამოვლინდა მონაცრისფრო კაჟის ანატკეცი.

18. 06.64

გუშინ ოთხ კაცს დავავალე გზის გაკეთება და ზედაპირის მოსუფთავება ჯრუჭულის მახლობლად მდებარე მცირე გამოქვაბულში, რომელშიც სავარაუდოა კულტურული ნაშთების არსებობა. სამუშაოზე ვერ გავედით, რადგან მძღოლმა დაიგვიანა და თამრიკო ჯავახიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, საჭირო შეიქნა ჭიათურიდან ექიმის გამოძახება. არ ვიცი რა ვიღონო? ჭიათურიდან ექიმი არ მოვიდა, სასწრაფო დახმარებიდან გვიპასუხეს, რომ სოფლებში მანქანას და ექიმს არ ვგზავნითო.

19.06.64

დღეს სამუშაოდ მარტო წავედი. გოგონები სახლში დავტოვე თამრიკოს მოსავლელად. მოვანგრიე 13-13 და 14-14 კვადრატების თავზე მდებარე სტალაქტიტური და სტალაგმიტური ჩამონაღვენთების სქელი (დაახლ. 70 სმ სისქე) შრე და დიდი ლოდი, რომელიც ხელს გვიშლიდა აღნიშნული კვადრატის გაწმენდისას. აღსანიშნავია, რომ ამ ნაღვენთების დიდი ლოდის ქვეშ შედის თხელი ნაკერალი შრე, რომელიც უშუალოდ I კულტურული ფენის თავზეა.

ჯრუჭულის გვერდით მდებარე მცირე ზომის გამოქვაბულში გავლებულმა საძიებო თხრილმა არავითარი შედეგი არ მოგვცა. მიწის ფენის სისქე უმნიშვნელოდაა გამორეცხილი. გამოქვაბული სანახევროდ განადგურებულია და სავსეა უზარმაზარი ლოდებითა და ღორღით. მთელი დილის შრომამ უშედეგოდ ჩაიარა.

20.06.64

განვაგრძობთ მუშაობას ჯრუჭულის გამოქვაბულში.

I ფენაში D-7 კვადრატში, -1.65 მ სიღრმეზე აღმოჩნდა მოყავისფრო კაჟის წვეტანა და ანატკეცი. D-8 კვადრატში _ 1.60 მ სიღრმეზე გამოვლინდა წითელი ფერის საღებავის ნამცეცები.

I ფენაში, C-7 კვადრატში, -2,05 მ სიღრმეზე ვიპოვეთ მონაცრისფრო კაჟის ლამელისებური ანატკეცი გამოყენების კვალით.

21.06.64 ***კვირა***

დღეს დილით წავედით ჭიათურაში, დავათვალიერეთ ჩემ მიერ 1958 წელს მიკვლეული ქვედა პალეოლითური ხანის ღია სადგომი - სახელოსნო, გადავიღეთ სურათები და მიწის ზედაპირზე შევკრიბეთ კაჟის რამდენიმე ასეული ნივთი. მრავლადაა ანატკეცები და

ნუკლეუსები, განსაკუთრებით ერთფუძიანი (ლევალუას ტიპის). იარაღებს შორის აღსანიშნავია რამდენიმე წვეტანა და შედარებით სრულყოფილი რეტუშით დამუშავებული სახოკი. განსაკუთრებით საყურადღებოა მცირე ზომის ხელცული, ორმხრივ დამუშავებული, არქაული იერის.

22.06.64

დღეს მუშაობა დავიწყეთ სამელე კლდეში, სადაც რაზმს ჯავახიშვილი ხელმძღვანელობს. პირველ ყოვლისა, გადაყრიან წინა წლებში გავლებული საძიებო თხრილიდან ამოყრილ მიწას და მოასუფთავებენ გამოქვაბულის ზედაპირს, შემდეგ კი დავიწყებთ გათხრებს. მიწის გატანას 3-4 დღე დასჭირდება.

25.06.64

განვაგრძობთ გათხრებს ჯრუჭულის გამოქვაბულებში, I ფენაში, f-14 კვადრატში, - 1,80 მ სიღრმეზე აღმოჩნდა მონაცრისფრო კირქვული კაჟის ანატკეცი. I ფენაში, a-6 კვადრატში, -1,75 მ სიღრმეზე გამოვლინდა მონაცრისფრო კაჟის ლამელა და ანატკეცი. ამავე კვადრატში - 2,0 მ სიღრმეზე ვიპოვეთ მოვარდისფრო კაჟის ლამელის (?) ნატეხი, ცეცხლის კვალით. I ფენაში, b-7 კვადრატში, - 1,75 მ სიღრმეზე აღმოჩნდა მოყავისფრო კაჟის წვეტიანი ნატეხი. ექსპედიცია ველიდან გამოემგზავრა 1964 წლის 28 ივლისს.

1965 წელი

14.07.65

გუშინ, 13 ივლისს თბილისიდან გამოვედით. წლევანდელ ექსპედიციაში მონაწილეობენ გაიოზ ჯავახიშვილი (რაზმის უფროსი), ცირა დავლიანიძე, ქეთინო ჯავახიშვილი, ლეილა ფანცხავა, ელგუჯა გოგაძე და ვაჟა ჩაგუნავა (არქიტექტორი მოწვევით). თბილისიდან წამოვიყვანე მუშა (თეიმურაზ ბერიძე). მანქანა მომცეს 16-ში, მძღოლი _ დავით ფარქოშიძე. ამგვარად, წლევან-

დელ ექსპედიციაში სულ მონაწილეობს 9 კაცი, დავბინავდით სოფ. ქვემო ზოდში.

15. 07.65

დღეს გაიოზი მუშებითურთ გავგზავნე სამელე კლდეში გამოქვაბულის მოსასუფთავებლად და სამუშაოს დასაწყებად. ვაჟა ჩაგუნავა აღადგენს გამოქვაბულის კედლებზე შარშან გაკეთებულ კვადრატთა ნუმერაციასა და "0"



ხაზს, აგრეთვე, გასათხრელი ფართობის კვადრატებს. როგორც ჯრუჭულის ისე, სამერცხლე კლდის ფენები მნიშვნელოვნად დაზიანებული დაგვხვდა. ამიტომ, მიწის გამოტანასა და გამოქვაბულის გასუფთავებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება. სამელე კლდეში წლევანდელ სამუშაოს ართულებს ისიც, რომ გამოქვაბულის წინ გამავალი საურმე ვიწრო გზა სანახევროდ დაფარულია შარშანდელი გადმონაყარი მიწით, საჭიროა მისი გაწმენდა _ მიწის გადაადგილება, აგრეთვე, რამდენიმე უზარმაზარი ლოდის ისე აფეთქება, რომ ძეგლის წინ გამავალი მაღალი ძაბვის ელექტროგაყვანილობა არ დაზიანდეს.

16.07.65

განვაგრძობთ მუშაობას სამელე კლდეში. ვასუფთავებთ 11 b,c,d და b,c,d-1 კვადრატებს, d-2 კვადრატის ნაწილს. d-11 -1 და 2 კვადრატებში დავედით მოყვითალო თიხნარზე. ზედა ფენაში, ჰუმუსნარევ, მტვრადქცეულ მონაცრისფრო ფენაში აღმოჩნდა ცხოველების დამწვარი და დამტვრეული ძვლები, კაჟისა და ობსიდიანის ანატკეცები, ლამელები და კაჟის იარაღები: ზურგდაბლაგვებული დანები, სახეკი და კაჟის დაკბილული იარაღი. კერამიკა სრულებით არ გვხვდება. დღეს დავიწყეთ გამოქვაბულის ფლატეზე შესასვლელის გასწვრივ თხრილის გავლება. აქ ჩნდება თიხის ჭურჭლის ნატეხები და კაჟის ნაწარმი. თიხის ჭურჭლის ორი ნატეხი ადრეული ბრინჯაოს ხანის არის, მათი ზედაპირი მოყავისფრო და კარგად გაპრიალებულია. აქვე გამოვლინდა კვირისტავის თიხის ნატეხი, რომლის ქვედა მხარე ორნამენტირებულია. გავავლეთ E-E კვადრატების დასაწყისის განივი ჭრილი.

ანუ, 19641965***- წლებში (ჯერჯერობით) აქ დაფიქსირებულია ორი ფენა:***

I _ ჰუმუსნარევი, ფხვიერი თიხნარი, ღორღის ჩანართებით, ზედაპირზე მტვრად ქცეული (კულტურული ნაშთებით შემკული) I კულტურული ფენა.

II _ მოყვითალო-მოყავისფრო თიხნარი, შემკვრივებული ღორღისა და მსხვილი ლოდების ჩანართებით.

I კულტურული ფენის სიმძლავრე 1,902***- მ-ია, მის ქვედა ჰორიზონტში წარმოდგენილია ნაკერალი შრე ლინზის სახით.***

II ფენის თხრა მხოლოდ გუშინ დავიწყეთ. კულტურული ნაშთები გვხვდება სულ ზედა ჰორიზონტში, შესაძლებელია, ეს ფენა სტერილური აღმოჩნდეს. აღსანიშნავია, რომ I კულტურული ფენა E-E კვადრატებიდან დაბლა იწევს გამოქვაბულის დასავლეთ კედლის მიმართულებით, ვინაიდან, II ფენა დახრილია ამ მიმართულებით.

22.07.65

განვაგრძობთ მუშაობას ჯრუჭულისა და სამერცხლე კლდის გამოქვაბულებში.

დღეს, წინა დღეებთან შედარებით, ჯრუჭულის გამოქვაბულის ორივე კულტურულ ფენაში დიდი რაოდენობით მასალა გამოვლინდა, კერძოდ, სულ აღმოჩნდა 129 ნივთი, რომელთა დიდი უმრავლესობა II კულტურული ფენის ნაკერალ შრეში დადასტურდა. 13-13 კვადრატების დასაწყისის განივ ჭრილში I კულტურული ფენა დამთავრდა _ "0" ხაზიდან _ 3,00 სიღრმეზე, II კულტურული ფენა კი, დაიწყო 3,60 მ-დან, ე.ი. I და II კულტურულ ფენებს შორის 60 სმ სისქის სტერილური შრეა. აღსანიშნავია, რომ აქაც ისე, როგორც წინა კვადრატებში, II კულტურული ფენა დაიწყო ძლიერ შემკვრივებული ბრექჩია შრით, რომელიც ნაკერალი ფენის თავზეა (მთელ ფართობზე).

9-9 კვადრატების გაწმენდის დროს გვხვდება უზარმაზარი ლოდები, რომელთა გატანა გამოქვაბულიდან ძლიერ გვიჭირს, ამას ერთვის ისიც, რომ ქვების ჩაყრას ხეობაში გვიშლის მეწისქვილე, ამბობს, რომ წისქვილის საგუბარს ვავსებთ ქვებით.

1.08.65

ექსპედიციის მთელი შემადგენლობით წავედით აკაკის სახლ-მუზეუმისა და სავანის ტაძრის დასათვალიერებლად. მდინარე ყვირილაზე ხიდის მშენებლობის დროს უპოვიათ ადრეული ბრინჯაოს (?) ხანის შუბისპირი, რომლის მსგავსი მე არსად მინახავს!

16.08.65

დღეს დავიწყეთ მუშაობა ჯრუჭულის ფარდულში, რომელიც მდებარეობს მდ. ჯრუჭულის მარცხენა ნაპირზე, სოფ. სახეკის ტერიტორიაზე, ჯრუჭულის გამოქვაბულის პირდაპირ, ოდნავ

მარჯვნივ. განვაგრძობთ მუშაობას ჯრუჭულის გამოქვაბულშიც.

I ფენაში, C-14 კვადრატში, -1,55 მ სიღრმეზე აღმოჩნდა მონაცრისფრო კაჟის მკრთალრეტუშიანი (ნაწილობრივ დამუშავებულია მუცლის მხრიდან) წვეტანა, ნაკეთები სამკუთხა მოყვანილობის ანატკეცზე და მოყავისფრო კაჟის ორივე გვერდრეტუშირებული წვეტანა.

I ფენაში, C-14 კვადრატში, -1,60 მ სიღრმეზე გამოვლინდა წვეტანის მსგავსი ორმხრივი საფხეკი, ნაკეთები მასიურ ლამელისებურ ანატკეცებზე.

I ფენაში, C-13 კვადრატში, -2,00-2,10 მ სიღრმეზე აღმოჩნდა მოყავისფრო კაჟის ცალგვერდ რეტუშირებული წვეტანა.

1966 წელი

30.06.66

დღეს შუა დღისას მუზეუმის სატვირთო ავტომანქანით ყვირილის ხეობის ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიცია ველზე გაემგზავრა. საღამოს 2100 საათზე ვიყავით ადგილზე (ქვემო ზოდი, ჭიათურის რაიონი). ექსპედიციაში მონაწილეობენ: დ. თუშაბრამიშვილი (ხელმძღვანელი), გ. ჯავახიშვილი (რაზმის უფროსი), ლ. ფანცხავა (უმცროს მეცნიერ-თანამშრომელი), ვ. ჩაგუნავა (არქიტექტორი მოწვევით) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი მ. ფირცხალავა.

1.07.66

დღეს დილით, რამდენიმე მუშასთან ერთად წავედი სამელე კლდეში. მოვასუფთავეთ გამოქვაბულის ზედაპირი და მოვამზადეთ გასათხრელი ფართობი ჯრუჭულის გამოქვაბულში, გასულ წელს გავ-

ლებული და დასუფთავებული ჭრილები მნიშვნელოვნად დაზიანებულია (ჩამონგრეული).

11.07.66

როგორც 4.07 ჩანაწერებში აღვნიშნე, ჯრუჭულის გამოქვაბულში, I ფენის ჩამონგრეულ მიწაში ვიპოვე რამდენიმე ნივთი, რომელთა ჩახატვას მხოლოდ დღეს ვახერხებ. ნივთებიდან ერთი არგილიტის ორფეხიანი ნუკლეუსია, ნაკეთები მომრგვალო რიყის ქვაზე, მეორე კი, კირქვული კაჟის წვეტანა, რომლის დარტყმის მოედანი სწორად არის შესწორებული ნუკლეუსზე, აქვს ნიჟარისებური ანამტვრევი. აქვე აღმოჩნდა მოყავისფრო კაჟის წვეტანის (?) ნატეხი და მოთაფლისფრო-მოყავისფრო კაჟის უხეში ლამელა, მკრთალი რეტუშის კვალით. 1 ცალ ანატკეცს არ ვხატავ. ის მოყავისფრო კაჟისაა და უხეშია.

12.07.66

დღეს ჯრუჭულის გამოქვაბულში ვიმუშავე. სამელე კლდეში, h 7-8 კვადრატებში დავადგინეთ სამი სამშენებლო პერიოდის დონე (სამი საცხოვრებელი იატაკი, დონე, რომელიც კარგად შეინიშნება იატაკთან) დატკეპნილობითა და ზედაპირის მოლესილობით. თანამედროვე მიწის ზედაპირიდან პირველ (ზემოდან), საცხოვრებელი იატაკის ზედაპირზე წარმოქმნილ ფენაში, რომლის საშუალო სიმძლავრე 1,80 მ-ია, გამოვლინდა კაჟის ყუნწიანი ისრისპირები, ცალპირლესილი ქვის ცულები და რქის თოხის მსგავსი იარაღები, ძვლის სადგისები, აგრეთვე, კერამიკული ნაწარმის მრგვალი ნატეხი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ფენაში, n-7 კვადრატში, “0” ხაზიდან - 2,50 მ სიღრმეზე, ე.ი. ჰუმუსნარევი ფენის დასასრულს და გადამწვარნაცრიანი ფენის დასაწყისში აღმოჩნდა ბრინჯაოს (?) ოთხწახნაგა პაწია სადგისი და ტიგელი. სადგისი ქვაცხელებისა და საგვარჯილეში მოპოვებული სადგისების მსგავსია. კერამიკული ნაწარმი წარმოდგენილია, როგორც მომრგვალო ძირიანი ისე, ბრტყელძირა

ჭურჭლებით. გვხვდება, როგორც ოდნავ გამობერილ მუცლიანი ისე, ქილისებური ჭურჭელი. ზოგ მათგანს ბაკოზე ორნამენტი ეტ-ყობა. ***ჩვენი აზრით, აღნიშნულ ფენაში მოპოვებული მასალა მიეკუთვნება ადრეული ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს და წინ უნდა უსწრებდეს ქვაცხელებისა და ხიზანაანთ გორის შესა-ბამის მასალას, ჩვენ მას განსაკუთრებულ კულტურულ ფორმად მოვიაზრებთ.*** აღსანიშნავია, რომ ზედა (ჰუმუსნარევ) ჰორიზონტში აღმოჩნდა ყურიანი ჭურჭლების ნატეხები. ზოგი ფრაგმენტი ძალ-იან ჰგავს მტკვარ-არაქსის კულტურისთვის დამახასიათებელ კე-რამიკის ფაქტურას. ქვედა ჰორიზონტებში მასალა მცირეა და კლ-დოვანი იატაკიც მაღლა იწევს.

17.07.66

დღეს კვირაა, მიუხედავად ამისა, მთელი შემადგენლობით წა-ვედით კაცხში, სადაც ადგილობრივ მცხოვრებთა ცნობით, ადგილ ორბელში მრავლად არის ბუნებრივი კაჟის ნატეხები. ორბელი მდე-ბარეობს ქ.ზესტაფონში მიმავალი სამანქანო გზის მახლობლად. სამანქანო გზის მარჯვენა მხარეს, სახნავ ფართობზე (დაახლ. 1000 კვ.მ) შევაგროვეთ კაჟის რამდენიმე ასეული ნივთი, რომლებიც იერითა და დამუშავების ტექნიკით გვიანდელ ლევალუა-მუსტიეს ხანას უნდა ეკუთვნოდეს. მასალა წარმოდგენილია მოყავისფრო-მოვარდისფრო, მონაცრისფრო და მოთაფლისფრო კაჟის ნაკეთ-ობებით, რომელთა ზედაპირი დაფარულია სხვადასხვა ფერის მძლავრი პატინით. აღნიშნულ ადგილს პირობითად ორბალი I ვუწოდეთ. ვხატავ რამდენიმე სრულყოფილ იარაღს.

ქ. ზესტაფონისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეზე, სიმინდის უბნებში, შევაგროვეთ არქაული იერის (ადრეული მუსტიე?) რამ-დენიმე ნივთი, რომლებიც გამოირჩევა მასიურობით, სიდიდითა და შედარებითი სიტლანქით. აღნიშნულ ადგილს ორბალი II ვუწოდეთ. ორბალი II-შიც აღმოჩნდა ფაქიზად ნაკეთები რამდენიმე იარაღი და ლევალუას ტიპის წვეტანა. ერთი მათგანი მოგვიანო იერისაა და წვერი ძველადვე აქვს მოტეხილი.

20.07.66

წინა წლებში, სამგლე კლდეში ჩვენ მიერ გაშიშვლებული შიდა ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილი მთლიანად განადგურებული დაგვხვდა. "მოყვარულ" არქეოლოგებს, სავარაუდოდ, საჩხერის რაიონის საშუალო სკოლიდან ან სხვა "ენთუზიასტებს" მნიშვნელოვნად გაუნადგურებიათ ძეგლი. მის ნორმალურ მდგომარეობაში მოყვანისთვის რამდენიმე დღის დაძაბული მუშაობაა საჭირო. განათხარი მიწა ამოვსებული დაგვხვდა (როგორც საძიებო თხრილი ისე, ძირითადი გათხრების მიდამოები). პირველ ყოვლისა, მოვასუფთავეთ გასათხრელი ფართობის ზედაპირი, ხოლო შემდეგ დავიწყეთ მიწის გატანა, იმავდროულად, გავაჩეხინე ძეგლის უშუალო სიახლოვეს მდებარე ბუჩქნარი და ეკალ-ბარდები, რომლებიც აქ მრავლად გავრცელებულა.

21.07.66

განვაგრძობთ მუშაობას სამგლე და სამელე კლდის გამოქვაბულებში. მიუხედავად იმისა, რომ სამი საზიდარი მუშაობს, მიწის გატანას, ალბათ, ორი-სამი დღე დასჭირდება. ჩამონგრეულ და გადანათხარ მიწაში გვხვდება გამოქვაბულის დათვისა და სხვა ცხოველების დამტვრეული ძვლები, რომლებიც "მოყვარულ არქეოლოგებს" დაუტოვებიათ. ქვის ნაწარმი არ გამოვლენილა, როგორც ჩანს, თან წაიღეს მოსწავლეებმა თავიანთი სასკოლო მუზეუმისთვის. სამელე კლდეში სამუშაოები შეფერხდა, ვინაიდან, M da N 9-9, 10-10 კვადრატებში მრავლად აღმოჩნდა ჭერიდან და კედლებიდან ჩამოცვენილი დიდი ლოდები, რომელთა გატანა მხოლოდ დამტვრევის შედეგად ხერხდება.

1982 წელი, 15 ივნისი - 14 აგვისტო

ყვირილის აუზის არქეოლოგიური ექსპედიცია ოფიციალურად ველზე იმყოფება 1982 წლის 15 ივნისიდან. მასში მონაწილეობენ: დ. თუშაბრამიშვილი (ექსპ. ხელმძღვანელი), თ. მეშველიანი

(ხელმძღვანელის მოადგილე), გ. ჯავახიშვილი (რაზმის უფროსი), ლ. ფანცხავა (უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი), მ. კეცხოველი (უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი), ნ. გოგიბერიძე (უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი), ნ. ჯაყელი (ლაბორანტი).

რამდენიმე მუშასთან ერთად ვიყავი ორთვალა კლდეში, აღვადგინეთ ბილიკი, თვითონ მღვიმე, მისი წინა ფართობი ბოლომდე ვერ გავწმინდეთ ეკალ-ბარდებისგან.

25.08.82

ვმუშაობთ ორთვალა კლდეში. დავიწყეთ a-a კვადრატების წინ მდებარე ფართობის დაღრმავება ფლატის დასაწყისიდან, რათა დავიყვანოთ იგი მღვიმის კლდოვან იატაკამდე. გასულ, 1981 წელს d-d კვადრატების წინ, ე.ი. c-c 6-10 კვადრატებში სიღრმეში გაგრძელდა VII (VI პალეოლითური) და VIII (სტერილური-ღია მოყავისფრო-მოყვითალო თიხნარი, წვრილი და საშუალო ზომის ღორღის ჩანართებით) ლითოლოგიური ფენები. საჭიროა, მთელ ფართობზე დავიდეთ კლდოვან იატაკამდე.

26.08.82

წავედით დაზვერვებზე საჩხერის რაიონის სოფ. ჭორვილისა და მისი შემოგარენის ტერიტორიაზე. მეგზურად ჯურხა ნადირაძე წამოგვყვა. ვნახეთ ბევრი საინტერესო ძეგლი, ძირითადად, ანტიკური და ფეოდალური ეპოქის. არსად ჩანს პალეოლითის კვალი. შესაძლოა, ეს იმით არის გამოწვეული, რომ ბორცვების მთელი ზედაპირი გადარეცხილი და ეროზირებულია. საჩხერის შემოგარენში, საჩხერიდან ჭორვილის სამანქანო გზის მარჯვენა მხარეზე, ეროზიით წარმოშობილი 15 ბორცვია, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის თავზე კულტურული ფენებია. ფენები ძირითადად ჩარეცხილი და არეულ-დარეულია.

28-29.08.82

ვმუშაობთ ორთვალა კლდეში, მის წინა ფართობზე, ვაღრმავებთ კვადრატების წინ მდებარე ტერიტორიას. ადგილზე ვტოვებთ

მღვიმის წინ კედელივით აღმართულ ქვის "წყობას"(?) მისი ზედაპირისა და განსაკუთრებით ორივე გვერდის გაწმენდის შემდეგ გაირკვევა მართლაც მშრალი წყობით არის ამოყვანილი კედელი, თუ მოგრძო ყრილი მღვიმის ჭერის ჩამონგრევის შედეგად წარმოიქმნა. გამორიცხული არ არის, რომ სწორედ მღვიმის ჭერის ჩამონგრევის შედეგად წარმოქმნილიყო ჭერის გაყოლებით არსებული კედლისებური ნაყარი.

29 ივნისს დავიწყეთ d-d 11-12 კვადრატების II ზედაპალეოლითური (III ლითოლოგიური ფენა - მოყავისფრო თიხნარი, ღორღისა და საშუალო ზომის კირქვის ნატეხების ჩანართები) ფენის პრეპარაცია. d 11 კვადრატში, 1,70 მ სიღრმიდან ჩნდება მღრღნელების ყბებისა და ძვლების ნაშთები, აგრეთვე, ნაკერალი (?) თხელი შრე. d 12 კვადრატში, -1,70 მ სიღრმეზე აღმოჩნდა მოვარდისფრო კაჟის ანატკეცი.

1983 წელი

17.07.83

ყვირილის აუზის არქეოლოგიური ექსპედიცია 1983 წ. 17 ივნისს დღის 12 სთ-ზე გავიდა ველზე. ექსპედიციაში მონაწილეობენ: დავით თუშაბრამიშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), თენგიზ მეშველიანი (ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე), გ. ჯავახიშვილი (რაზმის უფროსი), ნ. ჯაყელი _ უფროსი ლაბორანტი, გ. ჯაყელი _ არქიტექტორი მოწვევით, ნიკა თუშაბრამიშვილი _ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური კათედრის ასპირანტი.

6.08.83

ორთვალა კლდეში ვმუშაობთ წინა ფართობზე, სადაც მუშების უმრავლესობა დავასაქმე. ამავე დროს დავიწყეთ d-d 6 და 8 კვად-

რატებში I კულტურული (II ლითოლოგიური) ფენის აღება, ხოლო C- II კვადრატში 1982 წ. სანახევროდ გათხრილი III კულტურული (I მუსტიეური, მე-4 ლითოლოგიური) ფენის პრეპარირება.

27.07.83

ვმუშაობთ ორთვალა კლდეში, თენგიზი წავიდა წირქვლის საბჭოში, ძუძუანას მღვიმეში. ბავშვებს ისევ დაუღვრიათ წყალი განათხარ ფართობზე!.. ნიკა წავიდა სამგლე კლდეში, აიღო 4 ნიმუში.

სტრატიგრაფია:

1983 *წ. ორთვალა კლდის მღვიმეში გავავლე ორი განივი ჭრილი:* 1*)* ***e-e*** 710*- კვადრატების დასაწყისის, სადაც* ***d-d*** *მე-*7*-მე-*8 *კვადრატებში გაითხარა* ***II-V*** *ფენები (მე-*7 *ლითოლოგიური,* ***VI*** *კულტურული ფენის დასაწყისამდე), ხოლო მე-*9*, მე-*10 *კვადრატებში* ***III*** *კულტურული (მე-*4 *ლითოლოგიური) ფენის შუა ჰორიზონტამდე)* ***c-c*** 1114*- კვადრატების განივი ჭრილი, სადაც* 1983 *წ.* 1112*- კვადრატების მონაკვეთში კლდოვან იატაკამდე ავიღეთ ფენები, ხოლო* 1314*- კვ. მონაკვეთში ჯერ კიდევ დარჩა ასაღები მე-*12 *ფენა. გარდა ამისა,* ***d-d*** 1112*- კვადრატები მე-*5 *ლითოლოგიურ (მე-*4 *კულტურულ) ფენამდე.*

დასასრული

ვმუშაობდით წინა ფართობზე, დავედით კლდოვან იატაკამდე, სადაც a-a კვადრატების ბოლოდან კლდოვანი იატაკი მკვეთრად ეშვება ხეობისკენ. ჩვენ მიერ გამოვლენილი კლდოვანი იატაკი ძლიერ შემკვრივებული ბრექჩია ფენა აღმოჩნდა. მისი გაჭირვებით მოხსნის შემდეგ 11-14 კვადრატების მონაკვეთში კიდევ გამოვლინდა ***რამდენიმე ფენა***

- სიღრმეში კიდევ რამდენი

- ისევ უცნობია!..

Davit Tushabramishvili

Davit Tushabramishvili dedicated about 100 works to the researches of the stone age Georgia (including on Germna, French and English lanugages) and monography “palaeolithic remains of saltpeter rock”. He was one of the scientists, who succesfully continued the work started by fonder of Georgian Archaeology Academis Giorgi Nioradze and made new stage in development of archaeological science.

DaviT Tushabramishvili was the head of Archaeological Department of National Museum of Archaeology of Georgia, Proffessor of Tbilisi State University and head of department of archaeology of the reseatch center of History, Archaeology and Ethnography Institute of Tbilisi State Univesity,member of commission of research of earth quaternary period of Georgian Scinetific Academy, Speleologic Society Presidium and Scientific board.

On 1957 he estabilished expedition of Rioni and Kvirila pools and started research works in Tschiatura – Sachkhere Municipality. Expedition (D. Tushambarashvili was the head of it from 1979) found more than 70 Palaeolithic and Neolithic monuments (including up to 15 stratified monuments) in Tschiatura – Sachkhere Region. The most important of them was: Jrutschula Cavern, Ortvala rock, Kotia Rock, DzuDzuana Cavern, Samele Rock, Sareke grotto, Darkveti grotto, Samgle Rock, Shvalieti Cavern, Samertskhle rock, Togon Rock, dwellings of Katskhi, Tschilovani, Sarbebi, Kazhnari, Jokoeti and other open dwellings. These monuments are of various palaeolithic period. Jrutschuula cavern, Ortvala rock, Dzudzuana Cavern, Kotia Rocj, as well as , Shvalieti cavern

and Tsutskhvati (Municipality of Tkibuli. Cavernic complex (for archaelogic materials, as well as for stratigraphy) and others are monuments of international importance.

D. Tushabramishvili first fount remains of Neanderthal on the territory of Georgia, teeth of it (Jrutschuula cavern, Ortvala rock, Bronze Cavern). He gave the artifacts found during works of expedition Stone Age Fund of National Museum of Georgia, which was also founded by him in 70s. the most part of the archaeological materials are classified and described by Davit Tushabramishvili. The scentist periodically published all of the results of his researches in sciendific magazines (in different languages), even in editions of foreign highly popular editions of 70s of XX century many of these monnuments are mentioned. International projects are stil being held using materials studied and discovered by Davit Tushabramishvili. This amount and importance of the dicovered stones, as well ass, information gethered, made National Museum of Georgia one of the main centers for the studies of stone age paleolithic era.

At this moment, magazine ONLINE ARCHAEOLOGY suggests the parts of Davit Tushabramishvilis Diary, where he discriebs palaeolithic expedition works on Kvirila river in 1959 -1984. Diaraies describe the hardnesses, which existed beacause of hard working and natural conditions, and which were the issue during stone age studying process. Materials found are especially important and interesting for specialists of stone age, because, studies of the artifacts and monuments is still actual issue in archaeology. They will be able to read the actual thoughts of the scientist, very detailed description of each sample discovered by him, indicating the very square, depth and etc. where the artifact was discovered.

ამჟამად, ონლაინ არქეოლოგია წარმოგიდგენთ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, არქეოლოგიის ბაკალავრის IV სემესტრის ბაკალავრის, თათია ბუწურაძის ნაშრომს (ხელმძღვ. ვახტანგ ლიჩელი), რომელმაც პეტრე მელიქიშვილის დაბადების 165 წლის იუბილისადმი მიძღვნილ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე გაიმარჯვა.

ინტერიერის ორგანიზაციის პრინციპები ქ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში (სამზარეულო)

გრაკლიანი გორის ნამოსახლარი და სამაროვანი მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ იგოეთსა და სამთავისის ტერიტორიაზე, მდ. ლეხურას მარჯვენა ნაპირზე აღმართულ გორაზე, უშუალოდ თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზატკეცილთან.

გრაკლიანი გორის ნამოსახლარი მრავალფენიანია, აქ დადას-

ტურებულია 11 კულტურული ფენა: ქვედა პალეოლითიდან - გვიან ანტიკურ ხანამდე (ქ.შ. III-IV სს.).

ჩვენი საკვლევი თემაა 2014 წელს გრაკლიან გორაზე, კერძოდ კი, IV ტერასაზე, ES კვადრატში გამოვლენილი ღუმელი, რომელიც მის დასავლეთ მხარეს, იატაკის დონეზე დადასტურებული ჭრაქის მიხედვით, ქ.წ. IV საუკუნით დათარიღდა. ჭრაქი გამოიყენებოდა ოთახის გასანათებლად, აქვს შიგნით გადაკეცილი პირის გვირგვინი, მისი ანალოგები შესაძლებელია, ვეძებოთ ქ.წ. IV-I სს-ის ქართულ კერამიკაში, სავარაუდოდ, შეგვიძლია შევადაროთ კავთისხევსა და მუხათგვერდში აღმოჩენილ ჭრაქებს. გრაკლიან გორაზე დადასტურებული ორი ჭრაქი II ქრონოლოგიურ ჯგუფს განეკუთვნება, თარიღდება ქ.წ. IV საუკუნის II ნახევრით - III საუკუნის დასაწყისით.

მოხერხდა ღუმელის მხოლოდ ორი - დასავლეთ და სამხრეთ ფასადების დაფიქსირება, დანარჩენი ორი ფასადით ის მიდგმულია კედელზე. ღუმელი დეფორმირებულია, სამხრეთ ფასადი დახრილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. ის მართკუთხა ფორმის კონსტრუქციაა, რომლის სიგრძე 150 სმ-ია, ხოლო სიმაღლე 46 სმ. მასზე დაფიქსირდა თიხის 5 ჭურჭელი და დამწვარი ძვლები. ღუმელის დასავლეთ მხარეს გამოვლინდა ბაქანი, მისგან ოდნავ მოშორებით, სამხრეთ მხარეს დადასტურდა ქვა, რომელიც, სავარაუდოდ, საცეცხლურზე ასაფარებლად გამოიყენებოდა ტემპერატურის რეგულაციისთვის. ბაქანს ზემოთ დაფიქსირდა საცეცხლური. ის დეფორმირებულია და დახრილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ.

ღუმელის ჩრდილოეთით გამოიკვეთა ბაქანი, რომლის გაგრძელებაზე გამოვლინდა დიდი ზომის ჭურჭელი, სავარაუდოდ, მარცვლეულის შესანახი. ბაქნის სამხრეთით, იატაკის დონიდან 16 სმ სიღრმეზე აღმოჩენილია ბოძის საყრდენი ქვა, რომელიც ცენტრალურ გადახურვას იჭერდა. ასევე, ბოძის საყრდენი ქვიდან სამხრეთით გამოვლინდა თიხის ჭურჭელი. ჭურჭელი ჩაქცეულია პირით, სავარაუდოდ, ძელის დაცემის შედეგად. ძირის ფრაგმენ-

ტებზე დაფიქსირდა სამი ნახვრეტი, რაც მიგვანიშნებს მასზედ, რომ ის მარცვლეულის შესანახად გამოიყენებოდა.

რაც შეეხება ღუმელზე გამოვლენილ 5 ჭურჭელს, მათგან სრული სახით მოღწეულია მხოლოდ #1 ჭურჭელი - კოჭობი. მას კარგად პროფილირებული პირი და მხარზე მიძერწილი ყური აქვს. დღემდე გამოვლენილ კოჭობთა შორის ამ კოჭობის ზუსტი ანალოგის მოძებნა ვერ ხერხდება. არ არის გამორიცხული, რომ ის უშუალოდ გრაკლიან გორაზეა დამზადებული.

#2 ჭურჭელი ორყურიანია, იგი ცუდადაა შენახული, ყურები უშუალოდ მიძერწილია პირზე.

#3 ჭურჭელი მოშავო-მორუხო ფერისაა, ასევე, ცუდადაა შემონახული, ორნამენტირებულია, დატანილი აქვს ამოღარული ტალღისებური ორნამენტი, მისი ნაწილები აღმოჩნდა #5 ჭურჭლად მიჩნეულ ფრაგმენტებში, რომლებიც ღუმელის სამხრეთ ფასადშია ჩამტვრეული, სავარაუდოდ, მიწის დიდი მასის დაცემის შედეგად. ამ ფრაგმენტებსაც #4 ჭურჭლის მსგავსი ტალღოვანი ორნამენტი აღენიშნება.

ღუმელი იყო საკუჭნაოში, რასაც ადასტურებს DS კვადრატში გათხრილი თიხის 5 ჭურჭელი, ხოლო მათგან აღმოსავლეთით გაიწმინდა ხელსაფქვავის ქვაბი.

#1 ჭურჭელი ძალიან დაზიანებულია, შეუძლებელია მისი ფორმის დადგენა.

#2 ჭურჭელი გაითხარა #1 ჭურჭლის აღმოსავლეთ მხარეს. ის უშუალოდ ებჯინება ხელსაფქვავებს, ცალყურიანია, უორნამენტო. მისი ფორმის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ნაწილობრივ, სავარაუდოდ, მსგავსია მუხათგვერდში აღმოჩენილი კოჭობების, რომლებიც II ქრონოლოგიურ ჯგუფს ეკუთვნის და თარიღდება ქ.წ. IV საუკუნის II ნახევრით - III საუკუნის დასაწყისით.

#3 ჭურჭელი გაითხარა #1 ჭურჭლის სამხრეთით. ის ცალყურიანი დოქია, ჩალისფრად გამომწვარი, უორნამენტო, გადაშლილი პირი და უშუალოდ პირსა და მუცელზე დაძერწილი ყური აქვს, ხოლო ყურის პირთან შეერთების ადგილზე კოპისებური დანაძერწები აღენიშნება. ვფიქრობთ, ის უნდა შევადაროთ მუხათგვერდში აღმოჩენილ ცალყურა დოქს, რომელიც II ქრონოლოგიურ ჯგუფს ეკუთვნის და თარიღდება ქ.წ. IV საუკუნის II ნახევრით - III საუკუნის დასაწყისით.

ღუმელი, რომელიც გრაკლიან გორაზე გაითხარა, სავარაუდოდ, ღუმელთა III ტიპს ეკუთვნის, რომლის მსგავსი III ტერასაზეც გაითხარა, მაგრამ III ტერასის ღუმელთან შედარებით ადრეულია. ინტერიერში სამზარეულოს გამართვის პრინციპების საკვლევად გამოყენებულია, როგორც ბერძნულ ისე, აღმოსავლურ სამყაროში დადასტურებული მაგალითები. კერძოდ, განვიხილავ ოლინთოში, ლევკასზე, სარდესსა და გონურ დეფეში აღმოჩენილ სამზარეულოებს.

ოლინთოში გამოვლენილი სახლები სამართლიანად იკავებს მნიშვნელოვან ადგილს ისტორიასა და საბერძნეთის არქიტექტურაში. ოლინთოში გაითხარა 100-ზე მეტი სახლი, ანუ იმაზე მეტი, ვიდრე სხვა ყველა ბერძნულ ძეგლზე. ისინი კლასიკური პერიოდით თარიღდება (დაახლ. ქ.წ. 432-348 წწ.). ოლინთოს სახლებში ოთახები სხვადასხვა დაგეგმარების იყო. იქ აღმოჩენილი არტეფაქტები, მათი განლაგება არქეოლოგებს აძლევს ოლინთოს სახლების ორგანიზებისა და დაგეგმარების საშუალებას. ის არტეფაქტები, რომლებიც აღმოჩნდა ოლინთოში გათხრილი თითოეული სახლის სამზარეულო კომპლექსში ერთმანეთისგან არ განსხვავდება. აქ არის ერთი ტიპის სამზარეულო ჭურჭელი, მაგრამ არსებობს გარკვეული მოდელი, რომელიც დაგვეხმარება იმის წარმოდგენაში, თუ როგორ იყო სახლის ესა თუ ის ფართობი გამოყენებული, გადანაწილებული და რომელ სამზარეულო ჭურჭელს იყენებდნენ ყველაზე ხშირად.

სამზარეულო კომპლექსი სამი ოთახისგან შედგებოდა, რომელთაგან ერთი უშუალოდ სამზარეულოს ეთმობოდა (სადაც გამოვლინდა კერა), მეორე - ე.წ. ორმოების ოთახი და მესამე - სააბაზანო.

როგორც წესი, სამზარეულო კომპლექსი სახლის დიდ ნაწილს იკავებდა, დაახლოებით 26,3 კვ.მ-ს, ზოგადად კი, ბერძნულ, ამ შემთხვევაში ოლინთოს სახლებში, ანდრონისთვის განკუთვნილი იყო - 22,56 კვ.მ (4,75X4,70). აქ გამოვლინდა, აგრეთვე, ოთახები (სახლის ჩრდილოეთ ნაწილში) და პასტა - 22,5 კვ.მ-ს (4,5X5,0), შიდა ეზო - 150 კვ.მ (10X15).

მილონასი სამზარეულოს იმ ოეკუსთან (oecus) აიგივებდა, რომელიც ვიტრივიუსს აქვს ნახსენები და აღწერა ამგვარად: ეს იყო ადგილი, სადაც ქალები თავიანთი დროის უმეტეს ნაწილს ატარებდნენ.

როგორც ცნობილია და როგორც არქეოლოგიური გათხრებით გამოვლინდა, სამზარეულო შესაძლოა, მოწყობილი ყოფილიყო სხვადასხვა სეზონისთვის. მთავარ ოთახსა და ორმოების ოთახს შორის კარი ზამთარში იღებოდა და სამზარეულო თბებოდა კერის სითბოს მეშვეობით. ხოლო ზაფხულში ეს კარი იხურებოდა და სიგრილე მთავარ ოთახში ნარჩუნდებოდა.

განვიხილოთ რამდენიმე სახლი, სადაც გათხრილია სამზარეულო კომპლექსი.

მრავალფერი სახლი - ეს სახელი უწოდეს მას შემდეგ, რაც ამ სახლის კედლებსა და იატაკზე აღმოჩნდა სხვადასხვა ფერით შესრულებული ნახატები. მის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში იყო სამი ოთხისგან შემდგარი სამზარეულო კომპლექსი (k, g, h), ყველაზე დიდი ოთახის ცენტრში გამოვლინდა ნაცრით სავსე კერა (სხვა რაიმე ნარჩენს, მაგ.: ძვლებსა და ჭურჭლის ფრაგმენტებს არ შეიცავდა). სამი ამფორა, რომლებიც კონტეინერებად გამოიყენებ-

ოდა ნაპოვნია ოთახის დასავლეთ კუთხეში. სავარაუდოდ, ისინი წყლის ან საკვების შესანახად გამოიყენებოდა, ოთახში აქა-იქ მიმობნეული იყო ნივთები: სამი მონეტა, ლამბაქი, შუბის წვერი, თასი და ორი წითელფიგურიანი ჭურჭლის ფრაგმენტი.

სამზარეულოს გვერდით გაითხარა ერთი ვიწრო ოთახი, რომელსაც გრაჰამმა ორმოების ოთახი უწოდა. მას სამზარეულოსგან სამი სვეტი ყოფდა. ოთახში შესვლა შესაძლებელი იყო შიდა ეზოდან. აღმოჩნდა ნაცრით სავსე ორმოები, შეიცავდა სხვადასხვა ცხოველის ძვლებს (ძროხის, ცხვრის, თხის, ღორისა და ირმის ძვლები). აქ გამოვლინდა სამზარეულო ჭურჭელი, ტერაკოტული ფიგურები და სხვ. ოთახში, აგრეთვე, აღმოჩენილია ბრინჯაოს ხუფები, სამზარეულო ჭურჭელი, ფიბულა და სხვ. როგორც ვარაუდობენ ეს ოთახი არ გამოიყენებოდა მხოლოდ საჭმლის მოსამზადებლად, მოიხმარებოდა საკუჭნაოდაც და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების შესანახად.

მრავალფერ სახლს ჰქონდა საკუჭნაო, რომელიც მის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარეობდა და იატაკის დონიდან 0.9 მ-ის სიღრმეზე იყო აშენებული. ოთხი პითოსის აღმოჩენამ დაადასტურა ვარაუდი მასზედ, რომ ეს ოთახი საკუჭნაოდ გამოიყენებოდა. ე.წ. ბრინჯაოს აგარაკში გაითხარა ასევე სამზარეულო კომპლექსი. აქ სამზარეულო მრავალფერი სახლისგან განსხვავებით, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში იყო გამართული. გამოვლინდა - დიდი სამზარეულო და ორმოების ოთახი, რომელიც სამზარეულოსგან გამოყოფილი იყო სვეტების რიგით, აგრეთვე, სააბაზანო (in situ). მრავალფერი სახლის მსგავსად, სამზარეულოს მთავარი ოთახი შეიცავდა სხვადასხვა არტეფაქტს. აქ აღმოჩნდა ხელსაფქვავი ქვები და სხვა სამზარეულო ჭურჭელი. აქვე იყო ორმოების ოთახისგან გამოყოფილი სააბაზანო, დადასტურდა ღუმელიც, რომელიც წყლის გასათბობად გამოიყენებოდა. სახლის სამხრეთ -დასავლეთ კუთხეში გაითხარა საკუჭნაო. ის შეიცავდა დიდ პითოსებს, რომელთა დიამეტრი 1,7 მეტრს აღწევდა. ამ ოთახში

გამოვლინდა 8 მონეტა და სხვა ნივთები.

სამზარეულო კომპლექსი ასევე გაითხარა "კომედიანტების სახლში." წარმოდგენილია კარგად შენახული სააბაზანოთი და ორმოების ოთახით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოთახში მარმარილოს სამი ფილა აღმოჩნდა, სავარაუდოდ, ისინი კერისთვის გამოიყენებოდა. სამზარეულოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ნაპოვნია ორი ამფორა. სამზარეულოში გამოვლინდა დიდი რაოდენობით საყოფაცხოვრებო ნივთები, ძირითადად ორ ჯგუფად. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში იყო ვაზის ნარჩენებისა და ტერაკოტული ფიგურების გროვა, აგრეთვე, ორი თასი, ცალყურიანი ჭიქა, ლეკითოსი, ჭრაქი, ორი მონეტა. მეორე გროვა ნაპოვნია ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, აქ იყო სათევზე ლანგრები, 67 საქსოვი დაზგა და სხვ.

რაც შეეხება, ორმოების ოთახს, ის იმ პერიოდის ზოგადი ტენდენციისამებრ მოგებული იყო ფილებით. აქ ნაპოვნია წითელფიგურიანი კრატერი, გამარჯვებული მეეტლის გამოსახულებით, შავად მოჭიქული სათევზე ლანგარი და სანათური (ჭრაქი).

ამ სახლში ისევე, როგორც ყველგან, გაითხარა საკუჭნაო, სადაც აღმოჩნდა დიდი პითოსი, დიამეტრით -1,7 მ, პითოსოს ახლოს გამოვლინდა მისი ხუფიც. აქ, ნაპოვნია პატარა ბეჭედი და რვა მონეტა. ამ სახლის სამზარეულო თითქოს რაღაცით გამოირჩევა სხვა სახლებში გათხრილი სამზარეულოებისგან. ამდენი ნივთის ერთად თავმოყრა სამზარეულოში, ერთგვარად უჩვეულოა ილინთოს სახლებისთვის.

A vii 4 სახლში, სამზარეულოს დასავლეთ კედელთან გამოვლინდა დიდი ზომის ქვის ფილა (ქვიჯა, როდინი), რაც მიუთითებს მასზედ, რომ სწორედ ამ ოთახში ამზადებდნენ საჭმელს. ამავე ოთახში აღმოჩნდა ავეჯის ნაწილიც, რომელიც სამწუხაროდ დაიწვა, რაზეც მეტყველებს დამწვარი ლურსმნებისა და ნაცრის კვალი. აქ იყო,

აგრეთვე, ორი ჭიქა, სუფრის ჭურჭელი, პელიკა, წითელფიგურული ვაზა, ლეკითოსი და სხვა ნივთები. რაც შეეხება ორმოების ოთახს, იქ არ აღმოჩენილა რაიმე ჭურჭლის ფრაგმენტები, მაგრამ ნაცრის ფენა და დამწვარი ქვები აშკარად მიუთითებს მასზედ, რომ ეს ოთახი გამოიყენებოდა საჭმლის მოსამზადებლად. ამავე კომპლექსში ისე, როგორც სხვა სამზარეულო კომპლექსებში გაითხარა სააბაზანო, სადაც აღმოჩნდა წითელფიგურული ლეკითოსი, რომელიც სავარაუდოდ, ზეთის ან სუნამოს შესანახად გამოიყენებოდა. რაც შეეხება საკუჭნაოს, აქ ნაპოვნია პატარა პითოსი, დიამეტრით 0.8 მ, დაახლოებით 190 ლ. მოცულობის. პითოსი შეიცავდა შავად მოჭიქულ სათევზე ლანგარსა და ბრინჯაოს ინსტრუმენტს, როგორც ვარაუდობენ ისინი აქ სახლის დანგრევის შედეგად უნდა მოხვედრილიყო.

რაც შეეხება ხელსაფქვავ ქვებს, ოლინთოში ორი ტიპის ხელსაფქვავის ქვები იყო გავრცელებული: პირველი - უნაგირისებრი ხელსაფქვავი და შემდგომ უფრო განვითარებული - hopper-rubber.

უნაგირისებრი ხელსაფქვავი ნეოლითის ხანაში გამოიყენებოდა. ის შედგებოდა ორი ხელსაფქვავი ქვისგან, რომელთაგან ქვედა მართკუთხედის მოყვანილობის იყო, ხოლო ზედა ქვა ოვალური ფორმისა.

Hopper-rubber - ყველაზე გავრცელებული იყო ოლინთოში. აქ 39 ცალი ასეთი ხელსაფქვავი ქვა აღმოჩნდა.

მარცვლეულის დაფქვა ძალიან რთული და ხანგრძლივი პროცესი გახლდათ. ზოგადად ხელსაფქვავები არასდროს აღმოჩენილა ცალად, კონტექსტის გარეშე, მათთან ერთად ყოველთვის ფიქსირდება სუფრის ჭურჭელი, აგრეთვე, ამფორები, საქსოვი დაზგები.

ბერძნები ასევე იყენებდნენ გადასატან ღუმელებს. გავრცელებული იყო პურის საცხობი ღუმელები. პორტატულობა დამახასიათებელია ბერძნული სამზარეულო ჭურჭლისთვის. არსებობს ტერაკოტული ფიგურები, რომლებიც გამოსახავს პურის ცხობის პროცესს.

სამზარეულო გაითხარა დასავლეთ ანატოლიაში, სარდესში. ის არქაული პერიოდით თარიღდება. ეს სახლი აიგო VII საუკუნის მიწურულს ან VI საუკუნის დასაწყისში და განადგურდა 547 წელს, როდესაც კიროს დიდმა დაიმორჩილა სარდესი. მესამე ნაკვეთში გაითხარა სამზარეულო, სადაც აღმოჩნდა მერხი მარცვლეულის დასაფქვავად, კერა - პურის გამოსაცხობად, დიდი რაოდენობის სამზარეულო ჭურჭელი. სახლი შეიცავდა 17 სამზარეულო ჭურჭელს, ჭურჭლის 10 სადგამს. ზოგიერთი ჭურჭელი კერაზე იდგა და ასოცირდება საჭმლის მომზადებასთან. ეს სახლი სრულად არ არის გათხრილი, მაგრამ წინასწარული მონაცემებით სავარაუდოა, რომ ამ რაოდენობის ჭურჭლით შესაძლებელი იყო ორი ათეული ადამიანის გამოკვება. აქ აღმოჩენილი ჭურჭელი სხვადასხვა ზომისა და ფორმისაა.

სარდებში სახლები ძირითადად ერთოთახიანი იყო. ისინი ლიდიურ ბაზრად მოიაზრებოდა, რაც გულისხმობს მათ კომერციულ ფუნქციას, მაგრამ ამ შენობაში გამოვლენილი სამზარეულო ჭურჭელი და სხვა ნივთები მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ეს სახლები საცხოვრებლადაც გამოიყენებოდა. მოხერხდა სახლების გარკვეული ნაწილის გათხრა და შესწავლა. აქ უხვად იყო წარმოდგენილი არტეფაქტები, ასევე შესანიშნავადაა შემონახული არქიტექტურული ნიმუშები. სწორედ ეს გარემოებები უწყობს ხელს არქეოლოგებს, ლიდიელების ყოველდღიური ცხოვრების აღდგენის საქმეში. აქ გამოვლინდა რამდენიმეოთახიანი სახლები, რომელთა სათავსები განლაგებული იყო შიდა ეზოს გარშემო. სახლებში არსებობდა სამზარეულო სივრცეები. სამზარეულო იარაღები უფრო მეტად სტანდარტიზებულია: სფერული ქოთნები მაღალი სახელურით, ასევე, ქოთნების დასადებები, რომელთა განთავსება შესაძლებელი იყო კერაზე. პურის ლანგრები, სავარაუდოდ, გამოიყენებოდა პურის გამოსაცხობად, შესაძლოა, ასევე სხვა სახის საჭმლის მოსამზადებლადაც. ბევრ სახლში აღმოჩნდა რკინის

შამფურები ხორცის შესაწვავად, რაც მიუთითებს მასზედ, რომ ლიდიური სახლების მკვიდრნი უფრო ბევრ ხორცს მიირთმევდნენ, ვიდრე ბერძნები, მაგრამ შედარებით გვიან გავრცელებული საკვები მარცვლეული და ბოსტნეული იყო - ქერი, მუხუდო, ხორბალი და ნიორი.

აქ აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმის უმეტესობა მოხატულია. ყველაზე მეტად გავრცელებულია თეფშები.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ქ.წ. VI საუკუნეში ლიდიელმა ხალხმა ღვინის გასაზავებლად შემოიღო ისეთი ბერძნული ჭურჭელი, როგორიც არის კრატერი და ოინოხოია.

აღმოსავლეთის ძეგლებიდან საინტერესოა კიდევ ერთი ძეგლი, სადაც ასევე გაითხარა სამზარეულო სივრცე. ეს არის გონურ დეფე, რომელიც სამხრეთ თურქმენეთში მდებარეობს. აქ გაითხარა სასახლის კომპლექსი. მის ჩრდილოეთ მხარეს გამოვლინდა დიდი სივრცე რამდენიმე ათეული ღუმელით. სწორედ ეს ტერიტორია იყო გააზრებული საზოგადოებრივი კვების ადგილად და, როგორც სარიადინი ამტკიცებდა, აქ აღმოჩენილი ლამელები პურის გამოსაცხობად გამოიყენებოდა. გამოვლინდა, აგრეთვე, კონტეინერები, რომლებიც პალეობოტანიკური ანალიზების შედეგების მიხედვით მარცვლის შესანახად გამოიყენებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ლიჩელი ვ. გრაკლიანის კულტურა. 2014 წ.

Нариманишвили Г.К. Керамика Картли V-I вв. до нашей эры, Тбилиси, “Мецниереба”, 1991 г.

Cahill Nicolas. Household and City Organization at Olynthous.

Sparkes B. A. The Greek Kithen.

Bradley A. Ault and Lisa C. Nevelt - Ancient Greek Houses and Households - Cronologial Regional and Social Diversity.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა - 2014-2015

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ორენოვანი გამოცემა. რედაქტორი - ნიკოლოზ ანთიძე; გვერდების რაოდენობა - 240, თბილისი, 2016.

კრებულში წარმოდგენილია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მუშაობა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში. 2014 -2015 წლებში სარეაბილიტაციო მეგაპროექტებთან ერთად ხორციელდებოდა უაღრესად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური კვლევა, რაც არაერთი საინტერესო აღმოჩენით დასრულდა, რაც ასახულია კრებულში.

გამოცემა შესრულებულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე საინტერესო და მნიშვნელოვანია, როგორც მეცნიერთათვის ისე, ფართო საზოგადოებისთვის.

Cultural heritage of Georiga - 2014 – 2015

Bilingual edition of National Agency for Cultural Heritage of Georgia. Editor – Nikoloz Antidze; Number of the pages – 240, Tbilisi, 2016.

Collection shows the work conducted by National Agency for Cultural Heritage of Georgia in past two years. In 2014 – 2015 along with rehabilitation mega projects, very important archaological researches were conducted, which resulted in many interesting discoveries, all of this is presented in the collection.

Edition is made in high polygraphic level and is very interesting and important, for scientists, as well as for society.


საქართველოს
კულტურული მემკვიდრეობა
2014
2015
THE CULTURAL
HERITAGE OF GEORGIA

ქუთაისის არქეოლოგია

ქუთაისის არქეოლოგია - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მეორე, განახლებული და შევსებული გამოცემა. ავტორი - ომარ ლანჩავა, რედაქტორი — ნიკოლოზ ანთიძე. გვერდების რაოდენობა -332; თბილისი, 2015.

წიგნში განხილულია ქუთაისის ისტორია პერიოდების მიხედვით. არქეოლოგიური მასალები შესწავლილია კომ-პლექსურად, სტრატიგრაფიული კორელაციისა და ტი-პოლოგიური ანალიზის გამოყენებით. სათანადო ადგილი ეთმობა ისტორიული გეოგრაფიის, ტოპონიმიკის, ნუმიზ-მატიკისა და ეთნოლოგიის მონაცემებს.

გამოცემა შესრულებულია მაღალ პოლიგრაფიულ დო-ნეზე, განკუთვნილია სამეცნიერო საზოგადოებისთვის.

Archaeology of Kutaisi

Archaeology of Kutaisi – second, renewed and fulfilled edition of National Agency for Cultural Heritage of Georgia. Author – Omar Lanchava, Editor – Nikoloz Antidze. Number of the Pages – 332, Tbilisi, 2015.

History of Kutaisi according to various eras is discribed in the book. Archaeological materials had beend studied alltogether, using stratigraohic Correlation and typologic analysis. Historic, Geographic, Numismatic and ethnologic data take corresponding place in the book.

Edition is made in high poligraphic level, and is intended for scientifi society.


ომარ ლანჩავა
OMAR LANCHAVA
ქუთაისის
არქეოლოგია
THE
ARCHAELOGY OF
KUTAISI

ბორჯომი და კულტურული მემკვიდრეობა

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გამოცემა. ავტორი - ეკა კაჭარავა; მთავარი რედაქტორი — ნიკოლოზ ანთიძე; გვერდების რაოდენობა - 200, თბილისი, 2015.

წიგნში განთავსებულია ბორჯომის არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშების ფოტოები, ბორჯომული ყოფისა და ამ პერიოდის თანამედროვე სოციუმის ამსახველი მასალა და სხვ.

მაღალ პოლოგრაფიულ დონეზე შესრულებული ინოვაციური გამოცემა საინტერესო და მნიშვნელოვანია, როგორც მეცნიერთათვის ისე, ფართო საზოგადოებისთვის.

Borjomi and Cultural Heritage

Edition of National Agency for Cultural Heritage of Georgia. Author – Eka Katcharava; main editor – Nikoloz Antidze; Number of the Pages – 200, Tbilisi, 2015.

Photos of the best architectural objects, materials of Borjomi life and description materials of the society of this period and etc. are in the Book.

Innovational edition made in high level poligraphy is very interesting and important, for society as well as for scientists.


ბორჯომი
Borjomi
3-я жел. мостъ.
2-я желмостъ.
ПАМЯТН. ГОЛОВИНУ.

ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის საგანძური

ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის საგანძური - კატალოგი, ორენოვანი (ქართული, ინგლისური). ავტორები - ამირან კახიძე, თამარ შალიკაძე, თამარ ფარტენაძე; გვერდების რაოდენობა - 112, თბილისი, 2016.

კატალოგში წარმოდგენილია ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში დაცული სხვადასხვა ეპოქის ნივთიერი კულტურის, მათ შორის, საიუველირო ხელოვნების ნიმუშები. კატალოგი არა მარტო სამეცნიერო დანიშნულებისაა, არამედ პოპულარულ საგანმანათლებლო ფუნქციას ასრულებს. მკითხველი პირველად იხილავს მუზეუმში დაცულ როგორც ძველკოლხურ ისე, ელინურ მაღალმხატვრულ ნაკეთობათა ნიმუშებს, რომლებიც ოქრომრავალი აია-კოლხეთის მემკვიდრე სახელმწიფოს მაღალგანვითარებულ ბუნებაზე მეტყველებს.

ფერადი გამოცემა შესრულებულია მაღალ პოლოგრაფიულ დონეზე.

Tresury of Batumi Archaeologial Museum

Treasury of Batumi Archaelogical Museum - Catalogue, bilingual (Georgian, English). Authors – Amiran Kakhidze, Tamar Shalikadze, Tamar partenadze; Number of the Pages – 112, Tbilisi 2016.

Material culture of varius era, including, objects of jeweller's art, which are preserved in Batumi Archaeological Museum are presented in the Catalogue. Catalogue is not only scientific, but also is elucidative for society. Reader first of all sees old Colchis, as well ass helinistic works preserved in the museum, which indicates heir country-s of Aia – Colchis high cultural nature.

Colorful edition is made in high polygraphic level.


ამირან ქახიძე, თამარ ბაღიკაძე, თამარ ფარტენაძე
ბათუმის არქეოლოგიური
მუზეუმის საგანძური
ბ ა თ უ მ ი
20 15
B A T U M I

ძველი ხელოვნება დღეს

ძველი ხელოვნება დღეს - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ორენოვანი (ქართული, ინგლისური) სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი. რედაქტორი - ნიკოლოზ ანთიძე, სარედაქციო ჯგუფი - ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, გიორგი გაგოშიძე, ალექსანდრე ბიანკი, მაიკლ ლაუენბორგი, ირმა დოლიძე, ქრისტინე დარჩია, ეკატერინე თაბუკაშვილი. გვერდების რაოდენობა — 140, 6, 2015 წელი.

ჟურნალში წარმოდგენილია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ანთიძის ნაშრომი კულტურული მემკვიდრეობის კოდექსთან დაკავშირებით, გამოქვეყნებულია სტატიები ევსუქი კათოლიკოსის საცეცხლურის შესახებ მოსკოვის კრემლის მუზეუმიდან, მიმოხილულია დოდორქის მონასტრის ახლად აღმოჩენილი სამლოცველოს მოხატულობა, ეტიუდები ალავერდის კათედრალის დათარიღებისთვის და სხვ. საინტერესო სამეცნიერო კვლევები.

ჟურნალი განკუთვნილია, როგორც პროფესიონალი ისე, მოყვარულ მკითხველთათვის. ილუსტრირებული გამოცემა შესრულებულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე.

Old art today

Old art today - bilingual (Georgian, English) scientific popular magazine of National Agency for Cultural Heritage of Georgia. Editor – Nikoloz Antidze, editor group - Nikoloz Vacheishvili, Girogi Gagoshidze, Alexandre Bianki, Michael Lauenborg, Irma Dolidze, Cristine Darchia, Ekaterine Tabukasvhli. Number of the Pages -140, N6, 2015.

Work of general director of National Agency for Cultural Heritage of Georgia NikolozAntidze on code of Cultural Heritage is presented in the magazine, articles about thurible of CathoolicEvsuki from Museum of Moscow are presented

in the magazine, paintings of the newly discovered chapel of Dodorki monastery are described and sketches for dating Alaverdi Cathedral and other interesting scientific researches are presented in the magazine.

Magazine is intended for amateur as well as professional readers. Illustrated magazine is made in high level poligraphy.



რედაქციისგან:

რედაქცია, შესაძლოა, არ იზიარებდეს ჟურნალში განთავსებულ სამეცნიერო სტატიებში გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას, მაგრამ "ონლაინ არქეოლოგია" შეუფერხებლად გამოაქვეყნებს ამგვარ წერილებსაც და, შესაბამისად, ღიაა პოლემიკისთვის.

ჟურნალ "ონლაინ არქეოლიგიის" რედაქცია მე-10 ნომერში გეგმავს ახალ აქტივობას - "კულტურათა დიალოგი კულტურათა გზაჯვარედინიდან", რომელიც მოიაზრებს საქართველოს არქეოლოგიის განხილვას კავკასიურ და მსოფლიო კულტურულ ჭრილში და იწვევს მეცნიერებს მრგვალ მაგიდასთან კულტურათა დიალოგზე სასაუბროდ.

მის. თაბუკაშვილის 5ა
არქეოლოგიური სამსახური
ტ. 577 253 381

რედაქტორი — **ნიკოლოზ ანთიძე**
სარედაქციო კოლეგია:
კონსტანტინე ფიცხელაური
დავით ლომიტაშვილი
ზურაბ გიორგაძე
კოორდინატორი და სტილისტური რედაქტორი — **მაია ჩოლოყაშვილი**
დიზაინერი — **თამარ გულბანი**

Editor – ***Nikoloz Antidze***
Editorial Board:
Konstantine Pitskhelauri
Davit Lomitashvili
Zurab Giorgadze
Coordinator and stylistic editor - ***Maya Cholokhashvili***
Designer – ***Tamar Gulbani***

From the editorial team:

Editorial, perhaps, does not share some opinions expressed in sciebtific articles in the magazine, but "Online Archaeology" publishes such letters and there fore it is open to discussions.

N 9

Online Archaeology

ონლაინ არქეოლოგია

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
NATIONAL AGENCY FOR CULTURAL HERITAGE PRESERVATION OF GEORGIA